

ვალდებულებიტი სამართალი



CENTER FOR INTERNATIONAL LEGAL COOPERATION



წიგნი დაფინანსებულია საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის
ცენტრის მიერ

ავტორები: **მზია თოდუა**
ჰუზუ ვილემსი

რედაქტორი: **სათუნა ყვირაღაშვილი**

ტექ. რედაქტორი: **ირაკლი სვანიძე**

გამოცემაზე პასუხისმგებელი: **თამარ მატრაქვილი**



აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა
იურისტთა ასოციაციაში.
კრილოვის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 95 23 53, 93 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

2006, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი:

შესავალი 4

ნაწილი I. ვალდებულებითი ურთიერთობების მომენასრიგებელი ნორმების გამოყენების ზოგიერთი თავისებურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით (ავტორი – მზია თოდუა) 5

1. სანივთო და ვალდებულებითი სამართლის ურთიერთმიმართება 5
2. ვალდებულების არსი და სტრუქტურა, მისი წარმოშობის საფუძვლები...12
3. ვალდებულების შესრულების სამართლებრივი პრობლემები 19
4. ვალდებულების დარღვევა და სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სახეები, პირობები და საფუძვლები (ე.წ. „თანაბარი“ და „არათანაბარი“ პასუხისმგებლობის პრინციპი, ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი პრობლემები) 35
5. ხელშეკრულებიდან გასვლა (მოშლა) და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები 52

ნაწილი II. ქართული და ჰოლანდიური ვალდებულებითი სამართლის შედარებითი ანალიზი (ავტორი – მოსამართლე J.H.M. ჰუუბ ვილემსი) 60

თავი 1. ზოგადი ნაწილი: ქართული და ჰოლანდიური ვალდებულებითი სამართლის შედარებითი ანალიზი 60

თავი 2. განსხვავებები სანივთო სამართალსა და ვალდებულებით სამართალს შორის 72

თავი 3. განსხვავებები სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებებს შორის 79

თავი 4. ვალდებულებითი სამართლის ძირითადი მახასიათებლები	84
თავი 5. არასახელშეკრულებო ვალდებულებები	93
თავი 6. სახელშეკრულებო სამართალი	103
თავი 7. პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევისთვის	114
თავი 8. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების დარღვევისთვის	127
თავი 9. სასამართლო პრეცედენტები და კომენტარები	133

შესავალი

სამოქალაქო ბრუნვა ქონებრივი გადაადგილებების მეშვეობით ვითარდება. ვალდებულებითი სამართალი კი, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველაზე დიდ ნაწილს არეგულირებს, წარმოადგენს მთავარ მამოძრავებელ სისტემას ამ ურთიერთობებში.

პრაქტიკაში ვალდებულებითი სამართლის ნორმებისა და ინსტიტუტების გამოყენება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ყოველ ხელშეკრულებას, რომლის მეშვეობითაც ძირითადად მიმდინარეობს ქონებრივი გადაადგილებები, თან ახლავს როგორც სანივთო, ისე ვალდებულებითი ეფექტი, რაც იწვევს საკითხის მთელ სირთულეს.

წინამდებარე ნაშრომის იდეა დაიბადა 2005 წელს, როცა საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების ცენტრის (CILC) ფინანსური მხარდაჭერით, საიას იურიდიული სწავლებისა და ინფორმაციის ცენტრმა სამოქალაქო საქმეთა განმხილველ თითქმის ყველა მოსამართლეს შესაძლებლობა მისცა, მონაწილეობა მიეღოთ შეხვედრებში, რომლებიც ვალდებულებითი სამართლის პრობლემატურ საკითხებს შეეხებოდა.

შეხვედრებში, ქართველ ექსპერტებთან ერთად, რომლებიც წარმოდგენილნი იყვნენ თბილისის საოლქო და საქართველოს უზენაესი სასამართლოებიდან, მონაწილეობდა ამსტერდამის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეც.

შეხვედრების დროს ძირითადად ყურადღება იყო გამახვილებული ვალდებულებითი სამართლის ნორმების პრაქტიკაში გამოყენებაზე. ამ მიზნით, გაანალიზებულ იქნა თბილისის საოლქო სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა – ის ხარვეზები და არაერთგვაროვნება, რომელიც ცალკეულ შემთხვევებსა თუ გადანყვეტილებებს ეხებოდა.

ჰოლანდიელი ექსპერტის მიერ შეხვედრებზე კეთდებოდა შედარებითი ანალიზი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი გადანყვეტილება გამოჰქონდა ჰოლანდიის სასამართლოს და რას ეყრდნობოდა იგი იდენტური შემთხვევის დროს.

შეხვედრების შედეგად დაგროვდა საკმაოდ კარგი მასალა როგორც ქართული, ასევე ჰოლანდიური პრაქტიკიდან იმისათვის, რომ წიგნის გამოცემაზე გვეფიქრა.

გვსურს, უდიდესი მადლობა გამოვუცხადოთ საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის (CILC) ცენტრს იდეის მხარდაჭერისა და ფინანსური დახმარებისათვის.

უდიდეს მადლობას მოვასხენებთ წიგნის ავტორებს – ქალბატონ მზია თოდუას და ბატონ ჰუბ ვილემსს, რომლებმაც, მიუხედავად დროის დეფიციტისა, გამონახეს საშუალება და შეხვედრებზე განხილულ ყველა საკითხზე მოგვანოდეს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ანალიზი, რამაც საფუძველი დაუდო ნაშრომის გამოცემას.

ნაშრომი განკუთვნილია როგორც პრაქტიკოსი იურისტების, ასევე პედაგოგებისა და სტუდენტებისათვის.

თამარ მეტრეველი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის

იურიდიული სწავლებისა და ინფორმაციის ცენტრის დირექტორი

სანილი I

ვალდებულებითი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენების ზოგიერთი თავისებურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით

ავტორი: მზია თოდუა

თბილისის საოლქო სასამართლო,
სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატა,
ყოფილი თავმჯდომარე

1. სანივთო და ვალდებულებითი სამართლის ურთიერთმიმართება (საკუთრების დინამიკა, ანუ საკუთრება და სამოქალაქო ბრუნვა)

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების პროცესში მისი მონაწილეების აღჭურვა განსაზღვრული სუბიექტური უფლებებითა და მოვალეობებით განაპირობებს შემდგომში მათ ქცევას არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში.

სუბიექტური უფლება გულისხმობს უფლებამოსილი პირის შესაძლო ქცევის სამართლებრივად უზრუნველყოფილ საშუალებას, ხოლო სუბიექტური ვალდებულება – ვალდებული პირის სამართლებრივად განპირობებული აუცილებელი ქცევა კონკრეტული სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში.

უფლებამოსილი პირის ინტერესების დაკმაყოფილება, როგორც წესი, სანივთო ან ვალდებულებითი სამართალურთიერთობის მეშვეობით ხდება.

სანივთო (ქონებრივ) სამართალურთიერთობებში უფლებამოსილი პირის ინტერესების დაკმაყოფილებას ადგილი აქვს ნივთის სასარგებლო თვისებების ხარჯზე, ამ ნივთზე უშუალო ზემოქმედების გზით. ვალდებულებითი სამართალურთიერთობების დროს კი პირის ინტერესების დაკმაყოფილება ვალდებული პირის განსაზღვრული მოქმედებების ხარჯზე მიმდინარეობს. ასეთი კლასიფიკაციის პრაქტიკული არსი სანივთო და ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე პირთა ქცევის სხვადასხვა სამართლებრივ რეგლამენტაციამია.

პრაქტიკაში სანივთო და ვალდებულებითი სამართლის ნორმებისა და ინსტიტუტების გამოყენება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, რასაც უთუოდ განაპირობებს პირის სუბიექტური უფლების (სანივთო თუ ვალდებულებითი) ორსახოვანი ბუნება (დუალიზმი).

დუალიზმის არსი მის უდრეკ სიმტკიცეშია. ყოველი დარღვეული უფლების, ყოველი დავის ბედი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ეს უფლება – სანივთო თუ ვალდებულებითი. ხშირად ამ ორ უფლებას შორის მშვიდობის ჩამოგდების, მათი დისკრეტულობის აღმოფხვრის მცდელობას გადაულახავ წინააღმდეგობამდე მივყავართ.

იურიდიულ მეცნიერებაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, სანივთო (ქონებრივი) სამართალი იმ ნორმათა ერთობლიობას წარმოადგენს, რომლებიც არეგულირებენ პირთა ბატონობას ნივთებზე, ანუ რომლებიც უფლებამოსილ პირებს საშუალებას აძლევენ, ნივთებზე ზემოქმედების გზით დაიკმაყოფილონ სხვადასხვა მოთხოვნები. თუმცა, სანივთო სამართლის ამგვარი გაგება სრულად და ამომწურავად არ ასახავს საკითხის არსს. სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში სკ) 147-ე მუხლის მიხედვით, ქონება არა მარტო ნივთები, არამედ არამატერიალური ქონებრივი სიკეთეებიცაა („უსხეულო ნივთები“), რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ისევეა შესაძლებელი, როგორც სხეულებრივი საგნებისა (ნივთებისა).

სანივთო უფლების დასახასიათებლად ხშირად გამოყოფენ სხვადასხვა ნიშნის ერთობლიობას. მათ შორის, ყველაზე გავრცელებულია: სანივთო უფლების აბსოლუტური ხასიათი, მისი უვადობა, ნივთზე მიდევნების თვისება, სანივთო უფლებიდან გამომდინარე მოთხოვნების უპირატესი დაკმაყოფილება ვალდებულებითი უფლებიდან გამომდინარე მოთხოვნებთან შედარებით და ა.შ.

ვალდებულებითი სამართალი კი აწესრიგებს პირებს შორის ურთიერთობებს, ანუ საუბარია „პირად“ უფლებებზე, რომლებიც შექმნილია ხელშეკრულების, დელიქტის, უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით.

ეს უფლებები შეიძლება სადავო გახდეს მხოლოდ გარკვეულ პირთა მიმართ, მოთხოვნა შესაძლოა მიმართული იყოს მხოლოდ კონკრეტული პირისადმი. შესრულების მოთხოვნა, მართალია, ქონებრივი ინტერესის დაკმაყოფილებასთანაცაა დაკავშირებული, მაგრამ იგი მიმართულია არა ნივთის, არამედ კონკრეტული პირისადმი. თუმცა, როდესაც მოთხოვნის უფლება განიხილება, როგორც უფლების ობიექტი, შესაძლებელია ამ უფლების მიმართ სანივთო სამართლის რეჟიმის გამოყენებაც. ზოგჯერ ეს გზა საკმაოდ ეფექტურია, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, დუალიზმი ამ გზით არათუ აღმოიფხვრება, არამედ პირიქით – ძლიერდება. უფლების „პირადი“ ხასიათი ვლინდება იმაში, რომ განსაზღვრული პირის (მოვალის) გარეშე უფლების რეალიზაცია არ შეიძლება, და რომ უფლებასა და ნივთს შორის მოვალის ავტონომიური ნება, მისი მოქმედება დგას, რომელზედაც დამოკიდებულია თვით უფლების არსებობაც.

ამდენად, პირადი უფლების სანივთო უფლებად განხილვამ არ შეიძლება არ მიგვიყვანოს ამა თუ იმ ფორმით მოვალის ავტონომიურ სფეროში შეჭრამდე.

ვინდუკაციური სარჩელი ესაა სანივთო უფლების რეალიზაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარდგენის პირობაა პირადი, ვალდებულებითი კავშირის არარსებობა ნივთის მესაკუთრესა და მფლობელს შორის.

მაგალითად: თუ გამქირავებელმა ნივთი დროებით სარგებლობაში გადასცა დამქირავებელს (სკ მუხლი 531), მას არა აქვს უფლება, შემდგომში ვინდუკაციური სარჩელით დაიბრუნოს ეს ნივთი, არამედ მან უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ ქირავნობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ქონების გადაცემისა და დაბრუნების პირობებით.

ამ წესის პრაქტიკული აზრი ამკარაა: თუ მესაკუთრეს ნებისმიერ შემთხვევაში (როგორც სახელშეკრულებო, ისე სხვა შემთხვევებშიც) ექნება ვინდუკაციური სარჩელის წარდგენის უფლება, ანუ, თუ დავუშვებთ ერთდროულად სანივთო და

ვალდებულებითი სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას, მაშინ მესაკუთრე აშკარად პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ხოლო სამოქალაქო ბრუნვა არ განვითარდება და იგი მხოლოდ მარტივი ყიდვა-გაყიდვებით იქნება შემოფარგლული.

სამოქალაქო ბრუნვა ქონებრივი გადაადგილებების მეშვეობით ვითარდება და ვალდებულებითი სამართალი, რომელიც არეგულირებს საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველაზე დიდ ნაწილს, „წარმოადგენს სისხლძარღვთა სისტემას, რომლის მეშვეობითაც სამოქალაქო-სამართლებრივ ორგანიზმში მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლა“ (იხ. ნ.ეგოროვი, სამოქალაქო სამართლის სახელმძღვანელო, 1996 წელი, გვ. 415).

ქონებრივი გადაადგილებები ძირითადად ხორციელდება სახელშეკრულებო სამართლის საშუალებით. ყოველ ხელშეკრულებას უთუოდ ახლავს როგორც სანივთო, ისე ვალდებულებითი სამართლის ეფექტი. სწორედ ამაში მდგომარეობს საკითხის მთელი სირთულე!

ისინი არ ემთხვევა ერთმანეთს არც შინაარსით, არც უფლების წარმოშობის მომენტით, არც საფუძვლითა და არც შეწყვეტის სამართლებრივი შედეგებით.

მაგალითი:

შპს „სინათლესა“ და ს/ს „გორდას“ შორის დაიდო არასაცხოვრებელი ფართის ნასყიდობის ხელშეკრულება. ს/ს „გორდას“ საკუთრების უფლება კანონით დადგენილი წესით აღირიცხა საჯარო რეესტრში და მას გადაეცა ფართი მფლობელობაში. შპს „სინათლემ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება (შენწყვეტა) იმ მოტივით, რომ მოპასუხემ არ გადაიხდა უძრავი ქონების ღირებულება. პირველი ინსტანციის სასამართლომ შეწყვიტა ხელშეკრულება და არასაცხოვრებელი ფართი დაუბრუნა მოსარჩელეს. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა აღნიშნული გადაწყვეტილება და არ დააკმაყოფილა სარჩელი იმ საფუძვლით, რომ მყიდველი დავის დაწყების დროისათვის უკვე მესაკუთრე იყო და არ არსებობდა ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველი.

აშკარაა, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა ნიშნავს საკუთრების შენარჩუნებას მანამ, სანამ არ არის შესრულებული ნივთზე საკუთრების გადაცემის მოვალეობა. ამის შემდეგ ნივთის დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია ხელშეკრულებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ქონების დაბრუნება ხდება არა ავტომატურად, არამედ მაშინ, თუ ამაზე არსებობს მხარეთა სპეციალური შეთანხმება. სკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გამსხვისებელმა პირობად დათქვა საკუთრების გადასვლა შემძენზე მხოლოდ ნივთის საფასურის გადახდის შემდეგ, ივარაუდება, რომ საკუთრება გადავა შემძენზე საფასურის სრულად გადახდის შემდეგ.

თუ გამსხვისებელი უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, უკვე ორმხრივად განხორციელებული შესრულება მხარეებმა უნდა დააბრუნონ. ამის საწინააღმდეგო შეთანხმება ბათილია. მოცემულ შემთხვევაში გამყიდველის სარჩელი მყიდველის მიმართ უნდა დაემყაროს სკ-ის 508-ე მუხლის პირველ ნაწილს და არა სკ-ის 172-ე მუხლის პირველ ნაწილს, თუმცა, სასამართლო პრაქტიკა ასეთ შემთხვევებში სწორედ ვინდიკაციურ სარჩელს ანიჭებს უპირატესობას.

დეალიზმის თემის ამონურვა შეუძლებელია, თუ არ შევცხებით უფლების „სტატიკი-სა“ და „დინამიკის“ საკითხსაც.

სამოქალაქო უფლებათა დეალიზმი ზოგჯერ წარმოდგენილია, როგორც ერთგვარი „სტატიკა“ და „დინამიკა“, სადაც „სტატიკა“ გაიგივებულია საკუთრებასთან, ხოლო „დინამიკის“ ქვეშ მოიაზრება გაცვლა, ბრუნვა, ანუ ხელშეკრულებები და საერთოდ ვალდებულებები. საკითხისადმი ასეთ მიდგომას პრობლემის მხოლოდ მოჩვენებით გადაწყვეტამდე მივყავართ. როგორც ვინდიკაცია, ისე ვინდიკაციის შეზღუდვა – ეს ერთი უფლების (საკუთრების) დაცვის ორი საშუალებაა. კერძო სუბიექტური უფლებების უმეტესი ნაწილის განხილვისას, სწორედ მათი ორსახოვანი მდგომარეობა წარმოჩინდება – უფლებები ერთდროულად, როგორც უძრავნი („მდგრადი“), ისე მოძრაობაში მყოფნი. საკუთრების უფლების უზრუნველყოფა და სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოების დაცვა გარკვეულწილად ერთიერთ-სანინაალმდეგო ცნებებია. ხშირად ერთი მეორეს ხარჯზე მიიღწევა. იქ სადაც, ეს ორი დაცვის ინტერესი ერთმანეთს ეჯახება, კანონმდებელი რთული პრობლემის წინაშე დგას.

სანივთო (აბსოლუტური) უფლების უზრუნველყოფა მდგომარეობს იმაში, რომ პირის სამოქალაქო სამართლებრივი მდგომარეობის არასასურველი ცვლილება არ უნდა ხდებოდეს მისი ნების გარეშე.

სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოების დაცვა კი მდგომარეობს იმაში, რომ პირის სამოქალაქო სამართლებრივი მდგომარეობის დასახული ცვლილება არ უნდა წყდებოდეს მისთვის უცნობი გარემოებების გამო. ისეთ კონფლიქტურ სიტუაციებში, როგორიცაა, საკუთრების შექმნა ხანდაზმულობით (სკ-ის 165-ე და 167-ე მუხლები) ან კეთილსინდისიერი შემძენის მიერ არაუფლებამოსილი გამსხვისებლისაგან ქონების შექმნა (სკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილი), წარმოიშობა სწორედ ზემოთ აღწერილი წინააღმდეგობა საკუთრების შიგნით და ის განიხილება, როგორც გადაულახავი „სტატიკასა“ და „დინამიკას“ შორის.

სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც იცავენ კეთილსინდისიერ შემძენს, იურისტებს შორის ხშირად პოლემიკის საგანია. მათი აზრით, ეს ნორმები „მძიმე დარტყმას“ აყენებენ საკუთრების უფლებას და არსებულ ქონებრივ წესრიგში შეაქვთ წინააღმდეგობისა და რღვევის მარცვლები. ამ წინააღმდეგობის დაძლევის მცდელობა „ნაკლები ბოროტების“ პალიატივის საშუალებით სულაც არ არის პრობლემის გადაწყვეტა, ხოლო იმ ღრმა მიზეზების არსებობა, რომლებიც სამოქალაქო ბრუნვაში სანივთო უფლებების არსშია, უფრო აშკარად წარმოჩინდება.

სამოქალაქო ბრუნვის მონანილებებს ყოველთვის არ შეუძლიათ, ნამდვილი უფლებების შესახებ ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია მიიღონ მაშინ, როდესაც ბრუნვამ უკვე უპიროვნო ფორმები შეიძინა. შესაბამისად, ისინი მუდმივი საშიშროების წინაშე დგანან, თუ დაუჯერებენ ფაქტობრივ ვითარებას, მაგალითად იმას, რომ მოძრავი ნივთის მფლობელი ნამდვილად მისი მესაკუთრეა (სკ-ის 158-ე მუხლის პირველი ნაწილი), სინამდვილეში კი, ნივთზე მფლობელობა შეიძლება ტიტულოვანმა მესაკუთრემ დაკარგა მისი ნების სანინაალმდეგოდ.

პრობლემას შესაძლებელია სამი უკიდურესი გადაწყვეტა ჰქონდეს:

1. შესაძლო შეცდომის ყველა რისკის გადატანა მოხდეს მესაკუთრეზე;
2. ყველა რისკი გადატანილ იქნეს მყიდველზე; ან

3. ყველა შესაძლო რისკის თავიდან ასაცილებლად, შემოდებულ იქნეს ყოველი უფლების რეგისტრაციისა და აღრიცხვის რეესტრები.

გასაგებია, რომ ნებისმიერი მათგანისათვის უპირატესობის მინიჭება სამოქალაქო ბრუნვის პარალიჩს გამოიწვევდა.

მესაკუთრის ნების არარსებობის შემთხვევაში, საკუთრების მკაცრად განუსხვისებლობის პრინციპის დაცვა დასაშვებია მხოლოდ სუსტად განვითარებული სასაქონლო ბრუნვის პირობებში. ბრუნვის სწრაფ განვითარებას, რაც თავისთავად გულისხმობს უპიროვნო დინამიკის ზრდას, მივყავართ საგამონაკლისო წესების რიგორიზმთან შეჯახებამდე. გამოსავალი ამ დაპირისპირების შერბილებაშია და, სწორედ ამიტომ, კანონმდებელი მიმართავს ე.წ. ორ ბოროტებას შორის „ნაკლები ბოროტების“ არჩევანის გზას, რაც კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტის შემოღებას უკავშირდება (სკ-ის 185-ე და 187-ე მუხლები).

სასამართლო პრაქტიკის წინაშე მეტად მწვავედ დგას მესაკუთრისათვის იმ ბათილი გარიგების სამართლებრივი შედეგების საკითხი, როცა სათანადო უფლებამოსილების გარეშე ასხვისებენ მის ქონებას. ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, „ის გარემოება, რომ მყიდველი შეიძლება აღმოჩნდეს კეთილსინდისიერი შემძენის როლში, რომლის მიმართაც კანონმდებელი არ უშვებს ვინდიკაციას, არ უნდა უშლიდეს მესაკუთრეს ხელს, წარადგინოს სარჩელი ბათილი (არარა) გარიგების შედეგებიდან გამომდინარე“ (იხ. მ.ბრაგინსკი, ვ.ვიტრიანსკი სახელმეკრულებო სამართალი. მოსკოვი. 1997 წელი, გვ. 654). მესაკუთრეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, შეარყიოს საკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი – ხელმეკრულება, თუ ის დადებულია სკ 54-59 მუხლების მოთხოვნათა დარღვევით. არარა გარიგებები სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს და, შესაბამისად, რეალურად არ მოხდება ამგვარი ნასყიდობის დროს საკუთრების უფლების გადაცემა მყიდველზე; ანუ, ასეთ შემთხვევებში, მყიდველის კეთილსინდისიერება დამაბრკოლებელი გარემოება არ უნდა იყოს ტიტულოვანი მესაკუთრისათვის.

თუმცა, ამ პოზიციის მომხრეებს ავიწყდებათ ის, რომ კონდიქციური ვალდებულებების მომწესრიგებელი ნორმების მიხედვით, უსაფუძვლოდ მიღებული უბრუნდება გარიგების მხარეს და არა მესაკუთრეს, რადგანაც უსაფუძვლო გამდიდრების რესტიტუციასთან დაკავშირებულ მოთხოვნას არა აქვს სანივთო ხასიათი, იგი მკაცრად ფარდობითია (პირადული), ანუ ეხება მხოლოდ ბათილი გარიგების მხარეებს და არ ქრება ნივთის დაკარგვის (მესამე პირის მფლობელობაში გადასვლის) შემთხვევაში, არ მიჰყვება ნივთს, როგორც ეს სანივთო სამართლისათვისაა დამახასიათებელი, არამედ გარდაიქმნება ფულადი კომპენსაციის მოთხოვნად (სკ-ის 979-ე მუხლის მეორე ნაწილი).

უფრო ნაკლებია მყიდველის არაკეთილსინდისიერების ალბათობა მაშინ, როდესაც იგი იძენს საკუთრებას იმ პირისაგან, რომელიც მართალია, მესაკუთრე არ არის, მაგრამ მოძრავ ნივთს ფლობს გარკვეული სამართლებრივი ურთიერთობის, მაგალითად, მიბარების ან თხოვების ხელმეკრულების საფუძველზე. ამ დროს მყიდველი სკ-ის 158-ე მუხლის პირველი ნაწილით ვარაუდობს, რომ გამყიდველია ნივთის მესაკუთრე და იგი კეთილსინდისიერების საფუძველზე ხდება მესაკუთრე. შესაბამისად, ტიტულოვან მესაკუთრეს აღარ შეუძლია, თავისი უფლების დასაცავად მიმართოს ვინდიკაციურ სარჩელს. კეთილსინდისიერი შემძენი საკანონმდებლო ფიქციის საფუძველზე ხდება მესაკუთრე, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი უფლება დაცულია, რადგანაც იგი იწყებს ნივთის ფლობას ხანდაზმულობით სა-

კუთრების უფლების შესაძენად და ამ მომენტიდან მას გააჩნია კანონით განსაზღვრული და დაცული პოზიცია.

მართალია, „კეთილსინდისიერი შემძენის“ სამართლებრივი მდგომარეობა სანივთო სამართლის ნორმებით წესრიგდება, მაგრამ იგი უფრო სამოქალაქო ბრუნვის (ვალდებულებითი სამართლის) პროდუქტია, ვიდრე სანივთო სამართლისა.

რაც შეეხება, ხელშეკრულების დადებას, აქაც, ბრუნვის თვალსაზრისით, კეთილსინდისიერებას (შემენასთან კავშირის გარეშე) იურიდიული მნიშვნელობა აქვს; მაგალითად, სკ-ის 346-ე მუხლის შესაბამისად, ბათილია ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების სანინააღმდეგოდ საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის.

არანაკლებ საინტერესოა ისეთი პრობლემა, როგორცაა ხელშეკრულების შესრულების „შეუძლებლობა“, რომელიც სახეზეა მისი დადების მომენტში ან შემდგომში იჩენს თავს.

მაგალითად, ორი სამეურნეო საწარმოს ხელმძღვანელი დებს ხელშეკრულებას ხორბლის სალენი კომბაინის იჯარაზე. მოგვიანებით ირკვევა, რომ იჯარის საგანი ეკუთვნოდა მესამე პირს, რომელმაც ვინდიკაციური სარჩელით დაიბრუნა ნივთი. ამის შემდეგ მოიჯარე ითხოვს მთავარსაგან შესრულებას. მაგრამ შესრულება ხომ ობიექტურად შეუძლებელია! სამართლებრივად, მოიჯარე კომბაინის მესაკუთრესთან არავითარ კავშირში არაა და, შესაბამისად, მას არ შეუძლია არც სანივთო და არც ვალდებულებითი მოთხოვნის წაყენება მესაკუთრისათვის. მოცემულ შემთხვევაში, გამოსავალი შეიძლება იყოს კეთილსინდისიერი საქმიანი ბრუნვის პრინციპის გამოყენება და იმ მხარის განსაზღვრა, რომელმაც უნდა აიღოს ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობისთვის ბრალეული პასუხისმგებლობის რისკი.

„ხელშეკრულების შესრულების დაბრკოლების წარმოქმნაში ის მხარე იქნება პასუხისმგებელი, რომლის ქმედებებშიც (ან იმ პირების, ვინც მას ეხმარება) არ არსებობს საქმიანი ბრუნვისათვის დამახასიათებელი გონივრული წინდახედულობის ხარისხი.“ ამგვარად უდგება აღნიშნულ საკითხს გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (იხ. კ.ცვაიგერტი, ჰ.კოტცი, „შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში“, ტომი 2 „ჯისიაი“, გვ.180).

ამასთან დაკავშირებით, შეიძლება მეტად საინტერესო მაგალითის მოყვანა სასამართლო პრაქტიკიდან: (იხ. საქმე №ას-57-756-03 უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე. №11 ს.ფ.3134)

ა-ს საკუთრებას წარმოადგენდა თბილისში მდებარე უძრავი ნივთი (მინა და საცხოვრებელისახლი), რომელიც მანნოტარიალურად დამონმებული ხელშეკრულებით მიჰყიდა ბ-ს 2000 წლის 18 მარტს და ეს უკანასკნელი აღირიცხა ნივთის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში იმავე წლის 25 მარტს. მყიდველი ვერ დაეუფლა ბინას, რადგანაც გაირკვა, რომ 1999 თებერვალში ა-ს იგივე ბინა მიუყიდა კანონით დადგენილი წესით ვინმე გ-სათვის, რომელმაც დროულად არ მოახდინა თავისი სანივთო უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. პირველმა მყიდველმა (გ) მფლობელობის დროს დაანგრია ძველი საცხოვრებელი სახლი და ააშენა ახალი. ბ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ-ს წინააღმდეგ და, როგორც მესაკუთრემ,

მოითხოვა უძრავი ნივთის უკანონო მფლობელისათვის ჩამორთმევა და მისთვის გადაცემა.

მოპასუხემ შეგებებული სარჩელი აღძრა **ა**-სა და **ბ**-ს წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვა 2000 წლის 18 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრში განხორციელებული ჩანაწერის გაუქმება და სადავო უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მისთვის გადაცემა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ **ბ**-ს სარჩელი არ დააკმაყოფილა, ხოლო შეგებებული სარჩელი დააკმაყოფილა; ბათილად იქნა ცნობილი **ა**-სა და **ბ**-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი შედეგებით. სასამართლომ გამოიყენა ანალოგიით სკ-ის 485-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, თუ გამყიდველმა ერთი და იგივე ნივთი რამდენიმე პირს მიჰყიდა, უპირატესობა ეძლევა იმ მყიდველს, რომლის მფლობელობაშიც პირველად გადავიდა იგი; შესაბამისად, სასამართლომ გააკეთა არასწორი დასკვნა იმის შესახებ, რომ მეორე ნასყიდობის დადების დროს **ა** უკვე აღარ იყო ნივთის მესაკუთრე და საკუთრების უფლებას ვერ გადასცემდა **ბ**-ს.

სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შექმნისათვის მხოლოდ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის (ხელშეკრულების) არსებობა არ არის საკმარისი, არამედ სკ-ის 183-ე მუხლის მიხედვით, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემდენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. **გ** კონსტიტუციურად არ გამხდარა სადავო ნივთის მესაკუთრე იმის გამო, რომ მან არ შეასრულა კანონით დადგენილი იურიდიული მოქმედება და არ გაატარა თავისი უფლება რეესტრში, ე.ი. არ გამოიჩინა სათანადო წინდახედულება და ამით შესაძლებლობა მისცა ურთიერთობის არაკეთილსინდისიერ მონაწილე **ა**-ს, ხელმეორედ მოეხდინა ნივთის გაყიდვა! ამიტომაც, სახელშეკრულებო რისკი სწორედ მას აწევს და არ შეიძლება ამ რისკის გადატანა **ბ**-ზე, რომელიც ამ უკანასკნელთან სახელშეკრულებო (ვალდებულებით) ურთიერთობაში არ იმყოფებოდა და, ამასთან, მას არ აქვს დარღვეული სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობის დროს კეთილსინდისიერების პრინციპი. **ბ**-მ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ უფრო ადრე **ა**-მ სახლი მიჰყიდა **გ**-ს. რაც შეეხება, სკ-ის 485-ე მუხლის ანალოგიით გამოყენებას, მოცემული დავის გადაწყვეტა ამ ნორმის საფუძველზე არ შეიძლებოდა, რადგანაც ეს ნორმა გამოიყენება მოძრავი ნივთების („საქონლის“) და არა უძრავი ნივთების მიმართ.

ამ საქმეზე დადგენილ იქნა ასევე ის გარემოება, რომ პირველმა შემდენმა, **გ**-მ მფლობელობის დროს ძველის ადგილზე ახალი სახლი ააშენა და, რასაკვირველია, არამართლობიერად მოახდინა სადავო ნივთის გაუმჯობესება. ვის და რა სახის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნები შეიძლება წაუყენოს **გ**-მ? ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, მან შესრულების მოთხოვნა **ა**-ს უნდა წაუყენოს, რადგანაც 1999 წლის თებერვლის ნასყიდობა ნამდვილია, მაგრამ გამყიდველს ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემა უკვე აღარ შეუძლია. ამიტომაც მან მეორადი – ზიანის ანაზღაურების – მოთხოვნა უნდა დააყენოს.

2. ვალდებულების არსი და სტრუქტურა, მისი წარმოშობის საფუძვლები

❖ ვალდებულების არსი

სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულება – ეს არის განსაზღვრული სამართალურთიერთობა, რომლის ძალითაც, ერთი პირი – მოვალე – ვალდებულია, მეორე პირის – კრედიტორის – სასარგებლოდ განსაზღვრული მოქმედება შეასრულოს (გადასცეს ქონება, შეასრულოს სამუშაო, გადაიხადოს ვალი და ა.შ.), ან თავი შეიკავოს მისი შესრულებისაგან, ხოლო კრედიტორს უფლება აქვს, მოსთხოვოს მოვალეს ვალდებულების შესრულება.

ვალდებულებითი სამართლის მონესრიგების სფეროს წარმოადგენს ისეთ ვალდებულებებთან დაკავშირებული ურთიერთობები, რომელთა დარღვევისთვისაც მოვალეს სასამართლოს მეშვეობით შეიძლება დაეკისროს შესრულება ან ზიანის ანაზღაურება.

კითხვაზე, თუ რა არის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, პასუხს იძლევა სკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილი. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ჩვენს გერმანელ კოლეგებს იმაში, რომ ეს ნორმა „არ არის სწორად მოთავსებული ვალდებულებითი სამართლის დასაწყისში“ (იხ. ჰ. ბიოლინგი, პ. ლუტრინგჰაუსი, ლ. შატბერაშვილი საქართველოს სკ-ის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბილისი, 2005 წელი, გვ. 166), რადგანაც მოთხოვნის საფუძვლებს შეიცავს არა მარტო ვალდებულებითი სამართლის ნორმები, არამედ სანივთო, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის ნორმებიც.

კანონმდებლის მიერ სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემული ვალდებულების დეფინიცია, რასაკვირველია, სრულყოფილი არ არის და მხოლოდ მინიშნებს მოვალის ვალდებულებასა და კრედიტორის უფლებაზე.

მოქმედება და უმოქმედობა (თავის შეკავება) მართლზომიერი ნებითი აქტია მკაცრად განსაზღვრული ფარგლებით. არამართლზომიერი, ანუ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებები არ შეიძლება ვალდებულების საგანი იყოს. სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს, მაგრამ 316-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების ცნება პრაქტიკულად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი (ფარდობითი) რელატიური სამართალურთიერთობის მოსაწესრიგებლად. მათ შორის: შრომითი, კორპორაციული და ა.შ. სამართალურთიერთობის მოსაწესრიგებლადაც.

გარდა ამისა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენება ვალდებულების უფრო რთული სამართლებრივი კონსტრუქციები, ვიდრე ამას სკ-ის 316-ე მუხლი ითვალისწინებს.

ჯერ ერთი, მოვალისა და კრედიტორის მხარეზე შეიძლება პირთა სიმრავლეს ჰქონდეს ადგილი (რამდენიმე კრედიტორი ან მოვალე სკ-ის 455 და 463-ე მუხლებში), მეორეც, სამოქალაქო ურთიერთობებში ორმხრივი ვალდებულებები ჭარბობს, როდესაც სამართალურთიერთობის მონაწილეები ერთდროულად კრედიტორებიც და მოვალეებიც არიან. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებით, გამყიდველი მოვალეა, გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე მასთან

დაკავშირებული საბუთებით და მიანოდოს საქონელი (477 ნანილი პირველი); იმავდროულად, მას უფლება აქვს, მოსთხოვოს მყიდველს ფასის გადახდა და ნაყიდი ქონების მიღება (477-ე მუხლის მეორე ნანილი); თავის მხრივ, მყიდველს უფლება აქვს, მოსთხოვოს გამყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების გადაცემა მასთან დაკავშირებულ საბუთებთან ერთად, მაგრამ, ამავე დროს, იგი ვალდებულია, უზრუნველყოს ნაყიდი ქონების მიღება და მისი ღირებულების (ფასის) გადახდა.

ან კიდევ, ავიღოთ ისეთი ხელშეკრულებების კონსტრუქციები, როდესაც ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სიკეთე, სარგებელი, შესრულება სხვა პირს ხმარდება, მხედველობაში გვაქვს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებები (სკ-ის 349-351-ე მუხლები). ამ ტიპის ურთიერთობებში სამართლებრივი შედეგი დგება იმ პირისათვის, რომელიც ურთიერთობის მონაწილე არაა (მესამე პირი). თუ ეს ის მესამე პირია, რომელსაც, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება აქვს მინიჭებული, მაშინ ის იკავებს კრედიტორის ადგილს, ე.ი. მასაც აქვს უფლება, მოითხოვოს მოვალისაგან შესრულება.

მაგალითად, სკ-ის 836-ე მუხლის თანახმად, დამზღვევს შეუძლია მზღვეველთან დადოს დაზღვევის ხელშეკრულება თავისი სახელით სხვა პირის სასარგებლოდ. სხვა პირის სასარგებლოდ დაზღვევისას ის უფლებები, რომლებიც წარმოიშობა ამ ხელშეკრულებიდან, ეკუთვნის ამ პირს. მას შეუძლია, ისარგებლოს თავისი უფლებებით დამზღვევთან შეთანხმების გარეშე და თავისი უფლებების განხორციელება მოითხოვოს სასამართლოს მეშვეობით მხოლოდ მაშინ, თუ სადაზღვევო მონაწილე მის ხელთაა (სკ-ის მუხლი 837).

სამოქალაქო კოდექსი ანესრიგებს ისეთ ურთიერთობებსაც, რომელშიც მესამე პირები მონაწილეობენ და, ერთი შეხედვით, თითქოს სახეზეა მათ სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არაა; მაგალითად, საგარანტიო ხელშეკრულებით, გარანტი კისრულობს მოვალის (მესამე პირის) ვალდებულების შესრულებას, თუკი ეს უკანასკნელი დროულად არ შეასრულებს კრედიტორის წინაშე ნაკისრ ვალდებულებას (სკ-ის მუხლი 879). ასეთ შემთხვევაში, მოვალეს (მესამე პირს) არ შეუძლია გარანტისაგან მოითხოვოს შესრულება. ამის უფლება აქვს კრედიტორს (ბენეფიციარს) გარანტის მიმართ. იგივე შეიძლება ითქვას მოთხოვნის დათმობის შესახებაც (სკ-ის მუხლი 199). მართალია, ამ დროს კრედიტორი თავისი მოთხოვნის გამოყენების უფლებას გადასცემს მესამე პირს, მაგრამ მესამე პირი არა თავიდანვე (მოთხოვნის წარმოშობისთანავე), არამედ მხოლოდ შემდგომში დაიკავებს კრედიტორის ადგილს.

❖ ვალდებულების წარმოშობა

ხელშეკრულება – ვალდებულების წარმოშობის ყველაზე გავრცელებული საფუძველია, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგია, მხარეთა ავტონომიურობის პრინციპის გამოხატულებაა, რომლის ძალითაც მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, შეასრულონ ან არ შეასრულონ ესა თუ ის მოქმედება. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი პირი თავისუფალია, ვისთანაც უნდა, იმასთან შევიდეს გაცვლით ურთიერთობებში და განსაზღვროს ამ ურთიერთობის შინაარსი. ამასთან, მხარე-

თა „ნების ავტონომია“ არ ათავისუფლებს მონაწილეებს ვალდებულებებისაგან, გაითვალისწინონ ერთობის დასაცავი ინტერესები.

მართლწესრიგის უმთავრესი ამოცანაც სწორედ ის არის, რომ სამოქალაქო კანონებმა უნდა უზრუნველყოს სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლება, თუ ამ თავისუფლების განხორციელება არ ხელყოფს მესამე პირთა უფლებებს (სკ-ის მუხლი 9).

მოქმედების თავისუფლება უთუოდ გულისხმობს სახელმწიფოს ან სხვა სახელისუფლებო სტრუქტურათა ზეგავლენისაგან დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობას. ამ უკანასკნელის უზრუნველყოფის გარანტიაა საქართველოს კონსტიტუცია და სამოქალაქო კანონები (სკ-ის მუხლი 10).

ამრიგად, სამოქალაქო კოდექსი (მუხლი 317), ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად გარიგებაა ვალდებულების წარმოშობის საფუძველი (მაგალითად, საანდერძო დანაკისრი /ლეგატი/, მუხლი 1383), უპირატესობას ანიჭებს ჯერ ხელშეკრულებას, ხოლო შემდეგ არასახელშეკრულებო ვალდებულებებს.

კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების არასრული ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

- თუ უფლებამოსილი პირი იბრუნებს ნივთს, იგი ვალდებულია, მპოვნელს აუნაზღაუროს შენახვის ხარჯები და გადაუხადოს საპოვნელი /ჯილდო/ (მუხლი 191, ნაწილი მესამე);
- საზიარო უფლებები (სკ-ის 953-968 მუხლები);
- დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება (სკ-ის 969-975 მუხლები);
- ჯილდოს საჯაროდ დაპირება. კონკურსი (სკ-ის 755-762 მუხლები);
- ზიანის მიყენება (დელიქტი, სკ-ის 992 — 1008-ე მუხლები);
- უსაფუძვლო გამდიდრება (კონდიქციური ვალდებულებები სკ-ის 976-991-ე მუხლები);
- უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება (სკ-ის 1009-1016-ე მუხლები);
- ინტელექტუალური საკუთრებითი ურთიერთობები;
- იურიდიული ფაქტები, რომელთაც კანონი უკავშირებს სამოქალაქო უფლებების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას (დაბადება, გარდაცვალება, სტიქიური უბედურებები, სამხედრო მოქმედებები და ა.შ.).

გარდა აღნიშნულისა, ვალდებულების წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებაც, რომლითაც დადგენილია მხარეთა უფლებები და მოვალეობები. ამასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა არაერთგვაროვანია.

მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით, ფოთის საზღვაო ნავსადგურს შპს „ტამანის“ სასარგებლოდ

დაეკისრა ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ძირითადი დავალიანების სახით 140 000 ლარის, ხოლო პირგასამტეხლოს სახით – 122 000 ლარის გადახდა. მოვალემ ვალდებულება მაინც არ შეასრულა ჯეროვნად და გადააცილა შესრულების ვადას. კრედიტორმა მოითხოვა კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო ინსტანცია დაეთანხმა მოსარჩელეს იმაში, რომ მას უფლება ჰქონდა, მოეთხოვა ვადის გადაცილების გამო ზიანის ანაზღაურება, თუმცა, მოთხოვნა ჩათვალა დაუსაბუთებლად და მიუთითა შემდეგი: „საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას მიაქცევს ამავე კოდექსის 412-ე მუხლზე და მიუთითებს, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. კასატორს ძალაში შესული გადანყვეტილების იძულებითი აღსრულება არ მოუთხოვია... აღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს მიიჩნიოს, რომ მოვალისათვის შეუძლებელი იყო იმ შესაძლო ზიანის ვარაუდი, რაც მოჰყვებოდა მის ქმედებას...“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 11 თებერვლის გადანყვეტილება № ბს-929-788-კ).

ვფიქრობთ, ამ დავის მოსაწესრიგებლად სასამართლოს უნდა გამოეყენებინა 403-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც, მოვალე ყველა სახის ფულადი თანხის გადახდის ვადაგადაცილებისათვის აგებს პასუხს. კანონით განსაზღვრული პროცენტი ამ შემთხვევაში წარმოადგენს იმ მინიმალურ ზიანს, რომელიც მტკიცებას არ საჭიროებს. ძირითადი თანხის – 140 000 ლარის ვადაში დაუბრუნებლობა ანიჭებდა კრედიტორს უფლებას, მოეთხოვა ვადის გადაცილებით გამონვეული ზიანის ანაზღაურება მიუხედავად იმისა, რომ მას იძულებით აღსრულება არ მოუთხოვია. კანონიერ ძალაში შესულმა გადანყვეტილებამ განსაზღვრა მხარეთა უფლება-მოვალეობანი, სახელდობრ, მოვალის ვალდებულება – გადაეხადა ვალი. მოვალე არ უნდა დალოდებოდა კრედიტორის მოქმედებას (იძულებითი აღსრულების მოთხოვნას), რადგანაც ეს მის უფლებას, და არა ვალდებულებას, წარმოადგენს!

მოვალე მხოლოდ მაშინ გათავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისაგან, თუ კრედიტორი არ მიიღებდა მის მიერ შეთავაზებულ შესრულებას ან არ შეასრულებდა მისი მხრიდან სავალდებულო რაიმე სახის მოქმედებას (სკ-ის 390-ე მუხლი).

❖ ვალდებულების სტრუქტურა

ვალდებულების სტრუქტურა თავის გამოხატულებას პოულობს სკ-ის 316-ე მუხლის პირველ ნაწილში და შეიძლება იყოს როგორც მარტივი – როდესაც ერთ მოვალეს უპირისპირდება ერთი კრედიტორი, ისე რთული – როდესაც ერთ-ერთ ან ორივე მხარეს შეიძლება მონაწილეობდეს რამდენიმე პირი. სახელდობრ:

ორი ან მეტი მოვალე და ერთი კრედიტორი – ამ კონსტრუქციასთან გვაქვს საქმე, როდესაც დაზარალებულისათვის ზიანის მიყენებაში მონაწილეობს ერთდროულად რამდენიმე პირი (სკ-ის 463-ე, 998-ე, 701-ე, 703-ე მუხლები და ა.შ.).

ორი ან მეტი კრედიტორი და ერთი მოვალე – ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც, მაგალითად, რამდენიმე ბანკი ან სხვა საკრედიტო დაწესებულება

იღებს თავის თავზე გარანტიას მოვალის მიერ აღებული კრედიტის დროულ დაბრუნებაზე (სკ-ის 455-ე, 879-ე მუხლები).

ორ ან მეტ მოვალეს უპირისპირდება ასევე ორი ან მეტი კრედიტორი – მაგალითად, ერთობლივი საქმიანობის მონაწილეები დებენ ნარდობის ხელშეკრულებას მშენებლობის წარმოებაზე ორ ან მეტ სამშენებლო ფირმებთან.

სოლიდარული ვალდებულება წარმოადგენს გამონაკლისს ზოგადი წესიდან და ალბათ ამან განაპირობა ის გარემოება, რომ კანონმდებლის მიერ მოცემული ვალდებულების ცნება არ შეიცავს ვალდებულებებში პირთა სიმრავლის შესაძლებლობას. თუმცა, პრაქტიკაში ამ სახის ვალდებულებები ხშირია. მათ დასახასიათებლად რამდენიმე თავისებურებას შეიძლება ხაზი გაესვას:

- **სოლიდარული ვალდებულება**, ვალდებულების საგნის განუყოფლობით, ხელშეკრულებით ან კანონით წარმოიშობა.
- ამ სახის ვალდებულება მაქსიმალურად უზრუნველყოფს კრედიტორის დაკმაყოფილებას.
- სოლიდარული ვალდებულების დროს მოქმედებს შემდეგი პრინციპი: „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის“.
- თეორიაში ცნობილია პირთა სიმრავლე ვალდებულებებში პასიური და აქტიური ვალდებულებების სახით. აქტიური სოლიდარული ვალდებულების დროს სახეზეა კრედიტორთა სიმრავლე და თითოეულ მათგანს შეუძლია, მოვალეს მოსთხოვოს შესრულება (სკ-ის 455-ე მუხლი).

პასიური სოლიდარული ვალდებულების დროს კრედიტორი ერთია და მას შეუძლია, ნებისმიერ მოვალეს მოსთხოვოს შესრულება.

ვალდებულებებში პირთა სიმრავლეს ადგილი აქვს არა მარტო სკ-ის 455-ე და 463-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, არამედ მაშინაც, როდესაც სახეზეა ნილობრივი ან სუბსიდიური ვალდებულებები.

ნილობრივი ვალდებულებები წარმოიშობა:

ა) თუ ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორი მოვალისაგან იღებს ვალდებულების მთლიან შესრულებას, მაშინ მას დანარჩენი კრედიტორების მიმართ წარმოეშობა ვალდებულება, გადაუხადოს დანარჩენ სოლიდარულ კრედიტორებს მათი კუთვნილი წილი. სოლიდარულ კრედიტორებს ერთმანეთთან ურთიერთობაში აქვთ თანაბარი წილი, თუ მათ შორის სხვა რამ არ არის დადგენილი (სკ-ის 462-ე მუხლი).

ბ) თუ სოლიდარულ კრედიტორს ჰყავს რამდენიმე მემკვიდრე, მაშინ თითოეულ მემკვიდრეზე გადადის ვალზე უფლების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მის სამკვიდრო წილს შეესაბამება (სკ-ის 461-ე მუხლი). ამ ნორმის კონკრეტიზაციას წარმოადგენს 1484-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც, მემკვიდრეები ვალდებულნი არიან, მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად.

გ) მოვალეს, რომელმაც სოლიდარული ვალდებულება შეასრულა, აქვს უკუმოთხოვნის უფლება დანარჩენ მოვალეთა მიმართ წილთა თანაბრობის კვალობაზე,

ოლონდ თავისი წილის გამოკლებით, თუკი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (სკ-ის 473-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ამრიგად, **წილობრივი ვალდებულების დროს თითოეული მოვალე მოქმედებს თავისთვის**. შეიძლება თითოეული მათგანის ვალდებულება დამოუკიდებელ ვალდებულებად იქნეს განხილული.

სუბსიდიური ვალდებულებების წარმოშობის საკვანძო მომენტები:

ა) ამ სახის ვალდებულების წარმოშობის საფუძველია ხელშეკრულება ან კანონი. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სკ-ის 994-ე მუხლის მესამე ნაწილი, რომლის მიხედვითაც, ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა; მაგრამ თუ მისი ქონება არ იქნება საკმარისი ზიანის ასანაზღაურებლად, მაშინ კრედიტორს შეუძლია დამატებითი პასუხისმგებლობა დააკისროს მის კანონიერ წარმომადგენელს.

ბ) მოვალე ასრულებს ვალდებულებას მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც არ შეასრულა ძირითადმა მოვალემ.

გ) კრედიტორი, პირველ რიგში, მოთხოვნას ძირითად მოვალეს უყენებს და ეს მისი მოვალეობაა და არა უფლება! მხოლოდ მოვალის სახსრების არასაკმარისობა ანიჭებს მას უფლებას, ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულება მოითხოვოს სუბსიდიური მოვალისაგან. მაგალითად, თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სუბსიდიურად, მაშინ მას დაეკისრება ვალის იმ ნაწილის გადახდა, რომელიც ვერ გადაიხადა ძირითადმა მოვალემ (სკ-ის 895-ე მუხლი).

დ) პირები, რომლებიც სუბსიდიური პასუხისმგებლობის მატარებელნი არიან, იმავე წესით აგებენ პასუხს, როგორც ძირითადი მოვალეები.

ამიტომაც, მათ შეუძლიათ, კრედიტორს წაუყენონ ძირითადი მოვალის შესაგებლები (ხანდაზმულობაზე, ბრალის არ არსებობაზე და ა.შ. მაგ. 899-ე მუხლი).

კრედიტორი არ არის დამოკიდებული მოვალის კეთილ ნებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ მოვალე ნებაყოფლობით არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, მას 316(1)-ით მინიჭებული აქვს უფლება, მოვალეს მოსთხოვოს შესრულება სასამართლოს მეშვეობით, თუმცა, ეს ყოველთვის არ გულისხმობს წაყენებული მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. აუცილებელია, მოთხოვნა იურიდიულად ვარგისი, ანუ ნამდვილი იყოს.

არანამდვილია მოთხოვნა, თუ გასულია ვადა, რომლის განმავლობაშიც კრედიტორს შეუძლია მოვალისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის წარდგენა.

ხანდაზმულობის მომწესრიგებელი ნორმები ზოგჯერ მკაფიოდ არ არეგულირებენ ცალკეული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ხანდაზმულობის საკითხებს.

მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 145-ე მუხლი მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად გასულად მიიჩნევს ამ ვადას დამატებითი მოთხოვნებისთვისაც (პირგასამტეხლო, თავდებობა, მოვალის გარანტია და ა.შ.).

რაც შეეხება აქცესორული უფლებებიდან (აქცესორულია უფლება, რომელიც ისეა დაკავშირებული სხვა უფლებასთან, რომ მის გარეშე არც შეიძლება არსებობდეს, იხ. სკ-ის 153-ე მუხლის პირველი ნაწილი) გამომდინარე მოთხოვნების ბედს ძირითადი მოთხოვნის ხანდაზმულობის შემთხვევაში, ამაზე პასუხს სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა.

სკ-ის 143-ე მუხლის მოშველიება ამ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგანაც იგი აწესრიგებს მხოლოდ ნივთის მფლობელობის ხანდაზმულობას.

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ „მოთხოვნის ხანდაზმულობა არ იწვევს სანივთო უზრუნველყოფის საშუალებების ხანდაზმულობას. „მართალია, მოთხოვნის ხანდაზმულობით კრედიტორი მოვალისაგან შესრულების მოთხოვნის უფლებას კარგავს, მაგრამ მას შეუძლია, ვალდებულების უზრუნველსაყოფად დაგირავებული ნივთის რეალიზაცია მოითხოვოს და ამ გზით დაიკმაყოფილოს მოთხოვნა“ (იხ. სს კოდექსის კომენტარები, ნიგნი მესამე, თბილისი, 2001 წელი, გვ.40).

არსებობს ამ მოსაზრების სანინააღმდეგო მოსაზრებაც, რომელიც ჩვენი აზრით, უფრო მკაფიოდ ესადაგება კანონმდებლის ნებას, არ გაავრცელოს სანივთო უფლებაზე სკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება, რომლის მიხედვითაც, უძრავ ნივთებზე სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ექვს წელს.

„იპოთეკის დადგენის წინაპირობას არა მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, არამედ, სკ-ის 289-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე და მესამე წინადადებების თანახმად, მხარეთა შესაბამისი სახელშეკრულებო შეთანხმების არსებობა წარმოადგენს.

ამდენად, ამ დებულებამ შესაძლოა მიგვიყვანოს ხანდაზმულობის ექვსწლიან ვადად. აქ საუბარი აღარ არის უძრავ ნივთზე ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ მოთხოვნაზე, მაგალითად, სახლის ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ან სანივთო დატვირთვის დადგენის ვალდებულებაზე, არამედ უფლებებზე, რომლებიც წარმოიშობიან უკვე ხელშეკრულებით დადგენილი სანივთო უფლებებიდან. სკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება სიტყვასიტყვით და ვინაშე უნდა განიმარტოს და უძრავ ნივთზე ვალდებულებით-სამართლებრივი შეთანხმებით შემოიფარგლოს... უფლებებზე, რომლებიც წარმოიშობიან სანივთო დატვირთვის საფუძველზე, სკ-ის 128-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ვრცელდება ხანდაზმულობის საერთო, 10 წლიანი ვადა. ეს ვადა კი ჯერ არ გასულა.

სკ-ის 291-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ მესაკუთრეს, რომელიც არ არის იპოთეკარის პირადი მოვალე, შეუძლია მას დაუპირისპიროს ყველა ის შესაგებელი, რომელიც ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას ემყარება და რომლის წარდგენის უფლებაც პირად მოვალეს აქვს. ამგვარ შესაგებლებს ასევე მიეკუთვნება შესაგებელი მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

თუ მესამე პირს, რომელიც იპოთეკის საფუძველზე საკუთარი ქონებით აგებს პასუხს სხვისი ვალების გამო, შეუძლია წარადგინოს ვალდებულებითი გარიგებიდან გამომდინარე პირადი შესაგებელი იპოთეკის სანივთო უფლების მიმართ, ბუნებრივია, რომ იგივე უფლება იმ მესაკუთრესაც ენიჭება, რომელიც თავად არის მოვალე. ეს დებულება, მე-5 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გამოყენებული უნდა იქნეს ანალოგიით.

ამდენად, ვალდებულებითი მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო პირადი შესაგებებელი მიმართულია სკ-ის 291-ე მუხლის წინააღმდეგ და პირველ მოპასუხეს უფლება აქვს, უარი თქვას კუთვნილი მიწის ნაკვეთის რეალიზაციაზე” (იხ. ჰ.პოელინგი, ლ.ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, გამოცემა მეორე, თბილისი 2004 წელი. გვ.177-179).

ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ მოთხოვნის ბათილობას არა აქვს ძალა სხვა მოვალეთა მიმართ.

მაგალითი: სამი იურიდიული პირი (ა, ბ, გ) ერთობლივად თავდებად დაუდგა ბანკის (დ) წინაშე მესამე პირს (ე) ამ უკანასკნელის ფულადი ვალდებულების შესასრულებლად. ბანკი კრედიტს – 250 000 ლარს – გასცემს მესამე პირზე. მოგვიანებით დგინდება, რომ ა-ს მხრიდან თავდებობა ხელმონერილია არაუფლებამოსილი პირის მიერ და იგი ნამდვილი არ არის. მიუხედავად ამისა, ბანკს შეუძლია, შესრულების მოთხოვნა წაუყენოს დანარჩენ ორ თანათავდებს (ბ და გ).

ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისადმი წაყენებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას ან შეწყვეტას არა აქვს ძალა სხვა მოვალეთა მიმართ, რაც იმას ნიშნავს, რომ ხანდაზმულობის ვადის გამოთვლა ცალ-ცალკე უნდა მოხდეს თითოეული სოლიდარული მოვალის მიმართ.

ავიღოთ იგივე მაგალითი: ფირმები: ა, ბ და გ არიან თანამოვალეები და მოპასუხეები, ხოლო მოსარჩელეს წარმოადგენს ბანკი დ. სასამართლო განხილვის დროს სამივე მოპასუხემ წარადგინა შესაგებელი ხანდაზმულობაზე. დადგინდა, რომ ორი თავდების მიმართ მოთხოვნა მართლაც ხანდაზმული იყო, მაგრამ მესამე თავდების მიმართ ბანკს ადრე ჰქონდა სარჩელი წარდგენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ სკ-ის 138-ე მუხლის ძალით მის მიმართ ადგილი ჰქონდა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას და ამიტომაც ბანკის მოთხოვნა მესამე თავდების მიმართ ნამდვილი იქნება.

ვალდებულება მორალის, ტრადიციისა და ჩვეულების ძალითაც შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ასეთი ვალდებულება სამართლებრივად უვარგისი იქნება. მაგალითად, არ შეიძლება დაკმაყოფილდეს მოთხოვნები, რომლებიც თამაშობიდან და სანაძლეოდან გამომდინარეობენ (სკ-ის მუხლი 951).

3. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სამართლებრივი პრობლემები

თანამედროვე, სწრაფად განვითარებადი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყოველი ვალდებულება საჭიროებს ერთგვარ „დაცვას“, რომელსაც ცივილისტიკაში „უზრუნველყოფას“ უწოდებენ.

ამ მიზნით კანონმდებელმა შეიმუშავა სპეციალური ზომები, რომლებიც მიმართულია იქითკენ, რათა მოვალე აიძულოს, შეასრულოს შესაბამისი სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულება.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა, ვის მიერ და როგორ ხდება ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებების არჩევა?

კონკრეტული პასუხი ყოველ კონკრეტულ ვალდებულებაზე, ხელშეკრულების ინდივიდუალურ დებულებებზე, კრედიტორისა და მოვალის პირად ურთიერთობებზე იქნება დამოკიდებული. ბოლოს და ბოლოს, კრედიტორს შეიძლება სულაც არ აინტერესებდეს თვით მოვალე, თუნდაც როგორც იურიდიული პირი, მაგრამ მას არ შეიძლება, არ აინტერესებდეს, მაგალითად, თავდებობისას თავდების პიროვნება, მისი გადახდისუნარიანობა და ა.შ.

საპირისპირო სურათსაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი: კრედიტორს შეიძლება უფრო აღელვებდეს მოვალის იმიჯი, მისი კეთილსინდისიერება საქმიან ურთიერთობებში და ბოლოს, არა მარტო მისი მატერიალურ – ფინანსური საკუთრება, არამედ ზოგჯერ „მაღალ ლიკვიდური“ ინტელექტუალური საკუთრების არსებობა.

ამიტომ, ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხი მხოლოდ ზოგადი ხასიათის შეიძლება იყოს: ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები განისაზღვრება კანონით და/ან დგინდება მხარეთა შეთანხმებით. განასხვავებენ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ქონებრივ და პიროვნულ საშუალებებს.

ქონებრივი უზრუნველყოფის საშუალებებია: გირავნობა/იპოთეკა/ (სკ-ის 254,286-ე მუხლები), პირგასამტეხლო და ბე (სკ-ის 417-423-ე მუხლები).

პიროვნული უზრუნველყოფის საშუალებებს წარმოადგენენ: მოვალის გარანტია (სკ-ის 424-426-ე მუხლები), თავდებობა (სკ-ის 891-905-ე მუხლები) და საბანკო გარანტია (სკ-ის 879-890-ე მუხლები).

ზოგჯერ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას კანონი განსაზღვრავს, მათ შორის:

➤ **ვალდებულების უზრუნველყოფის სანივთო-სამართლებრივი საშუალებებით:**

- ქირავნობის ურთიერთობებიდან გამომდინარე, მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, მიწის ნაკვეთის, სახლის ან ბინის გამქირავებელს აქვს გირავნობის უფლება დამქირავებლის მიერ იქ შეტანილ ნივთებზე (სკ-ის 568-ე). იგივე რეჟიმი გამოიყენება საიჯარო ურთიერთობებშიც (სკ-ის 586-ე და 596-ე მუხლები).
- მენარდეს, თავისი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, შეუძლია გამოიყენოს გირავნობის უფლება მის მიერ დამზადებულ ან შეკეთებულ მოძრავ ნივთზე, თუ ეს ნივთი, დამზადების ან შეკეთების მიზნით, მენარდის მფლობელობაშია (634).
- გადამზიდველს გადაზიდვის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ხარჯების გამო აქვს ტვირთზე გირავნობის უფლება, ვიდრე იგი უფლებამოსილია, განკარგოს ეს ნივთი (685).
- შემნახველს შენახვის ხარჯების გამო წარმოეშობა საქონლის გირავნობის უფლება მანამდე, სანამ იგი მის მფლობელობაშია (796).
- ვალდებულებათა გაქვითვის შესაძლებლობა (უზრუნველყოფა ფართო გაგებით, 442-ე და მომდევნო მუხლები).

ამასთან, კანონის საფუძველზე წარმოშობილი გირავნობისა და გარიგებითი გირავნობის უფლებათა კონკურენციის დროს გამოიყენება სკ-ის 267-ე მუხლის მე-სამე ნაწილი, რომლის მიხედვითაც: „კანონისმიერი გირავნობის უფლების მქონე მოგირავნეს აქვს გირავნობის საგნიდან თავისი მოთხოვნების უპირატესი დაკმაყოფილების უფლება სხვა მოგირავნესთან შედარებით.

მაგალითი: ა ქირით ცხოვრობს ბ-სთან და იხდის ყოველთვიურად 800 ლარს. მას ბანკის გ-ს ვალი აქვს, რომელსაც არ იხდის. ბანკსა და დამქირავებელს შორის იდება შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ა აგირავებს ბინაში არსებულ სხვადასხვა მოძრავ ნივთებს. დაგირავებული ნივთები გადაეცემა ბანკს. ბ ბანკის ამ მოქმედებას უკანონოდ მიიჩნევს და ითხოვს ბინაში ნივთების დაბრუნებას იმ საფუძველით, რომ ა მას არ უხდის ქირას და თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება მან უნდა მოახდინოს დაგირავებული ნივთების რეალიზაციის ხარჯზე (დავალიანება შეადგენს 4000 ლარს). გ შესაგებელში მიუთითებს, რომ ნივთები კანონიერად იმყოფება მის (ბანკის) მფლობელობაში, რადგანაც ნივთების დაქირავებული ფართობიდან მოცილებასთან ერთად ბ-ს გირავნობის უფლებამ ძალა დაკარგა.

ბანკის ასეთ პოზიციას მხოლოდ მაშინ ექნებოდა სამართლებრივი საფუძველი, თუ ნივთების მოცილება განხორციელდებოდა ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ურთიერთობების შესაბამისად. ბანკიდან კრედიტის აღება არ შეიძლება ასეთად ჩაითვალოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბ-ს გირავნობის უფლება უპირატესია ბანკის გირავნობის უფლებასთან მიმართებით და ბანკმა ნივთები უნდა დააბრუნოს.

გირავნობის უფლების რეალიზაცია კრედიტორმა უნდა მოახდინოს იმ წესითა და საშუალებებით, როგორც ამას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის ნორმები. კერძოდ:

ა) გირავნობის საგნის რეალიზაციის უფლება მოგირავნეს აქვს მოვალის გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში (სკ-ის მუხლი 278);

ბ) მოგირავნე ვალდებულია, რეალიზაციამდე ორი კვირით ადრე გირავნობის საგნის რეალიზაციის თაობაზე წერილობით გააფრთხილოს დამგირავებელი და სხვა მოგირავნეები. წერილობითი გაფრთხილების ვალდებულება არ იარსებებს, თუ: გირავნობის საგანი მალფუჭებადია, ანდა არსებობს გირავნობის საგნის საბაზრო ან საბირჟო ფასის დაცემის რეალური საფრთხე (მუხლი 282-ე, პირველი და მესამე ნაწილები);

გ) თუ მოგირავნე უშუალოდ თვითონ ახდენს გირავნობის საგნის რეალიზაციას, მაშინ იგი ვალდებულია, გირავნობის საგანი გაასხვისოს სამართლიან და გონივრულ ფასში თავისი, დამგირავებლისა და სხვა მოგირავნეების ინტერესების გათვალისწინებით. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი პასუხს აგებს დამგირავებლისა და სხვა მოგირავნეებისათვის მიყენებული ზიანისათვის. (მუხლი 283, ნაწილი პირველი);

დ) რეალიზაციის განმახორციელებელი მოგირავნე ვალდებულია, რეალიზაციის განხორციელებიდან გონივრულ ვადაში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე წარუდგინოს დამგირავებელს წერილობითი ანგარიში გირავნობის საგნის რეალიზაციის შესახებ, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას რეალიზაციის ხარჯების, რეალიზაციიდან ამონაგები თანხისა და ამ თანხის გამოყენების თაობაზე (სკ-ის 285 პრიმა მუხლი).

➤ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულებით-სა-მართლებრივი საშუალებებით:

▪ შესრულების მოთხოვნის უფლება.

- ✓ თუ ხელშეკრულების საგანია ნაგებობა ან ამ ნაგებობის ცალკეული ნაწილები, მაშინ მენარდეს შეუძლია, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თავისი მოთხოვნებისათვის მოითხოვოს იპოთეკა სამშენებლო მიწის ნაკვეთზე (სკ-ის 635-ე მუხლი).
- ✓ შემკვეთს შეუძლია, ექსპედიტორს მოსთხოვოს დაზღვევის ხელშეკრულების დადება (თუ შემკვეთი აშკარად არ გამოთქვამს უარს წერილობით, ექსპედიტორი მოვალეა, შემკვეთის ხარჯზე დააზღვიოს ის ზიანი, რომელიც შეკვეთის შესრულებისას ექსპედიტორის მოქმედებით შემკვეთს შეიძლება მიადგეს (სკ-ის 735-ე მუხლი).
- ✓ კრედიტის გამცემს შეუძლია, კრედიტის ამღებს მოსთხოვოს დამატებითი უზრუნველყოფის გამოყენება (თუ კრედიტის გაცემისას შეთანხმებულია სანივთო ან პიროვნული უზრუნველყოფა, მაშინ კრედიტის გამცემს კრედიტის არასრულად დაფარვისას შეუძლია მოითხოვოს დამატებითი უზრუნველყოფის გამოყენება. მუხლი 870 ნაწილი პირველი).
- ✓ ლიზინგის მიმღებს უფლება აქვს, ლიზინგის გამცემს მოსთხოვოს, დაუთმოს ქონების მომწოდებლისაგან შესრულების მოთხოვნის უფლება (მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ლიზინგის მიმღებმა ლიზინგის გამცემისათვის პრეტენზიის წაყენებამდე უნდა მოითხოვოს დაკმაყოფილება ქონების მომწოდებლისაგან. მუხლი 578 ნაწილი მეორე).
- ✓ რწმუნებულს შეუძლია, მოსთხოვოს მარწმუნებელს ავანსი იმ ხარჯებისათვის, რომლებიც მას უნდა აუნაზღაურდეს (სკ-ის 717 მუხლის ნაწილი მესამე).

▪ შესრულებაზე უარის უფლება. ამ უფლების გამოყენება შესაძლებელია ერთდროულად სამი წინაპირობის არსებობისას:

პირველი – მისი საგანია მოვალის კუთვნილი ნივთი, რომელიც კრედიტორმა უნდა გადასცეს მას ან მესამე პირს.

მეორე – მისით ხდება იმ ვალდებულების უზრუნველყოფა, რომლის მიხედვითაც, მოვალე ვალდებულია, გადაიხადოს ნივთის საფასური ან ანაზღაუროს მასთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა ზიანი.

მესამე – დაკავებით უზრუნველყოფილი ვალდებულება არ უნდა იყოს მოვალის მიერ დროში შესრულებული.

შესრულებაზე უარი, როდესაც იგი გამოყენებულია ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად, შეიძლება თვითდახმარების მაგალითადაც გამოდგეს, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, დარღვეული ან სადავოდ გამხდარი სამოქალაქო უფლების დაცვის საშუალებაა.

- იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო, თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა (სკ-ის 369-ე და 406-ე მუხლები).
- გამყიდველის უფლება აქვს, დააკავოს ნივთი. თუ მყიდველი დროულად არ მიიღებს ნივთს ან თავის დროზე არ გადაიხდის მის ფასს, გამყიდველი ვალდებულია, შეინახოს ნივთი; გამყიდველს უფლება აქვს, დაიტოვოს ნივთი ან დააკავოს გზაში მანამ, ვიდრე მყიდველი არ აუნაზღაურებს შესაბამის ხარჯებს (სკ-ის მუხლი 500).
- სამომხმარებლო კრედიტის მიმღების უფლება – უარი თქვას შესრულებაზე (სამომხმარებლო კრედიტის დროს კრედიტის მიმღებს შეუძლია, უარი თქვას კრედიტის დაბრუნებაზე, თუ, ამ კრედიტთან დაკავშირებული სასყიდლიანი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შესაგებელი გამყიდველის მიმართ მას მიანიჭებდა თავისი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლებას. მუხლი 370, ნაწილი პირველი).
- შემნახველის უფლება – უარი თქვას ნივთის დაბრუნებაზე (კუთვნილი საზღაურის მიღებამდე და შენახვისათვის განეული ხარჯების ანაზღაურებამდე შემნახველს შეუძლია, უარი თქვას მიბარებული ნივთის დაბრუნებაზე. მუხლი 776). ანალოგიური უფლებით სარგებლობს სასაწყობო შემნახველიც.

მითითებული უზრუნველყოფის საშუალებები განსხვავდება ერთმანეთისაგან მოვალეზე ზემოქმედების ხარისხითა და მთავარი მიზნის – აიძულონ მოვალე, შეასრულოს ვალდებულება – მიღწევის მეთოდებით.

როგორც წესი, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები კრედიტორის ინტერესებში დგინდება. რასაკვირველია, უზრუნველყოფის ყველა საშუალება არ წარმოადგენს სანქციას სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, მაგრამ ისინი პირდაპირ ან ირიბად უქმნიან გამოუსწორებელ მოვალეს სირთულეებს.

ვალდებულების ქონებრივი უზრუნველყოფის საშუალებას – ბეს – კანონმდებელი მიიჩნევს (სკ-ის 421-ე მუხლი) ფულად თანხად, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე აძლევს მეორე მხარეს და ამით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი. ამ განმარტებიდან გამომდინარე, ბე არა მარტო უზრუნველყოფის მომავალი ვალდებულების შესრულებას, არამედ იგი იმავდროულად ადასტურებს ხელშეკრულების დადებასაც, რაც იმას ნიშნავს, რომ მოვალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს შესრულება იმ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რომლის დადებასაც ადასტურებს ბე!

ბე განსხვავდება სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისაგან (პირგასამტეხლო, მოვალის გარანტია, საბანკო გარანტია, იპოთეკა, თავდებობა) იმითაც, რომ იგი შეიძლება ზეპირადაც დაიდოს. თუმცა, სასამართლო პრაქტიკა ბეს ხელშეკრულებას მიიჩნევს წინარე ხელშეკრულებად – მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულების წარმომშობ შეთანხმებად – და, შესაბამისად, მასზე ავრცელებს სკ-ის 327-ე მუხლის მესამე ნაწილის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც, მომა-

ვალში დასაბუთებული ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზეც. ასეთი მიდგომის გამო, უმეტეს შემთხვევაში, რთულდება მისი გამოყენება „ავანსისაგან,“ რომელიც წარმოადგენს ვალდებულების სრული ან ნაწილობრივი შესრულების მიზნით გადაცემულ ფულად თანხას.

მაგალითი: გიგაურსა და ბუთიაშვილს შორის დაიდო ამ უკანასკნელის კუთვნილი მალაზიის ნასყიდობის ხელშეკრულება. მისი გადაფორმება მყიდველზე უნდა მომხდარიყო 30 დღის შემდეგ. გიგაურმა, გამყიდველის თხოვნით, წერილობითი დოკუმენტის გარეშე გადასცა მას წინასწარ 2000 აშშ დოლარი, რომელიც ჩაითვლებოდა ნასყიდობით გათვალისწინებული თანხის ნაწილად. ნასყიდობა არ დაიდო. მოგვიანებით, ბუთიაშვილმა, რომლის ბრალითაც არ დაიდო გარიგება, წერილობით აღიარა ვალდებულების არსებობა. გიგაურმა მოითხოვა ბეს ორმაგად დაბრუნება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ სესხის კვალიფიკაცია მისცა მხარეთა ურთიერთობას და მოპასუხეს დაავალა მოსარჩელესათვის 2000 აშშ დოლარის დაბრუნება.

სააპელაციო სასამართლომ გადაცემული თანხა ჩათვალა მომავალი ხელშეკრულების შესრულების ანგარიშში ავანსის სახით გადახდილად, რადგანაც მხარეთა შორის ბეს შესახებ შეთანხმება არ აკმაყოფილებდა სკ-ის 327-ე მუხლის მესამე ნაწილის და 323-ე მუხლის მოთხოვნებს. საკასაციო სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს დასკვნას ბეს შესახებ შეთანხმების ბათილობასთან დაკავშირებით, მაგრამ მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა გარიგების ბათილობიდან გამომდინარე ნორმებზე (976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე და 979-ე მუხლის პირველ ნაწილზე) და არა სკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილზე, რომელიც გამოიყენება მოვალის მიერ კეთილსინდისიერების ზოგადი პრინციპის დარღვევისას (იხ. საქმე №3კ/865 24 ანვარი 2001 წელი).

ბეს ფუნქცია (პრაქტიკული არსი) მდგომარეობს შემდეგში:

- მას გააჩნია მტკიცებითი ფუნქცია – იგი ადასტურებს ხელშეკრულების დადების ფაქტს.
- უზრუნველყოფი ფუნქცია – ბე ჩაითვლება ძირითადი ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში და ამით გარანტირებულს ხდის მხოლოდ იმ ვალდებულებას, რომელიც ამ ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული.
- საგადასამხდლო ფუნქცია (იგი გაიცემა მხოლოდ შესრულების ანგარიშში, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული).
- საკომპენსაციო ფუნქცია – ხელშეკრულების ის მხარე, რომელიც პასუხს აგებს მისი შეუსრულებლობისათვის, ვალდებულია, მეორე მხარეს აუნაზღაუროს ამით გამოწვეული ზიანი, რომლის დროსაც ბე ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში.

- ბეს ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. იგი არ შეიძლება აღემატებოდეს გადასახდელი თანხის ოდენობას. თუ მაინც დაიდო ასეთი შეთანხმება, მაშინ სასამართლოს შეუძლია, ანალოგიით გამოიყენოს სკ-ის 420-ე მუხლი და შეამციროს იგი.
- ბე კრედიტორს გადაეცემა წინასწარ, მომავალი ხელშეკრულების დადების უზრუნველსაყოფად იმ მხარის მიერ, რომელსაც მომავალი ხელშეკრულებით დაეკისრება ფულადი ვალდებულების შესრულება.
- თუ ვალდებულება შეწყდება მისი შესრულების დაწყებამდე, ან თუ ხელშეკრულება არ დაიდება მისი ბუნებრივი, ეკონომიკური ან იურიდიული შეუძლებლობის გამო, ბე უბრუნდება მის მიმცემს.
- ვალდებულების შესრულების ბუნებრივი (ფიზიკური) შეუძლებლობა გულისხმობს ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის განადგურებას, დაზიანებას ან ვალდებული პირის გარდაცვალებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბუნებრივი „შეუძლებლობა“ უნდა დადგეს ობიექტური გარემოებების გამო.
- ვალდებულების შესრულების „იურიდიული“ შეუძლებლობის ქვეშ იგულისხმება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ ისეთი აქტის გამოცემა, რომლის შედეგადაც შესრულება მთლიანად ან ნაწილობრივ შეუძლებელი ხდება.
- ასეთ გარემოებებს კანონმდებელი არ მიაკუთვნებს მოვალის კონტრაგენტის მხრიდან ვალდებულებების დარღვევას, ბაზარზე საჭირო საქონლის არარსებობას, მოვალის გადახდის უუნარობას და ა.შ.
- ვალდებულების შესრულებისას მოვალის მუშაკების არაჯეროვანი ქცევა განიხილება მოვალის არაჯეროვან ქცევად. მოვალე პასუხს აგებს იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად ისეთივე მოცულობით, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს (სკ-ის 396-ე მუხლი).
- ბეს ბედი მთლიანადაა დამოკიდებული ხელშეკრულების მონაწილეთა ჯეროვან ქცევაზე.
- იმ შემთხვევაში, თუ ბეს მიმცემის ბრალით არ დაიდება ხელშეკრულება, ბე რჩება მის მიმღებს, ხოლო მიმღების ბრალეული მოქმედების შემთხვევაში, ბე ორმაგად უბრუნდება მიმცემს (სკ-ის 423-ე მუხლი).
- მისი გამოყენება შეიძლება ნებისმიერი სასყიდლიანი გარიგების დადების დროს.
- ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთ უძველეს საშუალებას **პირგასამტეხლო (სკ-ის 417-420-ე მუხლები)** წარმოადგენს.

- პირგასამტეხლოს დანიშნულება ზიანის ანაზღაურებაა და იგი დამოკიდებულია ძირითადი ვალდებულების არსებობაზე (ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებაა).
- პირგასამტეხლოს ფორმა წერილობითია. ფორმას მატერიალურ-სამართლებრივი დანიშნულება აქვს, რაც ნიშნავს იმას, რომ ფორმის დაუცველობა პირგასამტეხლოზე მხარეთა შეთანხმების უცილოდ ბათილობას იწვევს. მაშინაც კი, როდესაც ძირითადი ვალდებულება არ მოითხოვს წერილობით ფორმას, პირგასამტეხლო აუცილებლად წერილობით უნდა გაფორმდეს. თუ ძირითადი ვალდებულება რთულ სანოტარო ფორმას მოითხოვს, პირგასამტეხლოზე კანონის ეს მოთხოვნა არ გავრცელდება, მაგრამ თუ ძირითადი ვალდებულება გაბათილდება, ეს ავტომატურად გამოიწვევს პირგასამტეხლოზე შეთანხმების ბათილობასაც.
- კრედიტორი თავისუფლდება ზიანის არსებობისა და მოცულობის მტკიცების მოვალეობისაგან. პირგასამტეხლოს დასაკისრებლად საკმარისია ხელშეკრულების დარღვევის ფაქტის არსებობა. ამასთან, სასამართლოს შეუძლია, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. ამ გზით სასამართლო ახდენს სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე მხარეთა ურთიერთვალდებულებების ბალანსირებას.
- პირგასამტეხლო, მისი წარმოშობის საფუძვლის მიხედვით, ორი სახისაა: კანონისმიერი და სახელშეკრულებო. მისი დარიცხვა წარმოებს ჯარიმისა და საურავის სახით.
- პირგასამტეხლო ზიანისაგან სრულიად დამოუკიდებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მაშინაც უნდა ანაზღაურდეს, როდესაც დამდგარი ზიანი ნაკლებია ან საერთოდ არ დამდგარა.
- ზიანთან დაკავშირებით, თეორიაში განასხვავებენ: საგამონაკლისო, საჯარიმო, ალტერნატიულ და ჩათვლით პირგასამტეხლოს.
- **ჯარიმა** წარმოადგენს არაერთფერადად გადასახდელ თანხას, რომელიც წინასწარ დადგენილი თანხის პროპორციულად პროცენტებში გამოიხატება.
- **საურავი** წარმოადგენს პირგასამტეხლოს, რომელიც გამოიანგარიშება განუწყვეტილ, მზარდი შედეგით. უფრო ხშირად საურავი გამოიყენება ვალდებულების ვადის გადაცილებისათვის. საურავი ერიცხება ყოველდღიურად შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში. მისი დარიცხვა, როგორც წესი, პროცენტის სახით ხდება.
- კანონისმიერი პირგასამტეხლო კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ყველა შემთხვევაში, მიუხედავად მხარეთა შორის არსებული შეთანხმების შინაარსისა. მისი ოდენობა მხარეებმა შეიძლება გაზარდონ, თუ ეს აკრძალული არ არის კანონით.
- სახელშეკრულებო პირგასამტეხლო – მისი გამოყენების პირობები მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით დგინდება.

- საგამონაკლისო პირგასამტეხლოს დროს არ შეიძლება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. კრედიტორს შეუძლია, მხოლოდ პირგასამტეხლო მოითხოვოს. ამ სახის პირგასამტეხლოს გამოყენებას ადგილი აქვს სატრანსპორტო ურთიერთობებში.
- საჯარიმო (კუმულატიური) პირგასამტეხლო, რომლის დროსაც მხარეს ეკისრება ერთდროულად ზიანის ანაზღაურებაც და პირგასამტეხლოც, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არ არის, რადგანაც იგი უკიდურესად ამძიმებს მოვალის მდგომარეობას და, როგორც წესი, კრედიტორს გაუმართლებლად პრივილეგიურულ მდგომარეობაში აყენებს.
- ჩათვლითი პირგასამტეხლო – დადგენილი პირგასამტეხლოს გადახდასთან ერთად მოვალეს შეიძლება ზიანიც მოეთხოვოს, ოღონდ პირგასამტეხლო ჩაითვლება ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობაში.
- ზოგადი წესის მიხედვით, კრედიტორს არ შეუძლია, ერთდროულად მოითხოვოს ვალდებულების შესრულება და პირგასამტეხლოს გადახდევინებაც. მას შეუძლია აირჩიოს ან შესრულება ან პირგასამტეხლო. მაგრამ თუ პირგასამტეხლო გათვალისწინებულია იმ შემთხვევებისათვის, როცა ვალდებულება არ სრულდება დროში, მაშინ ასეთი მოთხოვნა დასაშვებია. სასამართლო პრაქტიკა, ამ თვალსაზრისით, თანმიმდევრულია.

მაგალითად, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა: „...ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულებისას, კერძოდ, ვადის გადაცილებისათვის, კრედიტორს უფლება აქვს, მოითხოვოს როგორც ვალდებულების შესრულება, ისე პირგასამტეხლოს გადახდევინება.

პირგასამტეხლო შესრულების აღმატებული მოთხოვნაა, იგი დამოუკიდებელია ზიანის ანაზღაურებისაგან.

თუ კრედიტორს პირგასამტეხლოსთან ერთად დაყენებული აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც, არ შეიძლება ორივე მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან პირგასამტეხლო თავისთავად თვითონ წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების მინიმალურ თანხას. ამ შემთხვევაში, კრედიტორს თვითონ შეუძლია გამოიყენოს უპირატესი ინტერესის უფლება, ანუ აირჩიოს მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თუ პირგასამტეხლოს შესახებ. დაუშვებელია ერთდროულად პირგასამტეხლოსა და მთლიანი ზიანის ანაზღაურების დაკისრება, ვინაიდან ეს იქნება საჯარიმო **სანქცია, რომელიც უკიდურესად დაამძიმებდა მოვალის მდგომარეობას და** გამოიწვევდა კრედიტორის უსაფუძვლო გამდიდრებას.

ანალოგიური შეიძლება ითქვას ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო პროცენტის გადახდასთან დაკავშირებით.

სკ-ის 403-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს კანონით განსაზღვრული პროცენტი, თუკი კრედიტორს, სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვადის გადაცილებისათვის დაწესებული პროცენტი ვალდებულების დროული შესრულების პრევენციული ფუნქციის მატარებელია, ანუ მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალებაა.

იგი, როგორც პირგასამტეხლო, მინიმალური ზიანის ანაზღაურების საშუალებას წარმოადგენს. ამ შემთხვევაშიც დაუშვებელია ერთდროულად მოვალისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსა და გადახდის ვადის გადაცილებისათვის კანონით განსაზღვრული პროცენტის გადახდევინება, რამეთუ, როგორც პირგასამტეხლო, ისე გადახდის ვადის გადაცილებისათვის კანონით გათვალისწინებული პროცენტი წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების თანხას და არ შეიძლება ერთსა და იმავე დარღვევისათვის მოვალეს დაეკისროს გადახდა გაორმაგებული სტანდარტით, მითუმეტეს მაშინ, როცა სკ-ის 403-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების შესაბამისად, ვადის გადაცილების გამო კანონით გათვალისწინებული პროცენტი მოვალეს დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, მას უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია. ამ მუხლის მოთხოვნა მოვალეს საშუალებას აძლევს, აირჩიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ან მის ნაცვლად გადახდის ვადის გადაცილების გამო კანონით განსაზღვრული პროცენტის ანაზღაურება.

მოცემულ შემთხვევაში, მოვალეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს სახით გადასახდელი აქვს 376 856 ლარი, რაც სკ-ის 420-ე მუხლის შესაბამისად, როგორც შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, საოლქო სასამართლომ სწორად გაანახევრა. ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო კანონით გათვალისწინებულმა პროცენტმა კი შეადგინა 490 909 ლარი. ასეთ შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო კანონით გათვალისწინებულმა პროცენტმა შეადგინა უფრო მეტი თანხა, ვიდრე ხელშეკრულებით გათვალისწინებულმა პირგასამტეხლომ.

აქედან გამომდინარე, მოვალეს ვალდებულების დარღვევისათვის უნდა დაეკისროს იმ თანხის გადახდა, რომელიც უფრო მეტია (იხ. საქმე №3კ-422-03. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე. №11 ს.ფ.3024-3025).

როგორც ვხედავთ, სამოქალაქო კოდექსით, მოვალეს ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილების დროს ზიანისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურების გარდა, შეიძლება კანონისმიერი პროცენტის ანაზღაურებაც დაეკისროს.

სკ-ის 403-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის სპეციალურ ზომას. ამ ნორმას უნივერსალური ხასიათი აქვს და შემოღებულია იმ მიზნით, რომ დაიცვას სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეების უფლებები და კანონიერი ინტერესები არაკეთილსინდისიერი მოვალეების უკანონო და ზოგჯერ თაღლითური ქმედებებისაგან. თავისი ბუნებით, პასუხისმგებლობის ეს ზომა არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს პირგასამტეხლოსთან და ზოგადად ზიანთან. ფულად ვალზე კანონისმიერი პროცენტის დარიცხვა არ აბრკოლებს მოვალეზე პირგასამტეხლოს დაკისრებას, რადგანაც პროცენტი და პირგასამტეხლო ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ პასუხისმგებლობის ზომას წარმოადგენს.

კანონისმიერი პროცენტისა და პირგასამტეხლოს ურთიერთმიმართება შემდეგია:

- პირგასამტეხლო (ფულადი თანხა) ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებაა, რასაც არ წარმოადგენს სკ-ის 403-ე მუხლით განსაზღვრული პროცენტი, რომელიც ფულადი ვალდებულების დროული შესრულების პრევენციულობასთანაა დაკავშირებული.

- კანონისმიერი პროცენტის ოდენობა განისაზღვრება კანონით, მაგალითად, საბანკო კრედიტის დროს დავალიანების თანხას უნდა დაერიცხოს ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის შესაბამისი პერიოდისათვის ფიქსირებული საპროცენტო (ან სადისკონტო) განაკვეთის 3%-ის გადღებული თანხა (სკ-ის 869-ე მუხლის პირველი ნაწილი).
- კანონით განსაზღვრული პროცენტი მოვალეს შეიძლება გადასახდელად დაეკისროს გადაწყვეტილების აღსრულებამდეც მხოლოდ მაშინ, როდესაც ფული გადახდის საშუალებაა და არა ხელშეკრულების საგანი, ანუ როდესაც ადგილი აქვს სხვისი ფულით უკანონო სარგებლობას მაშინ, როდესაც პირგასამტეხლო შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ნებისმიერი სახის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის.

პრაქტიკაში არაერთგვაროვანი მიდგომაა ძირითადი დავალიანებისა და სესხით სარგებლობის პროცენტის გადახდის რიგითობასთან დაკავშირებით. ერთ-ერთ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სკ-ის 387-ე მუხლი და დაადგინა, რომ ერთსა და იმავე ვალდებულებთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, ჯერ იფარება ძირითადი დავალიანება და შემდეგ სესხით სარგებლობის პროცენტი. ამაზე უზენაესმა სასამართლომ მიუთითა შემდეგი: „...387-ე მუხლი განსაზღვრავს სხვადასხვა ვალდებულებიდან გამომდინარე ერთმანეთის მსგავს რამდენიმე შესრულების თანმიმდევრობას. 387-ე მუხლი არ ადგენს ერთი ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების გაანგარიშების და დადგენის პრინციპს. თუ მოვალეს კრედიტორისათვის უნდა გადაეხადა 100 ლარი სესხის ვალი და 200 ლარი ბინის ქირა, მოვალის ეს ორი შესრულება ერთმანეთის მსგავსი შესრულებაა და 387-ე მუხლის საფუძველზე უნდა გადაწყდეს მათი შესრულების თანმიმდევრობა.

სამოქალაქო კოდექსის მითითებული ნორმა ადგენს სხვადასხვა საფუძველიდან (ხელშეკრულებიდან) გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულების რიგითობას და არა ერთი სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი ფულადი ვალდებულების ოდენობის დადგენისა და გაანგარიშების წესს. მოცემული მუხლი არეგულირებს იმ შემთხვევას, როცა სხვადასხვა ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნათა შესრულების ვადა ერთდროულად დადგა... მოპასუხეს უნდა დაეკისროს თანხა პრინციპით: ჯერ იფარება საპროცენტო განაკვეთი, რომელიც მხარეთა მიერ შეთანხმებული და აღიარებულია, შემდეგ კი იფარება ძირითადი ვალი“ (იხ. საქმე №3კ/321-02 13 მარტი 2002 წელი. საქ. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე. №5 ს.ფ.834).

კრედიტორის მხრიდან ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საჭირო (ოპტიმალური) საშუალების არჩევა მეტად პრობლემური შეიძლება იყოს. იგი გარკვეულწილად დამოკიდებულია არა მარტო მოვალის, არამედ მესამე პირების ქცევაზეც (თავდები, ბანკი).

მაგალითად, თავდებს კანონით მინიჭებული აქვს უფლება, უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე (თუ მოთხოვნა არ გამომდინარეობს მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილებიდან ან მისი გადახდისუუნარობიდან), ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებ-

ბას (სკ-ის 894-ე მუხლი), ან კიდევ მას შეუძლია წამოაყენოს ძირითადი მოვალის კუთვნილი შესაგებლები (სკ-ის მუხლი 899).

თავდებობისა და საბანკო გარანტიის შედარების სქემა ასე გამოიყურება:

თავდებობა (სკ-ის 891-905)	გარანტია (სკ-ის 879-890)
1. თავდები.	1. გარანტი.
2. მოვალე.	2. პრინციპალი.
3. კრედიტორი.	3. ბენეფიციარი.
4. თავდები შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი.	4. გარანტორია ბანკი ან სხვა საკრედიტო დაწესებულება.
5. ხელშეკრულება იდება თავდებსა და კრედიტორს შორის.	5. ხელშეკრულება იდება პრინციპალსა და გარანტს შორის.
6. ვალდებულების საგანი ნებისმიერი ქონებაა.	6. ვალდებულების საგანია ფულადი თანხა.
7. თავდებობა როგორც უსასყიდლო, ისე სასყიდლიანია.	7. გარანტია მხოლოდ სასყიდლიანია.
8. თავდებობა ვალდებულებას დამატებით უზრუნველყოფს.	8. გარანტია არ არის ძირითად ვალდებულებაზე დამოკიდებული.
9. თავდებობა გაიცემა ვალდებულების შესრულების ვადით.	9. გარანტია ნებისმიერი ვადით გაიცემა.
10. კრედიტორი არ არის შეზღუდული, დათმოს მოთხოვნა.	10. ბენეფიციარს არ შეუძლია, დათმოს მოთხოვნა.
11. მოვალის მიმართ რეგრესული მოთხოვნა ყოველთვის სახეზეა.	11. გარანტის რეგრესი პრინციპალთან შეთანხმებაზეა დამოკიდებული.
12. თავდებობის უკან გამოთხოვნა დასაშვებია.	12. საბანკო გარანტიის უკან გამოთხოვნა არ შეიძლება, თუ სხავ რამ არ არის შეთანხმებული.
13. თავდებობა კაუზალური ვალდებულებაა.	13. გარანტია აბსტრაქტული ვალდებულებაა.

როგორც წარმოდგენილი სქემიდან ჩანს, საბანკო გარანტიის დროს კრედიტორი (ბენეფიციარი) უფრო დაცულად გამოიყურება.

გარანტიის პასუხისმგებლობის ფარგლები განისაზღვრება შემდეგი გარემოებებით:

- ა) თავდაპირველად მისი პასუხისმგებლობა შემოიფარგლება იმ თანხით, რომელიც მითითებულია გარანტიაში.
- ბ) თუ გარანტმა ნაკისრი ვალდებულება ბენეფიციარისათვის თანხის გადახდის თაობაზე არ შეასრულა დროულად ან ჯეროვნად, იგი პასუხს აგებს უკვე საკუთარი და პრინციპალის მოქმედებებისათვის საერთო საფუძვლებით (სკ-ის 886-ე მუხლის მეორე ნაწილი).

საბანკო გარანტია ძალას ინარჩუნებს ძირითადი ვალდებულების შეწყვეტის (ან ბათილად ცნობის) შემდეგაც კი! თუმცა, კრედიტორს ამ „დაცულობისათვის“ განსაზღვრული საფასურის გადახდა უნევს პრინციპალისათვის (სკ-ის 880 მუხლი) მაშინ, როდესაც თავდებობის დროს, როგორც წესი, ეს ურთიერთობა უსასყიდლო ხასიათს ატარებს!

ამიტომაც, კრედიტორი ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებების არჩევისას უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტული საშუალებების თავისებურებებსა და მათი გამოყენების მიზანშეწონილობა-აუცილებლობის ურთიერთმიმართებას.

პირგასამტეხლო და ბე ერთდროულად სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომას წარმოადგენს. მათი არსებობა აიძულებს მოვალეს ვალდებულების ნატურით (რეალურ) შესრულებას, რადგანაც ფიქსირებულად ჯარიმის ან საურავის გადახდევინების მოთხოვნა კრედიტორისათვის რაიმე სირთულესთან არ იქნება დაკავშირებული, მაშინ, როდესაც სხვა სახის ზიანის არსებობა მან არა მარტო უნდა დაასაბუთოს, არამედ პროცესუალურად უნდა დაამტკიცოს.

გირაო, თავდებობა, საბანკო გარანტია კრედიტორისათვის ზრდის იმის ალბათობას, რომ მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, იგი შეძლებს, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა.

ვალდებულების შინაარსი ბევრად განაპირობებს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალების არჩევანს.

მაგალითად, საკრედიტო და სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულებებისათვის უფრო მნიშვნელოვანია იპოთეკის/გირავნობის, თავდებობისა და საბანკო გარანტიის გამოყენება. მაგრამ თუ ლაპარაკია ისეთ ვალდებულებებზე, რომლებიც გამომდინარეობს განსაზღვრული სამუშაოს შესრულების ან მომსახურების განევის სამართლებრივი ურთიერთობებიდან, უპირატესობა უნდა მიენიჭოს პირგასამტეხლოს გამოყენებას, რადგანაც კრედიტორის ინტერესი მდგომარეობს მოვალისაგან გარკვეული შედეგის და არა ფულის მიღებაში.

ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები, როგორც წესი, ძირითადი ვალდებულების გარეშე არ არსებობს. ამ სახის ურთიერთობების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იმ ვალდებულების არანამდვილობა, რომლის უზრუნველსაყოფადაც ისინი არსებობს, ავტომატურად იწვევს მათ არანამდვილობას! (ამის საილუსტრაციოდ შეგიძლიათ იხილოთ ზემოთ განხილული მაგალითი იპოთეკის არანამდვილობის შესახებ ძირითადი ვალდებულების ხანდაზმულობის გამო).

თუმცა, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ამ ზოგადი წესიდან გამონაკლისი მაინც არსებობს!

საბანკო გარანტიის დროს გარანტიის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული, მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე (მუხლი 881). ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, ამასთან დაკავშირებით, სასამართლო პრაქტიკიდან ერთ-ერთი საქმის მოშველიება:

კორპორაცია „დეუ“-მ სს „ექსპორტიმპორტბანკის“ წინააღმდეგ აღძრა სარჩელი საბანკო გარანტიით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით. სარჩელის საფუძვლად მითითებული იქნა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 1998 წლის 29 აპრილს მოპასუხემ (გარანტი) შპს „ვეილმოტორს“-ის (პრინციპალი) თხოვნით კორპორაცია „დეუს“ (ბენეფიციარი) სახელზე გასცა საბანკო გარანტია 178 000 აშშ დოლარზე. გაცემული გარანტიის მიხედვით, პრინციპალის მიერ თანხის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გარანტი კისრულობდა ვალდებულებას, გადაეხადა ჯარიმა წლიური 24%-ის ოდენობით.

შპს „ვეილმოტორსის“ მიერ თანხის გადაუხდელობის გამო, კორპორაცია „დეუმ“ მიმართა გარანტს, რომელმაც 1999 წლის 27 დეკემბერს უარი განაცხადა ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.

მოსარჩელემ სარჩელით მოითხოვა გარანტისაგან როგორც ძირითადი დავალიანების თანხის, ისე ჯარიმის ანაზღაურება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ საფუძვლით, რომ საბანკო გარანტია გაცემული იყო ექვსი თვის ვადით, ხოლო ბენეფიციარი ვალდებულების შესრულებას ითხოვდა ამ ვადის გასვლის შემდეგ.

მესამე პირმა „შპს ვეილმოტორსმა“ განმარტა, რომ სადავო თანხის ნაწილი- 155 600 აშშ დოლარი მის მიერ გადახდილი იქნა მოსარჩელესათვის.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მოცემულ საქმეზე გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება სარჩელის სრულად დაკმაყოფილების შესახებ შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იმის შესახებ, რომ 1998 წლის 29 აპრილს მოპასუხემ გასცა საბანკო გარანტია 178 000 აშშ დოლარზე და მანვე იკისრა ვალდებულება დარჩენილი თანხის 24 პროცენტის ყოველწლიურად გადახდის თაობაზე თანხის სრულ გადახდამდე.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს; კერძოდ, მან მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ გარანტიით ნაკისრი ვალდებულება არასწორად დაუკავშირა ძირითად (ნასყიდობის) ვალდებულებას და, შესაბამისად, მასზე არასწორად გაავრცელა ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის დადებული ხელშეკრულების ვადები;

საკასაციო სასამართლომ აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ სკ-ის 881-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნით საბანკო გარანტიით გათვალისწინებ-

ული გარანტიის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც ის არის გაცემული; მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე;

საკასაციო პალატის განმარტებით, სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, პრეტენზიის წარდგენის ვადის გასვლა არ იწვევს საგარანტო ვადის შეწყვეტას ან მოთხოვნის უფლების გაუქმებას.

პალატამ მიიჩნია, რომ 1998 წლის 29 აპრილის საბანკო გარანტია გაცემული იქნა სკ-ის 879-ე და 884-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით; მისი მოქმედების ვადად განისაზღვრა რა გარანტიაში მითითებული თანხის სრულად გადახდა, რაც საქმის მასალებით არ იქნა დადასტურებული, სამოქალაქო კოდექსის 889-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტით გარანტიის მოქმედების ვადა შეწყვეტილად არ უნდა მიეჩნია სააპელაციო სასამართლოს; შესაბამისად, სკ-ის 888-ე მუხლის მოთხოვნით, გარანტი ვალდებულია შესრულებაზე ბენეფიციარის მიმართ იმ თანხის გადახდით, რაზეც გასცა გარანტია.

საკასაციო პალატამ ასევე მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ იყო დადგენილი ის გარემოება, რითაც გარანტს სკ-ის 887-ე მუხლის ძალით ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შეეძლო (იხ. საქმე №3კ-62-01, 17 იანვარი 2001 წელი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბიულეტენი).

აღნიშნული თავისებურების გამო საბანკო გარანტია ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამოუკიდებელ სახედ უნდა იქნეს მიჩნეული.

სკ-ის 879-ე მუხლს რთული სამართლებრივი კონსტრუქცია აქვს. ამ ურთიერთობაში ერთდროულად სამი სუბიექტი მაინც მონაწილეობს:

პრინციპალი – პირი, რომელიც ბენეფიციარის მოვალეა (ძირითადი ვალდებულების მიხედვით) და სთხოვს ბანკს ან სხვა საკრედიტო დაწესებულებას, დაუდგეს ვალდებულების შესრულების გარანტად.

ბენეფიციარი – პრინციპალის კრედიტორია, ხოლო **გარანტი** – იურიდიული პირია (ბანკი ან სხვა საკრედიტო დაწესებულება).

ამ სახის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის, ჩვენი აზრით, საჭიროა სულ ცოტა ოთხი იურიდიული მოქმედების შესრულება:

მოქმედება №1 – პრინციპალი თხოვნით მიმართავს ბანკს, სხვა საკრედიტო დაწესებულებას ან სადაზღვევო ორგანიზაციას, დაუდგეს გარანტად ბენეფიციარის წინაშე არსებული ვალდებულების შესრულების პროცესში. კანონი არ იძლევა პასუხს თხოვნის ფორმის თაობაზე. შესაბამისად, ის შეიძლება გაკეთდეს როგორც წერილობით, ისე ზეპირი ფორმითაც. თუმცა, პრაქტიკაში პრინციპალის თხოვნა, როგორც წესი, წერილობითია.

მოქმედება №2 – პრინციპალსა და გარანტს შორის იდება წერილობითი შეთანხმება იმის შესახებ, რომ მოხდება გარანტიის გაცემა თვით გარანტის და არა მესამე პირის მიერ.

ვალდებულების ძირითადი სუბიექტი ბენეფიციარი არ არის და ამიტომაც კანონი არ მოითხოვს მისგან გარანტიის მიღებას ან სხვა სახის თანხმობას. ეს ხელშეკრულება ანაზღაურებითი ხასიათისაა – გარანტს პრინციპალი შეთანხმე-

ბულ საზღაურს უხდის, რადგანაც გარანტი პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის რისკს იღებს თავის თავზე და ასეთი სამსახურის განწესათვის მან გარკვეული საზღაური უნდა მიიღოს (სკ-ის 880-ე მუხლი).

მოქმედება №3 – საბანკო გარანტიის ხელშეკრულება დადებულად ითვლება გარანტიის გაცემის მომენტიდან, ე.ი. მას შემდეგ, რაც გარანტი გაცემს წერილობით ვალდებულებას (რეალური ხელშეკრულება).

მოქმედება №4 – ბენეფიციარი წერილობით მოთხოვნას წარუდგენს გარანტს ფულადი თანხის გადახდის შესახებ.

სახელმწიფო ამ სახის ურთიერთობებში შეიძლება მონაწილეობდეს, როგორც ბენეფიციარი. ამის საილუსტრაციოდ მოგვყავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე № ბს-573-კ-03.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 26 აგვისტოს განკარგულების შესაბამისად, წლის ყურძნის მოსავლის დაბინავებისა და გადამუშავებისათვის ფინანსთა სამინისტროს მიერ საკრედიტო რესურსად აშშ-დან შემოტანილი ხორბლის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა იქნა გამოყენებული. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე, ფინანსთა სამინისტროს სატრასტო-საინვესტიციო კორპორაციას, ტენდერში გამარჯვებულ სესხის ამღებ თითოეულ სუბიექტთან სესხის დაბრუნების უზრუნველყოფის ფინანსური გარანტიების გათვალისწინებით, დაევალა ხელშეკრულებების გაფორმება. შპს „ალაზანთან“ გაფორმდა ამ სახის ხელშეკრულება 300 000 ლარზე 24 თვით წლიური 10%-ის სარგებლით. სს „ინტელექტბანკმა“ სასესხო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით გასცა საბანკო გარანტია კრედიტის ძირითად თანხაზე. შპს „ალაზანმა“ ფინანსური ვალდებულება არ შეასრულა და ბენეფიციარმა – ფინანსთა სამინისტრომ – გარანტს მოსთხოვა თანხის დაფარვა. სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნილი თანხა პროცენტებთან ერთად სოლიდარულად დააკისრა ორივე მოპასუხეს.

საკასაციო ინსტანცია არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და მიუთითა: „საგარანტიო წერილითა და საკრედიტო ხელშეკრულებით ორი დამოუკიდებელი ვალდებულება წარმოიშვა, რომლითაც მხარეთა უფლება-მოვალეობანი კონკრეტულად განისაზღვრა და ვალდებულების სოლიდარულ ხასიათზე საუბარი არ შეიძლება იყოს, რადგან სახეზე არ გვაქვს ვალდებულების განუყოფლობა. მით უფრო, რომ სს „ინტელექტბანკს“ გაცემული გარანტიით მხოლოდ კრედიტის ძირითად თანხაზე აქვს ვალდებულება აღებული და მას სწორედ რომ გაცემული თანხა – 300 000 ლარი – უნდა დაეკისროს, მაშინ, როცა საკრედიტო ხელშეკრულების შესაბამისად, კრედიტის წლიური პროცენტისა და საურავის გადახდა ხელშეკრულების უშუალო მხარის, დამოუკიდებლად წარმოშობილი ურთიერთობის მონაწილეს – შპს „ალაზნის“ – ვალდებულებაა... საკასაციო სასამართლო აქვე მოიხმობს სამოქალაქო კოდექსის 888-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ შემოიფარგლება მხოლოდ იმ თანხის გადახდით, რომელზეც გაიცა საბანკო გარანტია.“

საბანკო გარანტიის სუბიექტთა წრე კანონმდებელმა მკაცრად შეზღუდა. (ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება) სხვა სუბიექტების მიერ გაცემული გარანტიის

სამართლებრივი რეგულირება სპეციალური კანონმდებლობით წარმოებს. განასხვავებენ სახელმწიფო და სამთავრობო გარანტიას.

ამ სახის გარანტიის გაცემის წესსა და პირობებს არეგულირებს კანონი „სახელმწიფო ვალის შესახებ“.

სახელმწიფო და სამთავრობო გარანტია წარმოადგენს პირობით ვალდებულებას იმ შემთხვევებისათვის, თუ კრედიტის ამლები, საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით, უუნარო აღმოჩნდება, დაფაროს კრედიტი შესაბამისი პროცენტებით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო რისკის ფონდში განსაზღვრული და გადარიცხული სახსრების ფარგლებში (ფინანსური რისკისათვის) წინადადებას წარუდგენს მთავრობას და ეს უკანასკნელი კრედიტისათვის სახელმწიფო გარანტიის გაცემასთან დაკავშირებით ხელშეკრულების დადების თაობაზე თანხმობის მისაღებად საქართველოს პრეზიდენტს მიმართავს. ამ ხელშეკრულების იურიდიულ დასაბუთებას ახდენს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. კრედიტისათვის სახელმწიფო გარანტიის გაცემასთან დაკავშირებით პრეზიდენტის თანხმობა განკარგულების სახით გაცემა.

სამთავრობო გარანტია წარმოადგენს პირობით ვალდებულებას იმ შემთხვევებისათვის, თუ კრედიტის ამლები, საკრედიტო ხელშეკრულების შესაბამისად, უუნარო აღმოჩნდება, დაფაროს კრედიტი შესაბამისი პროცენტებით.

4. ვალდებულების დარღვევა და სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სახეები, პირობები და საფუძვლები. ე.წ. „თანაბარი“ და „არათანაბარი“ პასუხისმგებლობის პრინციპი, ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი პრობლემატიკა

ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოსატყულებას პოვებს მოვალეზე კანონით დადგენილი ქონებრივი ზემოქმედების ზომებში.

სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილე, რომელიც არღვევს ვალდებულებას, პასუხს აგებს დაზარალებული პირის წინაშე.

სამოქალაქო ბრუნვაში სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ვალდებულების დარღვევას აუცილებლად მოჰყვება ურთიერთობის სხვა მონაწილეთა უფლებების დარღვევა. ამიტომაც, ქონებრივი სანქცია, რომელიც გამოიყენება ვალდებულების დარღვევისათვის, ყოველთვის მიზნად ისახავს დაზარალებულის დარღვეული უფლების აღდგენას ან კომპენსაციას („იმ პირმა, რომელიც ვალდებულაა, ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.“ სკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილი). თუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ მოხდება ზიანის კომპენსირება ფულით (სკ-ის 409-ე მუხლი).

ამრიგად, სამოქალაქო პასუხისმგებლობას ყველა შემთხვევაში შემხებლობა აქვს სამოქალაქო კანონმდებლობის ძირითად ინსტიტუტთან – საკუთრებასთან. ჯა-

რიმის, საურავის, პროცენტის გადახდას ან, ზოგადად, ზიანის ანაზღაურებას შედეგად მოჰყვება მესაკუთრის ქონების შემცირება.

ვალდებულების მართლსაწინააღმდეგო დარღვევისას ადგილი აქვს: ობიექტური ან სუბიექტური უფლების დარღვევას, უფლების ბოროტად გამოყენებასა და ხელშეკრულების დარღვევას.

სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობებია:

1. მხარეთა ნამდვილი შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე (დაცული უნდა იყოს გარიგების ნამდვილობის ზოგადი პირობები).
2. ადგილი უნდა ჰქონდეს ერთ-ერთი მხარის მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას ხელშეკრულების დებულებების დარღვევის გზით.
3. სახეზე უნდა იყოს ფაქტობრივად დამდგარი ზიანი.
4. დამდგარი ზიანი მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს დამრღვევის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან.
5. როგორც წესი, ვალდებულების დარღვევა ბრალეული უნდა იყოს.

მოთხოვნის საფუძვლების მიხედვით, კრედიტორი უფლებამოსილია, მოვალეს წარუდგინოს შემდეგი სახის მოთხოვნები:

- **პირველადი მოთხოვნა** – როდესაც კრედიტორი ითხოვს ვალდებულების შესრულებას (შესაძლებელია კომბინაცია ზიანის ანაზღაურებასთან ერთად).
- **მეორადი მოთხოვნა** – როდესაც კრედიტორი მოითხოვს იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც წარმოიშვა მოვალის ქმედების გამო.
- **კრედიტორის სურს ხელშეკრულებიდან გასვლა** (შესაძლებელია კომბინაცია ზიანის ანაზღაურებასთან ერთად).
- **დამხმარე**, ანუ არაძირითადი მოთხოვნები – როდესაც კრედიტორი ისეთ მოთხოვნებს აყენებს, რომლებიც უშუალოდ ძირითადი ვალდებულებებისაგან არ გამომდინარეობს, მაგრამ დამოუკიდებლად წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების აუცილებელ წინაპირობას (განსაკუთრებული ვალდებულებების დარღვევა).

პირველადი მოთხოვნები

სკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების შესრულების უმთავრესი კანონისმიერი საშუალებაა კრედიტორის უფლება, მოსთხოვოს მოვალეს შესრულება, რომელიც პირველად მოთხოვნას წარმოადგენს.

თავისი ბუნებით, მოთხოვნის უფლება რელატიურია და ამ უფლების გამოყენება კრედიტორს მხოლოდ მოვალის მიმართ შეუძლია. თუმცა, ეს უფლება არ ანიჭებს მას იმის უფლებას, რომ მიმართოს თვითნებობას და სასამართლოსათვის მი-

მართვის გარეშე მოვალეზე ფიზიკური ან სხვაგვარი ზემოქმედების საშუალებით მიაღწიოს შესრულებას, გარდა სკ-ის 118-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა (თვითდახმარება).

თუ შესრულების საგანს ინდივიდუალურად განსაზღვრული საგანი წარმოადგენს, მოვალემ სწორედ ეს ნივთი უნდა გადასცეს კრედიტორს. ამ უკანასკნელის ნებაზე იქნება დამოკიდებული, მიიღებს თუ არა სხვა შესრულებას, თუნდაც ნივთი უფრო დიდი ღირებულების იყოს (სკ-ის მუხლი 379).

მოვალეს ეკრძალება, დამოუკიდებლად შეცვალოს შესრულების საგანი. მოვალის მხრიდან შეთანხმებული მოქმედების ნაცვლად სხვა მოქმედების განხორციელება ნიშნავს ვალდებულების შეუსრულებლობას და კრედიტორი უფლებამოსილია, ვალდებულების დარღვევისათვის მოვალის ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დასვას.

თუ შესრულების საგანი შეცვლადია, ანუ გვაროვნულია, მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს (სკ-ის მუხლი 382). იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში თავისუფლდება პირველადი შესრულების ვალდებულებისაგან, როდესაც მოცემული გვარის ნივთები სამოქალაქო ბრუნვიდან საერთოდ გაქრება, ანდა მათი შექმნა დაკავშირებული იქნება უზომოდ დიდ დანახარჯებთან. საინტერესო იქნება ამ თვალსაზრისით სკ-ის 490-ე მუხლის მესამე ნაწილის დანაწესის მოყვანა, რომლის თანახმადაც, გამყიდველს შეუძლია, უარი თქვას ნივთის შეცვლაზე, თუ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს. კანონმდებელს ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს მხარეთა ურთიერთვალდებულებების ეკვივალენტურობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვა.

განასხვავებენ ვალდებულების შესრულების ფაქტობრივ და იურიდიულ შეუძლებლობას.

ფაქტობრივ შეუძლებლობას ექნება ადგილი ისეთი გარემოების არსებობის დროს, რომლისთვისაც არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს. მოვალე არ აგებს პასუხს ისეთი შეუსრულებლობისთვის, რომელიც გამომწვეულია კრედიტორის ბრალეული მოქმედებებით, ამ უკანასკნელს არ ექნება ასეთ შემთხვევაში შესრულების მოთხოვნის უფლება (სკ-ის 390-393 მუხლები).

ვალდებულების შესრულების იურიდიულ შეუძლებლობასთან გვექნება საქმე ისეთი ობიექტური ვითარების არსებობისას, რომლის გათვალისწინება მოვალეს არ შეეძლო. ზოგჯერ პოლიტიკური მოტივით, სახელმწიფო აქტის საფუძველზე, იკრძალება განსაზღვრული სახის პროდუქციის გატანა ან შემოტანა (მაგალითად, ამ უკანასკნელ დროს რუსეთის აღმასრულებელი ხელისუფლების აქტით აიკრძალა საქართველოდან ღვინის პროდუქტების იმპორტი). ასეთ შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ, მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვონ სახელმწიფოსაგან. სახელმწიფო აქტის ბათილად ცნობის (გაუქმების) შემთხვევაში, ვალდებულება კვლავ შეიძლება ნამდვილი გახდეს, თუ კრედიტორის მხრიდან შესრულების ინტერესი კიდევ იარსებებს.

ვალდებულების თავდაპირველ შეუძლებლობას ადგილი აქვს მის წარმოშობამდე. აქ შეიძლება რომაული სამართლის დოქტრინის მოშველიება და ხელშეკრულება ყოველთვის და ყველა გარემოებაში ბათილად ჩაგვეთვალოს, თუ გამოვლინდებოდა, რომ დადების მომენტისთანავე მისი შესრულება ობიექტურად შეუძლებელი იყო, მაგრამ თუ ხელშეკრულების მონაწილემ თავიდანვე იცოდა (ან უნდა

ს(ცოდნოდა) ამის შესახებ, მაშინ მან პასუხი უნდა აგოს ხელშეკრულების მეორე მხარის წინაშე გარანტიის თავის თავზე აღებისათვის.

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას ადგილი აქვს ხელშეკრულების დადების შემდეგ. თუ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემდეგ გახდა შეუძლებელი შესრულება, მოვალე ყოველთვის აგებს პასუხს.

პირველადი მოთხოვნის (ნატურით შესრულება) წარდგენა ყოველთვის არ არის შესაძლებელი. ამის მიზეზი შეიძლება იყოს შესრულების საგნის გადაცემის შეუძლებლობა მისი განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის გამო, ანდა როდესაც სახეზეა ე.წ. „გადაუცემელი“ შესრულება. მხედველობაშია ისეთი შესრულება, რომელიც მხოლოდ მოვალის ნებაზე დამოკიდებულია. ზოგჯერ ასეთი შესრულება მთლიანად მის ნებაზე შეიძლება არც იყოს დამოკიდებული, მაგრამ პირველადი მოთხოვნა მაინც არ იყოს წარმატებული.

მაგალითი: გამომცემლობასა და ავტორს შორის დაიდო ხელშეკრულება მხატვრული ნაწარმოების შექმნაზე. მიუხედავად მცდელობისა, ავტორი ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, რადგანაც არ გააჩნია საკმარისი წარმოსახვა, განწყობა სულიერი ნაწარმოების შესაქმნელად. კრედიტორი ასეთ შემთხვევაში მხოლოდ მეორადი მოთხოვნით – ზიანის ანაზღაურებით – უნდა შემოიფარგლოს.

გადანყვეტილება მოვალის მიერ ვალდებულების ნატურით შესრულების შესახებ სასამართლოს მხოლოდ მაშინ შეუძლია მიიღოს, თუ მოვალეს გადანყვეტილების აღსრულების (განხორციელების) შესაძლებლობა გააჩნია.

მაგალითი: მენარმესა და მუშაკს (კოსმეტოლოგს) შორის დაიდო შრომითი კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც, მუშაკი ვალდებული იყო, გარკვეული სახის მომსახურება გაეწია დამქირავებლის კლიენტებისათვის. ერთი თვის შემდეგ მუშაკმა უარი თქვა ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულებაზე. დამქირავებელს (კრედიტორს) არ შეუძლია, ვალდებულების იძულებით შესრულება მოითხოვოს, რადგანაც დაქირავებულ მუშაკს კანონით მინიჭებული აქვს საკუთარი სამუშაო ძალის გამოყენების ადგილისა და დროის თავისუფალი არჩევანის უფლება. ამ უფლების ჩამორთმევა არ შეიძლება იმ შემთხვევაშიც კი, თუ უფლების განხორციელებით ირღვევა შრომითი ხელშეკრულება. მსგავს გარემოებებში მენარმე იძულებული იქნება, დაკმაყოფილდეს სარჩელით ზიანის ანაზღაურების შესახებ (მეორადი მოთხოვნა).

კითხვა:

რა შემთხვევაშია შესაძლებელი დაპირების შესრულების მოთხოვნა?

პასუხი:

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი დაპირება გაკეთდა განსაზღვრული ფორმით და არსებობს უდავო მტკიცებულებები დაპირებლის განზრახვის სერიოზულობის შესახებ.

გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, დამავალდებულებელი დაპირებების მიცემა ხდება შემხვედრი სამსახურის განევის პირობით. მაგრამ თუ ასეთი პირობა არ არსებობს, ან თუ დაპირება ცალმხრივი ხასიათისაა, მაშინ ზედმინევენით უნდა იქნეს გარკვეული ამგვარი უანგარო გარიგების დადების განზრახვის სერიოზულობა – არის თუ არა იგი კარგად მოფიქრებული, თუ ნების გამომვლენის

გამოუცდებლობის, ქარაფშუტობის ან სხვა გარემოებების შედეგია (სკ-ის 525-ე მუხლის მესამე ნაწილი და 628-ე მუხლი). თუმცა, შემპირებელს შეუძლია, უარი თქვას თავის დაპირებაზე, თუ არსებობს ამის საპატიო მიზეზი. ასეთ შემთხვევაში, პირველადი მოთხოვნის წარდგენა დაუშვებელია. კრედიტორს შეუძლია, მხოლოდ მეორადი მოთხოვნა (ზიანის ანაზღაურების) წარადგინოს.

მეორადი მოთხოვნები

ვალდებულების დარღვევის ერთიან ცნებას კანონმდებელი არ იძლევა. როდესაც ერთი მხარე რაიმე მიზეზით ხელშეკრულებას ჯეროვნად არ ასრულებს, ანდა ასრულებს დაგვიანებით ან მხარეების მიერ შეუთანხმებელ ადგილზე, ან კიდევ სხვაგვარად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, ადგილი აქვს ურთიერთვალდებულებათა ნორმალური რეალიზაციის დარღვევას, რაც ბუნებრივია, იწვევს მოვალის პასუხისმგებლობას. ასეთი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებათა ერთობლიობა (ქმედების მართლწინააღმდეგობა, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის და ბრალი).

ზოგადი წესის თანახმად, ზიანის მიყენებას ადგილი აქვს მოვალის მართლწინააღმდეგო მოქმედებით. გამონაკლისს წარმოადგენს სკ-ის 116 – 118-ე მუხლები.

ზიანის არარსებობა გამორიცხავს სამოქალაქო პასუხისმგებლობას. თუ არ არსებობს ზიანი, არც ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს. ზიანი სამართლებრივად მნიშვნელოვანი და დაცული უნდა იყოს. უმნიშვნელო ზიანი არ ანაზღაურდება.

მაგალითად, სკ-ის 536-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ გაქირავებულ ნივთს ნაკლი აღმოაჩნდება, მაშინ დაქირავებულს ქირის შემცირების მოთხოვნის უფლება აქვს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნივთის ნაკლი **მნიშვნელოვანი** იქნება.

ზიანის ანაზღაურება ყოველთვის გულისხმობს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ერთი მონაწილეს პასუხისმგებლობას მეორე მონაწილეს წინაშე. ზიანის ანაზღაურებაში განმსაზღვრელი (უნივერსალური) როლი ენიჭება აღიარებულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, ამ სახის მოთხოვნა ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (თუ სხვა რამ არაა გათვალისწინებული კანონით ან ხელშეკრულებით), შეიძლება გამოყენებული იქნეს ვალდებულების დარღვევის ყველა შემთხვევისათვის და ამიტომაც მას სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საერთო ფორმად მიიჩნევენ. სწორედ ამაშია მისი უპირატესობა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სხვა ფორმებთან მიმართებით.

სახელშეკრულებო ურთიერთობებში სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ დებულებების შეტანის დროს მონაწილეებმა უნდა გაითვალისწინონ სამოქალაქო ბრუნვის პრინციპები და სამოქალაქო კოდექსის ფუძემდებლური მოთხოვნები:

- მონაწილეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეთა პასუხისმგებლობა ეკვივალენტური და თანაზომიერი უნდა იყოს (სკ-ის მუხლი პირველი).

- ვალდებულების დარღვევისათვის ერთი კონტრაჰენტისათვის შეუსაბამოდ მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დანესება მეორე კონტრაჰენტის მხრიდან პასუხისმგებლობის საერთოდ არალების პირობებში (ხელშეკრულების არათანაბარი პირობები) სხვა არაფერია, თუ არა უფლებათა ბოროტად გამოყენება მხოლოდ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას (სკ-ის მე-10 მუხლის მესამე ნაწილი). სკ-ის 346-ე მუხლის შესაბამისად, ბათილია ნდობისა და კეთილსინდისიერების საწინააღმდეგო პირობები, რომლებიც საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის.

მენარმეთა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა სამოქალაქო ბრუნვის სხვა მონაწილეთა პასუხისმგებლობასთან შედარებით მაღალია, ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ სკ-ის პირველ მუხლს მართალია მხედველობაში აქვს მონაწილეთა იურიდიული თანასწორობა, მაგრამ სინამდვილეში ეს თანასწორობა ზოგჯერ ირღვევა კომერციულ პირებთან მიმართებით და მათი პასუხისმგებლობა უფრო აღმატებულია, ვიდრე მომეტებული წყაროს მფლობელისა, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მფლობელი არამენარმეთა იურიდიული თანასწორობის აღიარების მიუხედავად, კანონმდებელი უშვებს სუბიექტების სხვადასხვა ქონებრივ დამოუკიდებლობასა და პასუხისმგებლობას.

მენარმეთა შესახებ კანონის პირველი მუხლის მიხედვით, სამენარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. თუ ამ ნორმას და სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომელიც იძლევა იურიდიული პირის დეფინიციას, ერთმანეთს შევადარებთ, დავინახავთ, რომ სამენარმეო საქმიანობით დაკავებული პირების სამოქალაქო პასუხისმგებლობა ფაქტობრივად ბრალის გარეშეც დგება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანი დაუძლეველი ძალის შედეგია.

მენარმე სუბიექტი მაშინაც აგებს პასუხს, როდესაც მან შესრულების საგანი ვერ მიიღო სხვა პირისაგან (397), იგი პასუხს აგებს მაშინაც, როდესაც ბაზარზე საქონელი არ იყო, ან კიდევ, როცა მას დროებითი გადახდისუუნარობის (ფულადი სახსრების უქონლობის) გამო, არ შეეძლო შეესრულებინა სახელშეკრულებო ვალდებულება.

თანამედროვე მართლწესრიგისათვის მეტად მნიშვნელოვანია, ეკონომიკური ურთიერთობების სწრაფ კომერციალიზაციას დაუპირისპიროს „სუსტი“ მხარის სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები, მათ შორის, „ძლიერი“ მხარის მომეტებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის შემოღების გზითაც.

განსაკუთრებით, ეს შეეხება მომხმარებლებთან დადებულ სტანდარტული დებულებების შემცველ ხელშეკრულებებს, როდესაც მენარმეები ცდილობენ სახელშეკრულებო რისკების მთლიანად კლიენტებზე გადატანას და ამ გზით პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევას. სამოქალაქო კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც იცავენ ფიზიკურ პირებს ასეთი მენარმეებისაგან (სკ-ის 346-ე, 347-348-ე მუხლები).

1993 წლის 5 აპრილს ევროპულმა თანამეგობრობამ მიიღო დირექტივა დათქმების არამართლზომიერი გამოყენების შესახებ. დირექტივის თანახმად, ხელშეკრულების პირობები ბათილად იცნობა არა მხოლოდ მაშინ, როცა იგი „სპეციალურად არ არის შეთანხმებული“, არამედ მაშინაც, თუ იგი „წინასწარ არის შედგენილი და ამიტომ მომხმარებელი ვერ მოახდენს ზეგავლენას მის შინაარსზე.“

უახლესი სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ მრავალფეროვანია სამოქალაქო ურთიერთობის „სუსტ“ და „ძლიერ“ მონაწილეებს შორის დავებზე მიღებული გადაწყვეტილებებით:

1. ფიზიკურმა პირებმა ს/ს „საქართველოს ბანკს“ შესანახად მიაბარეს ფული და ძვირფასეულობა. მიბარებული ნივთები ინახებოდა ბანკის კუთვნილ №79 სეიფში, რომელიც იღებოდა ერთდროულად ორი გასაღებით, რომელთაგან თითო ცალი ინახებოდა მხარეებთან. სეიფიდან დაიკარგა შენახული ნივთები. საკეტის მთლიანობა დაცული იყო. ხელშეკრულებით, ბანკი პასუხისმგებლობას იღებდა ზიანის ანაზღაურებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სეიფი დაზიანებული იქნებოდა. იგი სასარჩელო მოთხოვნისაგან თავს სწორედ ამ გარემოებაზე მითითებით იცავდა.

საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა რა მოსარჩელეთა მოთხოვნა, გადამწყვეტილება დაამყარა შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველებზე:

- მხარეთა შორის არსებობდა განსაკუთრებული სახის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც მართალია, მონესრიგებული არ არის კანონით, მაგრამ შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპს. ხელშეკრულების მიხედვით, ბანკმა დროებითი სარგებლობისათვის გადასცა მის შენობაში განთავსებული დეპოზიტური სეიფი კრედიტორებს ისე, რომ მასში შენახული ნივთის თვისებისა და ღირებულების შესახებ ზუსტი ინფორმაცია ბანკისათვის ცნობილი არ იყო.
- ამ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად სასამართლომ ანალოგიით სასყიდლიანი მიბარების ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები გამოიყენა და დადგინდა მიიჩნია ის გარემოება, რომ ბანკის პასუხისმგებლობა უფრო მაღალია, ვიდრე ეს უსასყიდლო შეთანხმებისას იქნებოდა. სასამართლომ მიუთითა შემდეგი: „ნივთის სასყიდლიანი შენახვისას შემნახველს გაძლიერებული გულისხმიერება და პასუხისმგებლობა უნდა მოეთხოვებოდეს, ვიდრე უსასყიდლო შენახვისას მიუხედავად იმისა, მხარეები შეთანხმებული არიან თუ არა ვალდებულების ფარგლებზე.“
- ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგო **სტანდარტული პირობები**, რომელსაც ხელშეკრულება შეიცავს და რომელიც საზიანოა კრედიტორებისათვის, ბათილია სკ-ის 346-ე მუხლის შესაბამისად. „ამდენად, ბანკს მხარესთან შეთანხმებით კიდევაც რომ შეეზღუდა თავისი პასუხისმგებლობის ფარგლები, ხელშეკრულების ეს პირობა, დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, ბათილია, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში იქნებოდა სწორედ ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგო დათქმა“.
- ის გარემოება, რომ ბანკი მენარმე სუბიექტი იყო, რომელსაც საბანკო საქმიანობის განხორციელების უფლება სახელმწიფოსაგან გაცემული სპეციალური ნებართვის საფუძველზე ჰქონდა მოპოვებული, ფიზიკურ პირებს აძლევდა საშუალებას, ევარაუდათ, რომ მისი საქმიანობა საამისოდ არსებული წესების დაცვით წარიმართებოდა; ე.ი. მათი ბანკისადმი ნდობა თავიდანვე იყო პრეზუმირებული კონტრაქტის საიმედოობითა და მათი ქონების მომეტებულად დაცვის ვარაუდით (იხ. საქმე №ას-722-1045-05

2005 წლის 5 დეკემბრის სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის გადაწყვეტილება).

„2. თბილისში, ერთ-ერთ ქუჩაზე ა.ლაზიაშვილის საცხოვრებელი სახლის წინ დაზიანდა სახლის მკვებავი 20 მმ-იანი წყალსადენის განშტოება. დაზიანებული წყალსადენიდან გამონადენი წყლის ზემოქმედებით დაზიანდა ა.ლაზიაშვილის კუთვნილი სახლი, რომელიც აღნიშნულის გამო საჭიროებდა სერიოზულ სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. სახლის მესაკუთრემ მოითხოვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება შპს „თბილწყალკანალი“-საგან. ამ უკანასკნელმა წარადგინა შესაგებელი, რომელშიც მიუთითა, რომ მისი პასუხისმგებლობა წყლის შიდა ქსელების დაზიანებით მიყენებული ზიანისათვის წინასწარ იყო გამოორიცხული მოსარჩელესთან დადებული ხელშეკრულების თანახმად.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა მოპასუხის ბრალეულობის შესახებ და მიუთითა შემდეგი:

„...მხარეთა შორის წარმოშობილია ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა წყლით მომარაგებასთან დაკავშირებით. კასატორი მხარე წარმოადგენს რა **მენარმე** სუბიექტს, აბონენტებთან დებს ხელშეკრულებებს სტანდარტული პირობებით წყლის გარკვეულ საფასურად მიწოდების შესახებ... საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ანა ლაზიაშვილისათვის მიყენებული ზიანი გამომწვეულია შპს „თბილწყალკანალის“ ბრალეული უმოქმედობით.“

სამოქალაქო კოდექსი მხარეებისაგან მოითხოვს რა ურთიერთპატივისცემასა და გულისხმიერებას კონტრაქტთან მიმართებით, ორივე მხარეს ამ თვალსაზრისით შეთანხმებულზე მეტ ვალდებულებას აკისრებს. სწორედ ეს ვალდებულებაა დანესებული სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მეორე ნაწილით, რომლის ძალითაც, თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით, ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას. შპს „თბილწყალკანალი“ სარჩელში მითითებული გარემოების საწინააღმდეგო არგუმენტაციას ამყარებს იმ გარემოებაზე, რომ შიდა ქსელის დაზიანება მის პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს. მხარეთა შორის ურთიერთობა წარმოშობილია რა სტანდარტული ხელშეკრულების საფუძველზე, სამოქალაქო კოდექსის 346-ე მუხლის თანახმად, ბათილია ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის.

ამდენად, შპს „თბილწყალკანალს“ მხარესთან შეთანხმებით ან თავისი სამოქმედო დებულებით კიდევაც რომ შეეზღუდა თავისი პასუხისმგებლობის ფარგლები – აუცილებლობის შემთხვევაში შიდა ქსელების დაზიანების აღკვეთასთან მიმართებით, ხელშეკრულების ეს პირობა, დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, ბათილია, ვინაიდან ამ შემთხვევაში სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგო დათქმა იქნებოდა“ (იხ. საქმე №ას-992-1245-05 2006 წლის 14 თებერვლის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება):

- იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა მიერ განსაზღვრული ჯარიმა და საურავი არ შეესაბამება ვალდებულების დარღვევის შედეგებს, სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს ისინი (სკ-ის 420-ე მუხლი).

- თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესრულებასა და ამ შესრულებ-ისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობაა და როდესაც აშკარაა, რომ ხელშეკრულებით ერთ-ერთი მონაწილე მისთ-ვის უაღრესად არახელსაყრელ პირობებშია (კაბალურ მდგომარეობაში), კანონით ასეთი შეთანხმება დადებისთანავე ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს (სკ-ის 56-ე მუხლი).
- ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისას პირგასამტეხლოს ან ზიანის გადახდა არ ათავისუფლებს მოვალეს ვალდებულების ნატურით შესრულებისაგან, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კანონით ან ხელშეკრულებით (სკ-ის 419-ე მუხლი).

საინტერესოა სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლისა (დაუშვებელია ვალდებ-ულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმა წინასწარი შეთანხმებით) და კოდექსის სხვა ნორმების ურთიერთმიმართება. თუ ამ ნორმას განვიხილავთ სკ-ის 395-ე მუხლის მეორე ნაწილთან მიმართებით, მაშინ მისი განმარტება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ დაუშვებელი იყოს მხარეთა წინასწარი შეთანხმება მოვალის მიერ განზრახ მოქმედებით ვალდებულების დარ-ღვევისას ზიანის ანაზღაურებისაგან მისი გათავისუფლების შესახებ. რაც შეეხ-ება, გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებულ ზიანს, მისი ანაზღაურების ვალ-დებულება შეიძლება არ წარმოიშვას, თუ ამაზე იარსებებს მხარეთა წინასწარი შეთანხმება (მაგ. სკ-ის 497-ე მუხლი) ან თუ კანონი გამორიცხავს მას (მაგ. სკ-ის 527-ე მუხლი).

ამგვარად, ერთი შეხედვით გაუგებარია 410-ე მუხლის დანაწესი და ბუნებრი-ვად ჩნდება კითხვა, შემთხვევითია თუ არა კანონმდებლის მხრიდან იმპერა-ტიული ნორმის შემოღება და მხარეების შეზღუდვა, თავისუფლად განსაზღვრონ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ფარგლები?

თუ მოვიშველიებთ სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებისათვის კანონით დადგენილ უმთავრეს პრინციპს, რომელიც გულისხმობს იმას, რომ მათ კეთილსინ-დისიერად უნდა განახორციელონ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (სკ-ის მერვე მუხლის მესამე ნაწილი), ყველაფერი ნათელი გახდება.

სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეების იურიდიული თანასწორობის მიუხედავად, შეიძლება ადგილი ჰქონდეს რომელიმე მათგანის ფაქტობრივ უთა-ნასწორობას. აღნიშნული შეიძლება გამოიხატოს იმაში, რომ ზოგჯერ ერთ-ერთი მხარე იმდენად აღემატებოდეს მეორეს თავისი ფინანსური და ეკონომიკური სი-ძლიერით, რომ თავს მოახვიოს მეორე მხარეს მისთვის საზიანო დათქმები, შეი-ძლება მხარეებს შორის არსებულმა გადაჭარბებულმა ნდობამ განაპირობოს მს-გავსი სიტუაცია ან ერთ-ერთი მხარის ფიზიკური მდგომარეობა (ხანდაზმულობა, ავადმყოფობა), გამოუცდელიობა, გაჭირვება არ აძლევდეს მას გადანყვეტილების მოფიქრების საშუალებას და ა.შ.

ამრიგად, ამ ნორმის შემოღება აუცილებელი იყო იმის საილუსტრაციოდ, რომ კანონმდებელი არაკეთილსინდისიერი მხარის პირისპირ მარტო არ ტოვებს „სუსტ“ მხარეს და არ უწყობს ხელს არაეკვივალენტურ ბრუნვასა და მხარეთა მიერ ნაკ-ისრი ვალდებულებების აშკარა დისბალანსს.

მაგალითად, სკ-ის 497-ე მუხლი შესაძლებლობას აძლევს გამყიდველს, შეზღუ-დოს ან გამორიცხოს მისი პასუხისმგებლობა ნაკლიანი ნივთის გაყიდვის შემთხ-

მეგობრები, მაგრამ მას არ შეუძლია, ფიზიკურ პირთან ხელშეკრულების დადების დროს სტანდარტული პირობის სახით გამოიყენოს ეს უფლება, რადგანაც, სკ-ის 348-ე მუხლის “ზ” პუნქტის შესაბამისად, ასეთი შეთანხმება ბათილი იქნება.

ზიანის სახეობა: მატერიალური, მორალური, პირდაპირი, არაპირდაპირი, ნომინალური და რეალური.

მატერიალური ზიანი ქონებრივია (მატერიალიზირებული), ხოლო არამატერიალიზირებული, არაქონებრივი ზიანი წარმოადგენს მოვალის ქმედებით მიყენებულ ტანჯვასა და განცდებს, რომელსაც დაზარალებული განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, როგორც წესი, არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით.

პირდაპირი ზიანი წარმოადგენს მოვალის ქმედების უშუალო შედეგს (დადებითი ზიანი), რომელიც ანაზღაურდება სრულად.

არაპირდაპირი ზიანი წარმოადგენს მოვალის, მესამე პირების მოქმედების და/ან სხვა ფაქტორების შედეგს. ამ სახის ზიანი ანაზღაურდება განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს (მაგ. სკ-ის 742-ე მუხლის მეორე ნაწილი).

ნომინალური ზიანი სიმბოლური თანხაა, რომელიც დგინდება და ეკისრება მოვალეს კრედიტორის უფლების დასადასტურებლად.

რეალური (მიუღებელი) ზიანი წარმოადგენს იმ ხარჯების ერთობლიობას, რომელიც გასწია დაზარალებულმა მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო, ანდა ის შემოსავალია, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

თუ ზიანი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შედეგია, მაშინ მისი შესაძლო მოცულობა (სიდიდე) სახელშეკრულებო შესრულების ფარგლებით განისაზღვრება, თუმცა, არასახელშეკრულებო ზიანი ზოგჯერ შეიძლება სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან მომდინარეობდეს (მაგ. სკ-ის 696-ე მუხლი უშვებს, გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, არასახელშეკრულებო ვალდებულების წარმოშობის შესაძლებლობას). მხედველობაშია ზიანი, რომელიც რელატიური უფლების დარღვევის შედეგი კი არაა, არამედ აბსოლუტური უფლებისა. უფრო ზუსტად, როდესაც ზიანი ადგება ერთდროულად სხვადასხვა უფლებას, როგორც რელატიურს, ისევე აბსოლუტურს, მაშინ უპირატესობა ენიჭება ამ უკანასკნელს, რადგანაც ასეთი ზიანის წინასწარ შეფასება შეუძლებელია და იგი დგინდება ხელყოფილი სიკეთის ფასეულობის მიხედვით.

ამის საილუსტრაციოდ შეიძლება სასამართლო პრაქტიკიდან ასეთი მაგალითის მოყვანა:

ქოქაშვილი მუშაობდა ბორჯომის №2 ჩამოსასხმელ ქარხანაში და 1988 წლიდან იღებდა სარჩოს ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების გამო. მან ვაგონიდან კაუსტიკური სოდის გადმოსხმის დროს მოიხსნა დამცავი სათვალე, რის გამოც თვალში მოხვდა სოდის წვეთი და დაუზიანდა მარჯვენა თვალი. სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციამ, 2002 წლის 11 ნოემბრის ბრძანებით, მოსარჩელეს შეუწყვიტა სარჩოს გადახდა 2002 წლის 1 ნოემბრიდან იმ საფუძვლით, რომ ჯანმრთელობის დაზიანება მოსარჩელეს მიღებული აქვს საკუთარი გაუფრთხილებლობით და, ამის გამო, არ არსებობდა მათი მხრიდან მოსარჩელესათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

პირველი და სააკველაციო ინსტანციის სასამართლოებმა მოსარჩელეს მოთხოვნა სარჩოს ანაზღაურების თაობაზე არ დააკმაყოფილეს. ამგვარი სამართლებრივი დასკვნის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ სასამართლოების მიერ დამდგარი ზიანი განხილულ იქნა, როგორც რელატიური და არა აბსოლუტური უფლებების დარღვევის შედეგი (მოსარჩელე სახელშეკრულებო /შრომით-სამართლებრივ/ ურთიერთობაში იყო მოვალესთან).

საკასაციო სასამართლომ დამდგარი ზიანი შეაფასა, როგორც აბსოლუტური უფლების დარღვევის შედეგი და დააკმაყოფილა ქოქაშვილის საკასაციო საჩივარი შემდეგი მოტივებით:

„საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საზოგადოების ადმინისტრაციის მიერ გამოცემული ბრძანება არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს. როცა კანონი იმპერატიულად აწესებს მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული დაზიანების დროს ადმინისტრაციის აუცილებელ პასუხისმგებლობას (გარდა დაუძლეველი ძალის მოქმედებით და იმ შემთხვევაში, თუ დაზიანება გამონვეულია დაზარალებულის განზრახვით), საზოგადოების ადმინისტრაციამ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მოშველიებით, მაშინ, როცა ეს ბრძანებულება ამგვარ მითითებებს არ შეიცავს, მოახდინა კანონის იმპერატიულ დანაწესთან ნების გამოვლენის აშკარა შეუსაბამობა, გააუქმა შრომითი მოვალეობის შესრულებისათვის მუშაკის ჯანმრთელობის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების თაობაზე დანიშნული სარჩოს გაცემა. ამით საზოგადოების ადმინისტრაციამ მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილეს უფლებები კი არ შელახა, არამედ ვნება მიაყენა სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს.

ვინაიდან კაუსტიკური სოდის მფლობელი (მომეტებული საფრთხის შემცველი ნივთიერების მფლობელი) სანარმო იყო და მუშაკის სხეულის დაზიანება სწორედ ამ ნივთიერების გადმოტვირთვის დროს ნივთიერების მუშაკის თვალში მოხვედრის შედეგად მოხდა, ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვითაც, სანარმო ვალდებული იყო, აენაზღაურებინა ზიანი, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გამორიცხულია, თუ ზიანი გამონვეულია დაუძლეველი ძალით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი გამონვეულია ელექტროგადამცემი ხაზების ავარიით, ანდა ნავთობის, გაზის, წყლის ან ნავთობპროდუქტების მიმწოდებელი მოწყობილობის დაზიანებით“ (იხ. საქმე №ას-477-1110-03. საქ. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში სამოქალაქო, სამენარმო და გაკოტრების საქმეებზე, 2003 წელი გვ. 2736-2741).

თუ ადგილი აქვს პირის აბსოლუტური უფლების დარღვევას და სახეზეა სამოქალაქო კოდექსის 999-ე და 1000-ე მუხლებით გათვალისწინებული ზიანი, მაშინ არ შეიძლება წინასწარ გამორიცხოს ან შეიზღუდოს ასეთი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

მეორადი მოთხოვნა (ზიანის ანაზღაურება) ზოგჯერ საკომპენსაციო ხასიათისაა. ამ დროს ვალდებულება საერთოდ არ სრულდება. თუ კრედიტორი ითხოვს ზიანს, მაშინ მას არ შეუძლია, ვალდებულების შესრულებაც მოსთხოვოს მოვალეს (სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი და 419-ე მუხლი).

იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების შესრულებისათვის დადგენილია ვადა და კრედიტორს ზიანი ადგება შესრულების ვადის გადაცილების გამო, მაშინ მას

შეუძლია შესრულებასთან ერთად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც (მორატორიული ზიანი).

ამასთან, ასეთ შემთხვევებში უნდა იქნეს გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ფარგლები, რათა უკიდურესად არ დამძიმდეს მოვალის მდგომარეობა კრედიტორის უსაფუძვლო გამდიდრების ხარჯზე. მხედველობაშია კანონით განსაზღვრული პროცენტისა და მთლიანი ზიანის ერთდროულად მოთხოვნა.

სრულ ანაზღაურებას ექვემდებარება ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი (დადებითი ზიანი), რომელიც გულისხმობს: ა) განუულ ხარჯებს, ბ) ქონების დაზიანებას ან მის დანაკარგს (ამ დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც აქტივების შემცირებას, ისე ვალდებულებების (პასივები) ზრდას.

გარდა ამისა, ანაზღაურებას ექვემდებარება ასევე მიუღებელი ზიანიც, რომელიც, თუმცა, არამატერიალიზირებულია, მაგრამ წარმოადგენს იმ შესაძლო (სავარაუდო) შემოსავალს, რომელსაც პირი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო (სკ-ის 411 მუხლი).

სამწუხაროდ, ზიანის მოცულობისა და ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის განმსაზღვრელი ზოგადი ხასიათის ნორმატიული აქტი არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის ბრძანებულებას, რაც გარკვეულ სირთულეებს ქმნის სასამართლოებისათვის კონკრეტულ საქმეზე გადანყვეტილების მიღებისას.

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ორი ძირითადი ფუნქციის მატარებელია: იგი უზრუნველყოფს კრედიტორის ქონებრივი ინტერესის დაკმაყოფილებას და, აგრეთვე, მონოდებულია, აცილებულ იქნეს მომავალში სამოქალაქო სამართალდარღვევის ჩადენა.

პასუხისმგებლობის „უზრუნველყოფმა“ და „გამაფრთხილებელმა“ ფუნქციამ შეიძლება ერთგვარად შეაფერხოს კიდეც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა (მენარმეთა) საქმიანი აქტიურობა.

სწორედ ამიტომაც, კანონმდებელმა დაადგინა ზოგადი წესი, რომლის მიხედვითაც, სამოქალაქო პასუხისმგებლობა დგება ბრალის არსებობისას. მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახვი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის (395-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება).

ამასთან, კანონმდებელს იქვე შემოაქვს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ცნებაც, როდესაც მიუთითებს: „თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს“ (სკ-ის 395-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადება).

კოდექსი მოვალის არაბრალეულობის პრეზუმფციულობის პრინციპსაც ამკვიდრებს. დაზარალებული კი არ ამტკიცებს პირის ბრალეულობას, არამედ პირიქით, მოვალეს ეკისრება ვალდებულება, დაამტკიცოს, რომ მას ბრალი არ მიუძღვის ზიანის დადგომაში. მაგალითად, სკ-ის 687-ე მუხლის მიხედვით, გადაამზიდველს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ ტვირთის დაკარგვა, დაზიანება ან მი-

ტანის ვადის დარღვევა გამოიწვია 686-ე მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულმა გარემოებებმა.

თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საპროცესო სამართლის მიხედვით, მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის სხვაგვარად ნაწილდება. პროცესის მონაწილე თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი). მითითებული ნორმა შეჯიბრებითობის პრინციპის პირდაპირი გამოსატყულებია. საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმებს შორის არსებული წინააღმდეგობა, როგორც წესი, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ წყდება.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე მხარეთა შორის არსებობდა სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება. პაციენტი მოითხოვდა არასწორი მკურნალობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. კრედიტორი (მოსარჩელე) ვალდებული იყო, დაემტკიცებინა მოვალის მოქმედებით მიყენებული ზიანის არსებობა. მოვალე თავის შესაგებელს იმყარებდა იმ გარემოებაზე, რომ კრედიტორმა, სსკ 102-ე მუხლის შესაბამისად, ვერ წარუდგინა სასამართლოს მისი ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

ამასთან დაკავშირებით, საკასაციო ინსტანციამ აღნიშნა: „...მოპასუხეს (სტაციონარს) სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, თუ სახეზეა ზიანი, ის მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი. ამასთან, ზიანის მიყენებისას არსებობს ბრალეულობის პრეზუმფცია – ზიანის მიმყენებელი მიიჩნევა ბრალეულად, თუ არ დაამტკიცებს მისი ბრალის არარსებობის ფაქტს... მტკიცების ტვირთი მართლსაწინააღმდეგობის და ბრალის არარსებობის თაობაზე აწევს მოპასუხეს“ (იხ. საქმე №ას-33-406-05 უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, 13 აპრილი, 2005 წელი).

სასამართლომ ამ შემთხვევაში უპირატესობა მიანიჭა არა საპროცესო, არამედ მატერიალური სამართლის ნორმას, სახელდობრ, სკ-ის 1007-ე მუხლის ბოლო წინადადების შესაბამისად, ზიანის მიმყენებელი მხოლოდ მაშინ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ წესიდან არსებობს გამონაკლისიც. მაგალითად, უზარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობისას მტკიცების ტვირთი ეკისრება დაზარალებულს (1012).

მეტად მნიშვნელოვანია სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელ თავისებურებებზე ყურადღების გამახვილება. განასხვავებენ ე.წ. „შეზღუდულ“ და ძირითადად მენარმისა და მომეტებული საფრთხის მფლობელი პირის „მომეტებულ“ პასუხისმგებლობას.

„შეზღუდული“ პასუხისმგებლობა, როგორც წესი, გაუფრთხილებლობით ჩადენილ მოქმედებასთანაა დაკავშირებული. მოქმედი კანონმდებლობა იცნობს უხეშ (ამ დროს პირი თავისი მოქმედებით აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს არღვევს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით) და მარტივ (ამ დროს ყურადღებიანობის დარღვევა შედარებით დაბალი ხარისხისა) გაუფრთხილებლობას.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დასაკისრებლად ერთ-ერთის არსებობაც საკმარისია. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც მოვალის ქმედებაში მარტივი გაუფრთხილებლობის ელემენტებია, ის შეიძლება საერთოდ გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან ან, უარეს შემთხვევაში, მინიმალიზირებულ იქნეს მისი პასუხისმგებლობა (შეზღუდული პასუხისმგებლობა როგორც კანონით, ისე მხარეთა შეთანხმებით შეიძლება დანესდეს):

- კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მოვალე მხოლოდ მაშინ არის პასუხისმგებელი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუკი შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა მოვალის განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო (სკ-ის 392-ე მუხლი).
- გამნათხოვრებელი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისათვის (სკ-ის 616-ე მუხლი).
- თუ მიბარება უსასყიდლოა, მაშინ შემნახველი ვალდებულია, ისეთივე კეთილსინდისიერებით შეინახოს ნივთი, როგორითაც საკუთარ ნივთს შეინახავდა (სკ-ის 765-ე მუხლი).
- თუ მიბარებული ნივთის წასაღებად განსაზღვრულია ვადა, ამ ვადის დადგომის შემდეგ შემნახველი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის (სკ-ის 774-ე მუხლი).
- მოგზაურობის მომწყობს ტურისტთან შეთანხმებით შეუძლია შეზღუდოს თავისი პასუხისმგებლობა მომსახურების ღირებულების სამმაგი ოდენობით, თუ:
 - ა. ტურისტისათვის მიყენებული ზიანი არ იყო გამოწვეული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, ან
 - ბ. მოგზაურობის მომწყობი ერთპიროვნულად მთლიანად არ აგებს პასუხს ტურისტის წინაშე იმ ზიანისათვის, რომელიც წარმოიშვა მოგზაურობის მომწყობის ვალდებულების შემსრულებელთაგან ერთ-ერთის ბრალის შედეგად (სკ-ის 664-ე მუხლი).
- თუ გადაცილებულია ტვირთის მიტანის ვადა და უფლებამოსილი პირი დაამტკიცებს, რომ ამის გამო წარმოიშვა ზიანი, გადამზიდველმა უნდა აანაზღაუროს იგი მხოლოდ ამ ტვირთის ღირებულების ოდენობამდე (სკ-ის 692 მუხლის მეოთხე ნაწილის პირველი წინადადება).
- გადამზიდველი პასუხს აგებს ზედნადებში აღნიშნული და მასზე დართული ან გადამზიდველისათვის გადაცემული საბუთების დაკარგვის ან მათი არასწორი გამოყენებისათვის; მას არ შეიძლება იმაზე მეტი პასუხისმგებლობა დაეკისროს, ვიდრე ტვირთის დაკარგვის დროს დადგებოდა.
- თუ რწმუნებული უსასყიდლოდ ასრულებს მისთვის დავალებულ მოქმედებებს, იგი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანისათვის (სკ-ის 719-ე მუხლი).
- თუ მინდობილი მესაკუთრე მიმნდობის ინტერესების სანინააღმდეგოდ არ იჩენს ისეთ გულისხმიერებას, როგორიც მას საკუთარი საქმეების მიმართ უნდა გამოეჩინა, იგი ვალდებულია, აანაზღაუროს ამ მოქმედებით გამოწვეული ზიანი (სკ-ის 725 მუხლის მეორე ნაწილის ბოლო წინადადება).

- მზღვეველი არ არის ვალდებული, გადაუხადოს დამზღვევეს წარმოშობილი ზიანის ოდენობაზე მეტი თანხა იმ შემთხვევაშიც კი, თუ სადაზღვევო თანხა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის აღემატება სადაზღვევო ღირებულებას (სკ-ის 826-ე მუხლი).
- გადახდა არაუფლებამოსილი პირისათვის, რომელმაც თავისი უფლება დაადასტურა თანამიმდევრული ინდოსამენტების მეშვეობით, ათავისუფლებს მოვალეს, თუ იგი არ მოქმედებდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით (სკ-ის 925-ე მუხლის ნაწილი მეორე).
- თუ საქმეების შესრულება მიმართულია იმ საფრთხის თავიდან აცილებისაკენ, რომელიც ემუქრება მეპატრონეს, შემსრულებელი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის (სკ-ის 970-ე მუხლი).
- სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სხვა პირთა მიმართ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დარღვევის შემთხვევაში, დადგება სახელმწიფოსა და მოსამსახურის სოლიდარული პასუხისმგებლობა (1005-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები).

გარდა აღნიშნულისა, ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება უხეში გაუფრთხილებლობით ვალდებულების დარღვევის დროსაც მოხდეს პასუხისმგებლობის გამორიცხვა. ეს გამომდინარეობს სკ-ის 395-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსიდან, რომლის თანახმადაც, დაუშვებელია მხარეთა წინასწარი შეთანხმება მოვალის მიერ განზრახვი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისაგან მისი გათავისუფლების შესახებ.

- ხელშეკრულებით შეიძლება გამოირიცხოს ან შეიზღუდოს გამყიდველის პასუხისმგებლობა ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას, თუ გამყიდველი გაუფრთხილებლად მოქმედებდა (სკ-ის 497-ე მუხლი). ასეთივე წესი მოქმედებს ქირავნობის დროსაც (სკ-ის 539-ე მუხლი).
- მჩუქებელი პასუხს აგებს მხოლოდ მაშინ, თუ მის მიერ გაჩუქებული ნივთის ნაკლის ბოროტი განზრახვით დამალვას მოჰყვება დასაჩუქრებელისათვის ზიანის მიყენება (სკ-ის 527-ე მუხლი).
- თუ გამნათხოვრებელი შეგნებულად არ უმხელს მონათხოვრეს უფლების ხარვეზს ან ნათხოვარი ნივთის ნაკლს, მაშინ იგი ვალდებულია, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი (სკ-ის 617-ე მუხლი).
- თუ ხელმყოფმა განზრახ არ გაითვალისწინა სხვა პირის უფლებამოსილება, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია, მოითხოვოს ის მოგება, რომელიც აღემატება ქონებრივ დანაკლისს (სკ-ის 985-ე მუხლის ნაწილი პირველი).

ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპებზე სრული წარმოდგენა რომ შეგვექმნას, აუცილებელია, შევეხოთ ორ გარემოებას. ესაა შემთხვევა (კაზუსი) და დაუძლეველი ძალა სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში.

მითითებული გარემოებები თითქმის ყოველთვის ათავისუფლებს სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტს პასუხისმგებლობისაგან.

შემთხვევა – ეს ისეთი გარემოებაა, რომლის წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი გარემოება არც ერთ შემთხვევაში არ შევა

მხარეთა რისკის სფეროში. შემთხვევითობა გამოირიცხავს პასუხისმგებლობას, თუმცა, ეს არ შეეხება მოვალის პასუხისმგებლობას ვადის გადაცილებისას.

სკ-ის 402-ე მუხლის მიხედვით, მოვალე ვადის გადაცილების დროს პასუხს აგებს შემთხვევითობისთვისაც, თუ არ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლება დამდგარიყო ვალდებულების დროული შესრულების დროსაც.

დაუძლეველი ძალა – განსაკუთრებული და, მოცემულ პირობებში, აუცდენელი (გადაულახავი) გარემოებაა. დაუძლეველი ძალისა და შემთხვევითობის ურთიერთმიმართება ასეთია: თუ შემთხვევითობა სუბიექტური გადაულახავობაა, დაუძლეველი ძალა ობიექტური გადაულახავობაა.

როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში დაუძლეველ ძალას მიეკუთვნება ბუნებრივი მოვლენები (მინისძვრა, ქარიშხალი, წყალდიდობა, შტორმი, ზვავი და ა.შ.) და საზოგადოებრივი მოვლენები (ომი, გაფიცვა, აღმასრულებელი ხელისუფლების მორატორიუმი და ა.შ.). ამასთან, იმისათვის, რომ გარემოება ნამდვილად ჩაითვალოს ვალდებულების შესრულების დამაბრკოლებელ გარემოებად, მას ყოველთვის უნდა ახასიათებდეს ორი ნიშანი: **განსაკუთრებულობა და გადაულახავობა**.

ამიტომაც, დაუძლეველი ძალის ცნებას განსაზღვრული ფარდობითობა (პირობითობა) ახასიათებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ვალდებულების შესრულებისას სხვადასხვა პირობების არსებობა უთუოდ გავლენას მოახდენს დაუძლეველი ძალის გამოყენებაზე. ერთი და იგივე გარემოება ერთ შემთხვევაში შეიძლება ასეთად იქნეს მიჩნეული, ხოლო მეორე შემთხვევაში ჩვეულებრივ მოვლენად იქნეს განხილული.

მაგალითად, თუ გემი მოსალოდნელი შტორმის შესახებ გაფრთხილებისას ნაპირიდან საკმაოდ შორს, შუა ზღვაშია და ხომალდის მფლობელს სათანადო მანევრების ჩასატარებლად საკმაოდ დრო არ გააჩნია, რათა თავი შეაფაროს უახლოეს პორტს, საქმე სწორედ დაუძლეველ ძალასთან გვექნება, მაგრამ თუ გემი მოსალოდნელი შტორმის შესახებ შეტყობინების მიღებისას ნაპირთან ახლოსაა და მისმა მფლობელმა დროულად არ მიიღო სათანადო ზომები გემის პორტში შესაყვანად, მაშინ შტორმი მისთვის დაუძლეველ ძალად არ ჩაითვლება.

თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით საავიაციო ტრანსპორტის ექსპლუატაციის შედეგად ან ელექტროგადამცემი ხაზების ავარიით, ანდა ნავთობის, გაზის, წყლის ან ნავთობპროდუქტების მომწოდებელი მონოპოლიზაციის დაზიანებებით, მაშინ არ გამოირიცხება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება (სკ-ის 999-ე და 1000-ე მუხლის მესამე ნაწილები).

პირის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას კანონმდებელი გამონაკლისის სახით დასაშვებად მიიჩნევს, როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევისათვის.

სახელშეკრულებო ურთიერთობებში, როგორც უკვე იყო აღნიშნული, **ბრალის გარეშე** პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია ვადის გადაცილებისათვის.

კრედიტორი ვადის გადაცილებისას ბრალის მიუხედავად, ვალდებულია, აუნაზღაუროს მოვალეს საგნის შენახვის გამო ზედმეტად წარმოშობილი ხარჯები, ასევე, მას ეკისრება ნივთის შემთხვევითი დაღუპვის რისკი; გარდა ამისა, იგი კარგავს პროცენტის მიღების უფლებას (სკ-ის 393-ე მუხლი).

სხვა შემთხვევები:

- თუ შესრულების საგანია გვაროვნული ნივთი, რომლის შეცვლაც შეიძლება, მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს (382).
- მყიდველს, გამყიდველის ბრალის მიუხედავად, შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე (თუ უფრო მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგს, მაგალითად, ზიანის ანაზღაურებას არ ითხოვს) ნივთის ნაკლის გამო (სკ-ის 491-ე მუხლი).
- მარნმუნებელი მოვალეა, ანაზღაუროს მისი ბრალის გარეშე დამდგარი ზიანიც, რომელიც წარმოეშვა რწმუნებულს დავალეული მოქმედების შესრულებისას, თუ ზიანი დადგა დავალეული მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საფრთხის შედეგად მარნმუნებლის მითითების გამო (სკ-ის 718-ე მუხლი).

ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შედარებით მეტი შემთხვევებია არასახელშეკრულებო სამართალში; ასეთი ვითარება იმით აიხსნება, რომ ზიანის მიყენების წყაროა მომეტებული საფრთხის შემცველი საგანი, რომლის მფლობელი ვალდებულია, ანაზღაუროს „საშიშ“ ობიექტთან თუ მოქმედებასთან დაკავშირებული ზიანი (უმეტეს შემთხვევაში, იგი კანონითაა ვალდებული, დააზღვიოს მესამე პირები ასეთი ზიანისაგან.)

ბრალის მიუხედავად, ანაზღაურებას ექვემდებარება:

- უკიდურესი აუცილებლობის დროს მიყენებული ზიანი, თუ მიყენებული ზიანი აცდენილ ზიანზე მნიშვნელოვანია (სკ-ის 117).
- პირის მიერ მცდარი ვარაუდით 118-ე მუხლში გათვალისწინებული მოქმედების განხორციელების დროს მიყენებული ზიანი (120).
- სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის შედეგად მიყენებული ზიანი (მუხლი 999).
- ნაგებობიდან გამომდინარე, მომეტებული საფრთხით გამონვეული ზიანი (მუხლი 1000).
- რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდადების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელი ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ (1005-ე მუხლის მესამე ნაწილი).
- თუ ზიანი მიყენებულია შენობიდან საგნის გადაგებით, გადავარდნით ან გადაღვრით, პასუხს აგებს პირი, რომელსაც დაკავებული აქვს სადგომი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანი დადგა დაუძლეველი ძალის მოქმედებით ან დაზარალებულის ბრალით (1004-ე ნაწილი მეორე).

5. ხელშეკრულებიდან გასვლა (მოშლა) და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები

სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და მართლწესრიგი უთუოდ გულისხმობს უმთავრესი პრინციპის – ვალდებულების შესრულებაზე ცალმხრივად უარის თქმის დაუშვებლობა და ვალდებულების რეალური შესრულება – განუხრელ დაცვას.

მაგრამ ამ პრინციპის დაცვა ყოველთვის არ არის შესაძლებელი და ამის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს.

ზოგჯერ მონაწილეები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ არღვევენ ხელშეკრულების პირობებს, იძულებული ხდებიან, ობიექტური ვითარების გამო, უარი თქვან ხელშეკრულებაზე (მაგალითად, სკ-ის 398-399 მუხლები).

შესაძლებელია ერთ-ერთმა მხარემ მნიშვნელოვნად დაარღვიოს ვალდებულება, რომელიც მეორე მხარეს მიანიჭებს უფლებას, უარი თქვას ხელშეკრულებაზე. კანონმდებელი მიიჩნევს, რომ ასეთი უარი დასაშვებია მხოლოდ კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას, კრედიტორი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურებაც, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით.

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება აღმჭურველი უფლებაა და განსხვავებით მოთხოვნის უფლებებისაგან, მასზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა.

გასვლა ცალმხრივი ნების გამოვლენაა (მეორე მხარის თანხმობა საჭირო არაა), რომელიც შეიძლება ზიანის მომტანი იყოს არა მარტო ხელშეკრულების მონაწილესათვის, არამედ მესამე პირებისთვისაც და ამიტომაც, გასვლის დროს ამ უკანასკნელთა უფლებები მკაცრად უნდა იყოს დაცული.

ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი საფუძვლები მოცემულია სკ-ის 352-ე – 360-ე, 405-ე მუხლებში.

მონაწილეებს შეუძლიათ, გამოიყენონ ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების პრინციპი და თვითონაც განსაზღვრონ ხელშეკრულებიდან გასვლის პირობები. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო პრაქტიკიდან ასეთი შემთხვევა შეიძლება მოვიყვანოთ:

2000 წლის 22 ივნისს შპს „იასონსა“ და საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოებას შორის ერთი წლით გაფორმდა სალიცენზიო ხელშეკრულება №5/7, რომლითაც შპს „იასონმა“ იკისრა ვალდებულება, საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოების ანგარიშზე ყოველთვიურად ჩაერიცხა საავტორო ჰონორარი 80 ლარი. 2000 წლის 5 აგვისტოს შპს „იასონმა“ წერილით აცნობა ხელშეკრულების მეორე მხარეს იმის თაობაზე, რომ პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით წყვეტდა სალიცენზიო შეთანხმების შესრულებას.

2001 წლის 22 ნოემბრიდან შპს „იასონმა“ განაახლა მუშაობა, თუმცა, ფინანსური ვალდებულებები საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოების წინაშე არ შეუსრულებია. ხელშეკრულების თანახმად, მხარეებს შეთანხმებული

ჰქონდათ პირგასამტეხლო ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 1%-ის ოდენობით.

მხარეებს ასევე შეთანხმებული (ხელშეკრულების 7.2. პუნქტი) ჰქონდათ ხელშეკრულების მოშლის (უარის) და შეცვლის პირობებიც. მისი მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდებოდა კიდევ ერთი წლით, ვიდრე ერთ-ერთი მხარე წერილობითი ფორმით არ შეატყობინებდა მეორე მხარეს შეთანხმების მოშლის შესახებ, მაგრამ არაუგვიანეს 30 დღისა იმ თარიღიდან, რომლიდანაც შეთანხმება ექვემდებარებოდა მოშლას.

მოსარჩელე საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოება მოითხოვდა მოპასუხესაგან სახელშეკრულებო ძირითადი თანხისა და პირგასამტეხლოს გადახდას.

პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და შპს „იასონს“ დააკისრა გადასახდელად 6 602 ლარი. მოპასუხე არ დაეთანხმა სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდა 2001 წლის 22 ნოემბრიდან, იგი მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ 2000 წლის 5 აგვისტოს წერილით მხარეთა შორის ურთიერთობა შეწყვეტილი იყო და, შესაბამისად, მას არ ეკისრებოდა თანხის გადახდის ვალდებულება.

საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოპასუხეს საჩივარი, გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომელშიც აღნიშნა: „სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი უბრუნდება მხარეებს... პალატა თვლის, რომ შპს „იასონის“ 2000 წლის 2 აგვისტოს წერილი არის ხელშეკრულების მოშლის, ხელშეკრულებიდან გასვლის წინადადება; ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლები და მოტივები შეიძლება განისაზღვროს როგორც კანონით, ისე ხელშეკრულებით, ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი საფუძვლები განსაზღვრულია სკ-ის 352-ე, 405-ე მუხლებით. ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, კანონით გათვალისწინებული პირობების გარდა, ხელშეკრულების მხარეებს უფლება აქვთ, თვითონაც განსაზღვრონ ხელშეკრულებიდან გასვლის პირობები. მოვალეს, ისევე როგორც კრედიტორს, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუკი მას, მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება...“

მხარეებმა გამოიყენეს ხელშეკრულებიდან გასვლის წესის განსაზღვრის უფლება და ხელშეკრულების მე-2 და მე-3 მუხლებში შეთანხმდნენ სალიცენზიო შეთანხმების მოშლის ან შეცვლის პირობებზე... მოპასუხეს მიერ გაგზავნილი შეტყობინება ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ მხარეს მიუვიდა და მას რაიმე პრეტენზია არ გამოუთქვამს...

შეთანხმება ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ არის მხარეთა გარიგება და მასზე ვრცელდება ზოგადად ხელშეკრულების დადების წესები. მოპასუხეს მიერ გაკეთებულ ოფერტზე (ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ) მოპასუხეს დუმილი უნდა ჩაითვალოს აქცეპტად სამოქალაქო კოდექსის 335-ე მუხლის შესაბამისად... ვინაიდან მოსარჩელეს ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ ეცნობა 2000 წლის 7 აგვისტოს, ხელშეკრულება დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს ხელშეკრულებით განსაზღვრული 30 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, 7 სექტემბერს“ (იხ. საქმე

№ას-760-1396-03 უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, ბიულეტენი №3, გვ. 614, 2004 წელი).

ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის კანონისმიერი წინაპირობებია:

- ხელშეკრულების ნამდვილობა (უნდა აკმაყოფილებდეს გარიგების ნამდვილობის ზოგად პირობებს).
- ზოგადი წესის მიხედვით, მოვალის მხრიდან ხელშეკრულების მნიშვნელოვანი (არსებითი) დარღვევა (არსებითი ხასიათისაა დარღვევა, თუ მოვალის მხრიდან ძირითადი ვალდებულების დარღვევის გამო, ფაქტობრივი შესრულების დანიშნულებისამებრ გამოყენება შეუძლებელი ხდება ან იკარგება მომავალში მისი შესრულების იმედი, ანდა კრედიტორს ეკარგება შესრულების ინტერესი და ა.შ.).
- ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ განცხადების გაკეთებით მონაწილე მთლიანად გადის ხელშეკრულებიდან, რადგანაც კანონით დაუშვებელია ხელშეკრულებიდან ნაწილობრივი გასვლა.
- მიუხედავად ვალდებულების მნიშვნელოვანი დარღვევისა, მოვალეს არ შეუძლია, კრედიტორს მოსთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება.
- ვალდებულების დარღვევისათვის მთლიანად და უმთავრესად კრედიტორი არ არის პასუხისმგებელი (მაგ. თუ ორმხრივ ხელშეკრულებაში მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევა განაპირობა კრედიტორის მხრიდან საპასუხო მოქმედების განუხორციელებლობამ, მუხლი 369).
- მოთხოვნას არ უპირისპირდება მოვალის შესაგებელი, რომელიც უკვე წარდგენილია ან წარდგენილი იქნება დაუყოვნებლივ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგ (მაგ. შესაგებელი ხანდაზმულობაზე ან ვალის გაქვითვაზე).
- სახეზეა კრედიტორის მიერ შესრულებული იურიდიული მოქმედება – ხელშეკრულებიდან გასვლისათვის მიცემული გონივრული ვადა, თუ ხელშეკრულებით ასეთი ვადა არ ყოფილა დადგენილი – ანდა, თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება ვადა – გაფრთხილება.

ამ ზოგადი წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობიდან გასვლა, რომელიც დასაშვებია ვალდებულების დარღვევის გარეშეც პატივსაღები საფუძვლის არსებობისას (პატივსაღებია საფუძველი, როცა ხელშეკრულების მომშლელ მხარეს კონკრეტული ვითარების, მათ შორის, დაუძლეველი ძალისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება).

ხელშეკრულებიდან გასვლა მონაწილეთა შორის ახალი ვალდებულების წარმოშობის საფუძველია: ხელშეკრულების შესრულების შედეგად მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ (ორმხრივი რესტიტუცია).

პრაქტიკაში გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული ხელშეკრულებიდან გასვლის, ხელშეკრულებაზე უარის თქმის, ხელშეკრულების მოშლის,

ხელშეკრულების გაუქმებისა და ხელშეკრულების შეწყვეტის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეები ხშირად არასწორად იყენებენ ამ ცნებებს მათი მკაფიო გაუმიჯნაობის გამო.

ხელშეკრულებიდან გასვლა და უარი ხელშეკრულებაზე, როგორც წესი, ერთსა და იმავე სამართლებრივ შედეგებს იწვევს; ამ დროს ორმხრივ რესტიტუციას აქვს ადგილი, მხარეები ახდენენ ხელშეკრულების დადებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას.

ამასთან, თუ გრძელვადიან ურთიერთობაზე მხარე პატივსაღები მიზეზის გამო ამბობს უარს, მაშინ სახეზე გვექნება ხელშეკრულების მოშლა (შეწყვეტა) და არა გასვლა, რაც იმას ნიშნავს, რომ მანამდე განხორციელებული შესრულება ძალაში დარჩება.

ხელშეკრულებიდან გასვლა თავისი სამართლებრივი შედეგებით ემსგავსება უსაფუძვლო გამდიდრებას (976-ე და 979-ე მუხლები), რადგანაც, ორივე შემთხვევაში, ადგილი აქვს გარიგებით მიღებულის დაბრუნებას, თუმცა, ეს ორი ინსტიტუტი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან: გასვლის დროს გარიგება ნამდვილია, ხოლო უსაფუძვლო გამდიდრების დროს – არანამდვილი, ბათილი. გარდა ამისა, გასვლის დროს პასუხისმგებლობის განსაზღვრისას მოვალეს შეიძლება დაეკისროს ზიანის ანაზღაურებაც (სკ-ის 407-ე მუხლი), რასაც, როგორც წესი, უსაფუძვლო გამდიდრებისას ადგილი არ აქვს.

სასამართლო პრაქტიკაში ამ ორი ინსტიტუტის მსგავსება ზოგჯერ განაპირობებს ცნებების აღრევას და დავის მოსაწესრიგებლად ორივე მათგანის ნორმების გამოყენებას. **მაგალითად, საქმეზე №ას-222-521-04** საკასაციო ინსტანციამ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის, ისე უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმები.

შპს „კავუნიტექსსა“ და თ.მუხურაძეს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, კომპანია ამ უკანასკნელს მშენებარე სახლში საკუთრებაში გადასცემდა ოთხოთახიან ბინას 2001 წლამდე, სანაცვლოდ ეს უკანასკნელი ჩააბარებდა კომპანიას თავის კუთვნილ ოთახნახევრიან ბინას, რითაც მას გადახდილად ჩათვლებოდა ასაშენებელი ბინის ღირებულება. მან კომპანიის მითითებით თავის კუთვნილ ბინაზე საკუთრების უფლება გადასცა ვინმე მ.ჯავახიშვილს, რომლის მეუღლემ სამშენებლო მასალები მიანოდა „კავუნიტექსს“ და ამ მასალის სანაცვლოდ გადაეცა მას მუხურაძის კუთვნილი ბინა.

კომპანიამ დათქმულ ვადაში ვერ შეძლო მუხურაძისათვის ბინის აშენება. მხარეებმა დადეს ახალი შეთანხმება, რომლის თანახმადაც, მუხურაძეს კომპანია გადასცემდა ხუთოთახიან ბინას 2001 წლის ბოლომდე. არც ეს შეთანხმება შეასრულა კომპანიამ. მუხურაძემ სარჩელით უარი თქვა „კავუნიტექსთან“ და ჯავახიშვილთან დადებულ ხელშეკრულებებზე და მოითხოვა თავისი ბინის დაბრუნება.

კომპანია დაეთანხმა ხელშეკრულებიდან გასვლაზე მოსარჩელეს, ხოლო ჯავახიშვილმა სარჩელი არ ცნო. მან მიუთითა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება ნამდვილია და არ არსებობდა მისი მოშლის საფუძველი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიიჩნია სკ-ის 56-ე მუხლის მეორე ნაწილი, 352-ე და 405-ე მუხლის პირველი ნაწილები.

სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებმა გაიზიარეს პირველი ინსტანციის მოსაზრებები. საკასაციო პალატამ აღნიშნა შემდეგი: „ნასყიდობის ხელშეკრულება შეწყვეტილია, რადგან მყიდველი ღირებულებას არ იხდის, ხოლო გამყიდველი, სკ-ის 352-ე მუხლის საფუძველზე, ითხოვს გადაცემული ნივთის დაბრუნებას. მითითებული ნორმით, ხელშეკრულებაზე უარის თქმას შედეგად უნდა მოჰყვეს ქონების ნატურით დაბრუნება (რესტიტუცია).“ ამ საკითხს მთლიანად არეგულირებს სკ-ის 352-360-ე მუხლები.

მიუხედავად ამისა, საკასაციო ინსტანცია უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებსაც იშველიებს და აგროძელებს:

„სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილით, მიმღებს – ვითომ-კრედიტორს, კონდიციური ვალდებულებიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობა ეკისრება, დააბრუნოს ის, რაც უსაფუძვლოდ მიიღო... ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებების შეწყვეტის შემთხვევაში, გარდა ზემოაღნიშნული ნორმებისა, მოთხოვნის საფუძველად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ასევე სკ-ის 989-ე მუხლიც, რადგან ვითომ-კრედიტორისათვის ან მისი მითითებით სხვისთვის რაიმეს გადაცემისას კანონი ითვალისწინებს გადაცემულის უკან დაბრუნებას“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბიულეტენი გადანყვეტილებანი სამოქალაქო, სამენარმო და გაცოტრების საქმეებზე 2004 წელი, №6 გვ. 1352-1355).

ამ სახის დავებზე მიღებული გადანყვეტილებები სასამართლო პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია.

ზემოაღნიშნული სამშენებლო კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, სხვა ფიზიკური პირების სარჩელებზე მიღებული გადანყვეტილებები, მიუხედავად ფაქტობრივი გარემოებების მსგავსებისა, სამართლებრივად არაერთგვაროვან დასაბუთებას შეიცავენ.

მაგალითად, ნ. ჭელიძემ იმავე სქემით გადასცა საკუთრების უფლება ვინმე ა. ზუბაშვილს კომპანია „კავუნიტექსის“ მითითებით. საკასაციო ინსტანციამ არ დააკმაყოფილა ჭელიძის მოთხოვნა ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და გადაცემულის დაბრუნების თაობაზე და მიუთითა შემდეგი: „გარიგების მიზნის შეუსრულებლობა არ შეიძლება გახდეს გარიგების ბათილობის საფუძველი... სკ-ის 373-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ ვალდებულების შესრულება მიიღო იმ პირმა, რომელიც არ იყო უფლებამოსილი, ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად, მაშინ, როცა კრედიტორმა მისცა ამის თანხმობა ან ამ შესრულებისაგან მიიღო სარგებელი. დ.ჭელიძემ შპს „კავუნიტექსის“ თანხმობით, ა. ზუბაშვილის მიმართ ვალდებულების შესრულებით მიიღო სარგებელი, რითაც მან კომპანიასთან ნაკისრი ვალდებულება შეასრულა“ (იხ. საქმე №ას-659-1306-03. უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილებანი, 2004 წლის ბიულეტენი №2, გვ.543-547).

ჩემი აზრით, სამართლებრივად ეს უკანასკნელი შემთხვევა უფრო სწორად იქნებოდა დასაბუთებული, თუ სასამართლო გამოიყენებდა სკ-ის 371-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის მიხედვითაც, „თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმა“. სამშენებლო კომპანიის მიერ ვალდებულების დარღვევა არ შეიძლება საფუძველად დაედოს ჭელიძესა და ზუბაშვილს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობას ან ამ ხელშეკრულებიდან გასვლას. ზუბაშვილი არ ყოფილა კომპანიისა და ჭელიძის შორის არსებული სამართლებრივი ურთიერ-

თობის მონაწილე და, შესაბამისად, მან არ შეიძლება პასუხი აგოს „კავუნტიექსის“ მოქმედებისათვის. ჭელიძეს სამშენებლო კომპანიისაგან უნდა მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება, რადგანაც პირველადი მოთხოვნა (შესრულების შესახებ) ამ შემთხვევაში წარუმატებელი იქნებოდა.

ხელშეკრულების მოშლა და ხელშეკრულების შეწყვეტა, უმეტეს შემთხვევაში, ერთსა და იმავე სამართლებრივ შედეგებთანაა დაკავშირებული. მონაწილეთა შორის არსებული ურთიერთობა მომავალი დროისათვის წყვეტს თავის არსებობას.

როგორც ხელშეკრულებაზე უარის (გასვლის), ისე მოშლის (შენწყვეტის) დროს, მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა (უფლება-მოვალეობები) ჯერ კიდევ ძალაშია.

რაც შეეხება ხელშეკრულების გაუქმებას, ამ შემთხვევაში მონაწილეთა შორის ურთიერთობა დასრულებულია და გაუქმების მოთხოვნის წარდგენას ადგილი აქვს მომავალში განსაზღვრული პირობების დადგომის გამო.

მაგალითად, სკ 529-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩინებს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.

ხელშეკრულებიდან გასვლისა და შეწყვეტის შემთხვევების არასრული ჩამონათვალი, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ასეთია:

- **ხელშეკრულების ყოველ მხარეს** შეუძლია, უარი თქვას თავისი ვალდებულების შესრულებაზე, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მეორე მხარე თავის მოვალეობათა მნიშვნელოვან ნაწილს არ შეასრულებს (სკ-ის 484-ე მუხლი). ამ შემთხვევაში, კანონმდებელს მხედველობაში აქვს რეალური და არა მოჩვენებითი საშიშროება.
- **მყიდველს** შეუძლია, ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა (სკ-ის 491-ე მუხლი).
- თუ **გამყიდველი** იტოვებს უფლებას, უარი თქვას ხელშეკრულებაზე იმ შემთხვევებისათვის, როცა მყიდველი არ ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებებს, უარის თქმისას ყოველი მხარე ვალდებულია, დაუბრუნოს ერთმანეთს ის, რაც ხელშეკრულებით მიიღეს (სკ-ის 508 მუხლი).
- თუ დაქირავებული ნივთი მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცემა დამქირავებელს დაგვიანებით ან, თუ შემდგომში მას წაერთვა სარგებლობის უფლება, მაშინ **დამქირავებელს** შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე იმ ვადის დაცვის გარეშე, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების მოშლისათვის. მაგრამ დამქირავებელს მხოლოდ მაშინ აქვს უარის უფლება, თუ დამქირავებელი ამ უკანასკნელის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ აღკვეთს სარგებლობისათვის ხელშემშლელ გარემოებებს (541 ნაწილი პირველი).
- თუ საცხოვრებელი ან ადამიანთა სამყოფლად გათვალისწინებული სხვა სადგომი ისეთ მდგომარეობაშია, რომ მისი გამოყენება მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას, **დამქირავებელს** შეუძლია, მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება ვადის დაცვის გარეშე. ეს უფლება დამქირავებელს აქვს მაშინაც, თუ ხელშეკრულების დადებისას მან იცოდა

საფრთხის თაობაზე, მაგრამ არ განუცხადებია პრეტენზია (სკ-ის 542-ე მუხლი).

- საცხოვრებელი სადგომის **დამქირავებელი** უფლებამოსილია, ქირავნობის ხელშეკრულება ვადამდე მოშალოს, თუ იგი ერთი თვით ადრე გააფრთხილებს ამის შესახებ გამქირავებელს და შესთავაზებს მას გადახდისუნარიან და მისაღებ დამქირავებელს, რომელიც თანახმაა, ქირავნობის დარჩენილ დროში იყოს დამქირავებელი (სკ-ის 555-ე მუხლი).
- **გამქირავებელს** შეუძლია, ხელშეკრულება მოშალოს (შენწყვიტოს) ვადამდე, თუ დამქირავებელი: თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს ბრალეულად მნიშვნელოვნად არღვევს, არ იხდის ქირას სამი თვის განმავლობაში, ან გამქირავებლის გაფრთხილების მიუხედავად, იგი გამქირავებულ ნივთს მნიშვნელოვნად აზიანებს ან ქმნის ასეთი დაზიანების რეალურ საშიშროებას, ანდა გამქირავებლის მიმართ ჩაიდენს ისეთ მართლსაწინააღმდეგო ან ამორალურ მოქმედებას, რომელიც შეუძლებელს ხდის მათ შორის ურთიერთობის შემდგომ გაგრძელებას (სკ-ის 557-558, 562-ე მუხლები).
- **გამქირავებელს** შეუძლია, მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება დამქირავებლის მხრიდან ვალდებულების მნიშვნელოვანი დარღვევის არარსებობის შემთხვევაშიც, თუ სახეზე იქნება სკ-ის 562-ე მუხლით განსაზღვრული პატივსაღები მიზეზები (გამქირავებელს სადგომი სჭირდება უშუალოდ თვითონ ან ახლო ნათესავებისათვის).
- თუ ქირავნობის საგანს შეადგენს ავეჯით განყოფილი ბინა, მაშინ **გამქირავებელს** ყოველთვის შეუძლია ხელშეკრულების მოშლის ვადის დაცვით მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება (სკ-ის 562-ე ნაწილი 3).
- **გამსესხებელს** უფლება აქვს, დაუყონებლივ (ვადამდე) შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს ვალის დაბრუნება, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად გაუარესდება, რითაც საფრთხე შეექმნება სესხის დაბრუნების მოთხოვნას (სკ-ის 627-ე მუხლი).
- **შემკვეთს** შეუძლია, სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი (სკ-ის 636-ე მუხლი).
- ნაკეთობის ნაკლის გამო, **შემკვეთს** შეუძლია, 405-ე მუხლის მიხედვით, უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ამ შემთხვევაში, იგი ვალდებულია, აუნაზღაუროს შემკვეთს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები (სკ-ის 644-ე მუხლი).
- **ტურისტს** მოგზაურობის დაწყებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე (სკ-ის 665-ე მუხლი).
- თუ მოგზაურობა ხარვეზიანია და მისი მომწყობი არ აღმოფხვრის ამ ხარვეზებს ტურისტის მიერ მითითებულ ვადაში, მაშინ **ამ უკანასკნელს** შეუძლია, შეწყვიტოს ხელშეკრულება (სკ-ის 661-ე მუხლი).
- **დავალბის** ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ (სკ-ის 720-ე მუხლის პირველი ნაწილი).

- **საშუამავლო ხელშეკრულება** შეიძლება ნებისმიერ დროს მოიშალოს რაიმე ვადის დაუცველად, თუკი ხელშეკრულების ვადა არ არის განსაზღვრული (სკ-ის 747-ე მუხლის ნაწილი პირველი).
- თუ **დამზღვევი მზღვეველს** არ მიანდის ინფორმაციას არსებითი გარემოებების შესახებ, ან მიწოდებული ინფორმაცია არასწორი ან არაზუსტია, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე (მუხლები 808-810, 813).
- თუ დამზღვევმა თავის დროზე არ შეიტანა სადაზღვევო შესატანი, **მზღვეველს** შეუძლია, ერთთვისანი გაფრთხილების ვადის დაცვით მოშალოს ხელშეკრულება (სკ-ის 818-ე მუხლი).
- **მზღვეველს** უფლება აქვს, დაზღვეული ქონების გასხვისების შეტყობიდან ერთი თვის ვადაში შეწყვიტოს სადაზღვევო ურთიერთობა შემძენთან. ასეთივე უფლება გააჩნია შემძენსაც (სკ-ის 835-ე მუხლი).
- ზოგადი წესის თანახმად, საბანკო ანგარიშსწორების ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ორივე მხარის მიერ ნებისმიერ დროს. თუმცა, საკრედიტო დაწესებულებას შეუძლია ამ უფლების გამოყენება მხოლოდ ისე, რომ არ დააზარალოს მეორე მხარე – **ანგარიშის მფლობელი** – ამ უკანასკნელმა სხვაგვარად უნდა შეძლოს საანგარიშსწორებო მომსახურების მიღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შეწყვეტისათვის არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი (სკ-ის 864-ე მუხლი).
- **მოვალეს** შეუძლია, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით აღებული სესხი შეწყვეტის სამთვიანი ვადის დაცვით (სკ-ის 871-ე მუხლის მეოთხე ნაწილი).
- **კრედიტის** გამცემს შეუძლია, ორკვირიანი დამატებითი ვადის მიცემით შეწყვიტოს საკრედიტო ურთიერთობა, თუ გათვალისწინებულია კრედიტის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ და კრედიტის ამღებმა გადააცილა ზედიზედ, სულ ცოტა, ორ ვადას (სკ-ის 873-ე მუხლი).
- თუ თავდებობა უვადოა, **თავდებს** შეუძლია, შეწყვიტოს ხელშეკრულება სამთვიანი ვადის დაცვით. ვადიანი თავდებობისას ხუთი წლის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ასევე სამთვიანი ვადის დაცვით (სკ-ის 903-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები).
- თუ არ არის განსაზღვრული **ერთობლივი საქმიანობის** ვადა, მაშინ ყოველ მონაწილეს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან, თუ მისი გასვლა არ დააზარალებს ერთობლივ საქმიანობას. თუ ვადა განსაზღვრულია, მაშინ გასვლა დაიშვება პატივსაღები მიზეზების არსებობისას (სკ-ის 938-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები).
- როგორც **მარჩენალს**, ისე **სარჩენს** შეუძლიათ, უარი თქვან სამისდღეშიორჩენის ხელშეკრულებაზე, თუკი სახელშეკრულებო მოვალეობათა დარღვევის შედეგად მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა, ანდა სხვა არსებითი მიზეზები უკიდურესად აძნელებს ან შეუძლებელს ხდის მის გაგრძელებას (სკ-ის 949-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ნაწილი II

ქართული და ჰოლანდიური ვალდებულებათა სამართლის შედარებითი ანალიზი

ავტორი: მოსამართლე J.H.M. ჰუბ ვილემსი

ამსტერდამის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე
ნიდერლანდების სამენარმეო საქმეთა სასამართლოს თავმჯდომარე

თავი 1

ზოგადი ნაწილი

1. შესავალი

1.1. ამ წიგნში განხილული ვალდებულებათა სამართალი, როგორც საქართველოში, ისე ჰოლანდიაში სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში შედის. ორივე ქვეყნის შემთხვევაში, ვალდებულებათა სამართლის ზოგადი ნაწილი და მისი საერთო სტრუქტურა და პრინციპები მოცემულია სამოქალაქო კოდექსში, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შემთხვევაში – მე-3 წიგნში, ხოლო ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის შემთხვევაში – მე-6, მე-7, მე-7A და მე-8 წიგნებში (შემდგომში საქართველოს სამოქალაქო კოდექსს მოვიხსენიებთ როგორც სსკ-ს, ხოლო ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსს — როგორც ჰსკ-ს).

1.2. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოც და ჰოლანდიაც მიეკუთვნებიან დანერილი სამართლის ქვეყნების ოჯახს, განსხვავებით ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, რომლებიც საერთო სამართლის ქვეყნების ოჯახში შედიან.

1.3. ამ ორ ოჯახს შორის არსებული საკმაოდ დიდი განსხვავებები ერთი შეხედვითაც შესამჩნევია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საერთო სამართლის ქვეყნებში სამართალი გამომდინარეობს საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებებიდან, ხოლო დანერილი სამართლის ქვეყნებში სამართალი, მათ შორის, მაღალი დონის ზოგადი აბსტრაქციული წესები, იპოვება სამოქალაქო კოდექსში და მოსამართლე ამ ზოგად წესებს იყენებს მის წინაშე წარმოდგენილი კონკრეტული საქმეების მიმართ. ამგვარად, საერთო სამართლის ქვეყნებში მოსამართლემ უნდა გამოარკვიოს, რა არის მოქმედი სამართალი, ზოგჯერ კი თავადაც შექმნას იგი და ეს სამართალი გამორკვეული და ჩამოყალიბებული იქნება მხოლოდ მოცემულ საქმესთან მიმართებით. სამართლის ცალკეული სფეროს აუცილებელი კონკრეტიკა იქმნება შესასრულებლად სავალდებულო პრეცედენტის გამოყენებით. დანერილი სამართლის ქვეყნებში კი მოსამართლე კონკრეტული საქმის პასუხს პოულობს სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმაში. საქმეების გადაწყვეტისას მოსამართლის

ინტელექტუალური საქმიანობის გამოსახატავად ხშირად იყენებენ გამოთქმას, რომ საერთო სამართლის მოსამართლე მიმართავს ინდუქციის მეთოდს, ხოლო დაწერილი სამართლის მოსამართლე — დედუქციის მეთოდს.

1.4. სინამდვილეში საქმე ასე იოლადაც არ არის და თუ ყურადღებით დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ, საბოლოო ჯამში, პრაქტიკაში დიდი განსხვავება არაა დაწერილი სამართლის მოსამართლისა და საერთო სამართლის მოსამართლის მიერ საქმის განხილვასა და გადაწყვეტაში, თუ არ ჩავთვლით თეორიულ განსხვავებებს. ამის თვალსაჩინოებისათვის ერთი მარტივი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ. ა არის კარგი მანქანის ამაყი მფლობელი, მაგრამ მას სასწრაფოდ სჭირდება ფული. ამგვარად, მან გადაწყვიტა, გაყიდოს მანქანა. აღნიშნული მიზნით, მან მისწერა ბ-ს წერილი 2006 წლის 11 ივნისს, რომელშიც იგი სთავაზობს ბ-ს, რომ ამ უკანასკნელმა იყიდოს მისი მანქანა 10 000 ლარად. ბ-მ წერილი მიიღო 2006 წლის 12 ივნისს. ბ-მ, რომელმაც არ იცოდა ა-ს განზრახვა მანქანის გაყიდვის შესახებ, მაგრამ დიდი ხანია სურდა, ჰქონოდა ა-ს მფლობელობაში არსებულის მსგავსი მანქანა, მისწერა ა-ს წერილი 2006 წლის 11 ივნისს, რომელშიც შესთავაზა, რომ იგი ა-სგან შეიძენდა მანქანას 10 000 ლარად. ა-მ ბ-ს წერილი მიიღო 2006 წლის 12 ივნისს. ა-მ, მიიღო რა ბ-ს წერილი და ნანობს რა თავის გადაწყვეტილებას, რომ 2006 წლის 11 ივნისის წერილით მას შესთავაზა მანქანის მიყიდვა, დაუყოვნებლივ დაურეკა ბ-ს და უთხრა, რომ იგი აღარ ყიდის მანქანას და იგი უკან იხმობს ბ-სთვის გაკეთებულ ოფერტს. ბ-ს აზრით, ა-ს მიერ ოფერტის უკან გამოხმობას ძალა არ აქვს და რადგან, ერთი მხრივ, ა-მ 2006 წლის 11 ივნისის წერილით გააკეთა ოფერტი მისი კუთვნილი ავტომობილის გაყიდვაზე და, მეორე მხრივ, ბ-მ იმავე თარიღის წერილით გააკეთა ოფერტი მანქანის ყიდვაზე და ვინაიდან ორივე წერილში, შემთხვევით, ერთი და იგივე ფასი იყო მითითებული, ა ვალდებულია, მიჰყიდოს მანქანა ბ-ს.

1.5. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, სულ ცოტა, ორი შეკითხვა ჩნდება. პირველი, დადებულია თუ არა ხელშეკრულება და მეორე – თუკი დადებულია, შეუძლია თუ არა ბ-ს მოითხოვოს ა-სგან კონკრეტული შესრულება, ანუ ვალდებულია თუ არა ა, მიჰყიდოს ბ-ს მანქანა.

1.6. ზემოთ ხსენებული თეორიული თვალსაზრისით, დაწერილი სამართლის ქვეყნის მოსამართლე კითხვაზე პასუხს სამოქალაქო კოდექსში იპოვის, ხოლო საერთო სამართლის ქვეყნის მოსამართლეს მოუწევს გონივრული მსჯელობის საფუძველზე გადაწყვეტილების გამოტანა, ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე მითითებით.

1.7. ალბათ გასაგებია, რომ არც ქართულ და არც ჰოლანდიურ სამოქალაქო კოდექსში მოსამართლე იოლ პასუხს ვერ იპოვის. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ორივე ქვეყანაში კოდექსი მოსამართლეს დიდად ვერ ეხმარება ამ საქმის გადაწყვეტაში და მან თვითონ უნდა გამოძებნოს ლოგიკური და დასაბუთებული გადაწყვეტა.

1.8. სსკ-ს 327-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „**ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით**“, ხოლო 329-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „**ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება (ოფერტი) ითვლება შეთავაზებულად, თუ ამ წინადადებაში, რომელიც მიმართულია ერთი ან რამდენიმე პირისადმი, გამოსატყლია, რომ წინადადების მიმცემი (ოფე-**

რენტი), თანხმობის (აქცეპტის) შემთხვევაში, მზადაა, შეასრულოს თავისი ნი-ნადადება“. ჰსკ-ს 6:213 მუხლის მიხედვით: „ამ თავის მიზნებისთვის, ხელშეკრუ-ლება ნიშნავს მრავალმხრივ (იურიდიულ) მოქმედებას, როდესაც ერთი ან მეტი მხარე ვალდებულებას იღებს ერთი ან მეტი მხარის მიმართ“, ხოლო 6:217 მუხლის მიხედვით: „ხელშეკრულებას ქმნის ოფერტი და მისი აქცეპტი“.

1.9. ამ შემთხვევაში ნათელია, რომ 2006 წლის 11 ივნისს ორივე მხარეს ჰქონდა ისეთი განზრახვები, რომლებიც ერთმანეთთან სრულ თანხვედრაში იყო: ა-ს სურდა, ბ-სთვის მიეყიდა თავისი მანქანა 10 000 ლარად, ხოლო ბ-ს სურდა, იგივე მანქანა ეყიდა ა-სგან ასევე 10 000 ლარად. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ მხარეები ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ სსკ-ს 327-ე მუხლის პირველი პუნ-ქტის გაგებით, რაც ნიშნავს იმას, რომ ხელშეკრულება დადებულად ითვლება. მა-გრამ, ადვოკატი, ალბათ, იდავებდა, რომ საქმე ასე იოლად არ არის და იმისათვის, რომ ხელშეკრულება დადებულად ჩაითვალოს, საჭიროა არა მარტო მის არსებით პირობებზე შეთანხმება, არამედ ისიც, რომ ეს ხელშეკრულება არ იყოს შემთხ-ვევითი შედეგი, არამედ ნარმოადგენდეს ოფერტს და ამ კონკრეტულ ოფერტზე გაკეთებულ გააზრებულ აქცეპტს, რაზეც ლაპარაკია ჰსკ-ს 6:217 მუხლში. ახლა კი უკვე მოსამართლის გადასაწყვეტია, რომელი მოსაზრებაა უპირატესი და, მო-ცემულ შემთხვევაში, ა-ს და ბ-ს წერილები უნდა ჩაითვალოს თუ არა ოფერტად, რომელიც უნდა იყოს ან არ იყოს აქცეპტირებული ბ-ს მიერ ა-სთან მიმართებით.

1.10. თუ ვივარაუდებთ, და ალბათ ასე მოხდებოდა მოცემულ შემთხვევაში, რომ მოსამართლე მეორე მოსაზრებას მიიჩნევდა სამართლებრივად სწორად, ეს მაინც არ ნიშნავს, რომ მან გამოიტანა გადაწყვეტილება პირველ შეკითხვასთან დაკავ-შირებით. შეკითხვა შეიძლება ასეც დაისვას: ჩაითვალოს თუ არა ა-ს მიერ 2006 წლის 12 ივნისს ბ-ს წერილის მიღება ა-ს მიერ ბ-სთვის გაკეთებული ოფერტის აქცეპტად. დადებითი პასუხის შემთხვევაში, ხელშეკრულება დადებულად ჩაით-ვლება და ა-ს სატელეფონო ზარს იურიდიული შედეგი არ ექნება.

1.11. მაგრამ თუ აღნიშნულ შეკითხვაზე უარყოფით პასუხს გავცემთ, მაშინ საქ-მისთვის გადაწყვეტა ჯერ არ მოგვიძებნია. ამ შემთხვევაში, შემდეგი შეკითხვა ასეთია: ა-ს კანონით შეუძლია თუ არა მის მიერ გაკეთებული ოფერტის გამოხ-მობა, როგორც ფაქტობრივად მოიქცა კიდეც. ამ საკითხს გარკვეულწილად არე-გულირებს სსკ-ის 331-ე მუხლი: „თუ ოფერენტმა აქცეპტისათვის განსაზღვრა ვადა, მაშინ აქცეპტი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ ვადაში.“ მართა-ლია, ეს ნორმა შედარებით სიტყვამნირია, იგი მაინც გულისხმობს, რომ ოფერენტს არ შეუძლია ოფერტის გამოხმობა მანამ, სანამ აქცეპტისთვის განსაზღვრული ვადა არ ამოიწურება. ეს მუხლი და სსკ-ის არც ერთი სხვა მუხლი არ განსაზღ-ვრავს, შეუძლია თუ არა ოფერენტს ოფერტის გამოხმობა ნებისმიერ დროს, თუ აქცეპტისთვის ვადა არ ყოფილა განსაზღვრული. ლოგიკურად, შეიძლება ვამტ-კიცოთ, რომ ოფერტის გამკეთებელს ამ ოფერტის გამოხმობის უფლება არ აქვს გონივრული პერიოდის განმავლობაში. მოცემულ შემთხვევაში, ეს ნიშნავს, რომ ხელშეკრულება დადებულად ითვლება ა-სა და ბ-ს სატელეფონო საუბრისას, რადგან ამკარაა, რომ ბ თანახმაა ა-ს ოფერტზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თუ მოსამართლე ასეთ გადაწყვეტილებას გამოიტანს, მას სხვა გადაწყვეტილებაც გა-მოაქვს, რაც შეიძლება სადავოც იყოს, რომ ბ-ს განცხადება, რომ ა-ს მიერ ოფერ-ტის გამოხმობას იურიდიული ძალა არ აქვს, კანონით ნიშნავს აქცეპტს, თუმცა, ეს სიტყვა საერთოდ არ ყოფილა ნახსენები. ეს ასევე არის მოსამართლის გადაწყვე-ტილება და პასუხი, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექ-სის ნორმებიდან.

1.12. ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არეგულირებს საკითხს, შეუძლია თუ არა ოფერენტს ოფერტის გამოსმობა, თუ აქცეპტისთვის ვადა არ ყოფილა განსაზღვრული. ჰსკ-ს მუხლი 6:219 ადგენს: „ოფერტი შეიძლება გამოსმობილი იქნეს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ განსაზღვრულია მისი აქცეპტირების ვადა ან მისი არგამოსმობა სხვაგვარად გამომდინარეობს.“ თუმცა, აქვე დავამატებ, რომ შეკითხვები მაინც ჩნდება. ანუ, მაინც გაუგებარია, რა ნიშნავს „მისი არგამოსმობა სხვაგვარად გამომდინარეობს“.

1.13. რაც შეეხება მეორე კითხვას მოცემულ მაგალითთან მიმართებით, კერძოდ, შეუძლია თუ არა ბ-ს, მოითხოვოს ა-სგან კონკრეტული შესრულება, თუ ხელშეკრულება დადებულია — აქაც სხვადასხვა პასუხის გაცემა შეიძლება. ძველ რომაულ სამართალში პასუხი ნათელი იყო: ერთადერთი დაცვის საშუალება ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში იყო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. ჰოლანდიური სამართლის მიხედვით, რომელიც 1992 წლამდე — ამ წელს ამჟამინდელი სამოქალაქო კოდექსი შევიდა ძალაში — აღნიშნული საკითხის მარეგულირებელ საკანონმდებლო ნორმებს არ შეიცავდა, მოსამართლეებმა თავად დაადგინეს, რომ ზოგ შემთხვევაში შესაძლებელი იყო კონკრეტული შესრულების შესახებ ბრძანების გაცემა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს კრედიტორის სამართლიანი ინტერესების დაკმაყოფილების ერთადერთი საშუალება იყო. მაგალითად, უძრავი ქონების გაყიდვის შემთხვევაში, გამყიდველი შეიძლება იძულებული გაეხადათ, მოესდინა კონკრეტული შესრულება და გადაეცა უძრავი ქონება მყიდველისთვის. დღესდღეობით კი ეს საკითხი უშუალოდ რეგულირებულია კოდექსით. ჰსკ-ს მუხლი 3:296-ის პირველი პუნქტის მიხედვით: „თუ კანონიდან, ვალდებულების ხასიათისა ან სამართლებრივი აქტიდან სხვაგვარად არ გამომდინარეობს, პირი, რომელიც ვალდებულია, მეორე მხარეს მიანოდოს რაიმე, მის მიმართ შეასრულოს რაიმე ან შეიკავოს თავი მის მიმართ მოქმედების განხორციელებისაგან, ჩაითვლება მოვალედ მოსამართლის მიერ მეორე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე.“

1.14. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ამგვარი კონკრეტული ნორმა არ მოიპოვება, ამიტომ საკითხის გადანყვეტა დამოკიდებული იქნება სამოსამართლო კანონშემოქმედებაზე — შეიძლება თუ არა ვალდებულების კონკრეტული შესრულება.

1.15. ამიტომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ რა სამართლებრივ სისტემასთანაც არ უნდა გვქონდეს საქმე, შეუძლებელია, იცოდე, რა არის ან რას ნიშნავს სამართალი, სანამ მოსამართლე არ გამოიტანს გადაწყვეტილებას კონკრეტულ საქმეზე კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. მეორე დასკვნა ის არის, რომ როგორც არ უნდა იყოს სამართლებრივი სისტემის სტრუქტურა, სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა არასოდეს შემოიფარგლება მხოლოდ კოდექსსა ან კანონში მოცემული ტექსტის ავტომატური მისადაგებით. ნებისმიერ საქმეზე მოსამართლეს აქვს რამდენიმე ვარიანტი, თუ რა და როგორ გადაწყვიტოს. საბოლოოდ, მან უნდა აირჩიოს, თუ რომელი ვარიანტი გამოიყენოს.

1.16. ამიტომ, არჩევანის გაკეთება მოსამართლის ერთ-ერთი ვალდებულებაა. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ სამოსამართლო კანონშემოქმედების ლეგიტიმურობისთვის არსებითად მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლემ გასაგები მიზეზებით დაასაბუთოს მისი გადაწყვეტილებები, რათა შესაძლებელი იყოს მათი გაკრიტიკება, მაგალითად, ზემდგომი სააპელაციო მოსამართლის მიერ და რომ შესაძლებელი იყოს შეუსაბამობების აცილება სამართლებრივი სისტემის შიგნით.

1.17. თუმცა, ამასთან, თავიდან ვერ ავიცილებთ იმას, რომ კანონმდებელი არ არის ერთადერთი კანონმემოქმედი, მათ შორის, საქართველოს და ნიდერლანდების მსგავს ქვეყნებში, სადაც კანონი ჩანერილია კოდექსებსა და კანონებში. სამოსამართლო სამართალი, რომელზეც, თავის მხრივ, სასამართლო ხელისუფლებაა პასუხისმგებელი, შეადგენს ქვეყნის კანონმდებლობის განუყოფელ ნაწილს.

2. კანონმდებლობისა და სამოსამართლო კანონმემოქმედების ურთიერთმიმართება

2.1. ის, რაც ზემოთ აღვნიშნე, იწვევს კიდევ სხვა საკითხზე მსჯელობას, კერძოდ, რაც ეხება კანონმდებლის მიერ კანონმემოქმედებასა და სამოსამართლო კანონმემოქმედებას შორის ურთიერთობას. სულ ცოტა, ორი რადიკალური მოსაზრება შეიძლება არსებობდეს ამასთან დაკავშირებით, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი რადიკალური სისტემები სინამდვილეში შეიძლება არ არსებობდეს, არც ერთი და არც მეორე სახის.

2.2. ერთი მოსაზრება არის ის, რომ კანონმდებელი უნდა ეცადოს, რაც შეიძლება ყოვლისმომცველი კანონი შექმნას და, შესაბამისად, რაც შეიძლება დეტალურად განუმარტოს მოსამართლეს, როგორ გამოიტანოს გადაწყვეტილება, როდესაც სამოქალაქო კოდექსიდან დედუქციის მეთოდით მიღებული პასუხი არ არის ცალსახა. ამ მოსაზრების გამომხატულება მოცემულია სსკ-ის მე-2 მუხლში, რომელიც (რამდენადაც ჩემ მიერ აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს) ადგენს შემდეგს: **„2. ერთი და იმავე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი. ამ კოდექსით გათვალისწინებულ ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიისას გამოიყენება სპეციალური ნორმები. (...) 4. ჩვეულებანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს.“** ამ მოსაზრების მიხედვით, კანონმემოქმედების პროცესში უმთავრეს როლს კანონმდებელი ასრულებს.

2.3. მეორე მოსაზრების მიხედვით, კანონმდებელი აღიარებს და იძულებულია აღიაროს, რომ სამართლის განერა კოდექსის ან კანონის აბსტრაქტული ცნებებით შეუძლებელია და რომ სამართალი განისაზღვრება ყოველი ცალკეული საქმის კონკრეტული გარემოებებით. ამ მოსაზრების გამომხატულება მოცემულია სსკ-ის მე-5 მუხლის პირველ და მეორე ნაწილებში, რომლებშიც ნათქვამია: **„1. კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია). 2. თუ კანონის ანალოგიის გამოყენება შეუძლებელია, ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, აგრეთვე, სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისად (სამართლის ანალოგია).“** ამის მსგავსი ნორმა მოიპოვება ჰსკ-ის 6:2 მუხლის მეორე პუნქტში, რომლის თანახმად: **„კანონის, ჩვეულების ან სამართლებრივი აქტის ნორმა, რომელიც სხვა შემთხვევაში სავალდებულო იქნებოდა მოვალისა და კრედიტორისთვის, არ გამოიყენება, თუ არსებულ გარემოებებში მისი გამოყენება მიუღებელია გონივრულობისა და სამართლიანობის პრინციპებიდან**

გამომდინარე.“ ამ მოსაზრების მიხედვით, კანონშემოქმედების პროცესში უმთავრეს როლს მოსამართლე ასრულებს.

2.4. როგორც აღვნიშნეთ, სინამდვილეში არ არსებობს სამართლის სისტემა, რომელიც მხოლოდ ერთ რადიკალურ მოსაზრებას ან მხოლოდ მეორე რადიკალურ მოსაზრებას მისდევს. სამართლიანი იქნება, თუ ვიტყვით, რომ როგორც ქართულ, ისე ჰოლანდიურ სამართლის სისტემაში (რომლებიც დაწერილი სამართლის ქვეყნებია) კანონშემოქმედება უპირველეს ყოვლისა კანონმდებლის ფუნქციაა, რომელიც ცდილობს, რაც შეიძლება დეტალურად დაადგინოს (კერძო) სამართალი და დაარეგულიროს, თუ როგორ უნდა გადაწყვიტოს მოსამართლემ საქმე, როდესაც საქმის გადაწყვეტა იოლად ან უშუალოდ არ დედუქცირდება სამოქალაქო კოდექსიდან, რასაც ძალიან ხშირად აქვს ადგილი.

სხვა შემთხვევაში, კანონმდებელი სრულად აღიარებს, რომ შეუძლებელია მომავალში წარმოსაშობი და სამართალსა და სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული ყველა შესაძლო საკითხის განჭვრეტა და მათი აბსტრაქტული ტერმინოლოგიით დარეგულირება და, რომ ამის გამო, მოსამართლეს აქვს გარკვეული თავისუფლება და საკუთარი პასუხისმგებლობა იმის გადაწყვეტისას, თუ რა არის სამართალი და, შესაბამისად, კანონის შექმნის უფლება და პასუხისმგებლობა. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, სამართალი არის კანონმდებლისა და მოსამართლის ერთობლივი ქმედების შედეგი და იმისათვის, რომ ვიცოდეთ სამართალი, უნდა შევისწავლოთ როგორც კოდექსი, ისე სასამართლო გადაწყვეტილებები.

2.5. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა შემდეგის აღნიშვნა. ამჟამად მოქმედი ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსი ძალაში შევიდა 1992 წლის 1 იანვარს, 45-წლიანი საკანონმდებლო მუშაობის შემდეგ, დაწყებული 1947 წლის სამეფო დეკრეტიდან, რომელიც ადგენდა, რომ უნდა დაწერილიყო სამოქალაქო კოდექსი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შემუშავდა და ძალაში შევიდა შედარებით მოკლე ხანში, 1992 წლიდან 1997 წლამდე პერიოდში. ქართველმა კანონმდებელმა საჭიროდ ჩათვალა, რომ კოდექსის სხვადასხვა ნაწილებს წინ უძღოდეს ათი მუხლი სათაურით „სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი — შესავალი დებულებანი“, რომლებიც ეხება საკანონმდებლო კანონშემოქმედებასა და სამოსამართლო კანონშემოქმედებას შორის ურთიერთობას. ეს ათი მუხლი შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც „კერძო სამართლის კონსტიტუცია“, რომელიც ცდილობს, დაარეგულიროს კანონის განმარტებისა და დადგენის სამომავლო საკითხები და ასევე ცდილობს, მოსამართლეს განუსაზღვროს, თუ როგორ უნდა შეასრულოს მან მასზე დაკისრებული ფუნქციები სამართლის დადგენისას. ამით, კანონმდებლობა, როგორც სამართლის პირველწყარო, ცდილობს, დაარეგულიროს კანონშემოქმედება სამომავლო ცალკეული საქმეებისთვის. ჰოლანდიაში კანონმდებელი სწორედ ასე მოიქცა, როდესაც პირველი სამოქალაქო კოდექსი იქნა მიღებული მას შემდეგ, რაც ფრანგებმა დატოვეს ქვეყანა 1815 წელს. 1838 წელს შემოღებულ იქნა კანონი ზოგადი დებულებების შესახებ, რომელიც შედგებოდა 14 მუხლისგან და ეხებოდა მეტ-ნაკლებად იმავე საკითხებს, რომლებიც სსკ-ის 1-10 მუხლებშია აღნიშნული. ამის შემჩნევა შესაძლებელია ამ მუხლებისთვის ერთი თვალის გადავლებისთანავე. მაგალითად, სსკ-ის მე-4 მუხლის პირველ და მეორე ნაწილებში ნათქვამია: „1. სასამართლოს არა აქვს უფლება, უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ სამართლის ნორმა არ არსე-

ბობს, ან იგი ბუნდოვანია. 2. სასამართლოს არა აქვს უფლება, უარი თქვას კანონის გამოყენებაზე იმ მოტივით, რომ მას კანონის ნორმა უსამართლოდ ან არაზნობრივად მიაჩნია.“ ზუსტად ასეთივე ნორმები მოიპოვება ზემოაღნიშნული ზოგადი დებულებების შესახებ კანონის მე-11 და მე-13 მუხლებში. ჰოლანდიელი კანონმდებელი უფრო შორს წავიდა და 1838 წლის ზოგადი დებულებების შესახებ კანონის მე-12 მუხლში ჩაწერა, რომ მოსამართლეს ეკრძალება გადაწყვეტილების გამოტანა მხოლოდ ზოგადი წესების საფუძველზე. ამ ნორმის მიხედვით, მაგალითად, უზენაეს სასამართლოს, რომელიც საკასაციო სასამართლოა, ეკრძალება ფაქტებზე მსჯელობა; იგი ვალდებულია, ჩამოაყალიბოს, რას ამბობს კანონი ამ კონკრეტულ შემთხვევაში და არ შემოიფარგლოს მხოლოდ იმის თქმით, რომ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში ერთადერთი სამართლებრივი საშუალებაა (როგორც ძველ რომაულ სამართალში) დამრღვევის მიერ ფულით ანაზღაურება და სხვა სამართლებრივი საშუალება მეორე მხარეს არ გააჩნია. რა თქმა უნდა, ეს ანომალური გადაწყვეტილება იქნებოდა.

2.6. ჰოლანდიის ახალი სამოქალაქო კოდექსის შექმნის პროცესში განზრახული იყო, რომ კოდექსის სხვადასხვა ნაწილებს წინ გაუძღვებოდა იმგვარი ზოგადი დებულებები, რომლებიც ზოგადი დებულებების შესახებ 1838 წლის კანონში მოიპოვებოდა – ამ ნორმების ახლებური მოთხოვნების მიხედვით ჩამოყალიბებით. დაიწერა თერთმეტიოდე მუხლი, რომლებიც სსკ-ის 1-10 მუხლების მსგავსი იყო. მაგრამ, საბოლოო ჯამში, ჰოლანდიელმა კანონმდებელმა გადაწყვიტა, არ შემოეღო ასეთი ხასიათის ნორმები და სამოქალაქო კოდექსის პროექტიდან ამოიღო ამ ნორმების შემცველი თავი. კანონმდებელმა დაასკვნა, რომ ფაქტობრივად შეუძლებელია მომავლის და მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის პროცესის მართვა იმ საქმებზე, რომელთა გადაწყვეტაც მას მოუწევს. მართლაც, ისმის შეკითხვა: რა სარგებლობისაა ზოგადი დებულებების შესახებ 1838 წლის კანონის და სსკ-ის 1-10 მუხლებში შესული ნორმები. ეს ნორმები ასახავს სამოსამართლო კანონშემოქმედებისა და კანონგანმარტების საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, მაგრამ ისინი, რეალურად, ნაკლებად გამოსადეგია, როდესაც კონკრეტული საკითხების გადაწყვეტაა საჭირო.

2.7. ზემოაღნიშნული შეიძლება უფრო დანვრილებით ავხსნათ შემდეგი მაგალითის საფუძველზე. ვთქვათ, ა-ს სურს, თავისი მანქანა, რომელიც 10 000 ლარი ღირს, მიჰყიდოს ბ-ს, რომელსაც ასევე უნდა ამ მანქანის ყიდვა, მაგრამ საამისოდ ფული არ ჰყოფნის. რა თქმა უნდა, ა-მ და ბ-მ შეიძლება დადონ ხელშეკრულება სსკ-ის 505-ე მუხლში აღნიშნული წესით. ეს მუხლი ეხება ნასყიდობას განვადებით და ადგენს, რომ გამყიდველი, ჩვენ შემთხვევაში ა, ვალდებულია, მყიდველს, ჩვენ შემთხვევაში ბ-ს, გადასცეს მანქანა ფასის გადახდამდე, ხოლო მყიდველი ბ ვალდებულია, ნივთის ფასი გადაიხადოს ნაწილ-ნაწილ დროის განსაზღვრულ შუალედში. მართალია, ეს შესაძლებელია, მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა, რომ ფიზიკური პირი ა დათანხმდება იმაზე, რომ ერთბაშად არ მიიღოს ნასყიდობის ფასი. ამიტომ ჩნდება კითხვა: როგორ უნდა მოხდეს, რომ, ერთი მხრივ, ბ-მ მართოს კარგი მანქანა და ა-მ მიიღოს თავისი 10 000 ლარი. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, ა-მ და ბ-მ დადონ ორი ხელშეკრულება. მათ შეუძლიათ, გააფორმონ ნასყიდობის ხელშეკრულება გათვალისწინებული სსკ-ის 477-ე მუხლით, რომლის ძალითაც ა ვალდებულია, გადასცეს ბ-ს საკუთრების უფლება მანქანაზე, ხოლო ბ ვალდებულია, გადაუხადოს მას მთლიანი ფასი. ეს რომ შესაძლებელი გახდეს, ა-მ უნდა ასესხოს ბ-ს 10 000 ლარი, რაც განსაზღვრულია სსკ-ის 623-ე მუხლში. ამ შემთხვევაში, ა და

ბ შეიძლება ასევე შეთანხმდნენ, რომ ბ სესხის უზრუნველყოფის საშუალებად ა-ს მიმართ გამოიყენებს მანქანას, რაც განსაზღვრულია სსკ-ის 254-ე მუხლის პირველი ნაწილით, სანამ ბ სრულად არ დაფარავს სესხის თანხას. სხვა ალტერნატივა არის ის, რომ ა-მ და ბ-მ დადონ სსკ-ის 576-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ლიზინგის ხელშეკრულება. ეს ნაკლებად სავარაუდოა, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ა-ს თვითონ სჭირდება ფული და ის არ არის ბანკი. ამიტომ, სავარაუდოდ, ყველაზე რეალური გამოსავალი არის ის, რომ ა და ბ დადებენ მანქანის ნასყიდობის ხელშეკრულებას, ხოლო ბ დადებს სესხის ხელშეკრულებას ბანკ გ-სთან 10 000 ლარის სესხების თაობაზე. ალბათ ბანკი მოითხოვს უზრუნველყოფის საშუალებას და, თავისთავად ცხადია, რომ მანქანა საუკეთესოდ გამოდგება ამ შემთხვევაში. მაგრამ ბანკს ურჩევნია ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულება გააფორმოს, რა შემთხვევაშიც ა დადებს ნასყიდობის ხელშეკრულებას ბანკთან, ხოლო ბანკი ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულებას დადებს ბ-სთან.

2.8. აქედან ჩანს, რომ არსებობს რამდენიმე გზა, რომლებითაც გარკვეული შედეგის მიღწევა შეიძლება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და ხშირად მხოლოდ შემთხვევითობაზეა დამოკიდებული, მხარეები რომელ გზას ამოირჩევენ. და თუ პროფესიონალი მხარე, მაგალითად, ბანკი, არ მონაწილეობს, მხარეები არ დადებენ ძალიან დეტალურ ხელშეკრულებას. ამიტომ ბევრი სამსჯელო თემა შეიძლება წარმოიშვას იურიდიულ ურთიერთობასთან დაკავშირებით, მაგალითად, მანქანის ხარისხის ან ბ-ს მიერ ვალის ნაწილ-ნაწილ გადახდასთან დაკავშირებით. მოსამართლისთვის ყოველთვის დღესავით ნათელი არ არის, რას იზრახავდნენ მხარეები. მან უნდა შეამოწმოს ყველა ზემოაღნიშნული ხელშეკრულება. ნაკლებად სავარაუდოა, რომ სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი დაეხმარება მას ყველასათვის დამაკმაყოფილებელი და მარტივი პასუხის გაცემაში. აგრეთვე, არც ის იკვეთება, რომ ქართველი მოსამართლის შრომა, რომელსაც სახელმძღვანელოდ სსკ-ის 1-10 მუხლები აქვს, იოლი იქნება ჰოლანდიელი მოსამართლის შრომასთან შედარებით, რადგან მას არ აქვს ასეთი საკანონმდებლო სახელმძღვანელო.

2.9. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსში არ მოიპოვება სსკ-ის 1-10 მუხლების მსგავსი სახელმძღვანელო წესები. მაგრამ ნიდერლანდებში არის ფართოდ გავრცელებული ტენდენცია, რომ სამოქალაქო კოდექსის არსებობა არ ნიშნავს, თითქოს სამოსამართლო კანონშემოქმედებისთვის ადგილი დარჩენილი არაა; აგრეთვე, რეალურად, მნიშვნელობამოკლებულია კანონის მოსამართლებრივი განმარტებისა და გამოყენების რეგლამენტირება და ინსტრუქტაჟი.

3. ქართული და ჰოლანდიური სამოქალაქო კოდექსების ზოგადი სტრუქტურა

3.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ექვსი წიგნისგან შედგება: წიგნი პირველი — სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, წიგნი მეორე — სანივთო (ქონებრივი) სამართალი, წიგნი მესამე — ვალდებულებითი სამართალი, წიგნი მეოთხე — ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, წიგნი მეხუთე — საოჯახო სამართალი და წიგნი მეექვსე — მემკვიდრეობის სამართალი. ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსი ცხრა წიგნისგან შედგება: წიგნი პირველი — პირებისა და

საოჯახო სამართალი, წიგნი მეორე — იურიდიული პირები, წიგნი მესამე — საქონელთან და უფლებებთან დაკავშირებული სამართლის ზოგადი ნაწილი, წიგნი მეოთხე — მემკვიდრეობის სამართალი, წიგნი მეხუთე — საკუთრებითი ხასიათის უფლებები, წიგნი მეექვსე — ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, წიგნი მეშვიდე — ცალკეული ხელშეკრულებები, წიგნი მეშვიდე A — გაგრძელება, წიგნი მერვე — სატრანსპორტო საშუალებები და სატრანსპორტო სამართალი და წიგნი მეცხრე — ინტელექტუალური საკუთრება (ჯერ არ შესულა ძალაში).

3.2. ერთი შეხედვით, ამ ორ კოდექსს შორის ბევრი სხვაობაა, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არასწორი წარმოდგენაა. უფრო მართებული იქნება, თუ ვილაპარაკებთ „ერთი და იგივე საკითხების სხვადასხვაგვარ რეგლამენტაციაზე“. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მაგალითად, აერთიანებს ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის მეოთხე, მეშვიდე, მეშვიდე A და მერვე წიგნებს ერთ — მესამე წიგნში. ხოლო თუ ამ წიგნების შინაარსს შევადარებთ, დავინახავთ, რომ თავების და საკითხების თანამიმდევრობა მეტნაკლებად ერთნაირია.

3.3. თუმცა, სხვადასხვა სტრუქტურა იმავდროულად ნიშნავს იმას, რომ ამ ორი სამართლის შედარებისას კოდექსის სხვადასხვა ადგილები უნდა მოიშველიო. მაგალითად, თუ დაინტერესებული ხართ ჰოლანდიური ვალდებულებათა სამართლით, უნდა გაცნოთ არა მარტო ჰსკ-ის მეექვსე წიგნს, არამედ მესამე წიგნსაც, რომელშიც მოცემული ზოგადი ნორმები ვალდებულებების მიმართაც გამოიყენება.

3.4. შემდეგმა მაგალითმა შეიძლება უფრო ნათლად წარმოაჩინოს ეს თემა. სსკ-ის 709-ე მუხლი განსაზღვრავს დავალების ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულებით, რწმუნებული ვალდებულია, შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე იურიდიული ან სხვა მოქმედება მარწმუნებლის სახელით და ხარჯზე. მაგრამ დავალება არამარტო დავალების ხელშეკრულების შედეგია, არამედ შეიძლება სახელშეკრულებო სამართალს ან თვით ვალდებულებით სამართალსაც კი სცილდებოდეს. მაგალითად, მუშაკს შეიძლება ჰქონდეს რწმუნება მისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. მაგალითად, მუშაკი მუშაობს სუნამოების მაღაზიაში და აქვს რწმუნება, დადოს ხელშეკრულება მომხმარებელთან დამქირავებლის სახელით. ასევე, მაგალითად, სახაზინო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორს, მისი დანიშვნისა და თანამდებობის საფუძველზე, აქვს საზოგადოების სახელით მოქმედების რწმუნება. ამგვარად, ჰოლანდიელმა კანონმდებელმა, განსხვავებით წინა სამოქალაქო კოდექსისგან, გადაწყვიტა, დავალების საკითხი დაერეგულირებინა არა ხელშეკრულებების წიგნში, არამედ მესამე წიგნში, რომელიც წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილს და რომელიც არ ეხება საოჯახო სამართალს.

3.5. იგივე კომენტარი შეიძლება გამოითქვას ქართულ ვალდებულებით სამართალთან მიმართებით. მაგალითად, იურიდიულ მოქმედებებთან და გარიგებებთან, აგრეთვე, მათ ნამდვილობა-ბათილობასთან დაკავშირებული ზოგადი ნორმები, რომლებიც, რასაკვირველია, გამოიყენება ვალდებულებითი სამართლის და, უფრო კონკრეტულად, სახელშეკრულებო სამართლის მიმართ, მოცემულია არა ვალდებულებების წიგნში, არამედ სსკ-ის 50-62 მუხლებში სათაურით „გარიგებანი — ზოგადი ნორმები“. ამ მხრივ, იმავე წესითაა დალაგებული ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსი. იურიდიულ მოქმედებებთან და გარიგებებთან დაკავშირებული ზოგადი ნორმები მოცემულია ჰსკ-ის 3:32 - 3:59 მუხლებში და არა მეექვსე ან მეშვიდე წიგნებში.

3.6. მართალია, ჰოლანდიელი კანონმდებელი ეცადა, მაქსიმალური სისტემატიზაცია მოეხდინა სამართლის სხვადასხვა სფეროებისათვის საერთო სამართლებრივი ცნებების და ნორმების დალაგებით, მაგრამ მან ეს სრულად მაინც ვერ მოახერხა. მაგალითად, მართალია, დაქორწინება, იურიდიული თვალსაზრისითაც, განსხვავდება ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისგან, იგი მაინც გარკვეულწილად ისეთივე იურიდიული მოქმედებაა, როგორც ნასყიდობის ხელშეკრულების დადება. ამიტომ ჰოლანდიელმა კანონმდებელმა ახალ სამოქალაქო კოდექსში შემოიტანა ისეთი ფენომენი, როგორცაა „ნორმის გამოყენება *mutatis mutandis*.“¹ მაგალითად, ჰსკ-ის 3:59 მუხლში ნათქვამია: „საქონელთან და უფლებებთან დაკავშირებული სამართლის გარდა, ამ თავის აღნიშნული მუხლი გამოიყენება მუტატის მუტანდის, თუ სამართლებრივი აქტი ან სამართლებრივი ურთიერთობა შეუსაბამობაშია მის გამოყენებასთან.“ მაგალითად, სულიერ ავადმყოფობასთან დაკავშირებული ნორმა, რომელიც გამოხატულია ჰსკ-ის 3:34 მუხლის პირველ ნაწილში, გამოიყენება ქორწინების მიმართაც.

3.7. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ სამართლის სისტემის ან მისი ნაწილის (როგორცაა, მაგალითად, ვალდებულებათა სამართალი) შედარებისას სხვა სამართლის სისტემასთან ან მის ნაწილთან, არ უნდა დაგვაბნიოს ამ სისტემების სხვადასხვა სტრუქტურამ და უნდა ვიცოდეთ, რომ ხშირად საკანონმდებლო „გემოვნებაზე“ დამოკიდებული კანონმდებლობაში სხვადასხვა საკითხების ჩამოყალიბება.

4. რამდენიმე შენიშვნა კანონმდებლობის შედარების შესახებ

4.1. ის, რაც ქართული და ჰოლანდიური სამოქალაქო კოდექსების ზოგადი სტრუქტურის შესახებ ითქვა, ინვესს სამ, ჩემი აზრით, საკმაოდ მნიშვნელოვან შენიშვნას, რომლებიც არ უნდა დაგვაინყდეს სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობების შედარებისას.

4.2. პირველი – როგორც ადრე აღვნიშნეთ, ხშირად კანონმდებლობა არის ან გამოიყურება სხვა ქვეყნის კანონმდებლობის მსგავსად, ოღონდ სხვაგვარი სათაურებით. მაგრამ არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, პრაქტიკაშიც ერთნაირი გამოყენება აქვს თუ არა კანონმდებლობებს. საკმარისი არ არის მხოლოდ კანონების ტექსტების შედარება, რომლებიც, მაგალითად, სამოქალაქო კოდექსებში წერია. როგორც მოგვიანებით იქნება ამ წიგნში აღნიშნული, ტექსტობრივი თვალსაზრისით, კანონებში დიდი განსხვავება არ არის ქართულ და ჰოლანდიურ ვალდებულებით სამართალს შორის. ვინაიდან იმაში გარკვევა, თუ სამართალი როგორ არის პრაქტიკაში გამოხატული, შეიძლება მხოლოდ პრეცედენტული სამართლის და აკადემიური ნაშრომების შესწავლით და რადგანაც, წიგნის ამ ნაწილის ავტორისთვის მაინც, გამოტანილი გადანყვეტილებები და სახელმძღვანელოები ქართულ სამართალზე არ მოიპოვება ფართოდ ცნობილ უცხო ენაზე, მკაფიო არ არის და ვერც ვიმსჯელებთ დარწმუნებით, რომ საქართველოს ვალდებულებითი სამართალი და ჰოლანდიის ვალდებულებითი სამართალი ნამდვილად მეტნაკლებად იგივეა.

¹ ლათინურად ნიშნავს „შესაბამისი განსხვავებების გათვალისწინებით“.

4.3. მეორე, თუ დავასკვნით, რომ ორ შედარებულ სამართლის სისტემას შორის არსებობს განსხვავებები, რადგანაც ვერ ვიპოვეთ ერთი და იგივე წესები ამ სისტემების კანონებში, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სამართლის პირველი სისტემა მეორესგან მართლა განსხვავდება. ეს გასაგები გახდება, თუ შევხედავთ, მაგალითად, საქართველოს იურიდიულ ნორმებს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შესახებ და შევადარებთ ამ საკითხის რეგულირებას ქართულ სამართალში ჰოლანდიურ სამართალს. სსკ-ის 348-ე მუხლში აღნიშნულია: „**ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, რომლებსაც შემთავაზებელი იყენებს იმ ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც არ მისდევნენ სამენარმეო საქმიანობას, (...) მიიჩნევა ბათილად: (...) ვ. დებულება, რომელიც გამოორიცხავს ან ზღუდავს პასუხისმგებლობას იმ ზიანისათვის, რაც გამოწვეულია შემთავაზებლის ან მისი წარმომადგენლის მიერ უხეში გაუფრთხილებლობით ვალდებულების დარღვევის გამო (პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობის გამო); ზ. დებულება, რომლითაც შემთავაზებლის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევისას: ხელშეკრულების მეორე მხარეს ერთმევა ან ეზღუდება უფლება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე (...).**“ ახლა თუ ჩავიხედავთ ინგლისურ სამართალში, უფრო კონკრეტულად კი, უსამართლო სახელშეკრულებო პირობების შესახებ ინგლისის კანონში, იქ ვერ ვიპოვეთ სახელშეკრულებო პირობის ცნებას, რომელიც ბათილია საკანონმდებლო ნორმის საფუძველზე. მაგრამ, ინგლისში არსებობს ცნება, რომელიც ქართულ სამართალში არ მოიპოვება, მაგრამ იმავე მიზანს ემსახურება, რასაც ზემოაღნიშნული სსკ-ის 348-ე მუხლი. ინგლისში მოსამართლეებმა პრეცედენტული სამართლის მეშვეობით ჩამოაყალიბეს ცნება „ხელშეკრულების არსებითი დარღვევა“. მოსამართლეები არ ამბობენ, რომ თუ ხელშეკრულება შეიცავს სსკ-ის 348-ე მუხლში აღნიშნულის მსგავს პირობას, მაშინ ეს პირობა ბათილია. მაგრამ ისინი ამ პირობის განმარტების საფუძველზე ამბობენ, რომ ეს პირობა განეკუთვნება არსებით დარღვევას, რაც არის ოფერენტის ძირითადი ვალდებულების დარღვევა. საბოლოო ჯამში, შედეგი ქართულ სამართალშიც და იმავე სამართალშიც ერთი და იგივეა: თუ ოფერენტი არღვევს თავის ძირითად ვალდებულებას, მას არ შეუძლია დაეყრდნოს ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ პირობას, რომ მას პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

4.4. მესამე და ყველაზე სახიფათო არის სიტუაცია, როდესაც სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენება ერთი და იგივე ცნება, მაგრამ მას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს თითოეულ ამ ქვეყანაში. ცნობილ მაგალითად გამოდგება ინგლისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ალუმინის სანარმო Vaasen B.V. შპს რომალპას წინააღმდეგ. ამ საქმეზე, ჰოლანდიურმა ალუმინის კომპანიამ ალუმინი, ნედლეული მასალის სახით, მიჰყიდა ინგლისურ კომპანიას. ხელშეკრულებაში, როგორც ხშირად ხდება, იდო დებულება, რომ სანამ მყიდველი შეთანხმებულ ფასს სრულად არ გადაიხდის, ჰოლანდიური კომპანია ალუმინის მესაკუთრედ რჩებოდა. ეს მიდგომა, როგორც ჩანს მოცემულია სსკ-ის 188-ე მუხლის პირველ პუნქტში. გამომდინარე რომაული სამართლებრივი ცნებიდან „*fiducia cum creditore*“, მყიდველი, რომელიც ვერ გახდება საქონლის მესაკუთრე ფასის სრულად გადაუხდელობის გამო, იწოდება „*fiduciair eigenaar*“, რომელსაც, თუ ინგლისურიდან სიტყვასიტყვით გადავთარგმნით, მივიღებთ „ფიდუციარულ მესაკუთრეს“. ზემოაღნიშნულ საქმეში ხელშეკრულებაში შეთანხმებული იყო, რომ გამოყენებულ კანონმდებლობას წარმოადგენდა ჰოლანდიური კანონმდებლობა. ამგვარად, ინგლისელ მოსამართლეს უნდა გამოეყენებინა ჰოლანდიური კანონმდებლობა, რაც, როგორც თვითონ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, გააკეთა კიდევ. მაგრამ ინგლისურ სამართალში სიტყვები „ფიდუციარული მესაკუთრე“ ნიშნავს „ქონების

მეურვეს”.² ამგვარად, ინგლისელმა მოსამართლემ, რომელმაც, როგორც თვითონ ამბობდა, გამოიყენა ჰოლანდიური კანონმდებლობა, ფაქტობრივად გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელსაც ის ვერასოდეს გამოიტანდა ჰოლანდიური სამართლის მიხედვით, რადგან ჰოლანდიური სამართალი არ იცნობს ინგლისური „ქონების მეურვის“ ცნებას დუალური საკუთრებისთვის (ერთი მხრივ, „ქონების მეურვის“ სამართლებრივი უფლებები და, მეორე მხრივ, „ქონების მეურვეობის ბენეფიციარის“ სარგებლის მიღების ანუ “equitable”³ უფლებები) და „სამეურვეო ქონების ნაყოფის გაკონტროლების“ დოქტრინისთვის დამახასიათებელი მთელი რიგი სპეციფიკური ნიშნებით. მოცემულ საქმეში ინგლისურმა კომპანიამ ნაყოფი მიიღო იმ ნედლეულისგან, რომელიც მას ჰოლანდიურმა კომპანიამ მიჰყიდა; ეს ნაყოფი ინგლისურმა კომპანიამ, თავის მხრივ, მიჰყიდა საცალო მოვაჭრეებს, რომლებსაც შეთანხმებული ფასი ჯერ კიდევ არ გადაეხადათ ინგლისური კომპანიისთვის. ჰოლანდიური კანონმდებლობის მიხედვით, გამყიდველის საკუთრების უფლება მთავრდება მაშინ, როდესაც ქონება აღარ არის მყიდველის, როგორც „ფიდუციარული მესაკუთრის“ მფლობელობაში — ამ ფრაზის ჰოლანდიური სამართლის გაგებით — ანუ, მოცემულ საქმეში, როდესაც მყიდველმა შესაბამისი ქონებიდან ახალი ნაყოფი მიიღო და მიჰყიდა ეს ქონება მესამე პირებს. ეს ნიშნავს, ინგლისური კომპანია რომ გაკოტრებულიყო, ჰოლანდიური კომპანია იქნებოდა, სხვა არაფერი, თუ არა ჩვეულებრივი კრედიტორი, ყოველგვარი უპირატესი უფლებების გარეშე. ინგლისური სამართლის მიხედვით კი, როდესაც ინგლისური კომპანია ხდება „ფიდუციარული მესაკუთრე“ — ამ ფრაზის ინგლისური სამართლის გაგებით — და, შესაბამისად, „ქონების მეურვე“ — როგორც ინგლისელებს ესმით ამ ცნების მნიშვნელობა — მაშინ ჰოლანდიელი გამყიდველი ხდება „ბენეფიციარი“, რომელსაც აქვს ზემოხსენებული „გაკონტროლების“ ინგლისური დოქტრინის უპირატესობა, რაც მოცემულ საქმეში ნიშნავდა, რომ მას ჰქონდა მესაკუთრის და, შესაბამისად, უპირატესი უფლებები ინგლისური კომპანიის მოთხოვნის უფლებებზე საცალო მოვაჭრეების მიმართ, რომელთაც ფასი ჯერ არ გადაეხადათ, რაც, რა თქმა უნდა, ზიანს აყენებდა შპს „რომალპას“ სხვა კრედიტორებს. ამ ამბის დასასრული გახლავთ შემდეგი: ჰოლანდიურმა კომპანიამ დაუმსახურებელი სარგებელი მიიღო იმის გამო, რომ ინგლისელმა მოსამართლემ დაუმშავა შეცდომა — რომელიც გასაგებიცაა — როცა ერთსა და იმავე ტერმინს ჰოლანდიურ სამართალშიც და ინგლისურ სამართალშიც ერთი და იგივე მნიშვნელობა მიანიჭა, მაშინ, როდესაც, სინამდვილეში, ამ ტერმინს ამ ორ ქვეყანაში სხვაგვარად იგებდნენ.

² ინგლისური სიტყვის (trustee) ეს თარგმანი პირობითია, რადგან მას ანგლო-საქსონურ სამართლის სისტემაში ამ სისტემისთვის სპეციფიკური სამართლებრივი დატვირთვა აქვს და შეიძლება არ შეესაბამებოდეს სსკ-ით გათვალისწინებულ საკუთრების მინდობას – მთარგმნელის შენიშვნა.

³ ამ სიტყვას, რომელიც არაიურიდიული გაგებით „სამართლიანს“ ნიშნავს, ქართული სამართლის სისტემაში ზუსტი შესატყვისი არ მოეპოვება.

თავი 2

განსხვავებები სანივთო სამართალსა და ვალდებულებითა სამართალს შორის

1. შესავალი

1.1. როგორც ჰოლანდიურ, ისე ქართულ სამართალში მკაფიოდ არის გამოიჯნული სანივთო სამართალი და ვალდებულებითი სამართალი, თუმცა, ორივე მათგანი ეხება ადამიანების ეკონომიკურ საქმიანობას, მაგრამ არა როგორც მათ მდგომარეობას და ურთიერთობას საოჯახო სამართლის სფეროში.

1.2. სამართლის თვალთ, ნივთი არის რეალური ქონება, როგორცაა, მაგალითად, მიწის ნაკვეთი ან სახლი ან პირადი ქონება, რომელიც იყოფა ხელშესახებ ქონებად — მაგალითად, ღვინის ბოთლი — და არახელშესახებ ქონებად — მაგალითად, წილი სააქციო საზოგადოებაში ან მოთხოვნის უფლება მესამე პირის მიმართ. სანივთო სამართალი სამართლის ის ნაწილია, რომელიც ეხება ნივთთან დაკავშირებულ სამართლებრივ უფლება-მოვალეობებს. იგი შეეხება ურთიერთობას პირსა და ნივთს შორის და ფოკუსირდება ამ ურთიერთობაზე.

1.3. ვალდებულებითი სამართალი კი ეხება სამართლებრივ ურთიერთობებს ორ ან მეტ კონკრეტულად განსაზღვრულ ადამიანებს შორის და განსაზღვრავს ერთი პირის უფლება-მოვალეობებს მეორე პირის მიმართ. ვალდებულებითი სამართალი ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა, მაგალითად ის, რომ მძღოლს აქვს ვალდებულება საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეების მიმართ, არ მიაყენოს მათ ზიანი, ანდა მყიდველი ვალდებულია, გადაუხადოს შეთანხმებული ფასი გამყიდველს, ან კიდევ, დამქირავებელს აქვს უფლება, ისარგებლოს დაქირავებული ფართით, აგრეთვე, სამუშაოს მიმცემს აქვს უფლება მუშაკის შრომაზე.

2. სანივთო სამართლის ვალდებულებითი სამართლისგან განმასხვავებელი ზოგიერთი თავისებურება

2.1. ზოგადად, სანივთო უფლებას პატივი უნდა სცეს ყველამ. მაგალითად, სახლის მესაკუთრეს შეუძლია უჩივლოს ყველას, ვინც არღვევს მის საკუთრების უფლებას. ასევე, უნდა ვიცოდეთ, ვის ეკუთვნის სანივთო უფლება და ამიტომ, როგორც მინიმუმ, უძრავი ქონების შემთხვევაში, სანივთო უფლებები რეგისტრირებული უნდა იყოს რეესტრში, რომელიც ყველასათვის საჯარო უნდა იყოს. ვალდებულებითი სამართალით გათვალისწინებული უფლება კი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოცემული სამართლებრივი ურთიერთობის მეორე მხარის მიმართ, რომელიც ხშირად მოვალედ იწოდება და რომელსაც აქვს ვალდებულება კრედიტორის მიმართ.

2.2. სამართლის სისტემათა უმეტესობაში, იმ პრინციპის შედეგად, რომ სანივთო უფლება შეიძლება განხორციელდეს ყველას მიმართ, ეს უფლებები შესაძლოა დადგინდეს მხოლოდ კანონით. ამ სისტემას უწოდებენ „სანივთო უფლებების ჩაკეტილ სისტემას“, ანუ ქონებრივი უფლებების „*numerus clausus*“. ვალდებულებათა სამართალი კი ღია სისტემაა. კანონით დადგენილი გარკვეული საზღვრების

ფარგლებში პირს შეუძლია, შევიდეს ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობაში, რომელსაც მოისურვებს.

2.3. სანივთო უფლებას აქვს, როგორც ხშირად ფრანგულად ამბობენ, *”droit de suite”*: სანივთო უფლება თან სდევს ნივთს, ვის ხელშიც არ უნდა იყოს იგი. მაგალითად, თუ იპოთეკით დატვირთული სახლის მესაკუთრე სახლს გადასცემს მესამე პირს, ამით არ ილახება იპოთეკარის უფლებები, რომელსაც შეუძლია, თავისი იპოთეკით განსაზღვრული უფლება გამოიყენოს ამ მესამე პირის მიმართ. ამისგან განსხვავებით, პირადი უფლება, თუმცა ის ქონებას ეხება, არ არის ამ ქონების თანმდევი. მაგალითად, თუ ა დებს მისი მანქანის ნასყიდობის ხელშეკრულებას ბ-სთან და მანქანის ბ-სთვის გადაცემამდე იგი ამ მანქანას გადასცემს ც-ს, ხელშეკრულება ა-სა და ბ-ს შორის მაინც არსებობს და მაინც ძალაშია — თუმცა ა ველარ შეძლებს ვალდებულების შესრულებას ბ-ს მიმართ — მაგრამ ბ-ს არ შეუძლია მისი სახელშეკრულებო უფლება მანქანასთან დაკავშირებით გამოიყენოს ც-ს მიმართ.

2.4. სანივთო სამართალში არსებობს პრინციპი *prior tempore potior iure*: მას, ვისაც ყველაზე ადრე ჰქონდა სანივთო უფლება, აქვს უპირატესობა იმ პირთან შედარებით, ვინც უფლება მოგვიანებით მოიპოვა. მაგალითად, თუ სახლის მესაკუთრე იპოთეკით დატვირთავს მის სახლს 2006 წლის 2 მარტს ბ-ს სასარგებლოდ და 2006 წლის 2 აპრილს ც-ს სასარგებლოდ, მაშინ ბ-ს უპირატესი უფლება ექნება გ-სთან შედარებით. ხოლო თუ ა მის კუთვნილ ველოსიპედს ჯერ გადასცემს ბ-ს, ხოლო შემდეგ გ-ს, ბ გახდება მესაკუთრე და გ-ს არ ექნება სანივთო უფლება ველოსიპედის მიმართ. რაც შეეხება ვალდებულებით სამართალს, აქ ასეთი უპირატესობის წესი არ არსებობს. თუ ა დადებს მისი კუთვნილი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულებას ბ-სთან 2006 წლის 2 მარტს და გ-სთან 2006 წლის 2 აპრილს, ამ შემთხვევაში ბ-ს გ-სთან შედარებით უპირატესი უფლება არ ექნება. შეიძლება პირიქითაც, თუ მესაკუთრე სახლს გადასცემს გ-ს და არა ბ-ს, სახლზე უფლების თვალსაზრისით, გ-ს უკეთესი პოზიცია ექნება ბ-სთან შედარებით, რადგან მას აქვს სანივთო უფლება, რა შემთხვევაშიც მოქმედებს პრინციპი: ვინც უფრო ადრე იყო, მას უპირატესი უფლება აქვს.

2.5. სანივთო სამართალსა და ვალდებულებით სამართალს შორის ამ განსხვავებების შედეგის ყველაზე კარგად დანახვა შეიძლება გაკოტრების მაგალითზე. თუ, მაგალითად, ა-მ თავისი ველოსიპედი მიაქირავა ბ-ს და ბ გაკოტრდა, ა-ს შეუძლია, თავისი ველოსიპედი უკან დაიბრუნოს გაკოტრების მმართველისგან. მეორე მხრივ, თუ 2006 წლის 4 ივლისს ა-მ ასესხა ბ-ს 4 000 ლარი და ბ თავისი ბრალით 2006 წლის 4 აგვისტოს მოჰყვა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში, რითაც დაშავდა გ და მანვე განიცადა ზიანი 2 000 ლარის ოდენობით, ხოლო ამის შემდეგ ბ გაკოტრდა 2006 წლის 4 სექტემბერს, ა არ არის გ-სთან შედარებით უკეთეს პოზიციაში მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მისი მოთხოვნა უფრო ადრე დადგა. ვთქვათ, ბ-ს ქონება შედგება 3 000 ლარისგან; ა მიიღებს 2 000 ლარს, ხოლო გ მიიღებს 1 000 ლარს. ამიტომ, ვალდებულებათა სამართალში არ არსებობს უპირატესობის წესი, მაგრამ არსებობს ე.წ. *paritas creditorum* პრინციპი: ყველა კრედიტორს თანასწორი მოპყრობა უნდა ჰქონდეს. ეს პრინციპი ნიდერლანდების შემთხვევაში ჩადებულია ჰს.კ-ის 3:277 მუხლში. 1992 წლის კანონმდებლობაში ამ პრინციპის წინააღმდეგობრივი ნორმაცაა ჩადებული 3:298 მუხლში, რომლის თანახმად, თუ ორი ან მეტი კრედიტორი სასამართლო წესით ითხოვს კონკრეტულ შესრულებას ქონების მათთვის გადაცემის სახით, უპირატესობა ენიჭება ყველაზე ადრეულ უფლებას, თუ კანონი, უფლებათა ხასიათი ან გონივრულობის ან სამართლიანობის პრინციპი სხვაგვარად არ მოითხოვს.

2.6. სანივთო სამართალში მოქმედებს პრინციპი *“nemo plus iuris ad alium transferre potest quam ipse habet”*, რაც იმას ნიშნავს, რომ არავის შეუძლია იმაზე უპირატესი უფლება გადასცეს სხვას ნივთზე, რომელიც თავად მას აქვს. მაგალითად, მე მაქვს სსკ-ის 233-ე მუხლით გათვალისწინებული აღნაგობის უფლება 20 წლის ვადით, მე შემიძლია ეს უფლება გადავცე მესამე პირს, მაგრამ არ შემიძლია გადავცე მთლიანად უძრავი ნივთი ან აღნაგობის უფლება 20 წელზე მეტი ვადით. ვალდებულებითი სამართლის შემთხვევაში კი, კანონიერად შემიძლია დავდო ხელშეკრულება სახლზე, რომელიც მე არ მეკუთვნის. რა თქმა უნდა, აქ წამოიჭრება საკითხი, შევძლებ თუ არა ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებას, მაგრამ ეს გავლენას ვერ მოახდენს კანონით ხელშეკრულების არსებობაზე. მაგალითად, ჩემი მეზობლის სახლი მივიცილე მესამე მხარეს გარკვეულ ფასად იმიტომ, რომ მე, ვიცი რა ჩემი მეზობლის ფინანსური პრობლემები, დარწმუნებული ვარ, რომ იგი სიხარულით დათანხმდება მისი სახლის ჩემთვის მოყიდვას უფრო დაბალ ფასად, რითაც მე კარგ სარგებელს მივიღებ. ამ ტიპის ხელშეკრულებები, კერძოდ, იმ ქონების ნასყიდობასთან დაკავშირებით, რომელიც გამყიდველს არ ეკუთვნის, საკმაოდ გავრცელებულია სააქციო საზოგადოებების აქციებით ვაჭრობაში. მაგალითად, ბანკმა შეიძლება გაყიდოს აქციები დღეს მოქმედი საბირჟო ფასით და აიღოს ვალდებულება, რომ ეს აქციები მყიდველს გადასცეს ერთი კვირის შემდეგ. ბანკმა შეიძლება ისპეკულიროს, რომ ამ ერთი კვირის შემდეგ აქციების ფასი დაეცა და ერთი კვირის შემდეგ გადასაცემი აქციები იყიდოს იმაზე უფრო დაბალ ფასად, ვიდრე ის თავის მყიდველს შეუთანხმდა და ამით მიიღოს მოგება. ხელშეკრულებები იმ ქონების თაობაზე, რომელიც გამყიდველს არ ეკუთვნის, ასევე საკმაოდ გავრცელებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. მაგალითად, კარტოფილის გამყიდველი ყიდულობს ფერმერისგან ყველა კარტოფილს მოსავლის აღებამდე ერთი წლით ადრე, როდესაც ჯერ ერთი კარტოფილის თესლიც არ არის მიწაში ჩარგული. ასეთი ხელშეკრულების ნამდვილობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ აჩენს რთულ შეკითხვებს იმ შემთხვევაში, თუ მოგვიანებით გაირკვა, რომ გამყიდველს არ შეუძლია შესრულება, რადგან ზედმეტად წვიმიანი ზამთრის გამო კარტოფილის მთელი მოსავალი განადგურდა. იმიტომ, აქედან გამოდის დასკვნა, რომ მე ვერ გადავცემ ქონებას, რომელიც ჩემი არ არის, მაგრამ მე შემიძლია გავყიდო ქონება, თუნდაც ის, ჯერჯერობით, მე არ მეკუთვნოდეს.

2.7. ხშირად ამბობენ, რომ სანივთო სამართალი „სტატიკაა“, ხოლო ვალდებულებითი სამართალი — „დინამიკა“. სანივთო სამართალი გამოხატავს გარკვეულ სტატუსს მოცემულ მომენტში. ასე ვთქვათ, ის გამოხატავს, როგორც არის მსოფლიოში საქონელი და კეთილდღეობა განაწილებული ადამიანებს შორის ან კომპანიების მსგავს იურიდიულ პირებს შორის მოცემულ მომენტში. ნებისმიერ საზოგადოებაში, ვიღაცებს უფრო მეტი ქონება აქვთ, ვიდრე სხვებს. ვალდებულებითი სამართალი კი ასახავს დინამიურ პროცესს, რომლის დროსაც საზოგადოებაში ხდება ან მოხდება საქონლისა და კეთილდღეობის განაწილება ან ამ განაწილების შეცვლა. ის, რაც ამ წუთში მალაზიის მფლობელს ეკუთვნის, შეიძლება მეორე წუთში ეკუთვნოდეს მომხმარებელს, თუ მისი გადაცემა მოხდა ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე.

2.8. იმიტომ სანივთო სამართალი ასახავს მდგომარეობას, რომელიც არის მოქალაქეთა შორის საქონლისა და კეთილდღეობის განაწილების და ამ ურთიერთობის შედეგი (და, შესაბამისად, პასუხობს ისეთ შეკითხვებს, როგორიცაა, მაგალითად – ვის ეკუთვნის კონკრეტული ავტომობილი), ხოლო ვალდებულებითი სამართალი ასახავს ამ შედეგის და ასეთი განაწილების მიზეზს (და, შესაბამისად, პასუხობს ისეთ შეკითხვებს, როგორიცაა, მაგალითად – როგორ მოხდა, რომ ესა და ეს ავ-

ტომობილი ეკუთვნის ამა და ამ პიროვნებას). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: სანავთო სამართალი ასახავს მდგომარეობას, რომელიც გამიზნულია დარჩენაზე (მაგალითად, ველოსიპედის მესაკუთრის უფლებების დაცვით, რომლის უფლებებიც შეილახა მესამე პირის მიერ), ხოლო ვალდებულებითი სამართალი ასახავს იმას, თუ როგორ არის შესაძლებელი არსებული მდგომარეობის დასრულება და ახლის დადგენა (მაგალითად, იმის მეშვეობით, რომ ა-მ და ბ-მ დადონ ხელშეკრულება, რომლის ძალითაც, ა-ს მიერ ველოსიპედის მფლობელობა დასრულდება და დადგინდება ახალი მფლობელობა ბ-ს მიერ).

2.9. ნივთთან დაკავშირებული უფლებების განსაზღვრისათვის აუცილებელია, განსაზღვრული იყოს თავად ეს ნივთი. შეუძლებელია, ვინმე იყოს განუსაზღვრელი ნივთის მფლობელი. თუ მე მყავს ორი მანქანა, რომელთაგან ერთ-ერთს ვიყენებ სანივთო ხასიათის გარიგების მიზნებისთვის, მაგალითად, იგი უნდა გამოყენებულ იქნეს სსკ-ის 254-ე და 255-ე მუხლებში აღნიშნული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, აუცილებელია, მკაფიოდ იყოს განმარტებული, რომელ მანქანაზეა ლაპარაკი, რადგან სხვა შემთხვევაში უზრუნველყოფის უფლება არ წარმოიშობა. სახელშეკრულებო სამართალში კი, პირიქით, არ არის აუცილებელი, რომ საქონელი განსაზღვრული იყოს. ეს საკითხი უფრო გასაგები რომ გახდეს, შეიძლება ასეთი მაგალითის მოყვანა. ქარხანას, რომელიც აწარმოებს “ლადას” მარკის ავტომობილებს, საწყობში აქვს 100 000 ლადა, რომლებიც გაჩერებულია მის ტერიტორიაზე. ქარხანა დებს ნასყიდობის ხელშეკრულებას თბილისში მყოფ ლადას დილერთან. დილერი ყიდულობს 1 000 ლადას ქარხნის საწყობიდან, ნაყიდი ავტომობილების განსაზღვრის გარეშე. ნასყიდობის ხელშეკრულებაში შეთანხმებული და ჩანერილია, რომ 1 000 ცალ გაყიდულ ლადას ავტომობილზე საკუთრების უფლება დაუყოვნებლივ გადადის მყიდველზე. ხელშეკრულების დადებიდან მეორე დღეს ლადას ქარხნის თანამშრომელს 500 ცალი ავტომობილი ლადა ქარხნის გასაჩერებელი ადგილიდან გადაჰყავს ბათუმის რკინიგზის სადგურში, სადაც ხდება ამ ავტომობილების მარკირება, რომ ისინი მატარებლით უნდა გაეგზავნოს დილერს. ერთი დღის შემდეგ, როდესაც აღნიშნული 500 ცალი ავტომობილი ჯერ კიდევ ბათუმშია თბილისის მიმართულებით ტრანსპორტირების მოლოდინში და, იმავდროულად, დანარჩენი 500 ცალი ლადა კვლავ გაჩერებულია ქარხნის ავტოსადგომზე, ლადას ქარხანა კოტრდება. ამ შემთხვევაში, მისი დადების მომენტიდან მოყოლებული, არსებობს ნამდვილი ხელშეკრულება 1 000 ლადაზე, თუმცა, განსაზღვრული არ არის, რომელ 1 000 ლადაზეა ლაპარაკი ლადას ქარხნის საწყობში მყოფი 100 000 ლადადან. და მიუხედავად იმისა, რომ, ხელშეკრულების მიხედვით, ხელშეკრულების დადების მომენტიდანვე დილერი ხდება 1 000 გაყიდული ლადას მესაკუთრე, ქარხნის გაკოტრების მომენტისთვის იგი მესაკუთრეა მხოლოდ ბათუმის რკინიგზის სადგურში არსებული 500 ცალი ავტომობილისა, რადგან მხოლოდ ეს 500 ცალი ავტომობილია ისე სათანადოდ განსაზღვრული, რომ მათ მიმართ შესაძლებელია დილერის საკუთრების უფლების გამოყენება.

3. სანივთო უფლებების სახეები

3.1. როგორც ზემოთ აღინიშნა (პარაგრაფი 2.2.), იმ პრინციპის შედეგად, რომ სანივთო უფლება შეიძლება განხორციელდეს ყველას მიმართ, ეს უფლებები შეიძლება დადგინდეს მხოლოდ კანონით და მათ ხშირად უწოდებენ „სანივთო უფლებების ჩაკეტილ სისტემას“. უმეტესობა სამართლის სისტემებში, ქართლი

და ჰოლანდიური სამართლის სისტემების მსგავსად, სანივთო უფლებები სამ კატეგორიად იყოფა.

3.2. ყველაზე მნიშვნელოვანი, ბევრის მომცველი და სრული უფლება არის (დაუტვირთავი) საკუთრების უფლება. ჰსკ-ის 5:1 მუხლი განსაზღვრავს საკუთრების ცნებას, როგორც ყველაზე სრულ უფლებას, რაც პირს შეიძლება ჰქონდეს საქონელთან დაკავშირებით. სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი პუნქტი, მართალია, არ შეიცავს ცნებას, მაგრამ ადგენს, რა უფლებები აქვს საქონლის მესაკუთრეს. ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსში ასეთი აღწერილობა მოცემულია 5:1 მუხლის მე-2 პუნქტში. რა თქმა უნდა, ეს განსხვავება მხოლოდ საკანონმდებლო ტექნიკის საკითხია და მას არა აქვს ისეთი შედეგი, რომ საკუთრების ცნებას სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს სხვადასხვა ქვეყანაში.

3.3. კანონის მიერ საკუთრების უფლების, როგორც სრული და, ფაქტობრივად, შეუზღუდავი უფლების აღიარებას ის შედეგი აქვს, რომ მესაკუთრეს შეუძლია, საქონელზე საკუთრების უფლების შენარჩუნების პარალელურად, გადასცეს ამ საქონელზე გარკვეული შეზღუდული უფლებები მესამე პირს. ნებისმიერი სამართლის სისტემა აღიარებს — კანონით დადგენილი შეზღუდვებით — სხვისი საკუთრებით სარგებლობის რიგ უფლებებს. ქართული სამართალი იცნობს აღნაგობის (მემკვიდრეობით) უფლებას (სსკ-ის 233-ე მუხლი), უზუფრუქტს (სსკ-ის 242-ე მუხლი) და სერვიტუტს (სსკ-ის 247-ე მუხლი). **ჰოლანდიური სამართალი იცნობს უზუფრუქტს (ჰსკ-ის მუხლი 3:201), სერვიტუტს (ჰსკ-ის 5:70 მუხლის პირველი), უძრავი ქონების იჯარას (ჰსკ-ის 5:85 მუხლის პირველი ნაწილი) და აღნაგობის (მემკვიდრეობით) უფლებას (ჰსკ-ის 5:101 მუხლის პირველი ნაწილი).**

3.4. სანივთო უფლებების ამ ორი კატეგორიის გარდა, რომლებიც ქონებას ძირითადად განიხილავს, როგორც საქონელს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესაკუთრის ან შეზღუდული უფლებებით მოსარგებლეს სასარგებლოდ, ქონება ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 254-ე მუხლის პირველი ნაწილით და ჰსკ-ის 3:227 მუხლით. რადგან ეს უზრუნველყოფის საშუალება სანივთო ხასიათისაა, შედეგი გახლავთ ის, რომ მის მიმართ გამოიყენება სანივთო სამართლის წესები, როგორცაა მაგალითად, წესი, რომ უფრო ადრინდელ უფლებას უპირატესობა აქვს უფრო ახალ უფლებასთან შედარებით, რომ მოვალე ვერ გადასცემს საქონელზე იმაზე მეტ უფლებას, რაც თვითონ აქვს და რომ უფლებას პატივი უნდა სცეს ყველამ. უკანასკნელი წესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან იგი ნიშნავს, რომ გაკოტრების შემთხვევაში კრედიტორზე გაკოტრება უარყოფით გავლენას არ მოახდენს, რადგან ამ უფლებას პატივი უნდა სცეს გაკოტრების მმართველმაც და სხვა კრედიტორებმაც. ეს გარკვევით არის გამოხატული სსკ-ის 254-ე მუხლის პირველ ნაწილში.

3.5. როგორც უძრავი ნივთი, ისე მოძრავი ნივთიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს უზრუნველყოფის საშუალებად. უძრავი ნივთის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებას ჰქვია იპოთეკა, რომელიც მოიპოვება სსკ-ის 286-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებში და ჰსკ-ის 3:260 მუხლის პირველ ნაწილში. მოძრავი ნივთის შემთხვევაში უზრუნველყოფას, ჩვეულებრივ, ჰქვია გირავნობა,⁴ რომელიც, მარ-

⁴ სსკ-ის ინგლისურ თარგმანში სიტყვა „გირავნობის“ (pledge) ნაცვლად, ერთიანი კომერციული კოდექსის ტერმინოლოგიასთან შესაბამისობის მიზნით, გამოყენებულია სხვა ტერმინი — „უზრუნველყოფის უფლება“ (security interest). ამიტომაც ავტორი აღნიშნავს, რომ „ჩვეულებრივ, ჰქვია გირავნობა“. თუმცა, სსკ-ში სწორედ ტერმინი „გირავნობა“ გამოყენებული — მთარგმნელის შენიშვნა.

თალია, ზუსტად ამ სიტყვით არა, მაგრამ მოიპოვება სსკ-ის 254-ე მუხლის პირველ ნაწილში და ჰსკ-ის 3:236 მუხლში.

4. მესამე პირების დაცვა

4.1. ზემოთ აღნიშნა, რომ სანივთო სამართალში მოქმედებს პრინციპი *"nemo plus iuris ad alium transferre potest quam ipse habet"*, რაც იმას ნიშნავს, რომ არავის შეუძლია იმაზე უკეთესი უფლება გადასცეს სხვას ნივთზე, რაც თვითონ მას აქვს. ამის შედეგი არის ის, რომ თუ **ბ** გადასცემს **ც**-ს საქონელს, რომლის მესაკუთრე არის არა თვითონ, არამედ **ა**, **გ** ვერ გახდება ამ საქონლის მესაკუთრე. თუ **გ** დაუფლებულია აღნიშნულ საქონელს, **ა**-ს შეუძლია, აღძრას ნარმოება **გ**-ს მიმართ და ამოიღოს საქონელი. ერთადერთი უფლება, რაც **გ**-ს კანონით აქვს, არის უფლება, უჩივლოს **ბ**-ს, მაგალითად, მიყენებული ზიანის გამო. პრინციპში და სანივთო სამართლის ხისტი წესების მიხედვით, მნიშვნელობა არ აქვს, **გ**-მ იცოდა თუ არა, რომ **ა** იყო მისთვის გადაცემული საქონლის მესაკუთრე და არა **ბ**.

4.2. მიუხედავად ამისა, ყველა სამართლის სისტემაში არსებობს პრობლემა, რომ ინტერესთა შეუთავსებლობას შეიძლება ჰქონდეს ადგილი, ერთი მხრივ, ნივთის მესაკუთრესა (რომელსაც სანივთო სამართლის მიხედვით, შეუძლია ამოიღოს თავისი ნივთი, როცა უნდა და ვისგანაც უნდა) და, მეორე მხრივ, კეთილსინდისიერი შემძენი მესამე მხარის დაცვას შორის. ამ კონტექსტში კეთილსინდისიერება ნიშნავს იმას, რომ ამ მესამე მხარემ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ მისთვის გადაცემული ქონება არ ეკუთვნოდა იმ პიროვნებას, ვინც მას იგი გადასცა, ხოლო ეს მესამე პირი ვარაუდობდა, რომ გამამცემი პიროვნება მესაკუთრე იყო.

4.3. როგორც ზემოთ (პარაგრაფი 2.1) აღნიშნა, სანივთო უფლებები შეიძლება და ძალიან ხშირად ექვემდებარება რეგისტრაციას, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 311-ე მუხლის პირველი ნაწილით და ჰსკ-ის 3:16 მუხლის პირველი ნაწილით. რეგისტრაციის ვალდებულება უშუალოდ არის დაკავშირებული იმ პრინციპთან, რომ სანივთო უფლებები შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი პირის მიმართ, რაც მართებულიცაა, რადგან იცის ან, როგორც მინიმუმ, აქვს შესაძლებლობა იცოდეს, ნამდვილად არის თუ არა ნივთის გადაცემის მოსურნე პირი ამ ნივთის მესაკუთრე. ამიტომ რეგისტრაციით ხდება მესამე მხარის კეთილსინდისიერების აცილება, ზემოთ მოცემული თვალსაზრისით.

4.4. მაგრამ რეგისტრაციის შესაძლებლობა და ზოგჯერ ვალდებულებაც, ძირითადად, უძრავ ქონებას ეხება. არ არსებობს რეესტრი ველოსიპედების, ძროხების, ლეპტოპების და სხვა ასეთი საგნებისთვის. ამასთან, ხშირად მესაკუთრის ფიზიკურ მფლობელობაში არ იმყოფება მის საკუთრებაში არსებული ნივთი. ხშირად ნივთს ფიზიკურად ფლობს სხვა პირი, მეგობარი, მეზობელი, ადამიანი, ვინც წიგნი გაანათხოვრა, მაღაზიის მფლობელი, რომელსაც ჯერ არ გადაუხდია მის თაროებზე დაწყობილი საქონლის ფასი, რის გამოც საქონლის მწარმოებელი ინარჩუნებს ამ საქონელზე უფლებას, ვიდრე მას სრულად არ გადაუხდის მაღაზიის მფლობელი და ა.შ.

4.5. უმეტესობა სამართლის სისტემებში აღნიშნული შეუთავსებლობის გადაჭრა ხდება ამგვარად: ხელშესახები საგნების შემთხვევაში, მხარე, რომელიც კეთილსინდისიერად შეიძენს ნივთს, იქნება დაცული, რაც ნიშნავს, რომ იგი გახდება ნივ-

თის კანონიერი მესაკუთრე, ხოლო თავდაპირველი მესაკუთრე კარგავს საკუთრების უფლებას და რჩება არაკეთილსინდისიერი გამყიდველის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ამარა. მაგალითად, ბ-მ იქირავა ველოსიპედი თავისი ახლო მეგობარი ა-სგან, რათა გაისეირნოს მზიან დღეს თბილისის ირგვლივ მთებში, მაგრამ დღის ბოლოს მან ეს ველოსიპედი მიჰყიდა ც-ს, რომ იშოვოს ცოტა ფული და იყიდოს ლუდი, რადგან მას ძალიან მოსწყურდა მთელი დღე ველოსიპედზე სეირნობის შემდეგ. თუ ც კეთილსინდისიერად მოქმედებს, მაშინ ის გახდება ველოსიპედის მესაკუთრე და იგი ვალდებული არ იქნება, დაუბრუნოს ველოსიპედი ა-ს. ა-ს კი რჩება ერთადერთი შესაძლებლობა, რომ ზიანი აინაზღაუროს ბ-სგან, რომელმაც დაარღვია თავისი ვალდებულება ა-ს მიმართ, დღის ბოლოს დაუბრუნებინა მისთვის ველოსიპედი, ამასთან მთლიანად დახარჯა ფული, რაც ველოსიპედის გაყიდვით მოიპოვა, რითაც ა უგერგილო მოთხოვნის უფლების ამარა დატოვა.

5.6. იმ მესამე პირთა დაცვის წესები, რომლებიც კეთილსინდისიერად შეიძენენ ნივთს არამესაკუთრესგან, ქართულ სამართალში რეგულირებულია სსკ-ის 158-ე, 159-ე და 160-ე მუხლებით. ჰოლანდიურ სამართალში ეს წესები მოცემულია ჰსკ-ის 3:86 მუხლის პირველ ნაწილში. უნდა აღინიშნოს, რომ, სულ ცოტა, ორი მნიშვნელოვანი განსხვავებაა ქართულ და ჰოლანდიურ კანონმდებლობებს შორის: ჰოლანდიური სამართალი არ იცავს მესამე პირს, თუ მას ნივთი საჩუქრის სახით გადაეცა (ჰსკ-ის 3:86 მუხლის პირველი ნაწილი) ან თუ მან ნივთი მიიღო იმის შედეგად, რომ თავდაპირველ მესაკუთრეს ეს ნივთი მოჰპარეს (ჰსკ-ის 3:68 მუხლის მესამე ნაწილი). ორივე შემთხვევაში, თავდაპირველ მესაკუთრეს შეუძლია, ამოიღოს ნივთი მესამე პირისგან, თუნდაც მესამე პირი კეთილსინდისიერად მოქმედებდა. საქმე ცოტა რთულდება იმით, რომ ჰოლანდიელმა კანონმდებელმა 3:68 მუხლის მესამე ნაწილში გაითვალისწინა გამონაკლისის გამონაკლისი და ჩაწერა, რომ მესამე პირი, რომელიც, როგორც მომხმარებელი, კეთილსინდისიერად შეიძენს ხელშესახებ ნივთს პირისგან, რომელიც მისი ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ყიდის ამ ნივთს (მაგალითად, თუ მომხმარებელი შეიძენს ველოსიპედს ჩვეულებრივ ველოსიპედების მაღაზიაში), ასეთი მყიდველი დაცულია და იგი ხდება საქონლის მესაკუთრე.

5.7. რა თქმა უნდა, ყოველთვის იოლი არ არის იმის დადგენა, მესამე პირი მოქმედებდა თუ არა კეთილსინდისიერად. მაგალითად, თუ პირმა ითხოვა ნივთი ბიბლიოთეკიდან და ნიგნზე შტამპით გამოსახულია ბიბლიოთეკის სახელი, მაშინ შეიძლება ამტკიცოს, რომ მესამე პირი, რომელსაც მონათხოვრე სთავაზობს ამ ნიგნის მიყიდვას, არ იმოქმედებს კეთილსინდისიერად, თუ ისე იყიდის ნიგნს, რომ ჯერ არ გაარკვევს ბიბლიოთეკაში, ეს ნიგნი ეკუთვნის თუ არა ამ ბიბლიოთეკას. მეორე მხრივ, კეთილსინდისიერად მოქმედი მესამე პირების დაცვის ერთ-ერთი საფუძველი არის ის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ნორმალური სამოქალაქო ბრუნვისთვის ხელშეშლა, რასაც მივყავართ დასკვნამდე, რომ, პრინციპში, მესამე პირს არ ევალება იმის გამოძიება, აქვს თუ არა გამსხვილებელს გასხვიების უფლება, თუნდაც ამ მესამე პირს ჰქონდეს გარკვეული ეჭვები ამასთან დაკავშირებით.

თავი 3

განსხვავებები სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებებს შორის

1. შესავალი

1.1. როგორც ნიდერლანდების, ისე საქართველოს კერძო სამართალში არსებობს ორი კატეგორიის ვალდებულება, კერძოდ, ერთი, რომელიც იქმნება ხელშეკრულებით და მეორე, რომელიც წესდება სამოქალაქო კოდექსით. სახელშეკრულებო ვალდებულებების შემთხვევაში ადგილი აქვს ღია სისტემას: გარკვეული შეზღუდვების ფარგლებში მხარეებს შეუძლიათ დადონ ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელსაც მოისურვებენ, მათ შორის, ისეთი ხელშეკრულებაც, რომელიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული სამოქალაქო კოდექსით. რაც შეეხება არასახელშეკრულებო ვალდებულებებს, ასეთი ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. როგორც სანივთო უფლებების შემთხვევაში, აქაც ადგილი აქვს არასახელშეკრულებო ვალდებულებების „ჩაკეტილ სისტემას“, ანუ „*numerus clausus*“. საქართველოშიც და ნიდერლანდებშიც არასახელშეკრულებო ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას დელიქტიდან (*tort*),⁵ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებით (*negotiorum gestio*), უსაფუძვლო გადახდით და უსაფუძვლო გამდიდრებით.

1.2. სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებებს შორის მთავარი განსხვავებაა, რა თქმა უნდა, არის ის, რომ სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოიშობა ნებაყოფლობით, ხოლო არასახელშეკრულებო ვალდებულება ეკისრება კანონით, მოვალის ნების სანინააღმდეგოდ. ეს იდეა ასახულია სსკ-ის 317-ე მუხლის პირველ ნაწილში და ჰსკ-ის 6:1 მუხლში და 213 მუხლის პირველ ნაწილში.

1.3. ამ განსხვავების შედეგი არის ის, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებებისას მხარეები თვითონ ირჩევენ, თუ როგორი შინაარსის უნდა იყოს მათი უფლებები და ვალდებულებები. ეს ნიშნავს, რომ უთანხმოების შემთხვევაში, მოსამართლემ უნდა განმარტოს მხარეთა განზრახვა და გადაწყვიტოს, რაზე შეთანხმებას იზრახავდნენ მხარეები. მოსამართლის საქმე არ არის ის, თუ რა მიაჩნია პირადად მას სამართლიანად და გონივრულად. არასახელშეკრულებო ვალდებულების შემთხვევაში კი, მეორე მხრივ, ვალდებულების შინაარსი გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსიდან. უთანხმოების შემთხვევაში მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს, ასე ვთქვათ, რა განზრახვა ჰქონდა კანონმდებელს ან რას ნიშნავს კანონის სიტყვები.

2. ხელშეკრულებების განმარტება

2.1. იმის განმარტება, რასაც სახელშეკრულებო ვალდებულებების შემთხვევაში მხარეები იზრახავდნენ, ხშირად იოლი არ არის. უმეტესად მხარეები ფაქტობრივად ბევრს არაფერს იზრახავდნენ და მათ, უბრალოდ, სურდათ ხელშეკრულების დადება. და მაშინაც კი, როდესაც მხარეები დიდი ხნის განმავლობაში თანხმდებიან

⁵ ანგლო-საქსონურ სისტემაში გამოიყენება ტერმინი *tort*, რაც ნიშნავს სამოქალაქო სამართალდარღვევას, დელიქტს – მთარგმნელის შენიშვნა.

მოლაპარაკების გზით და საბოლოოდ დადებენ მრავალგვერდიან და მრავალმუხლიან წერილობით ხელშეკრულებას, იოლი არ არის მხარეთა საერთო ნების პოვნა. პირიქით, თითოეულ მხარეს თავისებურად ესმის ხელშეკრულება. ამიტომ, მოსამართლის გადაწყვეტილება, თუ რაზე შეთანხმდნენ მხარეები, უფრო ობიექტურია, ვიდრე ის, რომ ვთქვათ, თითქოს მოსამართლემ დაადგინა მხარეთა თავდაპირველი განზრახვა.

2.2. ამიტომ კანონმდებლობები ხშირად შეიცავს წესებს, რომლებიც მოსამართლეს ეხმარება ხელშეკრულების განმარტებაში. ქართული სამართლის შემთხვევაში, შეიძლება აღინიშნოს შემდეგი. სსკ-ის 337-ე მუხლში ნათქვამია: „თუ ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამები შეიძლება გაგებულ იქნეს სხვადასხვანაირად, მაშინ უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმას, რომელიც, ჩვეულებრივ, მიღებულია ხელშეკრულების დამდები მხარეების საცხოვრებელ ადგილზე. თუკი მხარეებს სხვადასხვა საცხოვრებელი ადგილი აქვთ, გადამწყვეტია აქცეპტანტის საცხოვრებელი ადგილი.“ სსკ-ის 338-ე მუხლის თანახმად: „ხელშეკრულებაში ურთიერთგამომრიცხველი ან მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ გამონათქვამს, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ხელშეკრულების შინაარსს.“ სსკ-ის 339-ე მუხლის მიხედვით: „ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები.“ ჰოლანდიურ სამართალში მოიპოვება ერთი საკანონმდებლო ნორმა განმარტებასთან/ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით; 6:248 მუხლის პირველ ნაწილში ნათქვამია: „ხელშეკრულებას აქვს არა მარტო მხარეთა შორის შეთანხმებული იურიდიული შედეგი, არამედ სხვა შედეგიც, რომელიც, ხელშეკრულების ხასიათის მიხედვით, შეიძლება გამომდინარეობდეს კანონიდან, ჩვეულებითი ხმარებიდან ან გონივრულობისა და სამართლიანობის მოთხოვნებიდან.“

2.3. ზემოხსენებული დებულებები ცხადყოფენ, რომ საბოლოო ჯამში მოსამართლის გადასაწყვეტია ან მისი გადასაწყვეტი შეიძლება იყოს, რა თამაშობს მნიშვნელოვან და გადამწყვეტ როლს იმის დადგენაში, თუ რა იყო მხარეთა ნება და რაზე შეთანხმდნენ ისინი. ამიტომ, თეორიულ-სამართლებრივად, დიდი განსხვავება არ არის სახელშეკრულებო ვალდებულებების განმარტებასა და არასახელშეკრულებო ვალდებულებების განმარტებას შორის.

3. ვალდეზულეპის შესრულება

3.1. სახელშეკრულებო ვალდებულებების შემთხვევაში, მხარეები ხშირად თვითონ იქმნიან ვალდებულებებს, რომლებიც გამიზნულია მათ მიერ შესრულებაზე და ამით, ამ ვალდებულებების შეწყვეტაზე. მაგალითად, თუ ა დებს ნასყიდობის ხელშეკრულებას ბ-სთან და ივალდებულებს, რომ მიანოდოს გაყიდული საქონელი, მაშინ იგი არ იზრახავს ვალდებულების არშესრულებას, არამედ პირიქით, მისი განზრახვა არის ის, რომ შეასრულოს ვალდებულება და ამით შეწყვიტოს იგი. იგივე ითქმის ბ-ზე. იგი არ ივალდებულებს, რომ გადაიხადოს შეთანხმებული ფასი იმ განზრახვით, რომ დაარღვიოს ხელშეკრულება, არამედ იმ განზრახვით, რომ შეასრულოს იგი და ამგვარად გათავისუფლდეს ვალდებულებისგან.

3.2. მეორე მხრივ კი, ხშირად არასახელშეკრულებო ვალდებულება წარმოიშობა სწორედ იმ ფაქტიდან, რომ ვალდებული პირი არღვევს პირობას. მაგალითად, არსებობს ზოგადი ვალდებულება, რომ შენს მეზობელს არ უნდა ჩაარტყა მუშტი

მუცელში, მაგრამ თუ განზრახ ასე მოიქცევი და ამ საქციელით ზიანს მიაყენებ მეზობელს, მაშინ მოქმედებას იწყებს სწორედ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის, დელიქტის შედეგი, რაც გამოიხატება მეზობლისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში.

3.3. მოსამართლის გადასაწყვეტია, რა შედეგი ექნება არშესრულებას. თუ დელიქტური ქმედებით ფიზიკური ზიანი მიადგა მესამე პირს, მოსამართლე გადაწყვეტს: ეკისრება თუ არა დამრღვევს პასუხისმგებლობა, რაში გამოიხატება ზიანი, ზიანი გამონვეულია თუ არა დელიქტური ქმედებით, კანონის მიხედვით, დამრღვევი სრულად აგებს პასუხს თუ ნაწილობრივ, მაგალითად, ზიანი ნაწილობრივ თვით დაზარალებულის გამონვეული თუ არის და ა.შ. თუმცა, რა თქმა უნდა, მხარეებმა შეიძლება კომპრომისს მიაღწიონ ამ საკითხებზე და თვითონ შეთანხმდნენ ჩადენილი სამართალდარღვევის შედეგებზე, მაგრამ ასე, როგორც წესი, არ ხდება.

3.4. იგივე შეიძლება ითქვას სახელშეკრულებო ვალდებულების არშესრულებაზეც, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ძალზე ხშირად მხარეებს ხელშეკრულებაში თვითონ აქვთ გათვალისწინებული ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევები და დარღვევის შედეგებიც. ამ შემთხვევაში, მოსამართლეს არ შეუძლია, გადაუხვიოს ხელშეკრულებას. ამ საკითხს კონკრეტულმა მაგალითმა შეიძლება უფრო ნათელი მოჰფინოს. თუ ტაქსის მძღოლი მანქანას მართავს უყურადღებოდ და დაზიანებს ფეხით მოსიარულეს, რომელიც ელოდება შუქნიშანს და რომელსაც ხელში უჭირავს ჩემოდანი, რომელშიც მას აქვს ძვირფასი საათი და ორი ბოთლი კარგი ქართული ღვინო და ეს ნივთები დაზიანდა, მაშინ ტაქსის მძღოლმა სრულად უნდა აუნაზღაუროს ფეხით მოსიარულეს, არა მარტო ფიზიკური (ჯანმრთელობისთვის მიყენებული) ზიანი, არამედ საათისა და ორი ბოთლი ღვინოსთვის მიყენებული ზიანიც. ხოლო თუ ადებს გადაყვანის ხელშეკრულებას ტაქსის მძღოლთან თბილისის ცენტრიდან თბილისის აეროპორტში მისი ტრანსპორტირების შესახებ, ა და ტაქსის მძღოლი შეიძლება შეთანხმდნენ ისეთ პირობაზე ხელშეკრულებაში, რომ ტაქსის მძღოლის უყურადღებობით ბარგისადმი მიყენებული ზიანის გამო ტაქსის მძღოლის პასუხისმგებლობა გამოირიცხება. თუ ამის შემდეგ ტაქსის მძღოლი მანქანას ატარებს უყურადღებოდ და შეეჯახება სხვა მანქანას, რითაც მძიმე ზიანი მიადგება ძვირფას საათს და ორ ბოთლ კარგ ქართულ ღვინოს, რომელიც ა-ს საჩუქრად მიაქვს მისი ახლო მეგობრისთვის ნიდერლანდებში, ა ველარ შეიძლება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ტაქსის მძღოლისგან მისი ბარგისთვის მიყენებული ზიანის გამო, თუმცა, სსკ-ის 669-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ა-ს შეეძლებოდა ასეთი მოთხოვნის წაყენება, წინასწარ ტაქსის მძღოლთან რომ არ შეთანხმებულიყო ტაქსის მძღოლის პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ. ეს მაგალითი გულისხმობს, რომ კანონი მხარეებს აძლევს საშუალებას, შეთანხმდნენ გარკვეული პირობის გამორიცხვაზე ან შეზღუდვაზე. ჰოლანდიური სამართალი ნამდვილად იძლევა ამის შესაძლებლობას. ქართული სამართალი კი, როგორც ჩანს, არ იძლევა პასუხისმგებლობის გამორიცხვის ან შეზღუდვის შესაძლებლობას გადაზიდვის ხელშეკრულების შემთხვევაში. კერძოდ, სსკ-ის 669-ე მუხლის მესამე ნაწილში ნათქვამია: „გადამზიდველის პასუხისმგებლობა არ შეიძლება გამორიცხოს ან შეიზღუდოს ხელშეკრულებით.“ ჩემი აზრით, გაუგებარია, რატომ ზღუდავს ქართული სამართალი პასუხისმგებლობის შეზღუდვის პირობას მაშინ, როდესაც ეს ფართოდ მიღებული პრაქტიკაა სამართლის სისტემების უმეტესობაში.

4. „კონკურსი“ სახელმეკრულებო და არასახელმეკრულებო ვალდებულებებში შორის

4.1. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ სახელმეკრულებო და არასახელმეკრულებო ვალდებულებები, პრინციპში, ურთიერთგამომრიცხავია და ეს ორი ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს. ხელმეკრულებისას, მხოლოდ სახელმეკრულებო პირობებია გადამწყვეტი მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობების დასადგენად. იურიდიულ პრაქტიკაში ხშირად მხარე ცდილობს მიაღწიოს მისთვის სასურველ შედეგს არასახელმეკრულებო ნორმებზე და წესებზე მითითებით, მაგრამ მოსამართლე ამან არ უნდა დააბნიოს. მოვიხმობ ზემოთ აღნიშნულ მაგალითს (პარაგრაფი 3.4). რა თქმა უნდა, თუ **ა**, რომელმაც ხელმეკრულება დადო ტაქსის მძღოლთან თბილისის აეროპორტში წაყვანაზე, თავის მოთხოვნას დააფუძნებდა დელიქტზე, მაშინ მას შეეძლო, მოეთხოვა საათისთვის და ღვინის ბოთლებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მაგრამ თუ **ა** უჩივის ტაქსის მძღოლს და ამბობს, რომ ტაქსის მძღოლს სრულად ეკისრება პასუხისმგებლობა მისი დელიქტური ქმედების შედეგზე — და უყურადღებოდ მანქანის ტარება ნამდვილად არის დელიქტური ქმედება ხელმეკრულების მიღმა, როგორც ეს ჩანს მაგალითში, როდესაც ტაქსის მძღოლმა დააზიანა ფეხით მოსიარულე, რომელიც შუქნიშანს ელოდებოდა — მოსამართლემ არ უნდა დააკმაყოფილოს სარჩელი და უნდა გადაწყვიტოს, რომ რადგან საგზაო შემთხვევა მოხდა **ა**-სა და ტაქსის მძღოლს შორის დადებული ხელმეკრულების შესრულებისას, რომელშიც დათქმული იყო, რომ **ა** არ უჩივლებდა ტაქსის მძღოლს უყურადღებობით ბარგისადმი მიყენებული ზიანის გამო, ამიტომ, ხელმეკრულების თანახმად, უარი უნდა ეთქვას **ა**-ს დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძველით მოთხოვნის წაყენების უფლებაზე.

4.2. ეს „კონკურსის“ პრობლემა სახელმეკრულებო და არასახელმეკრულებო ვალდებულებებს შორის, რომელიც თეორიაში თითქოს „მოგვარებულია“, შეიძლება მარტივად გადაწყდეს, თუ, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითში, არსებობს სახელმეკრულებო ურთიერთობა ორ მხარეს შორის. ვითარება რთულდება, როდესაც მესამე მხარეც მონაწილეობს. მაგრამ მე არ ჩავუღრმავებდი ამ პრობლემას წინამდებარე თავში და მასზე ყურადღებას გავამახვილებ სატრანსპორტო სამართლის საკითხებზე მსჯელობისას, რადგან სწორედ სატრანსპორტო ურთიერთობებში მონაწილეობს ხოლმე ბევრი მხარე და ამ ურთიერთობებს დიდ ყურადღებას უთმობს კანონმდებელიც და სამართლის თეორიაც, რომელიც ცდილობს დაარეგულიროს სახელმეკრულებო და არასახელმეკრულებო პასუხისმგებლობას შორის „კონკურსის“ ჩახლართული საკითხები.

ეს პრობლემა რომ უფრო ნათელი გახდეს, მოვიყვან ზემოაღნიშნულ მაგალითს, როცა ტაქსის მძღოლს **ა** მიჰყავს აეროპორტში, მაგრამ საათი და ღვინის ბოთლები ეკუთვნის არა **ა**-ს, არამედ **გ**-ს, რომელიც არის **ა**-ს ქართველი მეგობარი, რომელმაც **ა**-ს სთხოვა, ეს საათი და ღვინის ბოთლები ჩაიტანოს ნიდერლანდებში და გადასცეს **ა**-ს მეგობარ გოგონას. აქ ჩნდება შეკითხვა, შეუძლია თუ არა **გ**-ს უჩივლოს ტაქსის მძღოლს დელიქტის საფუძველზე. გასაგებია, რომ **გ**-ს არ დაუდვია ხელმეკრულება ტაქსის მძღოლთან და **გ** არ შეთანხმებულა მასთან პასუხისმგებლობის გამორიცხვაზე. ამ შემთხვევაში, ნიდერლანდებში მაინც, ფართოდ გავრცელებულია პრაქტიკა, რომ **გ**-ს, პრინციპში, მაინც შეუძლია უჩივლოს ტაქსის მძღოლს დელიქტის საფუძველზე. მაგრამ ასევე გავრცელებულია, რომ, ტაქსის მძღოლს, რომელმაც საერთოდ არ იცოდა **გ**-ს არსებობის შესახებ, შეუძლია მიუთითოს პასუხისმგებლობის გამომრიცხავ პირობაზე და არ აუნაზღაუროს **გ**-ს. ამის თეორიული ახსნა არის ის, რომ მოცემულ მაგალითში **ა** ჩაითვლება **გ**-ს რნ-

მუნებულად და, დავალების წესების მიხედვით, გ ხდება ხელშეკრულების მხარე, სულ ცოცხა, პასუხისმგებლობის გამომრიცხავი დებულების მიზნებისთვის.

4.4. სატრანსპორტო ურთიერთობებში ნორმალურიც კია, რომ საქონელი, რომლის ტრანსპორტირებაზეც დადებულია ხელშეკრულება, არ ეკუთვნის ხელშეკრულების არც ერთ მხარეს. მაგალითად, თუ მე მსურს, ჩემი როიალი გადავიტანო თბილისიდან ამსტერდამში, მე ვდებ ხელშეკრულებას სატრანსპორტო ფირმასთან თბილისში, რომელიც უშუალოდ თვითონ არ მოახდენს როიალის ტრანსპორტირებას. შესაძლებელია, როიალი გადაიტანონ ბათუმში ავტომობილის მეშვეობით, შემდგომ გაგ ზავნონ ბათუმიდან როტერდამში ზღვით, შემდეგ რკინიგზით ჩაიტანონ როტერდამიდან ამსტერდამში და, ბოლოს, მოიტანონ ამსტერდამში მდებარე ჩემს სახლში მანქანით. გასაგებია, რომ არც ერთ ამ გადაზიდვის ხელშეკრულებას უშუალოდ მე არ ვდებ, მათ შორის, არც ს/ს „ტვირთების საზღვაო გადაზიდვის ბათუმის გაერთიანებულ სატრანსპორტო კომპანიასთან“. ასევე გასაგებია, გამგზავნა კომპანიამ იცის, რომ როიალი არ ეკუთვნის იმ მხარეს, რომელთანაც დებს როიალის ზღვით გადაზიდვის შესახებ ხელშეკრულებას; აგრეთვე, ცნობილია, რომ კონოსამენტი უამრავი პირობა იქნება პასუხისმგებლობის გამომრიცხველის და შეზღუდვების შესახებ. დავუშვათ, ტრანსპორტირებისას როიალი დაზიანდა ხმელთაშუა ზღვაში და ეს დაზიანება შედის პასუხისმგებლობის შემზღუდველ სახელშეკრულებო პირობაში; შემიძლია თუ არა მე, ამის მიუხედავად, მაინც ვუჩივლო გამგზავნ კომპანიას დელიქტური სამართლის საფუძველზე, რადგან მისმა რომელიღაც თანამშრომელმა დაუშვა შეცდომა. შემიძლია თუ არა, ვამტკიცო, რომ პასუხისმგებლობის გამომრიცხველი და შემზღუდველი პირობები ჩემი პრობლემა არ არის, რადგან მე არ ვარ გადაზიდვის ხელშეკრულების მხარე? ამ კითხვაზე საერთაშორისოდ აღიარებული პასუხი, რასაკვირველია, იქნება უარყოფითი: საყოველთაოდ მიღებულია — თუმცა, თეორიულად რთული სამსჯელოა — რომ გამგზავნ კომპანიას შეუძლია, მიუთითოს აღნიშნულ პირობებზე მესამე მხარეებთან ურთიერთობაშიც.

თავი 4

ვალდებულებითი სამართლის ძირითადი მახასიათებლები

1. შესავალი

1.1. ვიდრე ქართულ და ჰოლანდიურ ვალდებულებითი სამართლის სისტემებს უფრო დეტალურად შევადარებ, მანამდე უფრო დანვრილებით აღვწერ ქართული და ჰოლანდიური სამოქალაქო კოდექსების სისტემას. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ვალდებულებათა სამართლის ზოგადი ნაწილი, მათ შორის, სახელშეკრულებო სამართლისა და კონკრეტული ხელშეკრულებების შესახებ ზოგადი წესები მოცემულია მხოლოდ ერთ — მესამე ნიგნში, ხოლო ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსში — მეექვსე, მეშვიდე, მეშვიდე A და მერვე ნიგნებში. ამასთან, ვალდებულებითი სამართლის წესები, როგორც საქართველოში, ისე ჰოლანდიაში, მოიპოვება აგრეთვე კოდექსის იმ ნაწილებში, რომლებშიც ზოგადად იურიდიულ მოქმედებებზეა ლაპარაკი.

1.2. ამგვარად, სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება. ქართული სამართლის შემთხვევაში: ნიგნი პირველი, კარი მეორე — გარიგებანი; ნიგნი მესამე, ზოგადი დებულებანი, კარი პირველი, სახელშეკრულებო სამართალი, ნაწილი პირველი, კარი მეორე — ვალდებულების შესრულება, კარი მესამე — ვალდებულების დარღვევა, კარი მეოთხე — ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, კარი მეხუთე — მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი, კარი მეექვსე — ვალდებულების შეწყვეტა, კარი მეშვიდე — კრედიტორთა ან მოვალეთა სიმრავლე ვალდებულებაში, კერძო ნაწილი, კარი პირველი — სახელშეკრულებო სამართალი, ნაწილი მეორე, კარი მეორე, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, კარი მესამე — დელიქტური ვალდებულებები. ჰოლანდიური სქემა შემდეგია: ნიგნი მესამე, კარი მეორე — იურიდიული ქმედებები, ნიგნი მეექვსე, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, კარი პირველი — ვალდებულებები ზოგადად, კარი მეორე, მოთხოვნების და ვალების გადაცემა და მოთხოვნის დათმობა, კარი 3 — დელიქტი, კარი 4 — სხვა კანონისმიერი ვალდებულებები, კარი 5 — ხელშეკრულებები ზოგადად, ნიგნი მეშვიდე, კონკრეტული ხელშეკრულებები, ნიგნი მეშვიდე A, კონკრეტული ხელშეკრულებები, გაგრილება, ნიგნი მერვე სატრანსპორტო საშუალებები და სატრანსპორტო სამართალი.

1.3. ამბობენ, რომ ქართულ სამოქალაქო კოდექსზე გავლენა იქონია არა მარტო გერმანულმა სამოქალაქო კოდექსმა, არამედ ჰოლანდიურმა კანონმდებლობამაც. რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, რომ ეს უდავოდ ასეა და თუ ასეა, მაშინ რამდენად შორს ნავიდა ეს გავლენა. თუმცა, თავისუფლად შეიძლება ვთქვათ, რომ ორივე სამართლის სისტემაში მოიპოვება ბევრი მსგავსი ან შედარებისთვის შესაძლებელი ნორმა და რომ, მთლიანობაში, ქართული და ჰოლანდიური სამოქალაქო კოდექსები ერთსა და იმავე სამართლებრივ სისტემას მიეკუთვნება, რომელზეც ლაპარაკია რენე დავიდის ცნობილ ნიგნში „თანამედროვე მსოფლიოს ძირითადი სამართლებრივი სისტემები“. ამ თავში მე უფრო მეტად შევეხები ვალდებულებითი სამართლის ძირითად მახასიათებლებს და, რამდენადაც შესაძლებელია, შევადარებ ქართულ და ჰოლანდიურ სამართალს.

2. რამდენიმე ფუქიმდებლური პრინციპი

2.1. ჰსკ-ის 6:1 მუხლში ნათქვამია, რომ ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ კანონის საფუძველზე. ანალოგიური პრინციპი, მეტნაკლებად იგივე, მოიპოვება სსკ-ის 317-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომლის თანახმად: „ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველებიდან.“

2.2. ამიტომ, სწორედ კანონი წყვეტს, წარმოიშვას თუ არა ვალდებულება. მაგრამ, მეორე მხრივ, კანონი აღიარებს ხელშეკრულების თავისუფლების დოქტრინას, რაც — კანონით განსაზღვრულ გარკვეულ ფარგლებში — ნიშნავს, რომ: ა) პირს (ფიზიკურსაც და იურიდიულსაც) თავისუფლად შეუძლია დადოს ხელშეკრულება ან არ დადოს ხელშეკრულება და ბ) მხარეების გადასაწყვეტია, რა ხელშეკრულება უნდა დადონ მათ და რა უნდა იყოს ხელშეკრულების შინაარსი. ეს ბოლო პრინციპი გულისხმობს, რომ: ა) მხარეებს შეუძლიათ დადონ ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც რეგულირებულია სამოქალაქო კოდექსით და შეუძლიათ სრულად მიიღონ ყველა ის წესი ასეთ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რაც დადგენილია სამოქალაქო კოდექსით; ბ) მხარეებს შეუძლიათ, დადონ ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც რეგულირებულია სამოქალაქო კოდექსით, მაგრამ ამ ხელშეკრულებაში გადაუხვიონ კანონით დადგენილ სახელშეკრულებო პირობებს და თვითონ დაადგინონ სახელშეკრულებო პირობები თავიანთი სურვილისამებრ; გ) მხარეებს შეუძლიათ, დადონ ხელშეკრულება, რომელიც არ არის რეგულირებული სამოქალაქო კოდექსით ან სხვა კანონით.

2.3. ხელშეკრულების თავისუფლების ეს პრინციპი კონკრეტული ასპექტებით გამონახულია 319-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომლის თანახმად: „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ, კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ, დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას.“

2.4. 1992 წლამდე ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი მოიპოვებოდა ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსშიც. იგი მოცემული იყო ძველი ჰსკ-ის 1374-ე მუხლის პირველ ნაწილში. ეს დებულება აღარ მოიპოვება ახალ კანონმდებლობაში. იგი იმდენად თავისთავად ცხადად მიიჩნეოდა, რომ კანონმდებელმა აღარ ჩათვალა საჭიროდ მისი ჩანერა კოდექსში. ამდენად, დღესდღეობით, ეს პრინციპი გამომდინარეობს ჰოლანდიის მოქმედი სამოქალაქო კოდექსიდან.

2.5. როგორც ზემოთ ითქვა, ხელშეკრულების თავისუფლება შეუზღუდავი არ არის. კანონმდებელმა გარკვეული შეზღუდვები დაანება საზოგადოებრივი ზნეობის, საჯარო წესრიგის და საჯარო ინტერესის დაცვის მიზნით, აგრეთვე, საზოგადოების იმ ნაწილის დაცვის მიზნით, რომელთაც განსაკუთრებული დაცვა ესაჭიროება კანონმდებლისგან, რათა ან ნაწილის მიმართ ადგილი არ ჰქონდეს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას უფრო ძლიერი მხარის მხრიდან. ეს შეზღუდვები შეიძლება გამოიხატოს იმ ფორმით, რომ არ შეიძლებოდეს ზოგიერთი ხელშეკრულების დადება ან ზოგიერთ სახელშეკრულებო პირობაზე შეთანხმება. შეზღუდვები შეიძლება იმაშიც გამოიხატოს, რომ ხელშეკრულებას, რომელიც ეწინააღმდეგება აღნიშნულ შეზღუდვებს, იურიდიული ძალა საერთოდ არ

ჰქონდეს ან არ ჰქონდეს იმ ნაწილში, რაც ეხება აკრძალულ კონკრეტულ სახელშეკრულებო პირობას. ამ ფენომენის სამართლებრივად გამოსახატავად ამბობენ, რომ ხელშეკრულება მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილია. **აღნიშნული შეზღუდვები შეიძლება და, ძალზე ხშირად, როდესაც შეზღუდვის მიზანია სუსტი მხარის დაცვა, არის კიდევ გამობატული იმ ფორმით, რომ ხელშეკრულება მთლიანად ან მისი ნაწილი არ არის ბათილი. მაგრამ იმ მხარეს, რომლის ინტერესებშიც დაწესებულია შეზღუდვა, შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების ბათილობა. ამ მხარის გადასაწყვეტია, მოითხოვს თუ არა იმ ხელშეკრულების ბათილობას, რომელიც, პრინციპში, ნამდვილია. ამის სამართლებრივად გამოსახატავად ამბობენ, რომ არსებობს ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი.**

2.6. ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსში ბათილობის შესახებ ზოგადი წესი მოცემულია 3:40 მუხლში, რომლის თანახმად: „იურიდიული ქმედება ბათილია, თუ იგი თავისი შინაარსით ან მიზნით ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ზნეობას ან საჯარო წესრიგს.“ ზოგადი წესი ბათილობის საფუძველების შესახებ მოიპოვება 3:44 მუხლის პირველ ნაწილში, რომლის თანახმად: „იურიდიული ქმედება შეიძლება ბათილად ჩაითვალოს, თუ იგი განხორციელდა მუქარის, მოტყუების ან არასათანადო ზემოქმედების განხორციელებით.“ ამ წესის ქართული ეკვივალენტი, როგორც ჩანს, გამოხატულია სსკ-ის 54-ე მუხლში, რომლის თანახმად: „ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.“ 3:44-ე მუხლის პირველი ნაწილის ეკვივალენტი კი, ჩემი აზრით, არის სსკ-ის 55-ე მუხლი, რომლის თანახმად: „1. გარიგება შეიძლება ბათილად ჩაითვალოს, თუ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისთვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობაა და გარიგება დაიდო მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა ხელშეკრულების მეორე მხარის მძიმე მდგომარეობით ან გამოუცდებლობით (გულუბრყვილობით). 2. ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე.“

2.7. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული დებულებები ბათილობის შესახებ და ბათილობის საფუძველების შესახებ გამოიყენება არა მხოლოდ ხელშეკრულებების, არამედ, ზოგადად, იურიდიული ქმედებების მიმართ.

2.8. ძველი რომაული სამართლის მსგავსად, ჰოლანდიურ სამართალში არსებობს სამი ტიპის ვალდებულება, რომლებიც ლათინურად ასე გამოიხატება: *dare, facere* და *non facere*. ვალდებულება შეიძლება შეიცავდეს რაიმეს გადაცემის ან მიწოდების მოვალეობას, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე წიგნის გადაცემა. ან შეიძლება შეიცავდეს რაიმეს გაკეთების ან დამზადების ვალდებულებას, მაგალითად, მშენებლობის ხელშეკრულების საფუძველზე სახლის აშენება. ანდა ვალდებულება შეიძლება გულისხმობდეს, რომ პირმა თავი შეიკავოს რაიმეს გაკეთებისგან, ხელშეკრულების ან კანონის საფუძველზე. მაგალითად, პირს, თუ იგი მიწვეული არ არის ან საამისო ნებართვა არ აქვს, არ შეუძლია შევიდეს მეზობლის სახლში, ანდა შრომითი ხელშეკრულების მხარეების შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამონურვის შემდეგ მუშაკს გარკვეული დროის განმავლობაში ან გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში უფლება არ აქვს, განხორციელოს საქმიანობა, რომლითაც კონკურენციას გაუწევს ყოფილ დამქირავებელს.

2.9. ეს განსხვავება ამ სამი ტიპის ვალდებულებას შორის ჰსკ-ში მოიპოვება 3:296 მუხლის სახით, რომლის თანახმად, „პირს, რომელსაც სხვა პირის მიმართ აქვს ვალდებულება, გადასცეს რაიმე, გააკეთოს რაიმე ან თავი შეიკავოს რაიმეს გაკეთებისგან, შეიძლება, ამ სხვა პირის (კრედიტორის) შუამდგომლობის საფუძველზე, მოსამართლემ დააკისროს ამ ვალდებულების შესრულება.“ როგორც ჩანს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არ ასახელებს ვალდებულების აღნიშნულ სამ ტიპს, მაგრამ მასში ჩაღრმავება იძლევა საფუძველს, დავასკვნათ, რომ ქართული სამართალიც აღიარებს ამ სამი ტიპის ვალდებულებას და არ იცნობს რაიმე განსხვავებულ ტიპს.

2.10. ნებისმიერი სამართლის სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხია, როგორი რეაგირება უნდა მოხდეს ვალდებულების შეუსრულებლობაზე. ძველ რომაულ სამართალში ვალდებულების დარღვევისაგან თავის დაცვის ერთადერთი საშუალება იყო ფულადი ჯარიმა. კრედიტორს შეეძლო, მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება ფულადი სახით. ლათინურად ეს ნესი ასე გამოიხატება: *omnis condemnatio pecuniaria est*. თანამედროვე სამართლის სისტემები იხრება იქითკენ, რომ, თუ შესაძლებელია, მოსამართლემ მოვალეს უნდა დააკისროს თავდაპირველი ვალდებულების შესრულება და კანონი ამის განხორციელების საშუალებებს უნდა იძლეოდეს მაშინ მაინც, როცა ვალდებულების საგანი კონკრეტული ნივთი ან მომსახურებაა. თუ მე ვიყიდე სახლი იმიტომ, რომ მე ძალიან მსურს ამ კონკრეტულ სახლში ცხოვრება, ჩემთვის სამართლის ქმნა ვერ იქნება, თუ გამყიდველი ვალდებული არ იქნება, გადმომცეს მე სახლი, არამედ შეეძლება, გადამიხადოს კომპენსაცია. ამდენად, დღესდღეობით, პირველადი საშუალება ასეთ შემთხვევებში არის კონკრეტული შესრულება და კანონი ითვალისწინებს სათანადო მექანიზმს, რომლითაც მე ფაქტობრივად შემიძლია, გავხდე ნაყიდი სახლის მფლობელი. ამ საკითხს უფრო დეტალურად მე-7 თავში შევხვები.

2.11. თანამედროვე მალაღგანვითარებულ ქვეყნებში, სადაც ყოველდღე ათასობით ხელშეკრულება იდება, რომელთაგან უმეტესობა ერთი და იგივე ტიპისაა და, ბევრ შემთხვევაში, ოფერენტი იგივე ფიზიკური ან იურიდიული პირია, აზრი არ აქვს თითოეულ ხელშეკრულებაზე მოლაპარაკების წარმოებას. ნაკლებად წარმოსადგენია, რომ შპს „საქართველოს ავიანაზები“ ცალ-ცალკე მოლაპარაკებას გამართავს თითოეულ მის შესაძლო მგზავრთან უცხო ქვეყნის მიმართულებით საჰაერო ტრანსპორტირების ხელშეკრულების დასადებად. ამიტომ, ოფერენტებმა და, უფრო კონკრეტულად, მათ, ვისაც დომინანტური ან მონოპოლიური მდგომარეობა უკავიათ ბაზარზე, დაინყეს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენება, რომლებსაც ისინი არ გადაუხვევენ და რომლებიც მოლაპარაკებას არ ექვემდებარება. უბრალოდ რომ ვთქვათ, ეს პირობები „უნდა მიიღო ან უნდა უარყო“. ამ ფენომენს ბევრმა კანონმდებელმა დაუთმო ყურადღება.

2.12. დომინანტური მხარე, რომელიც, ჩვეულებრივ, მოლაპარაკების უკეთეს პოზიციაშია ან უკეთესი საშუალებები და ცოდნა გააჩნია, შეიძლება ეცადოს მისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას ხელშეკრულებაში ისეთი სტანდარტული პირობების ჩადებით, რომლებიც უფრო მისთვისაა სასარგებლო, ვიდრე მეორე მხარისთვის, რომელიც, ჩვეულებრივ, მომხმარებელია. სწორედ ამიტომ, ამ თვალსაზრისით კანონმდებელი აწესებს შეზღუდვებს ხელშეკრულების თავისუფლებაზე, რასაც მომხმარებლის დაცვა ეწოდება და რაც გულისხმობს, რომ ხელშეკრულების შინაარსი სრულად თავისუფალ დადგენას არ ექვემდებარე-

ბა. ქართულ სამართალში მოიპოვება ერთი ზოგადი ნორმა ამ საკითხზე. ზემოთ აღნიშნული სსკ-ის 319-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად: „მას არ შეუძლია კონტრაქტს უსაფუძვლოდ შესთავაზოს ხელშეკრულების არათანაბარი პირობები.“ მაგრამ ამ ზოგადი ნორმის გარდა, ქართულიც და ჰოლანდიური სამართალიც უფრო კონკრეტულად უთმობს ყურადღებას ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს. მართალია, ამ ორ სამართლის სისტემას შორის არსებობს ტექნიკური ხასიათის განსხვავებები, არსებითად მათი წესები იგივეა. ეს საკვირველია არ არის, რადგან ქართულ და ჰოლანდიურ სამოქალაქო კოდექსებში მეტ-ნაკლებად გადმოღებულია გერმანული სამოქალაქო კოდექსიდან — *Algemeine Geschäfts Bedingungen*. რაც შეეხება ქართულ სამართალს, შესაბამისი წესები მოცემულია სსკ-ის 346-ე, 347-ე და 348-ე მუხლებში. ამ წესების ჰოლანდიური ეკვივალენტები მოიპოვება ჰსკ-ის მუხლებში 6:223, 6:236 და 6:237. ამ სისტემის თავისებურება არის ის, რომ ზოგიერთი სტანდარტული პირობა ბათილად ითვლება (სსკ-ის მუხლები 346-347) ან ითვლება იმდენად უსამართლოდ, რომ დომინანტურ მხარეს არ შეუძლია მათი სანინალმდეგო მტკიცებულების მოყვანა (ჰსკ-ის მუხლი 6:236), ხოლო სხვა პირობები შეიძლება ბათილად იქნეს მიჩნეული მეორე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე (სსკ-ის 348-ე მუხლი), ანდა ეს პირობები ბათილად შეიძლება იქნეს მიჩნეული მეორე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, თუ დომინანტური მხარე არ მოიყვანს მტკიცებულებებს, რომ სადაო პირობის გამოყენება სამართლიანი იყო (ჰსკ-ის მუხლი 6:237). გარდა ამისა, კანონი ამ კონტექსტში განასხვავებს მომხმარებელს (განსაზღვრული სსკ-ის 347-ე და 348-ე მუხლებით და ჰსკ-ის მუხლებით 6:236 და 6:237, როგორც ფიზიკური პირი, რომელიც არ მოქმედებს სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში ან რომელიც არ მისდევს სამენარმეო საქმიანობას) და სხვა ხელშემკვრელ მხარეებს, რა შემთხვევაშიც კანონი მომხმარებელს უფრო მეტად იცავს, ვიდრე პროფესიონალ მხარეს. პროფესიონალ მხარეს შეუძლია მიუთითოს მხოლოდ ზოგად ნორმაზე — სსკ-ის 346-ე მუხლზე ქართული სამართლის, ხოლო ჰსკ-ის 6:233 მუხლზე ჰოლანდიური სამართლის შემთხვევაში.

2.13. მხოლოდ ის იდეა, რომ თითოეულ ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებას აზრი არ აქვს, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოგონებას საფუძვლად არ დასდებიან. ეს ის მიზეზია, რის გამოც კანონმდებელმა ყველაზე ხშირი ხელშეკრულებები თვითონ დაარეგულირა სამოქალაქო კოდექსით. ისევ და ისევ, ძნელი წარმოსადგენია, რომ პურის ყოველ ყიდვაზე მყიდველმა გამართოს დეტალური მოლაპარაკება პურის მალაზიასთან ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, მაგალითად, საყიდელი პური შეესაბამება თუ არა იმ ხარისხს, რომელიც მყიდველისთვის მისაღებია.

2.14. ამგვარად, შეიძლება ითქვას, ცალკეული საკითხების მარეგულირებელი კანონმდებლობა იგივე მიზანს ემსახურება, რასაც ხელშეკრულების სტანდარტული პირობები. ეს მოქალაქეებისთვის აადვილებს ყოველდღიურ ცხოვრებას, საქმის კეთებას, მუშაობას და ა.შ. ხელშეკრულების სტანდარტული პირობებისგან განსხვავებით, კონკრეტული ხელშეკრულებების მარეგულირებელი კანონმდებლობა არ შეიცავს თანდაყოლილ საფრთხეს, რომ ხელშეკრულების მხარეთა ინტერესები შეიძლება დაუბალანსებელი დარჩეს, ანუ რომ ერთი მხარე მეორე მხარესთან შედარებით გაცილებით უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კონკრეტული ხელშეკრულებების მარეგულირებელი კანონმდებლობა ასახავს, რა არის სახელშეკრულებო სამართალში მისაღები და სამართლიანი, თუ მხარეები დადებენ ასეთ ხელშეკრულებას. ამიტომ კონკრეტული ხელშეკრულებ-

ბების მარეგულირებელი კანონმდებლობა ასევე გზამკვლევის როლს ასრულებს მაშინ, როდესაც სადავოა, როგორ უნდა მოხდეს ხელშეკრულების ან ხელშეკრულების ცალკეული პირობის ინტერპრეტაცია კონკრეტულ საქმეზე, რომელშიც მოსამართლეს შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს გონივრულობის საფუძველზე ანალოგიის გზით.

2.15. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართული და ჰოლანდიური ვალდებულებითი სამართლის სისტემები საკმარისად ურთიერთშეადრებადია. ვალდებულებები წარმოიშობა ხელშეკრულების საფუძველზე ან არასახელშეკრულებო ხასიათისაა, კერძოდ, როდესაც ადგილი აქვს დელიქტს, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას (*negotiorum gestio*) და უსაფუძვლო გადახდასა და უსაფუძვლო გამდიდრებას. ამ კონტექსტში ერთადერთი განსხვავება, რომელიც აღნიშნავს იმსახურებს, არის ის, რომ ჰოლანდიურ კანონისმიერი ვალდებულებების სამართალში განსხვავებაა უსაფუძვლო გადახდას (ზოგადად, ვალდებულების შესრულებას) (გადახდა *sine causa*) და უსაფუძვლო გამდიდრებას შორის. ჰსკ-ის 6:203 მუხლი, ვალდებულების უსაფუძვლო შესრულებასთან დაკავშირებით, ამბობს: „1. პირს, რომელმაც სხვას გადასცა ქონება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, უფლება აქვს, გამოითხოვოს იგი მიმღებისგან, როგორც უსაფუძვლო შესრულება. 2. თუ უსაფუძვლო შესრულება ეხება ფულად თანხას, რესტიტუციის მოთხოვნა შეიძლება წაყენებულ იქნეს იმავე თანხაზე. 3. პირს, რომელმაც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოახდინა სხვა ხასიათის შესრულება, აგრეთვე აქვს უფლება, მოითხოვოს მისი დაბრუნება მიმღებისგან.“ უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებით, ჰსკ-ის 212-ე მუხლში ნათქვამია: „პირი, რომელიც უსაფუძვლოდ გამდიდრდა სხვის ხარჯზე, ვალდებულია, გონივრულობის ფარგლებში გამოასწოროს ზიანი მისი გამდიდრების ფარგლებში.“ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ეს ორი ტიპის ვალდებულება გაერთიანებულია და რეგლამენტირებულია სსკ-ის 996-991 მუხლებში.

2.16. მართალია, გარკვეულწილად, სამართლებრივი ტექნიკის და არა არსებითი განსხვავების საკითხია, როდესაც საქმე ეხება კანონმდებლობას მოცემულ თემაზე, მაგრამ, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია განსხვავების დანახვა ორ სიტუაციას შორის: ერთი მხრივ, როდესაც გადახდა მოხდა იმ ხელშეკრულების საფუძველზე, რომლიდანაც მოხდა გასვლა ან რომელიც მოიშალა ან რომელიც საერთოდ არ არსებობდა, მაგრამ ივარაუდებოდა, რომ იგი დადებული იყო; მეორე მხრივ, სხვისი მოქმედებით პირი უფრო გამდიდრდა, მაგრამ ამ ორს შორის საერთოდ არ არსებობდა არანაირი სამართლებრივი ურთიერთობა. ამ ორ სიტუაციას შორის განსხვავების მნიშვნელობა ის არის, რომ სამართლებრივად ეს ორი სიტუაცია აბსოლუტურად იდენტური არაა და მათი გადაწყვეტა ყოველთვის ერთი და იგივე სამართლებრივი პრინციპებით ვერ მოხდება. ამ განსხვავების დანახვა ერთი მართივი მაგალითით შეიძლება.

სახლის მესაკუთრე დებს ხელშეკრულებას მეზალესთან, რომლის საფუძველზეც მეზალემ, შეთანხმებული ფასის სანაცვლოდ, მესაკუთრის ბალი უნდა გაამშვინელოს. თუ მესაკუთრე კანონიერად თვლის, რომ მეზალემ დაკისრებული მოვალეობა ჯეროვნად ვერ შეასრულა, მესაკუთრეს შეუძლია, მოშალოს ხელშეკრულება. მაშინ წარმოიშობა კითხვა: რა შედეგები აქვს ხელშეკრულების მოშლას და აქვს თუ არა უფლება მეზალეს, მიიღოს გასამრჯელოს ნაწილი მაინც იმ სარგებლისთვის, რაც მესაკუთრემ მეზალის შრომით მიიღო, რადგან თუ მესაკუთრე ახალ მეზალეს დაიქირავებს, ამ ახალ მეზალეს არ მოუწევს ყველაფრის თავიდან დანყება. პირველ მეზალეს უკვე ექნება გარკვეული სამუშაო შესრულებული, რომელიც რა-

ლაც ფასი მაინც ღირს. ეს საქმე არის უსაფუძვლო გადახდის მაგალითი და საქმე უნდა გადაწყდეს ხელშეკრულების არშესრულების წესების მიხედვით. მეორე მხრივ, თუ გვაქვს იგივე სიტუაცია (მესაკუთრე დებს ხელშეკრულებას მეზობელთან მასზედ, რომ შეთანხმებული ფასის სანაცვლოდ მეზობელე გაამშვენინერებს მესაკუთრის ბაღს), მაგრამ მეზობელე შეცდომით გაამშვენინერებს მეზობლის ბაღს, რის შედეგადაც მეზობლის ბაღი გაცილებით უკეთესი გახდება, ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს უსაფუძვლო გამდიდრებასთან. პირველ შემთხვევაში, სახლის მესაკუთრე, მიუხედავად იმისა, რომ მან მართლზომიერად მოშალა ხელშეკრულება, მაინც იქნება ვალდებული, გადაუხადოს მეზობელეს გარკვეული თანხა. მას, რა თქმა უნდა, სურდა მისი ბაღის გაუმჯობესება და მას შეუძლია, მოშალოს ხელშეკრულება, მაგრამ მან უნდა გადაიხადოს იმ სარგებლის საფასური, რაც მან მეზობლის შრომით მიიღო. მეორე შემთხვევაში, ძალზედ სადაოა, მეზობელმა უნდა გადაუხადოს თუ არა რაიმე მეზობელს. თუმცა, შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ, მართალია, მეზობელმა მიიღო სარგებელი მეზობლის შრომის შედეგად, მაგრამ ეს შრომა მას არ მოუთხოვია და ამიტომ კანონით მას არ უნდა დაეკისროს რაიმეს გადახდა.

3. შესრულება, დარღვევა და დაცვის საშუალებები

3.1. ვალდებულებითი სამართლის სფეროში ბევრი პრობლემა წარმოიშობა იმის განხილვისას, შესრულდა თუ არა ვალდებულება, შეიძლება თუ არა არშესრულება ჩაითვალოს ვალდებულების დარღვევად და რა დაცვის საშუალებების გამოყენება შეიძლება დარღვეული ვალდებულების გამოსწორებისთვის.

3.2. მთავარი იდეა არის ის, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს. ეს პრინციპი ჩადებულია სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილში, რომლის მიხედვით: „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.“ ეს პრინციპი ეხება როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო ვალდებულებებს. ამასთან, არ უნდა დაგვაგინწყდეს, რომ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულება უნდა შესრულდეს იმით, რომ პირი (მოვალე) აკეთებს იმას, რაც მან უნდა გააკეთოს, მაგალითად, გადასცეს ქონება. მეორე მხრივ კი, არასახელშეკრულებო ვალდებულება წარმოიშობა იმით, რომ პირი არღვევს ვალდებულებას, რაც ნიშნავს იმას, რომ ის აკეთებს იმას, რაც არ უნდა გააკეთოს. დელიქტური ვალდებულება, რომელიც ზიანის ანაზღაურებით უნდა შესრულდეს, წარმოიშობა, მაგალითად, იმით, რომ პირი არღვევს ვალდებულებას, დაუდევრობით არ მიაყენოს ფიზიკური ზიანი მეორე პირს. ამიტომ შეიძლება ითქვას: არასახელშეკრულებო ვალდებულება წარმოიშობა ვალდებულების დარღვევით. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილში მოცემული პრინციპი არ გამოიყენება ორივე — სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო — ვალდებულებების მიმართ.

3.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მუხლები 361-371 ეძღვნება ვალდებულების შესრულების თემას და შეიცავს ზოგად წესებს ამასთან დაკავშირებით. მაგრამ ამ მუხლებში მოცემული დებულება იმდენად კონკრეტულია, მაგალითად, სსკ-ის 370-ე მუხლი, რომ სისტემატიზირების მიზნით, ალბათ, უკეთესი იქნებოდა, თუ ისინი შევიდოდა ნასყიდობასთან დაკავშირებულ ნაწილში. ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსში ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული ზოგადი წესები მოცემულია მუხლებში 6:27 — 6:51.

3.4. ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, კანონით, არ ჩაითვლება ისეთ დარღვევად, რომელიც კრედიტორს სამართლებრივი ღონისძიებების გატარებაზე უფლებამოსილს ხდის. პასუხი კითხვაზე, არის თუ არა შეუსრულებლობა დარღვევა, უმთავრესად დამოკიდებული იქნება შეუსრულებლობის ხასიათსა და ვალდებულების ხასიათზე. თუ, მაგალითად, ყვავილების მალაზიამ ლამაზი ყვავილები უნდა მიიტანოს ქორნილში 2006 წლის 5 ივლისს, მაშინ აზრი დაეკარგება შესრულებას, თუ მალაზია ყვავილებს 2006 წლის 6 ივლისს მიიტანს. 2006 წლის 5 ივლისს არშესრულება წარმოადგენს ვალდებულების დარღვევას. მაგრამ ხშირად ვალდებულების არშესრულება დარღვევას წარმოადგენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ვალდებულების შესრულებისთვის დამატებითი ვადა დაინიშნება და ამ ვადაშიც არ შესრულდება. კერძოდ, სსკ-ის 405-ე მუხლის თანახმად: „1. თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ.“ იგივე წესი მოიპოვება ჰოლანდიურ კანონმდებლობაში. ჰსკ-ის 6:82 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „დარღვევა იწყება მაშინ, როდესაც მოვალეს მიეცემა წერილობითი შეტყობინება დარღვევის შესახებ, რომლითაც მას უწესდება გონივრული ვადა შესასრულებლად და ან ვადაში შესრულება არ მოხდება.“ ეს პრინციპი, რა თქმა უნდა, არ გამოიყენება, თუ მხარეებმა დრო არსებით პირობად დათქვეს ან თუ დამატებითი ვადის დანესება გონივრული არ არის; ეს გამონაკლისები ასახულია სსკ-ის 405-ე მუხლის მეორე ნაწილში და 394-ე მუხლის მესამე ნაწილში, აგრეთვე, ჰსკ-ის 6:83 მუხლის პირველ ნაწილში.

3.5. უნდა აღინიშნოს, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა არ წარმოადგენს ვალდებულების დარღვევას, თუ სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მოვალე, გარემოებების არსებითი ცვლილების გამო, ვერ შეასრულებს თავდაპირველ ვალდებულებას. ეს ფენომენი, როგორც ქართული, ისე ჰოლანდიური სამართლისთვის ცნობილია. სსკ-ის 398-ე მუხლის პირველ ნაწილში ნათქვამია: „თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილ გარემოებებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა.“ ჰოლანდიური ანალოგის, სსკ-ის 6:258 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია შეცვალოს ან გააუქმოს ხელშეკრულების შედეგები მთლიანად ან ნაწილობრივ, ისეთი ხასიათის გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო, რომელთა არსებობისას მეორე მხარეს, გონივრულობისა და სამართლიანობის ნორმებით, არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების შეუცვლელად დაცვა. ამგვარად, შეცვლას ან გაუქმებას შეიძლება ჰქონდეს უკუძალა.“

3.6. ვალდებულების შეუსრულებლობა არ ჩაითვლება ვალდებულების დარღვევად, თუ შეუსრულებლობა არის მოვალის გაუფრთხილებლობის შედეგი. ხშირად, შეუსრულებლობა მიიჩნევა დარღვევად, მაგრამ დარღვევად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს, თუ მოვალემ ვერ შეასრულა ისეთი მიზეზით, რომლის თავიდან აცილებაც მას არ შეეძლო. თუ ამ შემთხვევაშიც შეუსრულებლობა დარღვევად ითვლება, მაშინ საქმე გვაქვს ე.წ. მკაცრ პასუხისმგებლობასთან. ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსში ზოგადი წესი მოცემულია 6:75 მუხლში, რომელიც ეხ-

ება შეუსრულებლობას და ამბობს, რომ შეუსრულებლობა არის დარღვევა, თუ იგი გამონვეულია მოვალის გაუფრთხილებლობით ან მოვალის ბრალით. მკაცრი პასუხისმგებლობის მაგალითი მოცემულია ჰსკ-ის 6:77 მუხლში, რომლის თანახმად: „როდესაც ვალდებულების შესრულებისას გამოიყენება მიზანთან შეუსაბამო ნივთი, ამით გამონვეულ შეუსრულებლობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოვალეს...“ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მკაცრი პასუხისმგებლობის მაგალითი მოიპოვება 396-ე მუხლში, რომლის მიხედვით: „მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს.“

3.7. მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ ვალდებულება დაირღვა, ჩნდება კითხვა: რა დაცვის (გამოსწორების) საშუალებები უნდა იქნეს გამოყენებული. ეს საკითხი უფრო დეტალურად იქნება განხილული მე-7 და მე-8 თავებში, მაგრამ აქვე რამდენიმე შენიშვნას გავაკეთებ.

3.8. როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩნდება კითხვა, უზრუნველყოფს თუ არა კანონი კონკრეტულ შესრულებას, კერძოდ, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, შეიძლება თუ არა მოვალეს დაეკისროს თავდაპირველი ვალდებულების შესრულება, რაც ისედაც ეკისრებოდა. თვით ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოს და ჰოლანდიის სასამართლოებმა შეიძლება დააკისრონ კონკრეტული შესრულება, ვალდებულების შესრულების შედეგით.

3.9. ყველაზე გავრცელებული დაცვის საშუალება კრედიტორისთვის, რა თქმა უნდა, არის ფულადი კომპენსაცია, რაც ნიშნავს, რომ მოვალემ უნდა აანაზღაუროს ზიანი, რომელიც გამონვეულია ვალდებულების დარღვევით. უნდა აღინიშნოს, რომ ზიანის ანაზღაურებასთან ერთად სასამართლომ შეიძლება დააკისროს კონკრეტული შესრულებაც, კერძოდ, იმ საქმეებზე, რომლებშიც დარღვევით გამონვეულია ზიანი, რომელიც სრულად ვერ ანაზღაურდება კონკრეტული შესრულებით.

3.10. რაც შეეხება ზიანის ანაზღაურებას, ხშირად განსხვავება კეთდება ზიანის სახეებს შორის. ჩვეულებრივ, ფიზიკური ზიანი და ქონებრივი ზიანი ანაზღაურდება სრულად, ყველა გარემოებაში და ყველა შემთხვევაში. ხშირად, სხვაგვარადაა საქმე ე.წ. არამატერიალურ ანუ მორალურ ზიანთან მიმართებით. ამასთან დაკავშირებით, ქართული და ჰოლანდიური სამართალი ერთმანეთს კვლავ საკმაოდ წააგავს: მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს განსაზღვრულ შემთხვევებში, ძირითადად, თუ პირს მიადგა ფიზიკური ან სხვა ზიანი. სსკ-ის 413-ე მუხლის მიხედვით: „2. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში, დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.“ ჰსკ-ის 106-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „1. ნებისმიერი ისეთი ზიანის შემთხვევაში, რომელიც არ გულისხმობს ქონების, უფლების ან ინტერესის დაკარგვას, პირს, რომელსაც ასეთი ზიანი მიადგა, აქვს უფლება, აუნაზღაურდეს ზიანი, რა შემთხვევაშიც სამართლიანად უნდა შეფასდეს: (...) ბ. მიადგა თუ არა პირს ფიზიკური ზიანი, შეილახა თუ არა პირის პატივი ან რეპუტაცია, ანდა სხვაგვარად დაზარალდა თუ არა პირი: (...)“

2. არასახელმწიფო ვალდებულებათა ამონაწესი ჩამონათვალი “Numerus Clausus”

2.1. სახელმწიფო და კანონისმიერ ვალდებულებათა შორის არსებული განსხვავების ერთ-ერთი შედეგი არის ის, რომ ხელმწიფოებთან ფორმასა და შინაარსს ირჩევენ თავად მხარეები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი პირდაპირ კრძალავს გარკვეული სახისა თუ შინაარსის ხელმწიფოებების გაფორმებას, ხოლო არასახელმწიფოებთან ვალდებულებათა რეგულირება მხოლოდ კანონის საფუძველზე შესაძლებელია. ვალდებულებათა სახელმწიფოებთან სისტემა არის „ლია“ მაშინ, როცა არასახელმწიფოებთან ვალდებულებათა სისტემა არის „დახურული“. მაგალითად, როგორც უკვე ვნახეთ, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ არასახელმწიფოებთან ვალდებულებათა მიმართ შეგვიძლია ვისაუბროთ ვალდებულებათა „ამონაწესი“ ჩამონათვალებზე.

2.2. ამ თვალსაზრისით, შეგვიძლია ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა სამართლის სისტემები. თუ ყურადღებას არ გავამახვილებთ უმნიშვნელო დეტალებზე, მათი უმეტესობა ერთმანეთის მსგავსია. ყველა სამართლის სისტემა აღიარებს იმ ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიშობა უკანონო ქმედებების ან დელიქტისაგან, რაც წარმოადგენს არასახელმწიფოებთან ვალდებულებათა წარმოშობის უმნიშვნელოვანეს საფუძველს. დელიქტური ვალდებულებების მარეგულირებელ ნორმებს ჩვენ ვხვდებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მესამე ნიგნის სპეციალური ნაწილის მე-3 თავში, ხოლო ნიდერლანდებში სამოქალაქო კოდექსის მე-6 ნიგნის მე-6 თავში.

2.3. არასახელმწიფოებთან ვალდებულებათა კიდევ ერთი კატეგორია, ისევე, როგორც დელიქტური ვალდებულებები, რომელიც რომაული სამართლიდან მომდინარეობს, შეეხება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ამ საკითხს ეთმობა 969 — 975 მუხლები, ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსში კი — მე-6 ნიგნის 198 — 202 მუხლები.

2.4. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიშობა, როდესაც ერთი პირი მეორეს გადასცემს გარკვეულ საქონელს ან ფულად თანხას, ან განახორციელებს მის მიმართ ისეთ ქმედებას, რომლითაც მეორე პირი მდიდრდება და არ არსებობს ამგვარი საქონლისა თუ ფულადი თანხის გადაცემის ან ქმედების განხორციელების არანაირი სამართლებრივი საფუძველი. ამგვარი ურთიერთობების მარეგულირებელი მუხლები თავმოყრილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-3 ნიგნის მე-2 კარის მე-3 თავში სათაურით „უსაფუძვლო გამდიდრება“. ჩვენი აზრით, უკეთესი იქნებოდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, როგორც სამოქალაქო კოდექსების უმეტესობაშია, განცალკევებული ყოფილიყო, ერთი მხრივ, „უსაფუძვლო გადაცემა და შესრულება“ და, მეორე მხრივ, „უსაფუძვლო გამდიდრება“. პირველ შემთხვევაში, ვალდებული პირი იხდის ფულად თანხას, ან გადასცემს საქონელს, ან ახორციელებს ქმედებას მეორე პირის მიმართ, ვინაიდან მას მიაჩნია, რომ ვალდებულია ამ პირის მიმართ. თუმცა, შემდეგ ნათელი ხდება, რომ ამგვარი ვალდებულება რეალურად არ არსებობს, რადგანაც ის ან საერთოდ არ არსებობდა, ან არსებობდა, მაგრამ მოგვიანებით მოსამართლის მიერ ძალადაკარგულად გამოცხადდა კონტრაქტი, რომლის საფუძველზეც წარმოიშვა ეს ვალდებულება. ამ შემთხვევაში, პირმა, რომელმაც უსაფუძვლო გადაცემით ან შესრულებით გარკვეული სარგებელი მიიღო, უნდა დააბრუნოს ყველაფერი და აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა *the status quo ante*. რომაული სამართლის მიხედვით, ვალდებულ პირს, რომელსაც შეუძლია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნა, აქვს *condicio indebiti*. მე-

ორე მხრივ, პრეტენზია უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებით, შეიძლება წარედგინოს იმ მესამე პირს, რომელიც ქმედების შემსრულებელ პირთან არანაირ სამართლებრივ ურთიერთობაში არ იმყოფება, მაგრამ მიიღო გარკვეული სარგებელი. „უსაფუძვლო გადაცემისა და შესრულებისაგან“ განსხვავებით, მესამე პირმა, „უსაფუძვლო გამდიდრების“ შემთხვევაში, არ არის აუცილებელი, აღადგინოს *the status quo ante*, თუმცა, ვალდებულია, გადაიხადოს კომპენსაცია იმ ოდენობის ფარგლებში, რა ოდენობის სარგებელიც მან ამგვარი შესრულებით მიიღო. ნიდერლანდების სამოქალაქო სამართალში, ისევე, როგორც გერმანულ სამოქალაქო სამართალში, ეს განსხვავება ნათლად ჩანს. ნიდერლანდების სამოქალაქო სამართლის მე-6 ნიგნის მე-2 კარის მე-3 თავი (6:203 — 6:211) ეხება „უსაფუძვლო გადაცემას“, ხოლო მე-3 კარი (6:212) „უსაფუძვლო გამდიდრებას“ არეგულირებს. თუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსს ყურადღებით დავაკვირდებით, მსგავსი განსხვავებების პოვნა შესაძლებელია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლი ეხება „უსაფუძვლო გამდიდრებას“, ხოლო 976-ე მუხლი, მიუხედავად სათაურისა — „უსაფუძვლო გადაცემასა და შესრულებას“. ამით ნათელი ეფინება იმას, თუ რატომ უნდა აუნაზღაუროს მოპასუხემ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლის მიხედვით, მოსარჩელეს იმ შემთხვევაში, თუ ის „გამდიდრდა“, ხოლო 976-ე მუხლის მიხედვით, მან უნდა „დააბრუნოს“ ის, რაც მიიღო. უსაფუძვლო გადაცემასა და უსაფუძვლო გამდიდრებას შორის არსებულ განსხვავებაზე უფრო მოგვიანებით გავამახვილებთ ყურადღებას.

2.5. რაც შეეხება სამოქალაქო სამართლის არასახელმეკრულებო ვალდებულებებს, როგორც უკვე მოგახსენეთ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მესამე ნიგნის კერძო ნაწილის მეორე კარი ეხება კანონით დადგენილ არასახელმეკრულებო ვალდებულებებს. **აღნიშნული კარის პირველი თავის სათაური არის „საზიარო უფლებები“**. ჩვენი აზრით, ეს კანონმდებლის შეცდომაა. საზიარო უფლებები წარმოადგენს არა ვალდებულებითი სამართლის, არამედ სანივთო სამართლის განუყოფელ ნაწილს, რამეთუ ისინი არეგულირებს — თუ აღნიშნული თავის სათაურს ყურადღებით წაიკითხავთ — უძრავი ქონების თანამესაკუთრე ორი ან მეტი პირის უფლებებსა და მოვალეობებს. მართალია, ეს უფლებები და მოვალეობები ასახულია კანონში, თუმცა, ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ საზიარო უფლებების სამართლებრივი სუბიექტი წარმოადგენს სამართლის ნაწილს, რომელიც კანონით დადგენილ ვალდებულებებს შეეხება.

3. დელიქტური ვალდეპულაჰი: დელიქტური სამართალი

3.1. უკანონო ქმედების ჩადენა მესამე პირის მიმართ არასახელმეკრულებო სამოქალაქო პასუხისმგებლობის ყველაზე გავრცელებული საფუძველია. აზრი, რომ ერთი პიროვნება მეორეს წინაშეა პასუხისმგებელი, მის მიმართ უკანონოდ განხორციელებული ქმედების გამო, შეიძლება ჩამოყალიბდეს ზოგადი წესის საფუძველზე ან სხვადასხვა სახის უკანონო საქციელის ჩამოთვლით. დღესდღეობით, სამართლებრივი სისტემების უმეტესობა ორ მოსაზრებაზე თანხმდება: მათ, ერთი მხრივ, ჩამოაყალიბეს დელიქტური ვალდებულების შესახებ ერთი ზოგადი წესი და, მეორე მხრივ, შემოიღეს კონკრეტული წესები უკანონო ქმედებათა კონკრეტული სახეობებისათვის, რომლებიც სამოქალაქო პასუხისმგებლობას იწვევს.

3.2. სამართლებრივი სისტემების უმეტესობაში ზოგადი წესი ძალზე შედარებითი ცნებაა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, დელიქტური ვალდებულების შესახებ ზოგადი წესი 992-ე მუხლშია ჩამოყალიბებული. ამ მუხლის თანახმად: „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი

ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.“

3.3. ჰოლანდიურ სამოქალაქო კოდექსში ზოგადი წესის განმარტებას 6:162 მუხლის 1-ლ ნაწილში ვხვდებით. ამ მუხლის თანახმად: „პიროვნებას, რომლის მიმართ ჩაიდინეს უკანონო ქმედება, შეუძლია მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.“

3.4. თუ გავანალიზებთ ორივე ქვეყნის სამოქალაქო სამართალში არსებულ ზოგად წესს და ცოტა მეტად ჩავუღრმავდებით კოდექსის სხვა წესებს, აღმოჩნდება, რომ, როგორც საქართველოში, ისე ნიდერლანდებში, დაზარალებულმა პიროვნებამ – მოსარჩელემ – სასამართლოს წინაშე უნდა დაადასტუროს ხუთი პირობის არსებობა. უპირველეს ყოვლისა, სამართალდამრღვევის ქმედება უნდა იყოს კანონსაწინააღმდეგო, მეორე – კანონდამრღვევის ქმედება გაუფრთხილებლობით მაინც უნდა იყოს ჩადენილი, მესამე – ქმედება სამართალდამრღვევს უნდა მიენერებოდეს, მეოთხე – მოპასუხემ უნდა განიცადოს ზიანი და მეხუთე – ზიანი სამართალდამრღვევის ქმედებით უნდა იყოს განპირობებული.

3.5. ზიანი და წინაპირობა, რომ ზიანი სამართალდამრღვევის ქმედებით უნდა იყოს განპირობებული, მე-8 თავში იქნება განხილული.

3.6. იმისათვის, რომ პირველ კითხვას გაეცეს პასუხი, უნდა ავხსნათ, თუ რას წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო ქმედება. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ „ქმედება“ აგრეთვე „უმოქმედობასაც“ გულისხმობს, თუკი მოპასუხეს აკისრია სამართლებრივი ვალდებულება, იმოქმედოს და ის თავს შეიკავებს ასეთი ქმედების განხორციელებისაგან. ამდენად, ჰოლანდიისა და, ალბათ, საქართველოშიც პიროვნებას ეკისრება მოვალეობა, ყველა გარემოების გათვალისწინებით, კეთილსინდისიერად დაეხმაროს საფრთხეში აღმოჩენილ პირს. მაგალითად, თუ მანქანა დაეჯახება ფეხით მოსიარულეს და მძღოლი გაიქცევა შემთხვევის ადგილიდან, ახლომახლო გამვლელი პიროვნება, რომელიც დაინახავს, რომ ტროტუარზე მწოლიარე პირი სისხლისაგან იცლება, კანონის თანახმად, მოვალეა, დაეხმაროს დაზარალებულს თავისი შესაძლებლობის ფარგლებში და, სულ მცირე, გააფრთხილოს პოლიცია და დაუძახოს სასწრაფო დახმარებას. მას უფლება არ აქვს, უბრალოდ, გვერდზე ჩაუაროს მგზავრს და ისე მოიქცეს, თითქოს არაფერი დაუნახავს.

3.7. მეორე, საბოლოოდ მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს, თუ რას ნიშნავს კანონსაწინააღმდეგო ქმედება. ზოგ შემთხვევაში, ეს ნათელია. განსაკუთრებით მაშინ, როცა არსებობს კანონით განსაზღვრული ქცევის წესები. მაგალითად, ნიდერლანდებშიც და საქართველოშიც მოძრაობის წესები სხვადასხვა სატრანსპორტო აქტითა და წესით რეგულირდება. მანქანის მძღოლი, რომელიც არღვევს ამ აქტებსა და წესებს, სსკ-ის 992-ე მუხლის და ჰსკ-ის 6:162 მუხლების თანახმად, უკანონობას სჩადის. თუმცა, ქცევის წესები დაუწერელ კანონებსა და ჩვეულებებშიც გვხვდება. მაგალითად, ჰოლანდიაში დელიქტური ვალდებულების შესახებ კანონში ზოგადი წესის ფორმულირება იმ ფართო გაგებით, როგორც ამჟამადაა მიღებული, უკავშირდება 1919 წელს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოცემულ შესაბამის განმარტებას. უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ დადგენილი სოციალური ქცევის საწინააღმდეგო ქმედება უკანონობას წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში, დადგენილი სოციალური ქცევის საწინააღმდეგოდ იქნა მიჩნეული დამქირავებლის მიერ სხვა კონკურენტი დამქირავებლის თანამშრომელთან საიდუმლო მოლაპარაკებების წარმოება იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელს დაერღვია არსებული ხელშეკრულება და მასთან დაეწყო მუშაობა. ნიდერლანდებში ეს იყო არასამართლიანი კონკურენციის პირველი პრეცედენტი, რომელიც დაუწერელი

კანონის წესებს ეფუძნებოდა. მსგავს შემთხვევას ლონდონშიც ვხვდებით, სადაც 1932 წელს ლორდთა პალატამ ცნობილ საქმესთან – დონოგუ *სტივენსონის წინააღმდეგ* – დაკავშირებით შემოიღო სიფრთხილის დაცვის მოვალეობა, როგორც დელიქტური ვალდებულების ზოგადი ცნება.

3.8. საქართველოს სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით, ნიდერლანდებში კანონმდებელმა დანვრილებით განმარტა უკანონო ქმედების ცნება, თუმცა, საკმაოდ ბუნდოვნად, მაგრამ მაინც აღნიშნა, რომ ძირითადად მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს, თუ რა წარმოადგენს უკანონო ქმედებას. ჰსკ-ის 6:162 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: „იმ შემთხვევის გარდა, როცა არსებობს მტკიცების საფუძველი, უკანონოდ შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი ქმედება: უფლების შელახვა და ქმედება ან უმოქმედობა, რომელიც არღვევს კანონით დაკისრებულ მოვალეობას ან დადგენილი სოციალური ქცევის შესაბამის დაუწერელ წესებს.“

3.9. როგორც აღნიშნა, იმისათვის, რომ დადგეს კანონდამრღვევის სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი, აუცილებელია, მისი მოქმედება გაუფრთხილებლობით იყოს განპირობებული. პირს, რომელიც შემთხვევით მიაყენებს ვნებას სხვა პირს, არ შეიძლება დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, თუ ასეთი ქმედების თავიდან აცილება შეუძლებელი იყო. ისეთ საზოგადოებაში ცხოვრება, რომელთა წევრებიც თავიანთი ბუნებით სრულყოფილებამდე შორს არიან და ბევრ შეცდომას სჩადიან, შეუძლებელი იქნებოდა, თუ ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა მიდგომა არ იქნებოდა. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული წესის უკან გარკვეული არგუმენტაციაა, რომლის მიღმაც სხვა სამართლებრივი წესი იგულისხმება, კერძოდ ის, რომ საზოგადოების ყველა წევრმა თვითონ უნდა ატაროს თავისი ზიანი. ეს წესი და პრინციპი ჯერ კიდევ რომაულ სამართალში არსებობდა.

3.10. იმ შემთხვევაშიც კი, როცა პირის ქმედება კანონსაწინააღმდეგოა და, ამავე დროს, გაუფრთხილებლობით განპირობებული, რითაც მესამე პირს მიაღდა ზიანი, აუცილებელი არ არის, დადგეს პირის პასუხისმგებლობის საკითხი. ცალკე წინაპირობაა, რომ ქმედება მას მიენერებოდეს. მიუხედავად ამ წინაპირობის არსებობისა, ჰსს-ის 6:162 მუხლის I ნაწილისაგან განსხვავებით, სსკ-ის 992-ე მუხლში მას არ ვხვდებით, თუმცა, ის მაინც დელიქტური ვალდებულების შესახებ საქართველოს ზოგადი წესის ნაწილს წარმოადგენს. ეს შეგვიძლია ვნახოთ სსკ-ის 993-ე – 996-ე მუხლების მაგალითზე, რომლის თანახმად, ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირი, ჭკუასუსტი ან სულით ავადმყოფი ან დროებით უგონო ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მყოფი პირი პასუხს არ აგებს მიყენებული ზიანისათვის. მსგავსი დებულება ნიდერლანდებშიც მოქმედებს, თუმცა, მიდგომა განსხვავებულია. ჰოლანდიური სამართლის მიხედვით, დაუშვებელია, დადგეს თოთხმეტი წლის ასაკს ქვემოთ ბავშვის პასუხისმგებლობის საკითხი (მუხლი 6:164). რაც შეეხება თოთხმეტი წლის ზემოთ პირის ჭკუასუსტობას ან ინვალიდობას, ჰოლანდიური სამოქალაქო კოდექსი, ამ შემთხვევაში, სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას არ გამოორიცხავს (ჰსკ-ის 6:165, ნაწილი 1-ლი).

3.11. როგორც ქართულ, ისე ჰოლანდიურ სამართალში არსებობს დელიქტური ვალდებულების კონკრეტული წესები, რომლის საერთო დამახასიათებელი თვისება არის ის, რომ პირი პასუხისმგებელია დელიქტური ვალდებულებისთვის მაშინაც, თუ ქმედება გულგრილობით არ იყო განპირობებული, ან ის საერთოდ არ მოქმედებდა. ეს ის მაგალითებია, რომელსაც ინგლისში „მკაცრ პასუხისმგებლობას“ უწოდებენ. ამდენად, მოსარჩელეს არ სჭირდება ამტკიცოს, რომ მოპასუხე გულგრილობით მოქმედებდა. ამ საკითხთან დაკავშირებული წესები ეხება კონკრეტულ შემთხვევებს, რომელშიც, მართალია, მიღებულია დელიქტური ვალ-

დებულების შესახებ ზოგადი ცნებიდან ამოსვლა, რადგანაც ზიანის გამომწვევი მოქმედება კონკრეტული საფრთხის მატარებელია, ან რადგანაც არსებობს ურთიერთობა დელიკვენტსა და პასუხისმგებლობაში მიცემულ პირს შორის, რომელიც ამტკიცებს, რომ მესამე პირისათვის მიყენებული ზიანი მესამე პირისათვის არ იყო გამიზნული.

3.12. რაც შეეხება საფრთხის გამომწვევი ქმედებისათვის მკაცრ პასუხისმგებლობას, სხვადასხვა სამართლებრივ სისტემას ბევრი საერთო მოეპოვება, თუმცა, დეტალებში განსხვავებებსაც ვხვდებით. მაგალითად, საქართველოში, ისევე როგორც ჰოლანდიაში, მკაცრი პასუხისმგებლობა მოქმედებს შენობა-ნაგებობების (სსკ-ის 1004-ე მუხლი და ჰსკ-ის 6:174 მუხლი), მომეტებული საფრთხის მატარებელი ნაგებობების (სსკ-ის მე-1000 მუხლი და ჰსკ-ის 6:175 მუხლი), ცხოველების (სსკ-ის 1003-ე მუხლი და ჰსკ-ის 6:179 მუხლი) და უხარისხო პროდუქტით (სსკ-ის 1009-ე მუხლი და ჰსკ-ის 6:179 მუხლი) გამომწვეული ზიანისათვის. ამ მსგავსი მაგალითების გარდა, საქართველოს კანონში მკაცრი პასუხისმგებლობის დოქტრინა მოქმედებს სატრანსპორტო საშუალებების მოქმედებაზე (სსკ-ის 999-ე მუხლი) და ჰოლანდიურ სამართალში – მალაროელთა საქმიანობაზე.

3.13. მკაცრ პასუხისმგებლობას სხვა პირის მიერ ჩადენილი ქმედების ან უმოქმედობისათვის, ამ პირსა და რეალურ სამართალდამრღვევს შორის არსებული განსაკუთრებული ურთიერთობის გამო, ხშირად „სხვა პირის მაგივრად აღებულ პასუხისმგებლობას“ უწოდებენ. როგორც ქართულ, ისე ჰოლანდიურ სამართალში, ამის ნათელი მაგალითია მშობლის პასუხისმგებლობა შვილის მიერ ჩადენილ საქციელზე, რომლის პასუხისმგებლობის საკითხიც ვერ დადგება (სსკ-ის 994-ე მუხლის მეორე პუნქტი, ჰსკ-ის 6:169 მუხლი). ჰოლანდიური სამართლისაგან განსხვავებით, საქართველოს კანონში მშობლები პასუხს არ აგებენ, თუ მათ ამ ზიანის აცილება არ შეუძლიათ. ჰოლანდიურ სამართალში ეს წესი მხოლოდ მშობლების სოლიდარული პასუხისმგებლობის შემთხვევაში მოქმედებს, როდესაც მათი შვილი უკანონო ქმედებას სჩადის (ის უნდა იყოს თოთხმეტი წლის, მაგრამ არა თექვსმეტი წელს ზემოთ) (ჰსკ-ის 6:169 მუხლი, ნაწილი მე-2). სხვა პირის მაგივრად აღებული პასუხისმგებლობის მეორე მაგალითია დამქირავებლის სოლიდარული პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაქირავებულის მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებისათვის (სსკ-ის მუხლი 997 და ჰსკ-ის მუხლი 170, ნაწილი 1-ლი). აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიისაგან განსხვავებით, ქართულ კოდექსში არ არსებობს ცალკე დებულება, რომელიც დაარეგულირებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მისი მოსამსახურის მიერ ჩადენილი უკანონო ქმედებისათვის (სსკ-ის 1005 მუხლი). ეს ეხება მხოლოდ ისეთ შემთხვევას, როცა სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებდა.

4. დავალების გარეშე სხვისი საქმიანობის შესრულება

4.1. რა თქმა უნდა, მიუღებელია, როცა პიროვნება ნებართვის გარეშე ერევა სხვის საქმეებში, მაგრამ თუ ეს საპატიო მიზეზით არის განპირობებული, კანონი ასეთ ქმედებას მხარს უჭერს. ამდენად, გამართლებული და დასაშვებია, თუ სახლს ხანძარი გაუჩნდა სახლის მეპატრონის შვებულებში ყოფნის დროს, მეზობელი ეცადოს ცეცხლის ჩაქრობას და მიმართოს ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა სახლი და ავეჯი შემდგომი ზიანისაგან გადაარჩინოს, მიუხედავად იმისა, რომ სახლის მეპატრონეს მისთვის ასეთი ბრძანება არ მიუცია.

4.2. ამასთან დაკავშირებით, ორ საკითხზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. პირველი: როგორც ქართული, ისე ჰოლანდიური სამართალი ამბობს, რომ თუკი პიროვნებას ასეთ დროს სხვისი საქმეების შესრულება უხდება, მას ეკისრება ვალდებულება, ისინი კეთილსინდისიერად შეასრულოს (სსკ-ის 969-ე მუხლი და ჰსკ-ის მუხლი 6:199, ნაწილი 1-ლი). ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი დებულება განავრცობს ამ აზრს და ამბობს, რომ პირი, რომელიც სხვის საქმეში ჩაერთო, ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, გააგრძელოს სხვისი საქმეების მართვა.

4.3. მეორე: ორივე სამართლებრივ სისტემაში პირს, რომლის საქმესაც ასრულებენ, ეკისრება არასახელმეკრულებო ვალდებულება, აუნაზღაუროს მისი საქმის შემსრულებელ პიროვნებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 973-ე მუხლის თანახმად: „შემსრულებელს უფლება აქვს, მოითხოვოს განუყოფი ხარჯების ანაზღაურება, რომელიც, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებლად იქნა მიჩნეული.“ ჰოლანდიური სამოქალაქო კოდექსის 6:200 მუხლის, 1-ლი ნაწილის თანახმად კი: „დაინტერესებულმა მხარემ უნდა აუნაზღაუროს სხვისი საქმეების შემსრულებელს იმ ზიანისათვის, რომელიც მას მიადგა ამ მხარის საქმეების შესრულებისას, იმის გათვალისწინებით, რომ მისი ინტერესიც სათანადოდ იყოს დაცული.“ ამ მუხლიდან აშკარად ჩანს, რომ არც ერთი სამართლებრივი სისტემა სხვისი საქმეების შემსრულებელს არ ანიჭებს უფლებას, მოითხოვოს ანაზღაურება. მიზეზი კი, უდავოდ მდგომარეობს შემდეგში: უნდა აღიკვეთოს ერთი პირის მიერ მეორეს საქმეში ჩარევის ნახალისება იმ იმედით, რომ, კანონის ძალით, მას სარგებლის მიღების საშუალება ექნება.

5. უსაფუძვლო ანაზღაურება ან შესრულება

5.1. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ უსაფუძვლო ანაზღაურება ან შესრულება, როგორც არასახელმეკრულებო ვალდებულების შედეგი და უსაფუძვლო გამდიდრება, როგორც არასახელმეკრულებო ვალდებულების შედეგი. პირველ შემთხვევაში, მოვალეობა წარმოიშობა იმ მიზეზით, რომ პიროვნებამ გადასცა სხვას ქონება, ან გადაუხადა თანხა, ანდა შეასრულა ვალდებულება იმ რწმენით, რომ ის კანონის მოთხოვნის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო ასე უნდა მოქცეულიყო, თუმცა, რეალურად არ არსებობდა, ან უკვე აღარ არსებობდა ასეთი მიზეზი თუ ვალდებულება. საკითხის თვალსაჩინოების მიზნით, განვიხილავთ რამდენიმე მაგალითს.

5.2. განვიხილოთ ყველაზე გავრცელებული და მარტივი მაგალითი. **ა-მ** და **ბ-მ** გადანიყვიტეს მეორად მანქანებზე ნასყიდობის ხელშეკრულების დადება. **ა** თანხმდება, რომ **ბ-ს**გან მანქანა 2,500 ლარად შეიძინოს. გარიგების დასრულების შემდეგ, რომლის თანახმადაც, **ა-მ** მანქანის თანხა გადაიხადა, ხოლო **ბ-მ** სანაცვლოდ მას მანქანა გადასცა, **ა** აღმოაჩენს, რომ მანქანა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია და **ბ-მ** ის შეცდომაში შეიყვანა. ეს წარმოადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი ბათილად ცნობის საფუძველს. ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი ბათილად ცნობის შემთხვევაში, ეს ნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, მანქანის **ბ-დან** **ა-ს**თვის გადაცემა და, მეორე მხრივ, **ა-ს** მიერ **ბ-ს**თვის 2,500 ლარის გადახდა კანონიერ საფუძველს მოკლებულია (*sine causa*, როგორც ეს რომაულ სამართალშია მოცემული). **ა-მ** უნდა დაუბრუნოს **ბ-ს** მანქანა, ხოლო **ბ-მ**, არასახელმეკრულებო ვალდებულების საფუძველზე, დაუბრუნოს უკან **ა-ს** 2,500 ლარი. თუ **ბ** უარს განაცხადებს თანხის უკან დაბრუნებაზე, მაშინ **ა-ს** შეუძლია უჩივლოს **ბ-ს** უსაფუძვლო ანაზღაურების საფუძველზე.

5.3. განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი. ფოსტალიონს შეცდომით მიაქვს საუკეთესო ქართული ღვინის ბოთლების შეკვრა ბარათაშვილის აღმართზე, №12-ში მცხოვრებ მშვენიერ ქალბატონ ც-სთვის. რეალურად, ეს ღვინო ა-მ მის მეგობარ გოგონა ბ-ს დაბადების დღეზე საჩუქრად გაუგზავნა, რომელიც ასევე ბარათაშვილის აღმართზე, №10-ში ცხოვრობს. რა თქმა უნდა, ც-მ ეს შეკვრა, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, შეცდომით მიიღო. შესაბამისად, ა-ს უფლება აქვს, მოითხოვოს ღვინის დაბრუნება ან ც-ს მიერ ბ-სთვის ამ შეკვრის გაგზავნა. ამრიგად, ც-ს აკისრია არასახელმეკრულებო ვალდებულება, რომ დააბრუნოს შეკვრა. ამ შემთხვევაში, ქონება გადაეცემა ისეთ პირს, რომელიც არ არის კრედიტორი.

5.4. დავუშვათ, რომირაკლი აბაშიძემ გადაწყვიტა, სადღესასწაულოდ იმოგზაუროს ჰოლანდიაში საქართველოს ავიახაზებით. თუმცა, ავიახაზების ერთ-ერთი თანამშრომლის დაუდევრობით, იგი აღმოჩნდება სხვა თვითმფრინავში და უკანა გზაზე იაპონიაში უხდება ნასვლა. მას, რა თქმა უნდა, შეუძლია გავიდეს კონტრაქტიდან, ან მოითხოვოს თანხის უკან დაბრუნება (რომ აღარაფერი ვთქვათ შემდგომი ზიანის შესახებ) უსაფუძვლო ანაზღაურების გამო. მეორე მხრივ, საქართველოს ავიახაზებს უფლება აქვს, დაიბრუნოს მისი შესრულება (უკანა გზაზე იაპონიაში მგზავრობა), რადგან მისი შესრულება სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია. ცხადია, ამ შემთხვევაში საქართველოს ავიახაზების შესრულების დაბრუნება შეუძლებელია, ამდენად, აბაშიძემ ავიაკომპანიას უნდა აუნაზღაუროს თანხით. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ავიახაზების შესრულება აბაშიძისათვის უსარგებლოა, აღნიშნული ავიაკომპანიის მხრიდან კომპენსაციის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ აბაშიძე უნდა ნასულიყო ჰოლანდიაში (როგორც ეს მას სურდა), მაგრამ საქართველოს ავიახაზების ერთ-ერთი თანამშრომლის გულგრილობით ჩადენილი შეცდომის გამო აბაშიძე თბილისის აეროპორტიდან ჰოლანდიის სამეფო ავიახაზებით გაფრინდა ამსტერდამში. იმის გათვალისწინებით, რომ მას არ სჭირდება საქართველოს ავიახაზებისათვის თანხის გადახდა, ჰოლანდიის სამეფო ავიახაზებს უფლება აქვს, აბაშიძისაგან მოითხოვოს შესრულების დაბრუნება, რადგან ეს ქმედება სამართლებრივ საფუძველს მოკლებული იყო. ხოლო, ვინაიდან ქმედების ნატურით დაბრუნება შეუძლებელია, აბაშიძემ უნდა გადაიხადოს საკმაო თანხა — სავარაუდოდ, მან ეს თანხა საქართველოს ავიახაზებისაგან უნდა მიიღოს სანაცვლოდ.

5.5. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არასახელმეკრულებო ვალდებულება, რომელიც უკავშირდება უსაფუძვლო ანაზღაურებას ან ვალდებულების შესრულებას, ეხება ისეთ შემთხვევებს, როცა მხარეებს ჰგონიათ, ან ერთ-ერთ მხარეს ისეთი წარმოდგენა აქვს შექმნილი, რომ მას აკისრია გადახდის, გადაცემის ან მოქმედების შესრულების სამართლებრივი ვალდებულება, რაც რეალურად არ არსებობს. უსაფუძვლო ანაზღაურების ან მოქმედების შესრულების დროს არასახელმეკრულებო ვალდებულების ძირითადი მახასიათებელი არის ის, რომ პიროვნებამ, ვინც განახორციელა გადახდა, გადაცემა ან შესრულება, უფლება აქვს, უკან მიიღოს მისი თანხა ან შესრულების შედეგად მიღებული ქონება. თუკი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თვალს გავეადევნებთ, მივხვდებით, რომ კოდექსიც ამ სტრუქტურითაა აგებული. თუმცა, ჩვენი აზრით, არც ისე გამართლებულია, რომ ეს არასახელმეკრულებო ვალდებულება რეგულირდება თავში, რომელსაც „უსაფუძვლო გამდიდრება“ ეწოდება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე თავის 1-ლი ნაწილის თანახმად: პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ფსევდო კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: „ა) ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში.“ იგივე პრინციპია გატარებული სამოქალაქო კოდექსის 978-ე მუხლში, რომლის მიხედვით, პიროვნებას, რომელიც მეორე პირს იძულების ან მუქარის საფუძველზე გადასცემს რაიმეს, უფლება აქვს, მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება.

5.6. ზემოთ განხილულ შემთხვევებში, მოსარჩელეს უფლება ენიჭება, დაიბრუნოს გადახდილი თანხა ან გადაცემული ქონება, ანდა, თუ შესრულების დაბრუნება შეუძლებელია, სანაცვლოდ მიიღოს თანხა. ეს აზრი გატარებულია სსკ-ის 979-ე მუხლის 1-ლ და მე-2 ნაწილებში, რომელთა თანახმად: „1. უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილსა და მიღებულ სარგებელზე (...) 2. თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის გამო, ან თუ მიმღებს რაიმე მიზეზით არ შეუძლია საგნის უკან დაბრუნება, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს მისი საერთო ღირებულება.“ ნესი, რომლის თანახმადაც, შესრულების განხორციელება სრულიად უსარგებლოა ფსევდო კრედიტორისათვის, როგორც ეს აბაშიძისა და საქართველოს ავიახაზების შემთხვევაში იყო და არ არსებობს სხვა მხარისთვის ანაზღაურების ვალდებულება, მოცემულია სსკ-ის 979-ე მუხლის მე-3 ნაწილში, რომლის თანახმადაც: „3. არ არსებობს ანაზღაურების მოვალეობა, თუ მიმღები, საგნის მოხმარების, სხვისთვის გადაცემის, დაღუპვის, გაუარესების ან სხვა საფუძვლის გამო, არც საგნით და არც მისი ღირებულებით არ გამდიდრებულა.“

5.7. ჰოლანდიური სამართალი ამ ასპექტში განსხვავდება ქართული სამართლისაგან. ჰსკ-ის 6:203 მუხლი, ანაზღაურების ვალდებულებასთან დაკავშირებით, ამბობს: „1. პირს, რომელმაც სხვას გადასცა ქონება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, უფლება აქვს, გამოითხოვოს იგი მიმღებისაგან, როგორც უსაფუძვლო ანაზღაურება. 2. თუ უსაფუძვლო ანაზღაურება ეხება ფულად თანხას, რესტიტუციის მოთხოვნა შეიძლება წაყენებულ იქნეს იმავე თანხაზე. 3. პირს, რომელმაც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოახდინა სხვა ხასიათის შესრულება, ასევე უფლება აქვს, მოითხოვოს მისი დაბრუნება მიმღებისაგან.“ ჰსკ-ის 6:210 მუხლი ეხება ისეთ შემთხვევას, როცა შესრულების დაბრუნება ნატურით შეუძლებელია, აგრეთვე, პრობლემას, როცა პიროვნებამ სხვას უნდა აუნაზღაუროს მისთვის უსარგებლო შესრულების საფასური: „თუკი, ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია მოქმედების დაბრუნება, მისი ღირებულების ანაზღაურება, მიღების დროისათვის გონივრულობის ფარგლებში, შეიძლება სხვა სახით მოხდეს, თუკი მიმღები ვალდებულების შესრულებით გამდიდრდა, ან თუ ვალდებულების შესრულება შეიძლება მას მიენეროს სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე თანხმობის შემთხვევაში.“

6. უსაფუძვლო გამდიდრება

6.1. უსაფუძვლო გამდიდრების დოქტრინა ეხება ისეთ შემთხვევებს, როცა მესამე პირი იღებს რაიმეს (ფულს, ქონებას ან სხვა შესრულებას) სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. თუმცა, ზემოთ განხილული შემთხვევებისაგან განსხვავებით, პირი, რომელიც მესამე პირის მდგომარეობას აუმჯობესებს, არ არის ინფორმირებული მესამე პირის არსებობის შესახებ და, შესაბამისად, არც ამ მესამე პირის მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. ეს შემთხვევები, რა თქმა უნდა, მოიცავს უსაფუძვლო გადახდას, ქონების გადაცემას ან ვალდებულების შესრულებას, თუმცა, განსხვავება უსაფუძვლო გამდიდრებასა და ზემოთ განხილულ შემთხვევებს შორის სამართლებრივ შედეგებში მდგომარეობს. ძირითადი სხვაობა ისაა, რომ უსაფუძვლო გამდიდრების დროს მოსარჩელეს უფლება არა აქვს, მოითხოვოს მისი შესრულების სრული ანაზღაურება. ამ შემთხვევაში, ძირითადი კრიტერიუმია, თუ რამდენად გაუმჯობესდა მოპასუხეს მდგომარეობა. და თუ ასე მოხდა, მას ეკისრება ვალდებულება, მეორე მხარეს აუნაზღაუროს მაქსიმუმ მხოლოდ იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც მისი ქონების ღირებულებამ მოიმატა და არა იმაზე მეტი, ვიდრე მოსარჩელე თავისი შესრულებით „გალარიბდა“. გარდა ამისა, პიროვნებას, რომელიც უსაფუძვლოდ გამდიდრდა, მხოლოდ იმ შემთხვე-

ვაში ეკისრება ანაზღაურების ვალდებულება, თუ კომპენსაცია გონივრულია. მიუხედავად მდგომარეობის გაუმჯობესებისა, მოპასუხემ არ უნდა გადაუხადოს მოსარჩელეს, თუ შესრულების შედეგი მისთვის არასასურველი აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ შესრულების დაბრუნება შეუძლებელია. განვიხილოთ შესაბამისი მაგალითი:

6.2. თამაზ გერსამია არის თბილისში, ნინოშვილის ქუჩა №46-ში მდებარე სახლის მეპატრონე. მან მეზობელთან დადო ხელშეკრულება, მისი შვებულების პერიოდში ბაღის მოვლა-გალამაზების თაობაზე. მეზობელმა, შეცდომით, ნინოშვილის გამზირზე №46-ში მდებარე შოთა არველაძის ბაღი გაალამაზა, რომელსაც ლამაზ ბაღიანი საცხოვრებელი აქვს და შვებულების გამო აგრეთვე არ იმყოფებოდა სახლში, როცა მეზობელმა ეს საქმიანობა განახორციელა. მეზობლის მიერ ჩატარებული საქმიანობის შედეგად, არველაძის საცხოვრებელი სახლის ღირებულება არსებითად გაიზარდა. თუკი არველაძეს თვითონ ექნებოდა სურვილი, რომ მისი ბაღი ისე გაუმჯობესებულიყო, როგორც ამ შემთხვევაში მისი მეზობლის მეზობელმა გააკეთა, გონივრული იქნებოდა, რომ არველაძეს მისი მეზობლის მეზობლისათვის გადაეხადა სახლის გაზრდილი ღირებულება, მაგალითად, 5,000 ლარი. მაგრამ, თუკი თამაზ გერსამიასა და მეზობელს შორის დადებული ხელშეკრულება 4,000 ლარზე იყო, მაშინ არველაძეს არ სჭირდება გადაიხადოს 4,000 ლარზე მეტი, მიუხედავად იმისა, რომ შესრულებული სამუშაოთი სახლის ღირებულება 5,000 ლარით გაიზარდა. მეორე მხრივ, თუკი ხელშეკრულება 6,000 ლარზე იქნებოდა დადებული, არ შეიძლება არველაძეს დაეკისროს 5,000 ლარზე მეტის გადახდის ვალდებულება. თუ არველაძეს საერთოდ არ მოეწონა ბაღი და ბაღის გაუმჯობესებისთვის ფულს არ ხარჯავს, მას ვერ დააკისრებენ ასეთ ვალდებულებას.

6.3. უსაფუძვლო გამდიდრების ეს პრინციპი ასახულია სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლში, რომლის თანახმად: „პირს, რომელმაც შეგნებულად ან შეცდომით ხარჯები გასწია მეორე პირის ქონებაზე, შეუძლია მისგან მოითხოვოს თავისი დანახარჯების ანაზღაურება, თუკი მეორე პირი ამით გამდიდრდა. ჰოლანდიურ სამართალში ანალოგის პოვნა შესაძლებელია 6:212 მუხლში, რომლის თანახმადაც: „სხვის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრებულმა პირმა, გონივრულობის ფარგლებში, უნდა აანაზღაუროს ის თანხა, რაც მისი უსაფუძვლო გამდიდრებით სხვა პირმა იზარალა.“ როგორც ვნახეთ, ჰოლანდიურ სამართალში ანაზღაურების ვალდებულება გონივრულობის ფარგლებში უნდა ექცეოდეს. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინს „გონივრული“ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არ ვხვდებით, როგორც ჩანს და როგორც მაგალითები ცხადყოფს, სადავო არ უნდა იყოს, რომ ანაზღაურების წესში ეს პირობა იგულისხმება. ასე რომ არ იყოს, ცოტა უცნაური იქნებოდა, პიროვნებას აენაზღაურებინა იმ გამდიდრებისათვის, რომელიც მისი ნების მიუხედავად მოხდა. პარალელი შეიძლება გაივლოს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებასთან. უსაფუძვლო გამდიდრების დოქტრინასთან მიმართებით, კანონმა უფლება არ უნდა მისცეს პირებს, ჩაერიონ სხვა პირების საქმიანობაში იმ იმედით, რომ კანონი მათ სანაცვლო ანაზღაურების მიღების უფლებას მისცემს.

თავი 6

სახელშეკრულებო სამართალი

1. ხელშეკრულების თავისუფლება

1.1. როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელშეკრულებო სამართლის მთავარი პრინციპია ხელშეკრულების თავისუფლება. ეს პრინციპი, სულ ცოტა ორ რამეს ნიშნავს ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ორ ქვე-პრინციპს მოიცავს. პირველი, თავისუფალ და დემოკრატიულ საზოგადოებაში ნებისმიერ პირს, ფიზიკურს თუ იურიდიულს, მაგ., შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, აქვს უფლება, დადოს ხელშეკრულება ან თავი შეიკავოს ხელშეკრულების დადებისგან. და მეორე, ხელშემკვრელ მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ გადანყვიტონ, როგორი ტიპის ხელშეკრულების დადება სურთ და რა უნდა იყოს ამ ხელშეკრულების შინაარსი. მხარეებს შეუძლიათ დადონ ხელშეკრულებები, რომლებიც გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსით, მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულება და ხელშეკრულებაში ჩანერონ პირობები, რომლებსაც სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მოცემული ტიპის ხელშეკრულებისთვის, ხოლო თუ პირობებს არ ჩანერენ, იგულისხმება, რომ ისინი შეთანხმდნენ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ პირობებზე. აგრეთვე, მხარეებს შეუძლიათ, მთლიანად ან ნაწილობრივ, გადაუხვიონ სამოქალაქო კოდექსით დადგენილ პირობებს და თავად შეთანხმდნენ მათთვის სასურველ პირობებზე. მხარეებს ასევე შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულება, რომელიც კონკრეტულად რეგულირებული არ არის სამოქალაქო კოდექსით. სამოქალაქო კოდექსში რეგლამენტირებულ ხელშეკრულებებსა და სამოქალაქო კოდექსით არარეგლამენტირებულ ხელშეკრულებებს, ჩვეულებრივ, უწოდებენ სახელდებულ ხელშეკრულებებს (რომლებიც რეგულირებულია კოდექსით) და არასახელდებულ ხელშეკრულებებს (რომლებიც არ არის რეგულირებული კოდექსით). ხელშეკრულების თავისუფლების ეს ფუნდამენტური პრინციპი მოცემულია სსკ-ის 319-ე მუხლის პირველ პუნქტში.

1.2. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის განუყოფელი ნაწილია ის, რომ მოსამართლეს არ შეუძლია ჩაერიოს სახელშეკრულებო ურთიერთობაში და თვით ხელშეკრულებაში თავისი მოსაზრებით, თუ რა არის სამართლიანი ან გონივრული. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი გულისხმობს, რომ მხარეები თვითონ წყვეტენ ამ საკითხს და მოსამართლემ უნდა მიიღოს ის, რაზეც მხარეები შეთანხმდნენ. შეიძლება, მოსამართლე ცალკეულ შემთხვევაში თვლიდეს, რომ ხელშეკრულება არასამართლიანია, მაგრამ მან უნდა დაიცვას იურიდიული პრინციპი, რომ მისი მოვალეობა და ამოცანა არ არის ამ საქმეში ჩარევა. მხარეებმა თვითონ უნდა გადანყვიტონ, როგორი ურთიერთობა იქონიონ ერთმანეთთან. როგორც შემდგომში იქნება განხილული, იმავდროულად ყოველთვის გასაგები არაა, რას იზრახავდნენ მხარეები ან რაზე შეთანხმდნენ ისინი, რა შემთხვევაშიც იკვეთება მოსამართლის როლი — გადანყვიტოს, რა არის ხელშეკრულების შინაარსი.

1.3. როგორც მე-4 თავში უკვე აღინიშნა, ნებისმიერ სამართლის სისტემაში, მათ შორის ქართულში, ზემოხსენებული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი არ არის შეუზღუდავი. ამ საკითხს მოკლედ შევეხები.

2. ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა

2.1 პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ხელშეკრულება საერთოდ არ შეიძლება დაიდოს ანუ ზოგიერთ სახელშეკრულებო პირობაზე საერთოდ არ შეიძლება შეთანხმება. ხელშეკრულება ან სახელშეკრულებო პირობა არ უნდა არღვევდეს საჯარო წესრიგს, ეწინააღმდეგებოდეს საჯარო ინტერესს ან კანონით განსაზღვრულ ინტერესებს. ხოლო თუ ხელშეკრულება ან სახელშეკრულებო პირობა წარმოადგენს ასეთ დარღვევას ან ასეთ ეწინააღმდეგობას, მაშინ კანონი არ აღიარებს მოქალაქეთა შორის მსგავსი შეთანხმების სავალდებულო ძალას, თუნდაც ორივე მხარეს ენადოს შეთანხმება. **თეორიულ-სამართლებრივი სახელწოდება ხელშეკრულების თავისუფლების ამგვარი შეზღუდვისა არის ის, რომ ხელშეკრულება ან ცალკეული სახელშეკრულებო პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება, მაგალითად, საჯარო წესრიგს, ბათილია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ზოგადი წესი ამასთან დაკავშირებით მოცემულია 54-ე მუხლში: „ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.“**

2.2. ზოგ შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ დადონ რაიმე კონკრეტული ხელშეკრულება, მაგრამ თავისუფლად არ შეუძლიათ განსაზღვრონ მისი შინაარსი. ანუ ხელშეკრულების დადებისას მათ არ შეუძლიათ დაადგინონ კანონით განსაზღვრულისგან განსხვავებული პირობები. სავალდებულო ხასიათის ასეთი პირობები უმთავრესად მოიპოვება იმ ხელშეკრულებებში, რომლებშიც, კანონმდებლის აზრით, ერთი მხარე უფრო ძლიერ პოზიციაში, რის გამოც უფრო სუსტ პოზიციაში მყოფ მეორე მხარეს ესაჭიროება განსაკუთრებული დაცვა კანონით. ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსში ყველაზე ხშირი მაგალითები მოიპოვება შრომით ხელშეკრულებებთან და საცხოვრებელი ფართის ქირავნობის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. მაგალითად, ჰსკ-ის 7:617 მუხლის პირველი ნაწილი, შრომით ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ადგენს: „1. შეთანხმებული ფასის გადახდის ფორმა შეიძლება იყოს მხოლოდ: ა. ფულადი ...“ ასეთი დებულებებისთვის დამახასიათებელია ბათილობის სპეციფიკური თვისება: თუ, მაგალითად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ შეთანხმებული ფასის გადახდის ფორმა იქნება ის, რომ მუშაკს ექნება დამქირავებლის მანქანით სარგებლობის უფლება, მაშინ ბათილი იქნება არა მთლიანად ხელშეკრულება, არამედ მხოლოდ აკრძალული პირობა და ამ აკრძალულ პირობას ჩაენაცვლება კანონით დადგენილი პირობა, რომელიც გახდება ხელშეკრულების ნაწილი და უფლებას მისცემს მუშაკს, შეთანხმებული ფორმის მიუხედავად, მიიღოს გასამრჯელო ფულადი სახით.

2.3. ხელშეკრულების დადებისთვის, ზოგადად, რაიმე ფორმა განსაზღვრული არ არის. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ორი მხარე ზეპირად შეთანხმდნენ, ნიშნავს, რომ ხელშეკრულება დაიდო. ამიტომ, ხელშეკრულება, ზოგადად, როგორც ლათინურად ეწოდება, არის *nudum pactum*. ამ პრინციპიდან შეიძლება, სხვათა შორის, წარმოიშვას პრობლემა, რომ, რადგან ხელშეკრულება შეიძლება იოლად დაიდოს, მხარემ შესაძლოა ხელშეკრულება დადოს წინასწარ სათანადოდ გაუაზრებლად, ანუ შემდგომში შეიძლება ინანოს, რომ ასე მოიქცა. მაგრამ ეს სინანული გვიანი იქნება. გარდა ამისა, თუ მხარეებს შორის უთანხმოებაა, მათ შეიძლება დაინწყონ კამათი, დაიდო თუ არა ხელშეკრულება. და თუ ხელშეკრულება ზეპირად დაიდო, რა თქმა უნდა, შეიძლება სადავო იყოს, თუ რა პირობებზე შეთანხმდნენ მხარეები. სწორედ ამ სირთულის თავიდან ასაცილებლად, კანონმდებლობა ითვალისწინებს გარკვეულ ფორმას ზოგ შემთხვევაში. ამის ნათელი მაგალითი მოიპოვება სსკ-ის 323-ე მუხლში, რომლის თანახმად: „ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე

იღებს ვალდებულებას, უძრავ ნივთზე საკუთრება გადასცეს სხვას ან შეიძინოს იგი, უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.“ აგრეთვე, მაგალითად, სსკ-ის 506-ე მუხლის პირველ ნაწილში ნათქვამია: „1. განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით.“ ეს დებულება ნიშნავს იმას, რომ თუ ხელშეკრულება არ არის დადებული წერილობითი ფორმით, მაშინ ხელშეკრულება დადებული არ არის, თუნდაც გამყიდველმა დაამტკიცოს, რომ მხარეები შეთანხმდნენ ან თუნდაც მეორე მხარემ დაადასტუროს, რომ ის დაეთანხმა გამყიდველის შეთავაზებას. ასეთი ტიპის დებულებები განსხვავდება ისეთი დებულებებისგან, როგორცაა, მაგალითად, სსკ-ის 624-ე მუხლი, რომლის თანახმად: „სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით.“ თეორიულად, ეს დებულება არ მოითხოვს რაიმე ფორმლობას ხელშეკრულების დადებისთვის. თეორიულად, იგი მხოლოდ მტკიცების წესს შეიცავს. მაგრამ პრაქტიკაში განსხვავება ნაკლებია, რადგან ამ დებულების პრაქტიკული შედეგი იქნება ის, რომ თუ სესხის ხელშეკრულება წერილობით არ იქნა დადებული, დიდი ალბათობით, მისი აღსრულება შეუძლებელი გახდება.

2.4. ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის კიდევ ერთი სახესხვაობა ადრე უკვე აღნიშნული სსკ-ის 319-ე მუხლის მეორე ნაწილია. დომინანტი მხარე არ არის თავისუფალი ხელშეკრულების დადებისას პირთან, რომელსაც სურს მისგან საქონლის ან მომსახურების შექმნა. ამ წესის გავრცელებული კონკრეტული მაგალითი მოცემულია სსკ-ის 670-ე მუხლში, რომლის მიხედვით, პირი, რომელიც საჯაროდ სთავაზობს ტვირთის გადაზიდვას ან მგზავრების გადაყვანას, პრინციპში, ვალდებულია, დადოს გადაზიდვის/გადაყვანის ხელშეკრულება თანაბარი პირობებით.

2.5. მაგრამ ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა მოცემულია არა მხოლოდ სახელშეკრულებო სამართლის სფეროში, არამედ იურიდიული ქმედუნარიანობის შესახებ ზოგად წესებშიც. ამის მაგალითია სსკ-ის მე-12 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით განსაზღვრული წესი, რომ პირი უნდა იყოს 18 წლის ასაკს მიღწეული, რომ შეეძლოს საკუთარი თავის შებოჭვა ხელშეკრულების დადებით. მსგავსი წესი მოცემულია, აგრეთვე, სსკ-ის **58-ე მუხლის პირველ ნაწილში: „1. ბა-**თილია მცირეწლოვნის ან სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ აღიარებული პირის ნების გამოვლენა.“ ამ წესს, რასაკვირველია, ბევრი გამონაკლისი აქვს, რომლებიც განერილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი წიგნის მეორე კარის მეორე თავში, მაგრამ ამას არ შევხები.

2.6. იურიდიული ქმედუნარიანობის ფენომენის, ასე თუ ისე, მსგავსია პირის მდგომარეობა, როდესაც, ის, მართალია, იურიდიულად ქმედუნარიანია, დადოს ხელშეკრულებები, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზით მოკლებულია უნარს, სრულად გაიგოს, რას აკეთებს ხელშეკრულების დადებით, ანუ სრულად თავისუფალი არ არის ხელშეკრულების დადებისას ან სრულად თავისუფალი არ არის, დადოს იმ შინაარსის ხელშეკრულება, როგორც მას სურს. ხელშეკრულების თავისუფლების იდეა გულისხმობს იმას, რომ ხელშეკრულების დამდები პირი თავისუფალიც არის, დადოს ხელშეკრულება და ესმის კიდევ, რას მოქმედებს. კანონი ითვალისწინებს სხვადასხვა მდგომარეობას, როდესაც ეს მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილებული არ არის და იცავს ხელშეკრულების თავისუფლების დოქტრინას უბრალოდ იმით, რომ არ ცნობს ხელშეკრულებას დადებულად, თუ პირი რეალურად თავისუფალი არ იყო საკუთარი სურვილების და ინტერესების შეფასებაში. ასეთი შემთხვევები,

ჩვეულებრივ, წარმოადგენს ხელშეკრულების ბათილობის საფუძველს და შეიძლება მოშლილ იქნეს კანონით დაცული პირის მიერ, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, კანონი იმდენად მიუღებლად მიიჩნევა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, რომ იგი ხელშეკრულებას ბათილად აცხადებს.

2.7. აღნიშნული შეზღუდვის სახეები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის არა ხელშეკრულებების ნიგნში, არამედ (როგორც საქართველოს, ისე ნიდერლანდების შემთხვევაში) კოდექსის იმ ნაწილში, რომელიც ზოგადად იურიდიულ ქმედებებს ან გარიგებებს ეხება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ეს წესები მოცემულია პირველი ნიგნის მეორე კარში. ნიდერლანდების შემთხვევაში კი – კოდექსის მესამე ნიგნის მეორე კარში, რომელიც ზოგადად იურიდიულ ქმედებებს ეხება.

2.8. საქართველოშიც და ნიდერლანდებშიც ბათილს უწოდებენ ხელშეკრულებას, თუ ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარე სულით ავადმყოფია (სსკ-ის 58-ე მუხლის მეორე ნაწილი, ჰსკ-ის 3:34 მუხლის პირველი ნაწილი). ჰსკ-ის 3:34 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, დასაშვებია სულით ავადმყოფი პირის მიერ დადებული ხელშეკრულების მოშლა. სსკ-ის 58-ე მუხლის მეორე ნაწილის ტექსტი ასეთ ხელშეკრულებაზე ამბობს, რომ იგი „ბათილად შეიძლება ჩაითვალოს.“ მართალია, სრული დამაჯერებლობით ვერ ვიტყვი, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ქართული სამართლის მიხედვითაც, ასეთი ხელშეკრულება არის არა ბათილი, არამედ შეიძლება ბათილად ჩაითვალოს.

2.9. ხელშეკრულების ბათილად ცნობის ცნობილი საფუძველებია იძულება და მოტყუება, გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-89 მუხლებით და ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის 81-84 მუხლებით (მუხლი 3:44). იგი, ვინც მუქარით ან მოტყუებით აიძულა პირი, დაედო ხელშეკრულება, ვერ აიძულებს ამ მეორე პირს, რომ მისთვის სავალდებულო ძალა ჰქონდეს ხელშეკრულებას. ამ მეორე პირზე დამოკიდებული, მოიწონებს ხელშეკრულებას, თუ მოითხოვს მის ბათილობას.

2.10. ქართული სამართალიც და ჰოლანდიური სამართალიც იცნობს ცნებას, რომელიც წარმოიშვა ინგლისურ სამართალში სახელწოდებით „არასათანადო გავლენა.“ ხელშეკრულების თავისუფლება გულისხმობს, რომ მხარეები თანასწორნი არიან. მაგრამ, სინამდვილეში, სრული თანასწორობა და სრულად თანასწორი მოლაპარაკება არ არსებობს. გარკვეული ხარისხის უთანასწორობის არსებობა ხელშეკრულებას სადავოდ არ ხდის, რამდენადაც კანონი მისაღებად მიიჩნევა უთანასწორობის გარკვეულ ხარისხს. მაგრამ თუ უთანასწორობა, ამა თუ იმ მიზეზის გამო, მეტად დიდია, მაშინ სუსტ მხარეს შეიძლება მიენიჭოს დაცვა იმ საშუალებით, რომ მას შეეძლოს იმ ხელშეკრულების მოშლა, რომელიც მან არსებული უთანასწორობის გავლენის ქვეშ დადო. ჰსკ-ის 3:44 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, არასათანადო გავლენის ქვეშ დადებულად ითვლება ხელშეკრულება, თუ პირმა იგი დადო „განსაკუთრებული გარემოებების, როგორც გადაუდებელი მდგომარეობის, დამოკიდებულების, ქარაფშუტობის (არასერიოზულობის), არანორმალური სულიერი მდგომარეობის ან გამოუცდლობის გამო.“ სსკ-ის 55-ე მუხლში მითითებულია დაცული პირის მხოლოდ მძიმე მდგომარეობა ან გამოუცდლობა, მაგრამ ასევე მითითებულია მეორე პირის მიერ სარგებლის მიღება „თავის საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით“, რაც წარმოადგენს ბათილობის საფუძველს. არასათანადო გავლენის თვალსაზრისით, ქართულ სამართალსა და ჰოლანდიურ სამართალს შორის კიდევ ორი მნიშვნელოვანი განსხვავებაა. პირველი, სსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, გარიგება შეიძლება ბათილად

ჩაითვალოს არასათანადო გავლენის გამო, თუ ძლიერი მხარის მიერ განსაზღვრულ შესრულებასა და შესრულებისთვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის ამკარა შეუსაბამობაა. ამგვარად, ქართულ სამართალში ორი წინაპირობაა: მხარეთა შორის უნდა იყოს უთანასწორობა და, ასევე, ამკარა უთანასწორობა უნდა იყოს შესრულებასა და ანაზღაურებას შორის. ნიდერლანდებში კი, აუცილებელი არ არის, უთანასწორობის არსებობა შესრულებებს შორის. და მეორე, ქართული სამართალი, ჰოლანდიურისგან განსხვავებით, განასხვავებს ხელშეკრულებებს, რომლებიც შეიძლება ბათილად ჩაითვალოს არასათანადო გავლენის გამო და ხელშეკრულებებს, რომლებიც ბათილია არასათანადო გავლენის გამო. კერძოდ, 55-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით: „**ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე.**“ ასეთ დროს, სსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული შემთხვევისგან განსხვავებით, თანასწორობა-უთანასწორობა, როგორც ჩანს, არავითარ როლს არ ასრულებს.

2.11. ზოგადად, ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვად მიჩნეული, მაგრამ არსებითად სხვა ხასიათის, არის შეცდომა. ეს საკითხი მოწესრიგებულია სსკ-ის 72-80 მუხლებით, ანუ მოცემულია კოდექსის ზოგად ნაწილში, რომელიც ზოგადად იურიდიულ ქმედებებს ეხება. ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსში კი, პირიქით, ეს საკითხი განსაზღვრულია სახელშეკრულებო სამართლის ზოგად ნაწილში, კერძოდ, იმ ნაწილში, რომელიც ხელშეკრულების დადებას ეხება. ჰსკ-ის 228-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „1. ხელშეკრულება, რომელიც დაიდო შეცდომის გავლენით და რომელიც არ დაიდებოდა, ფაქტები რომ სწორად შეფასებულიყო, შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი: ა. თუ შეცდომა გამომწვეულია მეორე მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაციით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მეორე მხარე ვარაუდობდა, რომ ხელშეკრულება დაიდებოდა ასეთი ინფორმაციის მიუხედავად; ბ. თუ მეორე მხარეს, იმის გათვალისწინებით, რაც მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, უნდა ეცნობებინა შეცდომაში შესული მხარისთვის; გ. თუ მეორე მხარემ ხელშეკრულების დადებისას გააკეთა ისეთივე არასწორი ვარაუდი, როგორც შეცდომაში შესულმა მხარემ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მეორე მხარე, თუნდაც ფაქტები სწორად შეფასებულიყო, ვერ მიხვდებოდა, რომ შეცდომაში შესული მხარე ამის გამო ხელშეკრულებას ვერ დადებდა.“

2.12. შეცდომისას არ წარმოიშობა ისეთი საკითხები, როგორცაა მხარეთა ქმედუნარობა, მხარეთა უთანასწორობა ან ერთ-ერთი მხარის ცუდი საქციელი. შეცდომის რეგულირება უბრალოდ ეხება იმას, თუ რა რეაგირება უნდა მოახდინოს სამართალმა, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ გაირკვა, რომ ერთ-ერთმა მხარემ ან თუნდაც ორივე მხარემ აღმოაჩინა, რომ ფაქტები არ შეესაბამება მათ იმ წარმოდგენებს, რომლითაც დადეს ხელშეკრულება. სამართალმა გამყოფი ხაზი უნდა გაავლოს ორ შეცდომას შორის: პირველი, რომელიც შეცდომაში შესული მხარის რისკია და მეორე, რომელიც შეცდომაში შესულ მხარეს ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნის უფლებას აძლევს. მარტივი მაგალითია, როდესაც **ბ** შედის მაღაზიაში და სურს, იყიდოს ნითელი ღვინის დეკანტატორი. თუ **ბ**-ს სურს, იყიდოს დამუშავებულ კრისტალიანი დეკანტატორი, მაგრამ ამის შესახებ არ აცნობებს მაღაზიის მფლობელ **ა**-ს და იყიდის ჩვეულებრივი შუშისგან დამზადებულ დეკანტატორს, არადა, **ჰგონია, რომ იყიდა დამუშავებულ კრისტალიანი დეკანტატორი**, მაშინ **ბ**-ს მართლაც შეცდომით დაუღია ხელშეკრულება. მაგრამ მხოლოდ ეს ფაქტი არ აძლევს **ბ**-ს ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნის უფლებას; ამისათვის საჭიროა, სულ ცოტა, მაღაზიის მფლობელ **ა**-სთვის **ბ**-ს დაეზუსტებინა, რომ მას კრისტალიანი დეკანტატორის ყიდვა სურდა. ამდენად, შეცდომის ფენო-

მენი ხელშეკრულების განმარტებასთანაც არის კავშირში. ორმხრივი შეცდომის ცნობილი მაგალითია ინგლისური საქმე, რომელიც „პიერლისის“ სახელითაა ცნობილი. ა დათანხმდა, ეყიდა და ბ დათანხმდა, გაეყიდა კოტონის (ბამბის) პარტია, რომელიც უნდა ჩამოსულიყო „პიერლისზე ბომბეიდან“. სინამდვილეში კი ბომბეიდან გამოვიდა ორი გემი და ორივე მათგანის სახელწოდება იყო „პიერლისი“, პირველი გამოვიდა ოქტომბერში, მეორე გამოვიდა დეკემბერში. მოგვიანებით დამტკიცდა, რომ მყიდველი გულისხმობდა ოქტომბერში გამოსულ გემს, ხოლო გამყიდველი გულისხმობდა დეკემბერში გამოსულ გემს. მოსამართლემ გადაწყვიტა, რომ მყიდველს პასუხისმგებლობა არ დაეკისრებოდა დეკემბერში გამოსულ გემზე დატვირთული საქონლის მიღებაზე უარის თქმის გამო. გაყიდული საქონლის აღწერილობა ისეთი იყო, რომ ორივე ტვირთს მიესადაგებოდა და რადგან არ არსებობდა სხვა გარემოება, რომელიც მკაფიოდ მიუთითებდა მესამე დაინტერესებულ მხარეს, რომელ ტვირთზე იყო ლაპარაკი, შეუძლებელი გახდა შეპირების შინაარსის დადგენა. შეთანხმებული პირობების ორაზროვნების გამო სასამართლომ დაადგინა, რომ იგი მოკლებული იყო შესაძლებლობას, გამოერკვია, საერთოდ არსებობდა თუ არა რაიმე შეთანხმება მხარეებს შორის.

3. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის, თუ ორი ან მეტი მხარე ნებაყოფლობით შეთანხმდება, რომ ისინი იქნებიან ურთიერთვალდებული იმ საგანზე, რაზეც შეთანხმდნენ. ჩვეულებრივ, ეს გამოიხატება გამოთქმით, რომ ხელშეკრულება დადებულია, როდესაც არსებობს ოფერტი და ამ ოფერტის აქცეპტი. ხელშეკრულება არის ოფერტის და აქცეპტის თანხვედრის შედეგი. ამიტომ, იმის გადანყვეტისას, დადებულია თუ არა ხელშეკრულება, მოსამართლემ უნდა დაადგინოს, გააკეთა თუ არა ერთმა მხარემ შეთავაზება, რომელშიც გამოვლენილი იყო ამ ოფერტის შინაარსით იურიდიულად შებოჭვის ნება და გამოთქვა თუ არა მეორე მხარემ ამ ოფერტის აქცეპტის და მისი შინაარსით იურიდიულად შებოჭვის ნება. ამიტომ, ხელშეკრულება თავისებურად ორი თანხვედრი აზრის იურიდიული დამთხვევაა, ანუ *consensus ad idem* — როგორც მას რომაულ სამართალში ეწოდება.

3.2. ეს იდეა გამოხატულია სსკ-ის 327-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომლის თანახმად: „ხელშეკრულება დადებულიად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.“ იგივე იდეა გამოხატულია სსკ-ის 6:217 მუხლის პირველ ნაწილში შემდეგი ტექსტით: „ხელშეკრულებას ქმნის ოფერტი და მისი აქცეპტი.“

3.3. ამიტომ, აუცილებელია დადგინდეს, არსებობს თუ არა ოფერტი და აქცეპტი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში იურიდიული ტერმინი „ოფერტი“ მეტნაკლებად განსაზღვრულია 329-ე მუხლის პირველ ნაწილში. მეორე მხრივ, იურიდიული ტერმინი „აქცეპტი“, მართალია, მოიპოვება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, მაგალითად, 331-ე მუხლში, მაგრამ მის განსაზღვრებას კოდექსი არ შეიცავს. ჰოლანდიურ კანონმდებლობაში არც ოფერტი და არც აქცეპტი განსაზღვრული არ არის.

3.4. ზოგჯერ შეიძლება ნათლად იყოს გასაგები, დგინდება თუ არა ოფერტის და აქცეპტის არსებობა. თუ უძრავი ქონების მესაკუთრე შესთავაზებს მისი კუთვნილი სახლის მიყიდვას 60 000 ლარად კონკრეტულ პირს, რომელმაც გამოთქვა ამ სახლისადმი ინტერესი და დააზუსტებს, რომ ოფერტი ძალაშია ერთი კვირის ვა-

დით და სახლის გადაცემა მოხდება ოფერტის გაკეთებიდან ერთი თვის შემდეგ, ამ შემთხვევაში სირთულეს არ წარმოადგენს ამ ოფერტის გაგება. ამასთან, თუ ეს კონკრეტული პირი ამ ერთი კვირის ვადაში ცალსახად და უპირობოდ აცნობებს ოფერენტს, რომ იგი თანახმაა ყველა შემოთავაზებულ პირობაზე და სურს, იყიდოს სახლი ოფერტში აღნიშნული პირობებით, ამ შემთხვევაშიც უეჭველად გასაგებია, რომ ეს არის აქცეპტი. მაგრამ, თუ, მაგალითად, სახლის მესაკუთრე დაიქირავებს უძრავი ქონების აგენტს, რომელიც ადგილობრივ გაზეთში გამოაქვეყნებს სარეკლამო განცხადებას სახლის 60 000 ლარად გაყიდვის თაობაზე, ამ შემთხვევაში გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ ეს არის ოფერტი. ჰოლანდიური სამართლის მიხედვით, უძრავი ქონების აგენტის მიერ სარეკლამო განცხადების გამოქვეყნება გაზეთში არ ნიშნავს ოფერტს, არამედ ითვლება ყველას მიმართ გაგზავნილ მოწვევად ოფერტის გაკეთებაზე. ამიტომ, ჰოლანდიური სამართლის მიხედვით, თუ დაინტერესებული პირი ტელეფონით დაურეკავს აგენტს და ეტყვის, რომ ის მოხარული იქნება სახლი შეიძინოს დასახელებულ 60 000 ლარად, ეს არ ნიშნავს ხელშეკრულების დადებას, რადგან სახლის მესაკუთრემ ჯერ კიდევ უნდა მოახდინოს ან არ მოახდინოს აქცეპტი. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სამართალშიც იგივე წესია, თანახმად 329-ე მუხლის მეორე ნაწილისა: „2. წინადადება, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, წარმოადგენს მოწვევას ოფერტზე, თუ ამ წინადადებაში სხვა რამ არ არის პირდაპირ მითითებული.“ ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც უძრავი ქონების ნასყიდობაზე გვაქვს ლაპარაკი, ოფერტისა და აქცეპტის თანხვედრასთან ერთად, დაცული უნდა იყოს ხელშეკრულების წერილობითი ფორმაც, თანახმად სსკ-ის 323-ე მუხლისა.

3.5. ოფერტი შეიძლება იყოს ოფერტი, და აქცეპტი შეიძლება იყოს აქცეპტი, თუნდაც მხარეებმა ეს სიტყვები სულაც არ ახსენონ. ხელშეკრულებების უმეტესობა იდება ისე, რომ მხარეები არ იყენებენ იურიდიულ ტერმინოლოგიას. თუ პირი შედის სუპერმარკეტში, იღებს თაროდან სამ ბოთლ ღვინოს, მიდის სალაროსთან, იხდის ფასს და გამოდის მაღაზიიდან ღვინით ხელში, მაშინ იურისტს გამოაქვს დასკვნა, რომ ხელშეკრულება დაიდო და შესრულდა კიდევ, თუმცა, მხარეებმა შეიძლება ერთი სიტყვაც არ უთხრეს ერთმანეთს. მართლაც, ამ შემთხვევაში, იურიდიული გაგებით, ადგილი ჰქონდა ოფერტს და მის აქცეპტს, თუმცა, შეიძლება სხვა საკითხი იყოს, ვინ არის ოფერენტი და ვინ აქცეპტანტი.

3.6. როგორც ქართულ, ისე ჰოლანდიურ სამართალში გარკვეული პრობლემები შეიძლება წარმოიშვას ოფერტთან და აქცეპტთან დაკავშირებით, რასაც მე მოკლედ შევეხები. პირველ რიგში, ისმის კითხვა, ნების გამოხატვის ოფერტად მიჩნევისთვის აუცილებელია თუ არა, რომ ნება მიუვიდეს მეორე მხარეს. ქართული სამართლის მიხედვით, პასუხი დადებითია, რადგან სსკ-ის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „1. ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა.“ ჰოლანდიურ სამართალში მსგავსი დებულება არ მოიპოვება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ნების გაცხადება, რომელიც არ მისვლია მეორე მხარეს, უშედეგოდ დარჩება.

3.7. სირთულეებთან არის დაკავშირებული საკითხი, შეიძლება თუ არა ოფერტის გამოხმობა. შესაძლებელია ოფერტს განესაზღვროს მოქმედების ვადა, რის შედეგადაც დაუშვებელი იქნება ოფერტის გამოხმობა ამ ვადაში. ქართულ სამართალში ეს წესი მეტ-ნაკლებად ირიბად გადმოცემულია სსკ-ის 331-ე მუხლში, რომლის თანახმად, თუ ოფერენტმა აქცეპტისთვის განსაზღვრა ვადა, მაშინ აქცეპტი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ ვადაში. ჰოლანდიურ სამართალში

ეს წესი უფრო პირდაპირაა ჩამოყალიბებული 6:219 მუხლის პირველ ნაწილში, რომლის თანახმად: „ოფერტი შეიძლება გამოხმობილ იქნეს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ განსაზღვრულია მისი აქცეპტირების ვადა ან მისი გამოხმობა სხვაგვარად გამომდინარეობს.“ თუ ოფერტს ვადა განსაზღვრული არ აქვს, მაშინ ოფერტის გამოხმობა დასაშვებია, თუ არა — ეს საკითხი ყოველთვის გასაგები არ არის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამაზე რაიმე კონკრეტულ დებულებას არ შეიცავს. გონივრულობის პრინციპიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხელშეკრულება დადებული იქნება, თუ ოფერტის აქცეპტირება მოხდება ოფერტის გაკეთებიდან გონივრულ ვადაში. ჰოლანდიური სამართალი განასხვავებს ოფერტის ფორმებს: „1. ზეპირი ოფერტის აქცეპტირება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ; წერილობითი ოფერტის აქცეპტირება უნდა მოხდეს გონივრულ ვადაში.“ ოფერტის გამოხმობა მისი აქცეპტირების შემდეგ, რა თქმა უნდა, დაუმეგობელია და ხელს არ შეუშლის ხელშეკრულების ძალაში შესვლას.

3.8. როგორც ზემოთ ითქვა, ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება, თუ აქცეპტი ზუსტ თანხვედრაშია ოფერტთან, ანუ თუ „ოთხივე კუთხეში ემთხვევა.“ სახელშეკრულებო მოლაპარაკებების დროს, როგორც წესი, ხდება ისე, რომ მეორე მხარე ოფერტის ზოგ პირობას ეთანხმება, ზოგს კი – არა, ანდა თვითონ სთავაზობს მოცემული პირობების შეცვლას. უმეტესობა სამართლის სისტემებში, ასეთ შემთხვევაში, შემთავაზებლისა და მეორე მხარის როლები იცვლება. სსკ-ის 333-ე მუხლის მეორე ნაწილში ეს შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „2. როცა პასუხში გამოთქმულია თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე, ოღონდ სხვა პირობებით, ვიდრე ამას ოფერტი ითვალისწინებდა, ასეთი პასუხი ჩაითვლება უარად ოფერტზე და, ამავე დროს, – ახალ წინადადებად.“ იგივე წესია განსაზღვრული ჰსკ-ის 6:225 მუხლის პირველ ნაწილში: „1. შეცვლილი ოფერტის აქცეპტი მიიჩნევა ახალ ოფერტად და თავდაპირველ ოფერტზე უარად.“ მაგრამ, ამავე დროს, ამავე მუხლის მეორე ნაწილი აზუსტებს: „2. თუ ოფერენტი დაუყოვნებლივ უარს არ განაცხადებს შემთავაზებულ ცვლილებებზე და ოფერტის აქცეპტისთვის გამიზნული პასუხი უმნიშვნელოდ განსხვავდება ოფერტისგან, მაშინ ეს პასუხი წარმოადგენს ხელშეკრულებაზე თანხმობას ამ აქცეპტის შესაბამისად.“

3.9. მე უკვე შევეხე შემხვედრი ოფერტის ფენომენს, რომლის მაგალითი მოყვანილია პირველი თავის 1.4 პარაგრაფში. ამ საკითხს დეტალურად არც საქართველოს და არც ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსები არ არეგულირებს, მაგრამ სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ, გონივრული განმარტებით, შემხვედრი ოფერტი არ ქმნის სახელშეკრულებო ვალდებულებას, არამედ ესა თუ ის ოფერტი ექვემდებარება აქცეპტს.

4. ხელშეკრულების შინაარსის დადგენა

4.1. მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ ხელშეკრულება დადებულია, ისმის კითხვა: რა არის ხელშეკრულების შინაარსი და რა უფლება-მოვალეობები წარმოიშობა. რა თქმა უნდა, მხარეებს შეიძლება მათი სამართლებრივი ურთიერთობის ყველა დეტალი ისე ჰქონდეთ განერილი, რომ ეჭვს არაფერი ბადებდეს, მაგრამ ეს მხოლოდ თეორიაში. პრაქტიკაში კი მხარეებს შორის ძალზედ ხშირად უთანხმოებაა იმ საკითხზე, თუ კონკრეტულად რა პირობებზე შეთანხმდნენ. ამის შემდგომ მოსამართლის დასადგენია, რა პირობებზე შეთანხმდნენ მხარეები.

4.2. ხელშეკრულების განმარტებისას მოსამართლე, პირველ რიგში, უნდა ეცადოს, გამოარკვიოს, ჰქონდათ თუ არა მხარეებს საერთო განზრახვა. როგორც ზემოთ ითქვა, მოსამართლის გადასაწყვეტი არ არის, რა მიაჩნია მას გონივრულად, არამედ მოსამართლემ უნდა გამოარკვიოს, რას გულისხმობდნენ მხარეები, რომლებიც ხელშეკრულების დადებისას თავისუფალნი არიან ურთიერთშორის სამართლებრივი ურთიერთობის არჩევასა და განსაზღვრაში. ეს კი, უმთავრესად, მტკიცებულებებს უკავშირდება. მხარეთა ან მოწმეთა მოსმენით შეიძლება დადგინდეს, ვისი არგუმენტებია სწორი.

4.3. მაგრამ ხშირად (თუ ყოველთვის არა), როდესაც მხარეებს შორის დავაა, შეუძლებელია მხარეთა საერთო განზრახვის დადგენა ფაქტების ანალიზის საფუძველზე. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება ობიექტურად უნდა განმარტდეს მესამე მხარემ, მოსამართლემ, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, რას ნიშნავს მოცემული ხელშეკრულება კანონის მიხედვით. ამ კუთხით, ხელშეკრულების განმარტებას ბევრი აქვს საერთო კანონის განმარტებასთან.

4.4. ქართველმა კანონმდებელმა მიზანშეწონილად ჩათვალა, დაედგინა ხელშეკრულების განმარტების რამდენიმე სახელმძღვანელო წესი იმ შემთხვევისთვის, როდესაც საერთო განზრახვა ვერ დგინდება. ეს წესები, რომლებიც სსკ-ის 337-340 მუხლებშია ჩამოყალიბებული, მსგავსია სსკ-ის 2-5 მუხლებში მოცემული კანონის განმარტების წესებისა. ამასთან დაკავშირებით, მივუთითებდი იმას, რაც ზემოთ აღვნიშნე პირველი თავის მეორე ნაწილში კანონმდებლის კანონშემოქმედებასა და სამოსამართლო კანონშემოქმედებას შორის ურთიერთობაზე. ამიტომ, ხელშეკრულების განმარტებასთან დაკავშირებითაც, დასკვნა არის ის, რომ ძირითადად მოსამართლის გადასაწყვეტია ხოლმე, რა არის სამართლიანი და გონივრული.

4.5. ჰოლანდიის ძველი სამოქალაქო კოდექსიც შეიცავდა ბევრ წესს ხელშეკრულების განმარტებასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს წესები ახალ სამოქალაქო კოდექსში გამოტოვებულ იქნა იმ საფუძველით, რომ საკმაოდ რთულია, განსაზღვრო და დაარეგულირო, როგორ უნდა იფუნქციონიროს სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებამ ან როგორ იფუნქციონირებს იგი ფაქტობრივად. ამიტომ, თავად მოსამართლის პრეროგატივაა, გამოძებნოს ხელშეკრულებების განმარტების საკუთარი გზა. ხელშეკრულების შინაარსთან და, შესაბამისად, ხელშეკრულების განმარტებასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი ზოგადი წესისთვის მოიძებნა ადგილი 1992 წლის კოდექსში. ჰსკ-ის 6:248 მუხლის მიხედვით: „1. ხელშეკრულებას აქვს არა მარტო მხარეთა შორის შეთანხმებული იურიდიული შედეგი, არამედ სხვა შედეგიც, რომელიც, ხელშეკრულების ხასიათის მიხედვით, შეიძლება გამომდინარეობდეს კანონიდან, ჩვეულებითი ხმარებიდან ან გონივრულობისა და სამართლიანობის მოთხოვნებიდან. 2. წესი, რომელიც მხარეთათვის სავალდებულოა ხელშეკრულების ძალით, არ გამოიყენება იმდენად, რამდენადაც, მოცემული გარემოებების გათვალისწინებით, მისი გამოყენება იქნება მიუღებელი გონივრულობისა და სამართლიანობის მოთხოვნებიდან გამომდინარე.“

4.6. მეოთხე თავის 2.11 და 2.12 პარაგრაფებში მე უკვე შევხეხე ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს. კერძოდ, იმ საკითხს, ეს პირობები, მათზე შეთანხმების და მათი ხელშეკრულების ნაწილად ქცევის შემდეგ, მაინც შეიძლება იყოს თუ არა ბათილი ან ბათილად ცნობილი იმ მიზეზით, რომ სუსტი მხარე დაცული უნდა იყოს ეკონომიკურად ძლიერი მხარისგან. ამ საკითხს წინ უძღვის კითხვა, ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებზე შეთანხმდნენ თუ არა მხარეები

და იქცა თუ არა ეს პირობები ხელშეკრულების ნაწილად. ამ კუთხითაც, კანონი ითვალისწინებს სუსტი მხარის დაცვას. კანონი განასხვავებს ჩვეულებრივ მომხმარებლებს მეორე მხარისგან, რომელიც საკმარისად ძლიერია იმისათვის, რომ დაიცვან თავიანთი ინტერესები (განსაკუთრებით ბიზნესმენებისგან). რაც შეეხება მომხმარებლებს, მათ შემთხვევაში მოქმედებს პრინციპი, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ხელშეკრულების ნაწილად იქცევა, თუ მომხმარებელმა (ვისაც სთავაზობენ): ა) იცის, რომ შემთავაზებელს სურს, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები იქცეს ხელშეკრულების ნაწილად; ბ) იცის ამ პირობების შინაარსი და გ) აშკარად გამოხატავს თანხმობას იმაზე, რომ ეს პირობები იქცეს ხელშეკრულების ნაწილად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დუმილი არ ითვლება თანხმობად ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებზე.

4.7. ეს წესი ასახულია სსკ-ის 343-ე მუხლის პირველ ნაწილში: „ხელშეკრულების სტანდარტული პირობები მხოლოდ მაშინ იქცევა მათ შემთავაზებელსა და ხელშეკრულების მეორე მხარეს შორის დადებული ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად, როცა: ა. შემთავაზებელი ხელშეკრულების დადების ადგილზე თვალსაჩინო წარწერას გააკეთებს და მიუთითებს ამ პირობებზე და ბ. ხელშეკრულების მეორე მხარეს შესაძლებლობა აქვს, გაეცნოს ამ პირობების შინაარსს და, თუ თანახმაა, მიიღოს ეს პირობები.“ ჰოლანდიური სამართალი ამ საკითხზე განსხვავებული პოზიციისაა, რადგან ჰსკ-ის 6:232 მუხლის მიხედვით: „მეორე მხარისთვის ზოგადი პირობები სავალდებულოა მაშინაც, თუნდაც ხელშეკრულების დადების მომენტისთვის შემთავაზებელს სცოდნოდა ან შეიძლება სცოდნოდა, რომ მეორე მხარემ არ იცოდა ამ პირობების შინაარსი.“ მაგრამ, თუ უფრო კარგად დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ჰოლანდიური სამართალიც იცავს სუსტ მხარეს იმასთან დაკავშირებით, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები უნდა იქცეს თუ არა ხელშეკრულების ნაწილად; ჰსკ-ის 6:233 მუხლში ნათქვამია: „ზოგადი პირობებით გათვალისწინებული ნორმა შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი: (...) ბ. თუ შემთავაზებელმა მისცა მეორე მხარეს ზოგადი პირობების გაცნობის შესაძლებლობა.“

5. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებები

5.1. რა თქმა უნდა, ხელშეკრულება უფლება-მოვალეობებს ქმნის მხოლოდ მათთვის, ვინც დადო ეს ხელშეკრულება ხელშეკრულების მხარეებისთვის. ეს პრინციპი, რომელიც, უძრავი ქონების სამართლისგან განსხვავებით, არის ვალდებულებითი სამართლის ზოგადი პრინციპი, ისევე ძველია, როგორც თავად სახელშეკრულებო სამართალი. ძველ რომაულ სამართალში იგი გამოხატული იყო შემდეგი მაქსიმით: *res inter alios acta aliis neque nocere neque prodesse potest*. ამ პრინციპით, მესამე მხარე ვერ იქნება იმ ხელშეკრულებით შებოჭილი, რომლის მხარეც თვითონ არ არის და არ შეუძლია ასეთი ხელშეკრულებით მიიღოს სარგებელი.

5.2. მაგრამ ამ წესიდან არსებობს გამონაკლისები, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი და ხშირი არის ის, რომ ხელშეკრულების მხარეებმა შეიძლება სარგებელი გადასცენ მესამე მხარეს. ამის ცნობილი მაგალითებია დაზღვევის ხელშეკრულება და საპენსიო სქემის ხელშეკრულება. მაგალითად, ქმარმა შეიძლება დადოს სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს დეზულებას, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ მის ქვრივს შეუძლია, მოითხოვოს

თანხის გარკვეული ნაწილი სადაზღვევო კომპანიისგან. ან დამქირავებელმა შეიძლება დადოს ხელშეკრულება სიცოცხლის მზღვეველ კომპანიასთან მასზედ, რომ შრომითი ხელშეკრულების დასრულების შემდეგ მუშაკებს უფლება ექნებათ, მზღვეველმა მათ გადაუხადოს გარკვეული ყოველთვიური ფულადი თანხა პენსიის სახით.

5.3. როგორც ქართული, ისე ჰოლანდიური სამართალი აღიარებს ასეთი ხელშეკრულებების კანონიერებას. ორივე სამართლის სისტემა შეიცავს წესებს აღნიშნულ თემაზე სამოქალაქო კოდექსებში. სსკ-ის 349-351 მუხლები შეიცავს ზოგად დებულებებს მესამე პირთა სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. ნიდერლანდებში მსგავსი ნორმები მოიპოვება 6:253 — 6:256 მუხლებში.

5.4. თავისთავად ცხადია, მესამე მხარის ნებაზეა დამოკიდებული, მიიღებს თუ არ მიიღებს სარგებელს ასეთი ხელშეკრულებიდან და მას ვერავინ აიძულებს, მოიქცეს თავისი ნების საწინააღმდეგოდ. აქ ისმის ორი კითხვა: პირველი, სარგებლის მიღების შემთხვევაში მესამე მხარეს აქვს თუ არა უფლება, თვითონ უჩივლოს ხელშეკრულების მხარეს, რომელმაც ივალდებულა მესამე პირისთვის სარგებლის გადახდა, თუ მხოლოდ იმ მხარესთან ერთად შეიძლება უჩივლოს, რომელმაც მას სარგებელი დაუწესა, თუ მხოლოდ ამ ხელშეკრულების მხარეს აქვს ჩივილის უფლება შესრულების მოთხოვნით. მეორე, სარგებლის დამწესებელ მხარეს შეუძლია თუ არა, უჩივლოს ხელშეკრულების იმ მხარეს, რომელმაც ივალდებულა სარგებლის გადახდა.

5.4. ჰოლანდიური სამართლის მიხედვით, ჩანს, ორივე კითხვაზე პასუხი მკაფიო და გასაგებია. ჰსკ-ის 6:253 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „ხელშეკრულებით მესამე პირს ენიჭება უფლება, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება ხელშეკრულების ნებისმიერი მხარისგან ან სხვაგვარად მიუთითოს ხელშეკრულებაზე მათ წინააღმდეგ, თუ ხელშეკრულება შეიცავს შესაბამის ნორმას და თუკი მესამე პირი თანახმაა ამ უფლების განხორციელებაზე.“ ამგვარად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლის მიღების შემდეგ მესამე პირს უფლება აქვს, თვითონ უჩივლოს მოვალეს სასამართლოში. ჰსკ-ის 6:256 მუხლის თანახმად: „მხარეს, რომელმაც დათქმა გააკეთა მესამე პირის სასარგებლოდ, შეუძლია მოითხოვოს შესრულება ამ მესამე პირისთვის, თუ ეს მესამე პირი თანახმაა.“ ამდენად, სარგებლის დამწესებელსაც აქვს, პრინციპში, უფლება, უჩივლოს მოვალეს.

5.5. ქართული სამართლის მიხედვით, პირველ შეკითხვაზე პასუხი მეტ-ნაკლებად იგივეა. სსკ-ის 349-ე მუხლის თანახმად: „მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულება შეიძლება მოითხოვოს როგორც კრედიტორმა, ასევე მესამე პირმა, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ანდა თვით ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.“ საკანონმდებლო ნორმა არ ითვალისწინებს მესამე პირის თანხმობას, როგორც წინაპირობას, მაგრამ, ჩემი აზრით, ამით დიდი განსხვავება ჰოლანდიურ სამართალთან არ ვლინდება. სსკ-ის 351-ე მუხლის თანახმად: „თუ მესამე პირი უარს ამბობს ხელშეკრულებით შექმნილ უფლებაზე, მაშინ კრედიტორს შეუძლია თვითონ მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, თუ ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.“ ვფიქრობთ, ეს წესი სრულ თანხვედრაშია მის ჰოლანდიურ ეკვივალენტთან.

თავი 7

პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისათვის

1. შესავალი

1.1. იმ შემთხვევაში, თუკი დებიტორი არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას და, შესაბამისად, არღვევს მას, წამოიჭრება საკითხი, თუ რა სახის სამართლებრივი დაცვის საშუალებები გააჩნია, კანონმდებლობის თანახმად, კრედიტორს თავისი ინტერესების დასაცავად. თეორიულად შესაძლებელია გამოვყოთ ოთხი სახის სამართლებრივი დაცვის საშუალება. პირველ რიგში, კრედიტორს შეუძლია კონკრეტული ქმედების შესრულების მოთხოვნა, მეორე რიგში, მას შეუძლია მოითხოვოს ფინანსური ანაზღაურება ზიანისათვის, მესამე რიგში, ორმხრივი უფლებებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, რომლებიც გააჩნია ორივე მხარეს, კრედიტორს უფლება აქვს, არ შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა მანამ, სანამ მეორე მხარე არღვევს დაკისრებულ ვალდებულებას და ბოლოს, უკიდურეს შემთხვევაში მას შეუძლია, უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე ან შეწყვიტოს იგი და ამგვარად წერტილი დაუსვას მხარეებს შორის არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი დაცვის ხსენებული საშუალებები პრინციპში არ არის ორმხრივად ექსკლუზიური ხასიათის. მაგალითად, შესაძლოა სახეზე იყოს შემთხვევა, როდესაც კრედიტორს ენიჭება სამართლებრივი დაცვის საშუალების სახით გარკვეული მოქმედების შესრულების უფლება ისევე, როგორც ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული უფლება, თუკი დებიტორის გამო მოხდება მოქმედების შესრულების გაჭიანურება.

1.2. ასევე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პასუხისმგებლობის დადგენა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისათვის, მოიაზრებს გადაწყვეტილების მიღებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა წარმოადგენს კანონში არსებული ვალდებულების შინაარსს და როგორ უნდა იქნეს კანონში არსებული ვალდებულება განსაზღვრული. მოქმედების ყოველი შეუსრულებლობა არ წარმოადგენს სამართლის თანახმად ვალდებულების დარღვევას. მაგალითად, თუკი კლიენტი ორშაბათს ყიდულობს მაღაზიაში ლამაზ ავეჯს და მაღაზიის გამყიდველი პირდება მას, რომ მიუტანს ავეჯს მყიდველს სახლში მეორე დღეს, ანუ სამშაბათს, რაღა თქმა უნდა, მაღაზიის გამყიდველი არ შეასრულებს თავის დანაპირებს, თუკი იგი სამშაბათს დაურეკავს მყიდველს და აცნობებს მას, რომ არ შეუძლია მისთვის ავეჯის მიტანა, რადგანაც ის მანქანა, რომლითაც დაგეგმილი იყო ავეჯის მიტანა გამოვიდა მწყობრიდან და საჭიროებს შეკეთებას, ასე რომ, ავეჯის მიწოდება მოხერხდება მხოლოდ ოთხშაბათს. ასეთ შემთხვევაში, ადგილი არ აქვს სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას ამ დებულების სამართლებრივი გაგებით და მყიდველს არ შეუძლია – წარმატებულად – წავიდეს სასამართლოში და მოითხოვოს სამართლებრივი დაცვის საშუალება გამყიდველის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის გამო.

2. დარღვევის დადგენა

2.1. შესაბამისად, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, სახელშეკრულებო დანაპირების შეუსრულებლობა წარმოადგენს თუ არა დარღვევას სამართლებრივი თვალსაზრისით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ზემოხსენებულ კითხვასთან დაკავშირებით პოზიტიურ პასუხს მივიღებთ, წამოიჭრება საკითხი, თუ სამართლებრივი დაცვის რა საშუალებები იქნება ხელმისაწვდომი.

2.2. საკითხთან დაკავშირებით ზოგადი წესის პოვნა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და 405-ე მუხლის 1-ლ ნაწილში და, ასევე, ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის 683-ე მუხლში. დანაპირების შეუსრულებლობა, სამართლებრივი თვალსაზრისით, მხოლოდ მაშინ ითვლება ვალდებულების დარღვევად, თუკი დამატებითი ვადა, რომელიც დათქმულია კრედიტორის მიერ ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით, გავიდა და დებიტორს გაგრძელებული ვადის განმავლობაშიც არ შეუსრულებია მასზე დაკისრებული ვალდებულება.

2.3. როგორც ჩანს, საქართველოს და ნიდერლანდების სამართლებრივ სისტემაში არ არსებობს ნორმები იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რა ფორმით უნდა დაადგინოს კრედიტორმა დამატებითი დრო მოქმედების შესრულებისათვის. რაღა თქმა უნდა, ხსენებული ნიშნავს, რომ მას შეუძლია ამ ვადის დადგენა ზეპირად, მაგრამ ნახსენები არ არის, რეკომენდირებულია თუ არა წერილობითი ფორმა, რათა თავიდან იქნეს აცილებული კამათი იმასთან დაკავშირებით, თუ როდის მოხდა კერძოდ გაგრძელებული ვადის ამონურვა.

2.4. კრედიტორი არ არის ვალდებული, დაადგინოს დროის დამატებითი ვადა იმ შემთხვევებში, როდესაც ნათელია, რომ ეს ვერ გამოიღებს შედეგს და ამიტომაც დამატებითი ვადის განსაზღვრა არ ემსახურება რაიმე სასარგებლო მიზანს. კრედიტორი ასევე არ არის ვალდებული, დაადგინოს დამატებითი ვადა იმ შემთხვევებში, როდესაც დრო დადგენილია მხარეების მიერ ან, ხელშეკრულების ხასიათიდან გამომდინარე, დროის ფაქტორს დიდი მნიშვნელობა აქვს. ხსენებული წესები გამომდინარეობს და ასახულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის მე-3 ნაწილსა და 405-ე მუხლის მე-2 ნაწილში. აღნიშნული წესები შესაძლოა განმარტებულ იქნეს გარკვეული მაგალითების მოყვანით.

2.5. თუკი A-მ მიჰყიდა B-ს ცნობილი ქართველი მხატვრის ტილო და შეუთანხმდა B-ს, რომ ტილოს მიუტანდა 2006 წლის 1-ლ ივლისს, არ შეიძლება საქმის სხვა დეტალების გარეშე ითქვას, რომ A-მ დაარღვია ვალდებულება, თუკი იგი ვერ შეძლებს ტილოს გადაცემას შეთანხმებულ დღეს. B-მ უნდა დაადგინოს გონივრული დამატებითი ვადა ტილოს მიწოდებისათვის. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი A 2006 წლის 30 ივნისისათვის ნათელს ხდის B-სათვის, რომ იგი არ გადასცემს მას ტილოს იმ მიზეზით, რომ აღმოაჩინა ტილოს უნიკალურობა და სურს მისი შენარჩუნება, მაშინ A დაარღვევს თავის ვალდებულებას, როდესაც 2006 წლის 1-ლი ივლისი ჩაივლის და A არ გადასცემს ტილოს B-ს.

2.6. შემთხვევა, როდესაც დამატებითი ვადის დანიშვნა ვერ გამოიღებს ვერანაირ შედეგს, იქნება მაშინ, როდესაც A-მ მიჰყიდა თავისი მანქანა B-ს, მაგრამ გადაცემაზე A-ს გადასაცემი მანქანით მოუვიდა ავარია და მანქანა გამოუსადეგარი გახდა.

2.7. იმ შემთხვევაში, თუკი A ქირაობს ოთახს ბინაში B-საგან (რომელიც არის რუსთაველის გამზირზე მდებარე სახლის მესაკუთრე) იმ დღისათვის, როდესაც საქართველოს ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა უნდა გაიაროს პარლამენტისაკენ ინაუგურაციისათვის და ქირავნობის მიზანს წარმოადგენს ის, რომ A-მ კარგად დაინახოს პრეზიდენტი, მაშინ, რაღა თქმა უნდა, დროის ფაქტორს დიდი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებისათვის. აუცილებელი არ არის ხსენებულის გარკვევით განსაზღვრა ხელშეკრულებაში. თუკი შემდეგში B ინაუგურაციის დღეს არ არის სახლში, არ მიუცია გასაღები A-სთვის და, ამგვარად, A-ს არ შეუძლია ოთახის გამოყენება შეთანხმებულ დღეს, B დაარღვევს ხელშეკრულებას და A-ს აღარ სჭირდება დამატებითი ვადის დადგენა მოქმედების შესრულებისათვის.

2.8. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია დარღვევის დადგენა მოქმედების შესრულებისათვის დათქმულ დღემდე. მაგალითად, ქართული კარტოფილით მოვაჭრე 2006 წლის მაისში ყიდულობს 100 000 კილოგრამ ჰოლანდიურ კარტოფილს, რომელიც ჩამოტანილ უნდა იქნეს გემით 2006 წლის 1 სექტემბერს და, იმ შემთხვევაში, თუკი ნიდერლანდების მთავრობა 1 აგვისტოს დაადგენს, რომ კარტოფილის მთელი ექსპორტი 2006 წლისათვის აკრძალულია სასოფლო-სამეურნეო ავადმყოფობის გამო, მაშინ მყიდველი არ არის ვალდებული, იცადოს 2006 წლის 1 სექტემბრამდე, რათა დადგინდეს, რომ გამყიდველმა დაარღვია ხელშეკრულება.

2.9. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს და არ უნდა დავივიწყოთ, რომ საკითხი, დადგენილია თუ არა დარღვევა ან მოთხოვნილია თუ არა დამატებითი დროის დადგენა მოქმედების შესრულებისათვის, სულ სხვა საკითხია, ვიდრე პასუხისმგებლობა, თუ ასეთი სახეზეა, რომელიც ეკისრება დებიტორს დარღვევის შემთხვევაში. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვეხებით ხელშეკრულების დარღვევისათვის ზიანის ანაზღაურებას, ის საკითხი, უნდა ანაზღაუროს თუ არა დებიტორმა ზიანი, უნდა გადაწყდეს ცალკე. ასე რომ, იმ შემთხვევაში, რომელიც ნახსენებია 2.8. პუნქტში, თავისთავად, ცხადი არ არის, რომ ჰოლანდიელი გამყიდველი პასუხისმგებელია ქართველი კარტოფილით მოვაჭრისათვის ზიანის ანაზღაურებაზე. აღნიშნული საკითხი განხილულ იქნება ქვემოთ.

3. კონკრეტული ქმედების შესრულების მოთხოვნა, როგორც სამართლებრივი დაცვის საშუალება

3.1. იმ შემთხვევაში, თუკი დებიტორი არ ასრულებს მასზე დაკისრებულ სახელშეკრულებო ვალდებულებას, სამართლებრივი დაცვის პირველი საშუალება, რომელსაც კრედიტორმა შეუძლია მიმართოს, არის კონკრეტული მოქმედების შესრულება. საკითხი მდგომარეობს იმაში, სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას შეუძლია და უზრძანებს თუ არა სასამართლო დებიტორს, განახორციელოს მასზე დაკისრებული ვალდებულება და ექნება თუ არა ამ სასამართლოს ბრძანებას ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა, რომ ვალდებულება შესრულებული იქნება კეთილსინდისიერად.

3.2. როგორც ეს ადრეც იქნა აღნიშნული, წარსულში რომის სამართალში კონკრეტული ქმედების განხორციელება, როგორც სამართლებრივი დაცვის მექანიზმი, არ არსებობდა. სამართლებრივი დაცვის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა ზიანის ანაზღაურება: *omnis condemnatio pecuniaria est*. ნიდერლანდებში 1966 წელს უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც

საც ზიანის ანაზღაურება არ წარმოადგენდა სამართლებრივი დაცვის ადეკვატურ საშუალებას, სასამართლოს შეეძლო ებრძანებინა დებიტორისათვის მასზე დაკისრებული კონკრეტული ვალდებულების შესრულება. დღესდღეობით სამართლებრივი დაცვის ეს საშუალება განსაზღვრულია ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსით. იმავე კოდექსის 3:296-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ ის პირი, რომელიც, კანონმდებლობის თანახმად, ვალდებულია, გასცეს რაიმე, განახორციელოს ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან, კრედიტორის მიმართვის საფუძველზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებით, იძულებული იქნება ასე მოიქცეს „გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი, ვალდებულების ხასიათი ან სამართლებრივი აქტი სხვაგვარ წესებს ადგენს.“

3.3. ზოგადად დაშვებულია, რომ მოსამართლე გასცემს ბრძანებას კონკრეტული ქმედების შესრულებასთან დაკავშირებით იმ შემთხვევებში, როდესაც ზიანის ანაზღაურება, რომელიც უნაზღაურებს კრედიტორს განცდილ ზიანს, არ არის ადეკვატური. ხსენებულს ადგილი აქვს მაშინ, თუკი ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კონკრეტული საქონელი. თუკი პირმა შეიძინა ქართული შუასაუკუნეების მხატვრობის ტილოს ერთადერთი ნიმუში, ან თუკი პირმა შეიძინა კონკრეტული სახლი თბილისის ლამაზ ნაწილში, რომელში დასახლებაც წლების განმავლობაში სურდა, ასეთი მყიდველისათვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, თუკი მას მისცემენ ფულად კომპენსაციას გამყიდველის უარის შემთხვევაში. ასეთ დროს კონკრეტული ქმედების განხორციელება, კრედიტორის აზრით, წარმოადგენს სამართლებრივი დაცვის ერთადერთ შესაფერის საშუალებას. მეორეს მხრივ, იმ შემთხვევაში, თუკი პირმა შეიძინა 100 ასლიდან ერთ-ერთი იგივე შუასაუკუნეების ტილოებიდან და გამყიდველი უარს ამბობს გადაცემაზე, ზოგადად, მყიდველი საკმარისად იქნება დაცული კანონმდებლობით, თუკი მას ზიანს აუნაზღაურებენ ფულადი კომპენსაციით და, შესაბამისად, მას შეეძლება იყიდოს ტილოს სხვა ასლი, თუკი ეს მას სურს.

3.4. ცალკე საკითხია სასამართლო გადაწყვეტილება (რომელიც ბრძანებს გარკვეული ქმედების შესრულებას) უნდა აღსრულდეს თუ არა იმგვარად, რომ კრედიტორმა სინამდვილეში მიიღოს ნაყიდი საქონელი ან შესრულებულ იქნეს ის სამუშაო, რომელთან დაკავშირებითაც დაიდო ხელშეკრულება. ნიდერლანდებში, იმ შემთხვევაში, თუკი დებიტორმა უნდა გადასცეს მოძრავი ნივთები, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება შესაძლებელია. ნიდერლანდების სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განსაზღვრულია, რომ სასამართლო აღმასრულებელს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე შეუძლია ჩამოართვას საქონელი შესაბამის პირს და გადასცეს იგი კრედიტორს. იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულება წარმოადგენს უძრავი ქონების გაყიდვის ხელშეკრულებას, იმისათვის, რომ ქონებაზე მესაკუთრეობა გადავიდეს მყიდველზე, საჭიროა, შედგეს ნოტარიული აქტი, რომელიც დარეგისტრირებულ უნდა იქნეს საჯარო რეესტრში. რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას, ხსენებული წესის პოვნა შეიძლება სამოქალაქო კოდექსის 83-ე მუხლის 1-ლ ნაწილში. ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის 3:300 და 3:301 მუხლების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი დებიტორი უარს აცხადებს ნოტარიუსთან მისვლასა და ქონების გადაცემასთან დაკავშირებული აქტის ხელმოწერაზე, მოსამართლეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება, რომ მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას გააჩნია იგივე სამართლებრივი ძალა, როგორც დებიტორის მიერ ხელმოწერილ სანოტარო აქტს და რომ გადაწყვეტილება შესაძლოა რეგისტრირებულ იქნეს საჯარო რეესტრში იმ ეფექტით, რომ მესაკუთრეობა საკუთრებაზე გადავა გამყიდველიდან მყიდველზე.

3.5. იმ შემთხვევაში, თუკი დებიტორის პირადი თანამშრომლობა აუცილებელია ვალდებულების შესასრულებლად, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც ექიმი გამოთქვამს თანხმობას პაციენტისათვის ნეიროქირურგიული ოპერაციის ჩატარებაზე, სასამართლოს ბრძანებას არ ექნება არანაირი პირდაპირი ეფექტი, თუკი დებიტორი მაინც უარს აცხადებს ვალდებულების შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში განაჩენის აღსრულება შესაძლებელია მხოლოდ ირიბი გზით, მაგალითად, მოსამართლის ბრძანების საშუალებით, რომ დებიტორი ვალდებულია, გადაიხადოს ფულის გარკვეული ოდენობა იმ ყოველი დღისათვის, როდესაც იგი უარს აცხადებს სასამართლო გადაწყვეტილების დამორჩილებაზე.

3.6. მართალია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, როგორც ეს გამომდინარეობს კოდექსის 361-389-ე მუხლებიდან, საწყის წერტილს წარმოადგენს დებიტორის მოვალეობა, შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება და, მიუხედავად იმისა, რომ ბევრია დეტალური წესები ქმედების შესრულებასთან დაკავშირებით (როგორც ეს გვხვდება ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსში, რომლის 6:27-5:51-ე მუხლები დეტალურად აწესრიგებენ ხელშეკრულების შესრულებას), როგორც ჩანს, არ არსებობს წესი, რომ მოსამართლეს შეუძლია, ბრძანოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებით კონკრეტული ქმედების შესრულება, თუკი დებიტორი არღვევს ვალდებულებას. ყოველ შემთხვევაში, არანაირი მსგავსი ნორმა არ მოიპოვება სამოქალაქო კოდექსში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნაწილი ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებით, მე-3 კარის მე-3 თავი, ეხება მხოლოდ ზიანის ანაზღაურებას, როგორც ხელშეკრულების დარღვევისაგან სამართლებრივი დაცვის საშუალებას.

4. ზიანის ანაზღაურება, როგორც სამართლებრივი დაცვის საშუალება

4.1. უმეტეს შემთხვევაში, კრედიტორი, რომელიც წააწყდება ხელშეკრულების დარღვევას, იღებს კომპენსაციას იმ დანაკარგისათვის, რომელსაც იგი განიცდის დარღვევის შედეგად. შემდგომ თავში განხილულ იქნება საკითხი, თუ როგორ უნდა იქნეს გადაწყვეტილი, რა ზიანი მიადგა პირს ვალდებულების, მათ შორის, სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევით. წინამდებარე პუნქტში ყურადღება ძირითადად გამახვილებული იქნება იმ საკითხზე, თუ რა წარმოადგენს განსასაზღვრ ნიშნებსა და წესებს დებიტორის პასუხისმგებლობის დადგენისათვის მის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის გამო, რაც იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

4.2. პირველი პრინციპის პოვნა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის 1-ლ პუნქტში, რომლის თანახმადაც: „მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის“. შესაბამისად, წარმოიშობა კითხვა – როდის არის პასუხისმგებელი პირი, რომელსაც აკისრია ვალდებულების შესრულება არ ასრულებს სახელშეკრულებო დანაპირებს. იმ შემთხვევაში, მაგალითად, როდესაც გამყიდველი ყიდის ძალიან ძვირადღირებულ ტროპიკულ თევზს და გადააქვს თევზი წყლით სავსე ავზით, რა დროსაც თევზები იხოცებიან მიწოდებისას წყლის დაბალი ტემპერატურის გამო, იქნება თუ არა გამყიდველი პასუხისმგებელი და უნდა აანაზღაუროს თუ არა მან ზიანი, თუკი დადგენილია,

რომ იგი ვერ აკონტროლებდა წყლის ტემპერატურას? პასუხი გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან, რომლის თანახმადაც: „1. მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს.“ შემდეგი საკითხია, გამყიდველი მოქმედებდა განზრახ თუ გაუფრთხილებლად. პასუხი არის ის, რომ ტროპიკული თევზის გამყიდველმა უნდა შეამომოს წყლის ტემპერატურა, რომელშიც თევზია მოთავსებული ტრანსპორტირებისას და, იმ შემთხვევაში, თუკი მას ეს არ განუხორციელებია, იგი მოქმედებდა გაუფრთხილებლად. შესაბამისად, იგი იქნება პასუხისმგებელი. ის პრინციპი, რომ დებიტორი პასუხისმგებელია მხოლოდ ქმედების შეუსრულებლობის შემთხვევაში და ქმედების შეუსრულებლობა გამონვეულია გაუფრთხილებლობით, შესაძლოა ამოვიკითხოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლში, რომლის თანახმადაც: „ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთი გარემოებების გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამონვეული.“

4.3. ასე რომ, ქმედების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა შესაძლოა განმარტებულ იქნეს, როგორც ბრალეულ ქმედებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა. ანალოგიური ხდება ნიდერლანდების კანონმდებლობაშიც. მაგრამ ამ უკანასკნელში არის ხსენებული პრინციპიდან გარკვეული გამონაკლისები. რა მოხდება, მაგალითად, თუკი ავეჯის გადამტანი დათანხმდება კლიენტს ავეჯის გადატანაზე ერთი სახლიდან მეორეში და გადატანის მომსახურე პერსონალს, გაუფრთხილებლობით, ხელიდან გაუვარდება ანტიკვარული მინის ძვირფასი საგანი, რომელიც იატაკზე დაცემისას სრულად დაიმსხვრევა? ასევე, ამ შემთხვევაში, დებიტორი, რომელიც ავეჯის გადამტანს წარმოადგენს, პასუხისმგებელი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ მის ბრალეულ ქმედებას არ ჰქონია ადგილი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 396-ე მუხლის თანახმად, „მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს.“ ხსენებული პასუხისმგებლობა არ ემყარება ბრალეული ქმედების შედეგად წარმოშობილ პასუხისმგებლობას, არამედ წარმოადგენს ე.წ. მკაცრ პასუხისმგებლობას.“

4.4. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ავეჯის გადამტანს თოკით ააქვს ანტიკვარული ტუმბო მეორე სართულზე და უეცრად თოკი განწყდება ორ ნაწილად. შედეგად, ტუმბო დავარდება ქუჩაში და მთლიანად უსარგებლო გახდება. იქნება თუ არა ამ შემთხვევაში ავეჯის გადამტანი პასუხისმგებელი? პასუხი, რა თქმა უნდა, დადებითია, თუკი ავეჯის გადამტანი სარგებლობდა ცუდი ხარისხის თოკით. ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულებისას იგი მოქმედებს გაუფრთხილებლად, ვინაიდან ჯეროვანი გულმოდგინებით არ არჩევს შესაბამის ალჭურვილობას, რომელსაც იყენებს ხელშეკრულების შესასრულებლად. მაგრამ რა იქნება პასუხი იმ შემთხვევაში, თუკი ავეჯის გადამტანმა შეარჩია საუკეთესო ხარისხის თოკი და თოკს გააჩნია დეფექტი, რომლის აღმოჩენაც შეუძლებელია და, შედეგად, იგი განწყდება? ასეთ შემთხვევაში, ადგილი არ აქვს გაუფრთხილებლობას ავეჯის გადამტანის მხრიდან. პასუხი კითხვაზე – ეკისრება თუ არა მას პასუხისმგებლობა, ნათელი არ არის და მისი მოძიება შესაძლებელია უკვე ხსენებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ინტერპრეტაციის საფუძველზე, რომლის თანახმადაც: „მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება

მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს.“ შესაძლებელია იმის გონივრული მტკიცება, რომ ასეთ შემთხვევაში ავეჯის გადამტანი, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ მოქმედებდა გაუფრთხილებლად, პასუხისმგებელია, რადგანაც ხელშეკრულების ხასიათიდან გამომდინარეობს, რომ გამოსაყენებელ აღჭურვილობაში არსებულ დეფექტებზე პასუხისმგებელია ავეჯის გადამტანი, რომელიც იყენებს ამ აღჭურვილობას. ყოველ შემთხვევაში, ეს არის ის პასუხი, რომელიც ჰოლანდიელმა მოსამართლეებმა გასცეს აღნიშნულ კითხვაზე. ასე რომ, არსებული წესის თანახმად, ზოგადად ხელშეკრულების მხარე, რომელიც გამოთქვამს თანხმობას ისეთი ქმედების შესრულებაზე, რომლითაც გარკვეული შედეგი იქნება მიღწეული, როგორც არის, მაგალითად, ავეჯის გადატანა ერთი სახლიდან მეორეში, მკაცრად პასუხისმგებელია იმ აღჭურვილობაზე, რომელსაც იგი იყენებს.

4.5. შემდგომ მაგალითს კიდევ უფრო შეუძლია გაართულოს სიძნელები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას იმის გადაწყვეტისას, პასუხისმგებელია თუ არა დებიტორი, რომელიც არ ასრულებს ვალდებულებას და სამართლებრივად უნდა აანაზღაუროს თუ არა მან ზიანი. წარმოვიდგინოთ, რომ A-ს გააჩნია მანქანათმშენებელი ქარხანა. A დებს შეთანხმებას B-სთან – რომელიც დაკავებულია სამანქანო ბიზნესით – თორმეტი მანქანის გაყიდვის შესახებ, რომლებიც მიწოდებულ უნდა იქნეს 2006 წლის 1 აგვისტოსათვის, მაშინ, როდესაც A და B ასევე თანხმდებიან, რომ დროის ფაქტორს დიდი მნიშვნელობა გააჩნია. B-ს აღარ მოუხდება დამატებითი დროის დადგენა და ამიტომაც A დაარღვევს ვალდებულებას, თუკი მანქანები არ იქნება მიწოდებული 2006 წლის 1 აგვისტოსათვის. როგორი იქნება სამართლებრივი მდგომარეობა, თუკი A არ გადასცემს მანქანებს B-ს იმ მიზეზით, რომ იტალიურმა კომპანია Pirelli-მ, რომლისგანაც A ყიდულობს საბურავებს მანქანისათვის, არ მიაწოდა A-ს საბურავები თავის დროზე? პასუხი სავარაუდოდ იქნება ის, რომ A-მ, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ მოქმედებდა გაუფრთხილებლად, უნდა აუნაზღაუროს B-ს განცდილი ზიანი და იტალიელი საბურავების მწარმოებლის მიერ მოქმედების შესრულება-არშესრულებაზე რისკი ეკისრება A-ს. ამიტომაც A მკაცრად იქნება პასუხისმგებელი. მაგრამ ანალოგიური შედეგი დადგება თუ არა, თუკი, მაგალითად, იტალიელ საბურავების მწარმოებელს არ შეუძლია თავის დროზე მოამარაგოს A საბურავებით იმ მიზეზის გამო, რომ საქართველოს კანონმდებელმა, იმ მიზნით, რომ დაეცვა და ხელი შეეწყოს ქართული ეკონომიკის განვითარებისათვის, შემოიღო კანონი, რომელიც უკრძალავს ქართველ მანქანის მწარმოებლებს საბურავების შემოტანას საზღვრებს გარედან და ავალდებულებს მათ, გამოიყენონ მხოლოდ საქართველოში წარმოებული საბურავები. თუკი ასეთი რამ მოხდება, გადაწყვეტილება სავარაუდოდ იქნება, ყოველ შემთხვევაში, ნიდერლანდებში, რომ A არ იქნება პასუხისმგებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქმედების შეუსრულებლობისათვის იმგვარად, რომ არ იქნება გამოყენებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და კანონმდებლის ჩარევა A-სთვის იმოქმედებს, როგორც ე.წ. ფორს-მაჟორული სიტუაცია.

4.6. პასუხი ბოლო შემთხვევაზე, სავარაუდოდ, განსხვავებული იქნება, თუკი A-ს ეცოდინებოდა, რომ საქართველოს პარლამენტში მიდის მსჯელობა იმაზე, მიღებულ იქნეს თუ არა კანონი, რომელიც უკრძალავს ქართველ მანქანის მწარმოებლებს საბურავების შემოტანას სხვა ქვეყნიდან, თუ B A-სთან მოლაპარაკების დროს წამოჭრის საკითხს ზემოხსენებულ მსჯელობებთან დაკავშირებით და ჰკითხავს A-ს, შეძლებს თუ არა ეს უკანასკნელი მანქანების მიწოდებას დათქმულ დროს, ხოლო A დაამშვიდებს B-ს, არ ინერვიულოს, რადგანაც დარწმუნებულია,

რომ 2006 წლის 1 აგვისტოსათვის მანქანების მიწოდებას შეძლებს. ასეთ შემთხვევაში, თუკი კანონი მიღებულ იქნება და A ვერ შეძლებს მანქანების მიწოდებას დათქმულ დღეს, იგი პასუხისმგებელია ხელშეკრულების დარღვევაზე. არგუმენტი იქნება ის, რომ A-მ საკუთარ თავზე აიღო რისკი, რომ შესაძლოა კანონმდებელი ჩარეულიყო და ამიტომაც, იმ შემთხვევაში, თუკი კანონმდებელი ნამდვილად ჩაერეოდა, ხსენებული ჩარევა არ შეიძლებოდა A-სთვის მიჩნეულიყო ფორს-მაჟორულ სიტუაციად. ასე რომ, A პასუხისმგებელი იქნება, B-სთვის ზიანის ანაზღაურებაზე.

4.7. სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევაზე პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ნორმის მოძიება შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 402-ე მუხლის მე-2 წინადადებაში, რომელიც ეხება ისეთ სიტუაციას, როდესაც დებიტორი გადააჭარბებს ვალდებულების შესრულებისათვის განსაზღვრულ დროს. ხსენებული წინადადება შემდეგნაირად იკითხება: „იგი (დებიტორი) პასუხს აგებს შემთხვევითობისთვისაც, თუ არ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლება დამდგარიყო ვალდებულების დროული შესრულების დროსაც.“ ხსენებული წინადადება ნიშნავს შემდეგს: მიზეზი, რომელიც ვალდებულების შესრულების დათქმულ დღემდე ხელს უშლის დებიტორს მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებაში და რაც არ არის გამონვეული დებიტორის გაუფრთხილებლობით, წარმოადგენს ფორს-მაჟორს იმ თანმდევი შედეგით, რომ დებიტორი არ არის პასუხისმგებელი შეუსრულებლობისათვის. ხსენებული არ ჩაითვლება ფორს-მაჟორად, თუკი იგი განხორციელდება დათქმული დღის გასვლის შემდგომ. თანმდევი შედეგი იქნება ის, რომ დებიტორს დაეკისრება პასუხისმგებლობა შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაშიც, თუკი შეუსრულებლობა არ იყო გამონვეული მისი ბრალეული ქმედებით. ხსენებული წესი მოიცავს სახელშეკრულებო რისკის ტვირთს და, რაღა თქმა უნდა, მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც დროის ფაქტორს არ გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა სახელშეკრულებო ვალდებულებისათვის და კრედიტორმა უნდა დაადგინოს დროის დამატებითი ვადა მანამ, სანამ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ დებიტორი პასუხისმგებელია ხელშეკრულების დარღვევაზე. მოცემულ მაგალითს კიდევ უფრო ნათელი შეუძლია გახადოს ხსენებული. თუკი, მაგალითად, კარტოფილის გამყიდველი გამოთქვამს თანხმობას 100 000 კილოგრამი კარტოფილის მიწოდებაზე 2006 წლის 1 სექტემბრისათვის და მას არ შეუძლია კარტოფილის მიწოდება, რადგანაც კარტოფილი ინფიცირებულია გადამდები უჩვეულო სასოფლო-სამეურნეო დაავადებით, რომელიც გავრცელდა 2006 წლის 1 მაისს, სავარაუდოდ, გამყიდველი არ იქნება პასუხისმგებელი კრედიტორის წინაშე. თუკი ადგილი ექნება შემთხვევას, როცა კარტოფილის გამყიდველი არ მიანვდის კარტოფილს 2006 წლის 1 სექტემბერს და ამიტომაც იგი არღვევს სახელშეკრულებო ვალდებულებას, მყიდველს არ შეუძლია, დაუყოვნებლივ განყვიტოს ხელშეკრულება ან იჩივლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. რადგანაც დროის ფაქტორს არ გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა, პირველ რიგში მან უნდა დაადგინოს დამატებითი ვადა ქმედების შესრულებისათვის. თუკი მყიდველი დაადგენდა კარტოფილის მიწოდებისათვის ახალ დღედ 2006 წლის 1 ოქტომბერს და კარტოფილის მიწოდებული ვერ შეძლებდა მიწოდებინა მისთვის კარტოფილი 2006 წლის 1 ოქტომბრისათვის უჩვეულო გადამდები სასოფლო-სამეურნეო დაავადების გამო, რომელიც გავრცელდა 2006 წლის 15 სექტემბერს, კარტოფილის გამყიდველი პასუხისმგებელი იქნება და დაეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მიუხედავად იმისა, რომ კარტოფილის არმიწოდება, რაღა თქმა უნდა, არ განხორციელდა მისი გაუფრთხილებლობით, არამედ სასოფლო-სამეურნეო ავადმყოფობით.

5. ქმედების შეუსრულებლობა, როგორც სამართლებრივი დაცვის საშუალება

5.1. რაღა თქმა უნდა, უცნაური იქნებოდა, თუკი ორმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში, რომელიც აკუთვნებს ორივე მხარეს უფლებას და აკისრებს ვალდებულებებს, როგორც, მაგალითად, ისეთ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს გაყიდვასთან, ერთი მხარე ისევ იქნებოდა ვალდებული, შეესრულებინა მასზე დაკისრებული ვალდებულება, როდესაც მეორე მხარე არღვევს ვალდებულებას.

5.2. ამიტომაც, იმ შემთხვევაში, თუკი **A** შეუთანხმდა **B**-ს, რომ მიანვიდდა 30 ლოს 2006 წლის 25 ივლისისათვის და მთავრობა 2006 წლის 24 ივლისს აკრძალავს ნებისმიერი ცხოველის ტრანსპორტირებას 2 თვის განმავლობაში ჯილბის გავრცელების გამო, რაღა თქმა უნდა, **B** არ არის ვალდებული, 2006 წლის 25 ივლისს გადაუხადოს შეთანხმებული საფასური **A**-ს. **თუკი A აღძრავს სამართალწარმოებას B-ს წინააღმდეგ, ამ უკანასკნელს შეუძლია, დაეყრდნოს თავის უფლებას, არ განახორციელოს ქმედება მანამ, სანამ A არ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას. ამას ძველ რომის სამართალში ეწოდებოდა *exceptio non adimpleti contractus*.**

5.3. ნიდერლანდებში ხსენებული უფლება განსაზღვრულია 6:262-ე მუხლის 1-ლ ნაწილში, რომლის თანახმადაც: „როდესაც ერთ-ერთი მხარე არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, მეორე მხარეს შეუძლია მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებისაგან თავის შეკავება.“ აღსანიშნავია, რომ, როგორც ეს აღნიშნული მუხლიდან გამომდინარეობს, იმისათვის, რომ კრედიტორს წარმოემვას უფლება, თავი შეიკავოს ქმედების განხორციელებისაგან მეორე მხარის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, კავშირი უნდა არსებობდეს ვალდებულებებს შორის ისე, რომ ერთი ვალდებულება პირდაპირ იყოს დაკავშირებული სხვა ვალდებულებასთან. კრედიტორს არ შეუძლია, თავი შეიკავოს გადახდისაგან იმ ველოსიპედისათვის, რომელიც მან იყიდა დებიტორისაგან იმ საფუძველზე, რომ დებიტორს არ დაუბრუნებია მისთვის წიგნი, რომელიც ეთხოვა კრედიტორს.

5.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, როგორც ჩანს, არ არსებობს მკაფიო დებულება, რომელიც უფლებას ანიჭებს კრედიტორს, თავი შეიკავოს ქმედების განხორციელებისაგან იმ მომენტამდე, სანამ დებიტორი არ შეასრულებს ვალდებულებას. თუმცა, თავისთავად ცხადია, რომ მოსამართლე არ უბრძანებს მყიდველს, შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება და, მაგალითად, გადაიხადოს გასაყიდ ნივთებზე შეთანხმებული ფასი, თუკი გამყიდველს არ მიუწოდებია მყიდველისათვის საქონელი. ის განცხადება, რომ აღნიშნული ნორმა ასევე არსებობს საქართველოს კანონმდებლობაში, შესაძლოა დაშვებულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 484-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე მითითებით, რომელიც განთავსებულია სამოქალაქო კოდექსის კონკრეტულ ნაწილში და ეხება გაყიდვასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებას. ხსენებული მუხლის თანახმად, ხელშეკრულების თითოეულ მხარეს შეუძლია, უარი განაცხადოს ვალდებულების შესრულებაზე, თუკი არსებობს იმის რეალური საფრთხე, რომ მეორე მხარე არ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას. ხსენებული ნათლად წარმოადგენს ზოგადი წესის განხორციელებას, რომელიც ეხება მხარის მიერ ქმედების განხორციელებაზე თავის შეკავების უფლებას, მეორე მხარის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო.

6. ხელშეკრულებაზე უარის განცხადება, როგორც სამართლებრივი დაცვის საშუალება

6.1. თავისთავად, დარღვევა ან ქმედების განხორციელებაზე თავის შეკავება არ წარმოადგენს ხელშეკრულების შეწყვეტას. იმ დრომდე, სანამ ხელშეკრულება არ იქნება შეწყვეტილი, ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებები კვლავ ძალაში რჩება არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა მხარე ვალდებულების დარღვევის გამო პასუხისმგებელია კრედიტორისათვის კომპენსაციის გადახდაზე, არამედ ასევე იმ შემთხვევებში, როდესაც მხარე არ არის პასუხისმგებელი, რადგანაც მას შეუძლია, დაეყრდნოს ფორს-მაჟორს. ამიტომ, როდესაც კრედიტორი, რომელიც წააწყდება მის მიმართ განსახორციელებელი ვალდებულების შეუსრულებლობას სხვა მხარისაგან, არ აქვს მნიშვნელობა, არის თუ არა ეს მხარე პასუხისმგებელი, მოისურვებს, რომ გათავისუფლდეს მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან, მან უნდა შეწყვიტოს ხელშეკრულება და ამით უარი თქვას მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელშეკრულებაზე უარის განცხადების სამართლებრივი საშუალება არ ართმევს კრედიტორს უფლებას, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ისეთ შემთხვევებში, როდესაც მეორე მხარე პასუხისმგებელია ასეთ დარღვევებზე.

6.2. ნიდერლანდების კანონმდებლობაში ორმხრივ ხელშეკრულებაზე უარის განცხადების უფლება ფორმულირებულია სამოქალაქო კოდექსის 6:265-ე მუხლის 1-ლ ნაწილში, რომლის თანახმადაც: „1. ერთი მხარის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულების ყოველი შეუსრულებლობა აძლევს მეორე მხარეს უფლებას, სრულად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება (...)“. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ხსენებული უფლება განსაზღვრულია მეტ-ნაკლებად იმ მოცულობით, რა მოცულობითაც უფლების ფორმულირება უკავშირდება კრედიტორის მოვალეობას, განსაზღვროს ქმედების განხორციელებისათვის დამატებითი ვადა, თუკი დებიტორი არღვევს ხელშეკრულებას. სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის თანახმად: „თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ.“ 405-ე მუხლი ეხება, თავის მხრივ, ორ განსხვავებულ რამეს და ამიტომაც ხელშეკრულებაზე უარის განცხადების უფლება გახდა ამ მუხლის ნაწილი და ეხება საკითხს, როდესაც დებიტორი არღვევს ხელშეკრულებას და პასუხისმგებელია დარღვევისათვის.

6.3. როგორც საქართველოს, ისე ნიდერლანდების კანონმდებლობა აღიარებს, რომ საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, შესაძლოა არ იყოს სამართლიანი, კრედიტორი წყვეტდეს ხელშეკრულებას, თუნდაც დებიტორი არღვევდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. აღნიშნულის ნათელსაყოფად მოვიყვანთ მარტივ მაგალითს: რძის ქარხანა A-მ შესაძლოა ხელშეკრულება გააფორმოს სუპერმარკეტების კომპანიასთან 1000 ბოთლი ახალი რძის ყოველდღიურ მიწოდებასთან დაკავშირებით. ხელშეკრულება მოიცავს დებულებას, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ 6 თვით ადრე შეტყობინების შემდგომ. ხსენებული დებულება ჩადებულ იქნა ხელშეკრულებაში რძის ქარხნის ინტერესებიდან გამომდინარე, რადგანაც მან, თავის მხრივ, დაუდო ხელშეკრულება ქვეყანაში მოქმედ რამდენიმე ფერმერს ქარხნისათვის ძროხის რძის მიწოდებასთან დაკავშირებით და რომლებთანაც რძის ქარხანა დათანხმდა,

არ შეეწყვიტა ხელშეკრულება 6 თვიანი შეტყობინების ვადის გასვლამდე. რძის ქარხანა ყოველდღიურად აწვდის 1000 ბოთლს დათქმულ დროს, მაგრამ 8 თვის შემდგომ ერთ-ერთ დღეს, რძის ქარხნის ერთ-ერთი მუშის შეცდომის გამო, 970 ბოთლი იქნა მიწოდებული, რაც აღმოჩენილ იქნა მიწოდების შემდგომ. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული წარმომადგენს დარღვევას, რაზეც პასუხისმგებელია რძის ქარხანა, რადგანაც დროის ფაქტორს, სავარაუდოდ, გააჩნია მნიშვნელობა (ანუ მნიშვნელობა არ აქვს 1030 ბოთლი მიწოდება მეორე დღეს თუ არა), არაგონივრული იქნება, თუკი სუპერმარკეტების კომპანიას შეეძლება ხელშეკრულების შეწყვეტა ამ მიზეზით დაუყოვნებლივ. ასეთი შემთხვევები, როდესაც კრედიტორს არ გააჩნია უფლება, შეწყვიტოს ხელშეკრულება, დარღვეულირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რომლის თანახმადაც: „ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია, თუ: ა) ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა.“ მე-3 ნაწილი ასევე მოიცავს შემთხვევებს, როდესაც ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია. ნიდერლანდებში წესი, რომ გარკვეულ პირობებში კრედიტორს არ გააჩნია ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, ჩამოყალიბებულია ზემოხსენებული 6:265-ე მუხლის 1-ლ ნაწილში, რომლის თანახმადაც: „(...) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, დარღვევის კონკრეტული ხასიათიდან გამომდინარე და მცირე მნიშვნელობის გამო, გამართლებული არ არის ხელშეკრულებისა და მისგან გამომდინარე შედეგების შეწყვეტა.“

6.4. იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულებაზე უარი იქნა გაცხადებული და ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს განხორციელებული აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ ქმედება, რაღა თქმა უნდა, მას აქვს უფლება, მოითხოვოს მის მიერ განხორციელებული ქმედების რეტროსპექცია. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუკი A-მ გადასცა სახლი მყიდველს – B-ს და ამ უკანასკნელს არ შეუძლია ან არ სურს, გადაიხადოს საფასური, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდგომ A-ს უფლება აქვს, უკან დაიბრუნოს სახლი. ხსენებულიდან გამომდინარე, B-ს ეკისრება ვალდებულება, უკან დაუბრუნოს სახლი A-ს. ხსენებული წესი განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლში. აღნიშნული მუხლის თანახმად: „1. იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე, 405-ე მუხლში მოცემულ გარემოებებში, უარს ამბობს ხელშეკრულებაზე, უკვე განხორციელებული ქმედებების შედეგად წარმოქმნილი სარგებელი უკან უნდა დაუბრუნდეთ მხარეებს (რესტიტუცია).“ იგივე წესია განსაზღვრული ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის 271-ე მუხლში, რომლის თანახმადაც: „მხარეების მიერ განხორციელებული ვალდებულებებისაგან წარმოშობილი სარგებელი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ხსენებული ვალდებულებები შესრულებულ იქნა, სამართლებრივი საფუძვლები მათი შესრულებისათვის იგივე რჩება, მაგრამ წარმოიშობა მხარეებისათვის ვალდებულება, რომ უკან იქნეს დაბრუნებული ვალდებულების განხორციელების შედეგად წარმოშობილი სარგებელი.“

6.5. როგორც ჩანს, ორივე ქვეყნის კანონმდებლობა მოქმედებს იმის საფუძველზე, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმას თავისთავად არ გააჩნია სამართლებრივი ეფექტი, და რომ გადაცემა (მაგალითად სახლის გადაცემა), რომელიც განხორციელდა, სამართლებრივი მექანიზმის საშუალებით, არ ითვლება განხორციელებულად. თუკი ეს იქნებოდა სამართლებრივი წესი, ამას ექნებოდა მნიშვნელობა და ხსენებულ მაგალითში, სადაც A-მ გადასცა სახლი მყიდველს, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდგომ ჩაითვლება, რომ A-ს არასოდეს დაუკარგავს უფლება სახლზე და იგი რჩება მესაკუთრედ სამართლებრივი მექანიზმის თანახმად. რადგანაც ეს არ არის სამართლებრივი წესი, B-სათვის ვალდებულება წარმოიშობა, როგორც

ეს ზემოთ იქნა ნახსენები, A -სთვის სახლის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით. ხსენებული, რა თქმა უნდა, წამოჭრის B-ს ვალდებულების საკითხს, გადასცეს სახლი A-ს. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება A ისევ სახლის მესაკუთრე.

6.6. შესაძლებელია იმის დამატებით აღნიშვნა, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდგომ განხორციელებული ქმედების შედეგად წარმოშობილი სარგებლის უკან დაბრუნების ვალდებულებასთან დაკავშირებული მუხლები არ წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებას, არამედ ისინი წარმოიშობა კანონიდან და ამიტომაც ისინი არასახელშეკრულებო ხასიათისაა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილი განსაზღვრავს ზოგადი წესის გამოყენებას, რომლის პოვნაც შესაძლებელია კოდექსის 976-ე მუხლის 1-ლ ნაწილში, რომელიც მუხლიც მოთავსებულია უსაფუძვლო გამდიდრების თავში. ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის 271-ე მუხლი წარმოადგენს ზოგადი წესის გამოყენებას. ეს წესი განსაზღვრულია ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის 6:203-ე მუხლში, რომელიც მოთავსებულია უმიზეზო გადახდის თავში. შეგვიძლია მივუთითოთ მე-4 თავის 2.15 და 2.16 პუნქტებზე და გავიმეოროთ, რომ, ჩვენი აზრით, სასურველია ისეთი შემთხვევების გამიჯვნა, რომლებიც უკავშირდება უმიზეზო გადახდას და უსაფუძვლო გამდიდრებას. პირველი ტიპის შემთხვევებში, მნიშვნელობა არ აქვს, მყიდველი უსაფუძვლოდ გამდიდრდა თუ არა, მან მხოლოდ უნდა დააბრუნოს განხორციელებული ქმედების შედეგად მიღებული სარგებელი.

6.7. ბოლოს, შესაძლებელია იმის ნათლად წარმოჩენა, რომ ხელშეკრულებაზე უარის შემდგომ უკვე განხორციელებული ქმედების შედეგად მიღებული სარგებლის უკან დაბრუნება, როგორც სამართლებრივი დაცვის საშუალება, ხელმისაწვდომია მხოლოდ მაშინ, თუკი ქმედების განხორციელება, როგორც ასეთი, შეიძლება დადგენილ და განსხვავებულ იქნეს. ძალიან ხშირად ეს ასე არ ხდება: მაგალითად, მყიდველს შეუძლია შეჭამოს საჭმელი, რომელიც მან იყიდა და, ასევე, მანქანათმშენებელმა ქარხანამ შესაძლოა დაამზადა მანქანები ისეთი მეტალისაგან, რომელიც მას მიენოდა მეტალურგიული ქარხნის მიერ, მაგრამ არ გადაუხდია ამისათვის. ასეთ შემთხვევებში, რალა თქმა უნდა, კრედიტორს უფლება აქვს, მიიღოს კომპენსაცია ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. საქართველოს კანონმდებლობაში ხსენებული წესის მოძიება შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილში, რომლის თანახმადაც: „ნატურით დაბრუნების ნაცვლად მოვალეს ეკისრება ფულადი ანაზღაურება თუ: ა) შეძენილის ხასიათიდან გამომდინარე გამორიცხულია მისი დაბრუნება (...).“ ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის 6:272-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: „1. როდესაც შესრულება ან ვალდებულება, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, არ შეიძლება დაბრუნებულ იქნეს იმ დროისათვის, მისი ღირებულების კომპენსაციით უნდა იქნეს ჩანაცვლებული.“

7. ხელშეკრულების შეცვლა გარემოებების შეცვლის პარალელურად

7.1. მას შემდგომ, რაც მხარე დადებს ხელშეკრულებას, იგი ვალდებულია, კანონმდებლობის თანახმად, შეასრულოს იგი, თუნდაც შემდგომში ინანოს ხელშეკრულების დადება ან მიიჩნიოს, რომ მან დადო ცუდი ხელშეკრულება და ძალიან ცუდი გარიგება ან გარემოებები შეიცვალა ან განსხვავებულია იმისაგან, რაც არსებობდა ხელშეკრულების დადების პერიოდში. თუკი იგი არ ასრულებს ხელშეკრულებას, იგი დაარღვევს მას და პასუხისმგებელი იქნება ამაზე. მყიდველი, რომელიც

ყიდულობს იმ კომპანიის წილებს, რომელზეც ფიქრობს, რომ ეს უკანასკნელი დიდ მოგებას ნახავს, არ შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ ხელშეკრულების დადებიდან მცირე ხნის განმავლობაში კომპანია უცაბედად დიდ დანაკარგს განიცდის. თუკი მას ეს არ განუხორციელებია ასეთ მომენტამდე, პირი კვლავაც ვალდებულია, გადაუხადოს დათქმული ფასი წილისათვის გამყიდველს და, თუკი მან უკვე გადაიხადა ფასი, აღარ შეუძლია უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გადახდილი საფასურის უკან დაბრუნება.

7.2. მაგრამ ხსენებულ პრინციპს გააჩნია ერთი გამონაკლისი. ორივე – საქართველოსა და ნიდერლანდების – კანონმდებლობა ითვალისწინებს დებულებას, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს მოსამართლის მიერ, თუკი ხელშეკრულების დადების მომენტში განსაზღვრული გარემოებები იმდენად შეიცვალა, რომ შესაძლებელია იმის მიჩნევა, რომ ორივე მხარე, მხედველობაში მიიღებდნენ რა შეცვლილ გარემოებებს, სავარაუდოდ, არ დადებდნენ ხელშეკრულებას. ხსენებული წესის პოვნა საქართველოს კანონმდებლობაში შესაძლებელია სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის 1-ლ ნაწილში, რომლის თანახმადაც: „თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა.“ ნიდერლანდების კანონმდებლობაში ასეთი წესი განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსის 6:258 მუხლის 1-ლ ნაწილში, რომლის თანახმადაც: „1. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია შეცვალოს ხელშეკრულების დებულებები ან გააუქმოს ისინი მთლიანად ან ნაწილობრივ, გაუთვალისწინებელი გარემოებების დადგომის საფუძველზე, რომლებსაც ისეთი ხასიათი გააჩნიათ, რომ მეორე მხარეს, გონივრულობისა და სამართლიანობის სტანდარტებიდან გამომდინარე, არ შეუძლია მოელოდეს, რომ ხელშეკრულება შენარჩუნებულ იქნება უცვლელად. ხელშეკრულების შეცვლას ან გაუქმებას შესაძლოა გააჩნდეს უკუქცევითი ძალა.“

7.3. ხსენებული მუხლების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ძალზე გამონაკლის შემთხვევებში. მაგალითად, A გერმანიაში 2004 წლის ზაფხულში ყიდის შორეული აღმოსავლეთიდან შემოტანილ ნავთობის ნედლეულს B-ზე ნიდერლანდებში და შეთანხმება მიღწეული 12 თვის განმავლობაში მიწოდებაზე. იმ შემთხვევაში, თუკი უცაბედად პოლიტიკური კრიზისი წარმოიშობა შორეულ აღმოსავლეთში, რომლის გამოც ნავთობის ნედლეულის ფასი უეცრად ავარდება და ორმაგ ფასზე მეტი გახდება, ხსენებული ვერ გახდება მოსამართლისათვის იმის მიზეზი, რომ შეცვალოს ხელშეკრულება. ანალოგიური ტიპის შემთხვევები არ ხვდება საკითხთა ისეთ სფეროში, რომლის გათვალისწინებაც მხარეებს არ შეეძლოთ, რადგანაც ასეთი ტიპის კრიზისის მოხდენა შესაძლებელია. მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუკი ნავთობის ფასის ზრდა გამოწვეული იქნებოდა ცუნამის გამო, რომელიც თავს დაატყდა მთელ შორეულ აღმოსავლეთს 2004 წლის დეკემბერში, კითხვაზე პასუხი შესაძლოა განსხვავებული იყოს – გონივრულად შეიძლება იმის მტკიცება, რომ ხსენებული ფენომენი ისეთი მოულოდნელი და განსაკუთრებული იყო, რომ წინააღმდეგობაში მოვიდოდა კეთილსინდისიერების პრინციპთან, თუკი A მიაწვდიდა ნავთობს B-ს ადრე შეთანხმებულ ფასში. ამიტომაც დასაშვებია იქნება, რომ მოსამართლემ შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, გარემოებების შეცვლის შესაბამისად.

თავი 8

ზიანის მოთხოვნა ვალდებულების დარღვევისას

1. შესავალი

1.1. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურების მოვალეობასთან დაკავშირებული წესები შეეხება ყველა შემთხვევას, სადაც დადგენილია ზიანის ანაზღაურების მოვალეობა. ამდენად, მნიშვნელობა არ აქვს, ზიანის ანაზღაურების მოვალეობა (თუკი ეს დადასტურებულია) უკავშირდება სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას თუ არასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას, როგორცაა დელიქტი. ამდენად, ეს წესები ძირითადად ვალდებულებით სამართალში მოქმედებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამ პრინციპზე 326-ე მუხლიც მსჯელობს: „წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.“

1.2. ამ ზოგად წესებს ვხვდებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე — 415-ე მუხლებში და ჰოლანდიური სამოქალაქო კოდექსის 95-ე — 110-ე მუხლებში.

2. ზოგადი წესი

2.1. ზიანის ანაზღაურების მოვალეობასთან დაკავშირებული ზოგადი წესები, რომლებსაც ვხვდებით როგორც ქართულ, ისე ჰოლანდიურ სამართალში, ძირითადად მარტივია. უკანონო ქმედების გამო ზიანის დადგომას, იქნება ეს სახელშეკრულებო თუ არასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა, უნდა მოჰყვეს იმ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოვალემ უნდა აღადგინოს, როგორც ეს ლათინურად ჟღერს, *status quo ante*. ამ ზოგად წესს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-2 მუხლის 1-ლ ნაწილში ვხვდებით.

2.2. თუმცა, თავისი არსით, ეს ზოგადი წესი მარტივია და ყველა სახის კონკრეტული და, ზოგჯერ, რთული კითხვების დასმის საფუძველსაც იძლევა. ვეცდებით, განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

3. “LUCRUM CESSANS ET DAM NUM EMERGENS”

3.1. ერთი ცნობილი კითხვა, რომელსაც ხშირად ლათინურად სვამენ, ასე ჟღერს: მოვალემ კრედიტორს მხოლოდ ის ზიანი უნდა აუნაზღაუროს, რაც მან რეალურად განიცადა, თუ, აგრეთვე, ის მოგებაც, რაც კრედიტორმა მოვალის მხრიდან ვალდებულების დარღვევის გამო ვეღარ მიიღო? მაგალითად, 2005-2006 წლების ზამთრის პერიოდში ა-მ ბ-ს მიჰყიდა 100,000 კილოგრამი კარტოფილი, ფასი: 10 კილოგრამი 1 ლარი, რომელიც მას 2006 წლის აგვისტოსთვის უნდა მიეწოდებინა. ა-მ ვერ შეასრულა მიცემული პირობა მაშინ, როცა 2006 წლის 1 აგვისტოსათვის

კარტოფილის საბაზრო ღირებულება 1,2 ლარს შეადგენდა. უდავოა, რომ **ბ** ველარ მიიღებდა ყოველ 10 კილოგრამზე 20 თეთრის მოგებას კარტოფილის მესამე პირზე მიყიდვით.

3.2. როგორც ქართული, ისე ჰოლანდიური სამართალი ადგენს, რომ **ბ**-ს უფლება აქვს, მოითხოვოს არა მარტო ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, არამედ ის მიუღებელი შემოსავალიც, რომელსაც **ბ** ყოველი 10 კგ კარტოფილის 1,2 ლარად მესამე პირისათვის მიყიდვით მიიღებდა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი ადგენს: „ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.“

ანალოგიურ წესს ჰოლანდიურ სამართალში 6:96 მუხლის 1-ლ ნაწილში ვხვდებით: „ქონების, უფლებისა და ინტერესებისათვის მიყენებულ ზიანს წარმოადგენს როგორც ფაქტობრივი დანაკლისი, ისე მიუღებელი შემოსავალიც.“

4. ზიანის აბსტრაქტული და კონკრეტული კალკულაცია

4.1. განვიხილოთ, მოვალეობის დარღვევით გამონვეული ზიანი უნდა დაანგარიშდეს კონკრეტული საქმის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით, თუ ზიანის კალკულაციისთვის ზოგადი მეთოდი უნდა გამოვიყენოთ.

4.2. ამ საკითხთან დაკავშირებით, ჰოლანდიური სამართალი მოსამართლის გადაწყვეტილებას ეყრდნობა. სამოქალაქო კოდექსში აღნიშნულ კითხვაზე პასუხი არ მოიძებნება. პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ჰოლანდიელ მოსამართლეებს ამ საკითხზე ორგვარი მიდგომა აქვთ. უპირველეს ყოვლისა, ზიანის დაანგარიშება კონკრეტულ საფუძველზე უნდა მოხდეს. მაგალითად, თუ კარტოფილის შემძენს მესამე პირთან დადებული აქვს ამ კარტოფილის საბაზრო ფასთან შედარებით უფრო სარფიანად მიყიდვის ხელშეკრულება, რადგანაც ის მოხერხებული გამყიდველია, მაშინ, ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, პირველმა გამყიდველმა მყიდველს უნდა აუნაზღაუროს იმ სარფიანი კონტრაქტის გათვალისწინებით, რაც მან მესამე პირთან დადო. და თუ, მაგალითად, მანქანის მძღოლი დაუდევრობით დააზიანებს ფეხით მოსიარულეს, მან პიროვნებას უნდა აუნაზღაუროს ყველა, მათ შორის, სხეულის დაზიანებით დამდგარი ზიანი, იმ შემთხვევაშიც, თუკი აღნიშნული ზიანი დაზარალებულის სუსტი ჯანმრთელობის გამო უფრო ძლიერია, ვიდრე, ჩვეულებრივ, ასეთ ვითარებაში შეიძლებოდა ყოფილიყო. როგორც ინგლისის დელიქტურ სამართალშია აღნიშნული: დამნაშავემ უნდა მიიღოს დაზარალებული ისეთი, როგორსაც შემთხვევის ადგილას ნახავს.

4.3. მეორე მხრივ, ჰოლანდიური სამართალი მხედველობაში არ იღებს კრედიტორის მიერ განხორციელებული მოქმედების შედეგებს, რომლის საშუალებითაც კრედიტორმა შეძლო ზიანის შემსუბუქება (იგულისხმება მოგების მიღებაც), რომელიც მან მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის შედეგად განიცადა და, ამდენად, საქმის განსაკუთრებული გარემოებებიდან გამოაკლო. ეს შემთხვევა 3.1. ნაწილში აღნიშნული 100.000 კილოგრამი კარტოფილის მიყიდვის მაგალითზე შეიძლება განვიხილოთ. თუკი, ამ შემთხვევაში, მყიდველი **ბ** ყოველ 10 კილოგრამ კარტოფილს მესამე პირს 1,25 ლარად მიჰყიდდა, რომელიც საბაზრო ფასთან შედარებით 0.05 თეთრით მეტია, პირველი გამყიდველის – **ა**-ს მიერ **ბ**-სთვის ასანაზღაურებელი ზიანი დაითვლებოდა ყოველ ათ კილოგრამზე 1, 25 ლარის დაანგარიშებით. **ა**-ს ვალდებულება, აენაზღაურებინა **ბ**-სთვის ასეთი სახით დათ-

ვლილი ზიანი, არ გაიქვეითებოდა, თუ **ბ** ა-ს მიერ კარტოფილის მიუწოდებლობის გამო მოელაპარაკებოდა მესამე პირს ხელშეკრულების მოშლის შესახებ. ა-ს მოუწევდა, იმავე ოდენობით აენაზღაურებინა ზიანი **ბ**-სთვის, რა ოდენობითაც მას **ბ**-ს მიერ მესამე პირთან დადებული ხელშეკრულების არსებობის პირობებში უნდა აენაზღაურებინა ზიანი. მეორე მაგალითია, როცა მძლოლი **ა** დაუდევრობით **ბ**-ს მანქანას ეჯახება. ა-ს დაეკისრებოდა გონივრულ ფარგლებში მანქანის შეკეთების ხარჯები, მიუხედავად იმისა, **ბ**-ს მანქანა შეკეთებული იყო თუ არა. მაშინაც კი, თუ მანქანა შეკეთებული არ იქნებოდა, მას, აბსტრაქტული კალკულაციის საფუძველზე, უნდა აუნაზღაურონ ზიანი ისე, თითქოს მანქანა შეკეთებული იყო.

4.4. როგორც ჩანს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არ მოიძებნება ზუსტი პასუხი კითხვაზე, ზიანის დაანგარიშება კონკრეტული კალკულაციის საფუძველზე უნდა მოხდეს თუ აბსტრაქტული. ასე რომ, ამ საკითხზე გადაწყვეტილება მოსამართლემ უნდა მიიღოს.

5. პასუხაცხია

5.1. ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემა, რომელიც ეხება ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურების მოვალეობას, არის კაუზაციის საკითხი. ანაზღაურების მოვალეობა ვრცელდება მხოლოდ ისეთი ზიანზე, რომელიც ვალდებულების დარღვევის გამო დადგა.

5.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, „ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.“ ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის 6:98 თავის თანახმად კი: „ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ ისეთი ზიანის დროს, რომელიც მოვალის სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს, რაც, პასუხისმგებლობისა და ზიანის ხასიათის გათვალისწინებით, შეიძლება მას მიენეროს, როგორც ასეთი მოქმედების შედეგი.“

5.3. როგორც ქართულ, ისე ჰოლანდიურ კოდექსში მოცემული დებულება ნათლად განმარტავს, თუ რა სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს კრედიტორს. ასე რომ, ბოლოს, მოსამართლესა და პრეცედენტულ სამართალზე დამოკიდებული, განსაზღვროს ანაზღაურების ვალდებულების ფარგლები იმ პირობების მიმართ, ვისაც დაურღვიეს აღებული ვალდებულება.

5.4. თუ ჩავუღრმავდებით ამ დებულებებს, ორი ცალკე კითხვის გამოყოფა იქნება შესაძლებელი: პირველი კითხვა – ფაქტთან დაკავშირებით, ხოლო მეორე – უბრალოდ, ნორმატიული ხასიათის. თავდაპირველად, უნდა დადგინდეს, რამდენად იყო დამდგარი ზიანი ვალდებულების დარღვევის უშუალო შედეგი. ევროპული კონტინენტური თეორიის თანახმად, პირველი კითხვა ყალიბდება, როგორც: *conditio sine qua non*. პიროვნებას შეიძლება დაევალოს კომპენსაციის ანაზღაურება, თუკი, პირველ რიგში, დასტურდება, რომ კრედიტორის მიერ დასახელებულმა მიზეზმა ან დანაშაულებრივმა ქმედებამ ნამდვილად გამოიწვია ზიანი. მაგალითად, თუ ექიმი ოპერაციის დროს ჩაიდენს შეცდომას და ამის შემდეგ პაციენტი შრომისუუნარო გახდება, ექიმის პასუხისმგებლობის საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში დადგება, თუ დადგინდება, რომ შრომისუუნარობა, სიტყვის სამედროდობის გაგებით, ექიმის შეცდომით იყო გამოწვეული. თუ, მაგალითად, მოსამართლე დაასკვნის, რომ უუნარობა პაციენტის სუსტი ძვლოვანი სისტემის შედეგი იყო, რასაც არავითარი კავშირი არ აქვს ექიმის მიერ ოპერაციის დროს ჩადენილ

შეცდომასთან, ექიმის პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება კაუზაციის არარსებობის გამო. კაუზაციასთან დაკავშირებით, პირველი კრიტერიუმი, *conditio sine qua non* დოქტრინის წინაპირობა, მამასადამე, არის შემდეგი: დადგებოდა თუ არა ზიანი ვალდებულების დარღვევის გარეშე.

5.5. თუკი დადგინდება, რომ ზიანი ვალდებულების დარღვევის უშუალო შედეგია, დაისმება ნორმატიული სახის მეორე შეკითხვა: ზუსტად რას ნიშნავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის წინადადება: „ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს“ და რა იგულისხმება ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის 6:98 მუხლში: „ზიანი, რომელიც უკავშირდება ისეთ ქმედებას, რომელიც, პასუხისმგებლობისა და ზიანის ხასიათის გათვალისწინებით, მოვალის სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს და რომელიც შეიძლება მას მიენეროს?“ პრობლემის ნათელსაყოფად, მარტივ მაგალითს განვიხილავთ. დაუდევრობის გამო, სანვავით დატვირთული სატვირთო ავტომობილის მძღოლი ავარიში ხვდება. შედეგად, 10,000 ლიტრ სანვავზე მეტი გადმოიღვრება სატვირთო ავტომანქანიდან და დააბინძურებს როგორც ქუჩის ზედაპირს, ასევე ასფალტის საფარის ქვემო ფენას, მიწას. ქუჩის დასუფთავებას 100,000 ლარი სჭირდება. უდავოა, რომ მძღოლმა ეს თანხა უნდა გადაიხადოს, რადგანაც ასეთი ზიანი წინასწარ შეიძლებოდა ყოფილიყო სავარაუდო. მაგრამ, წარმოვიდგინოთ, რომ ასეთი შემთხვევა მოხდეს იქ, სადაც ქუჩის საფარის ქვემოთ წყლის საცავებია განთავსებული, საიდანაც მთელი ქალაქი მარაგდება. დაზიანდა ეს საცავები, რის გამოც წყლის მიწოდება ქალაქს რამდენიმე კვირით შეუჩერდა. ამ შემთხვევაში, მიყენებული ზიანი უზარმაზარია და მილიონობით ლარს უტოლდება. საეჭვოა, რომ სატვირთო ავტომანქანის მძღოლს უნდა დაეკისროს ასეთი ზიანის ანაზღაურება, რადგანაც ნაკლებ რეალურია, მას ევარაუდა, რომ მის დაუდევრობას შეიძლებოდა თბილისის მოსახლეობის რამდენიმე კვირით უწყლოდ დარჩენა მოჰყვებოდა. სამოქალაქო კოდექსში ამ კითხვაზე პასუხი არ მოიძებნება და, შესაბამისად, მოსამართლემ უნდა დაადგინოს, ერთი მხრივ, ზიანის ანაზღაურების ხარისხი, რომელიც პირის მიერ ვალდებულების დარღვევას მოჰყვება და, მეორე მხრივ, არ დაუშვას უსაზღვრო, არაგონივრული და არარეალური პასუხისმგებლობის დანესება. ჰოლანდიური სამართლებრივი პრაქტიკის თანახმად, ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი კრიტერიუმია, თუ რამდენად შეიძლება გარკვეული რისკისაგან თავის დაზღვევა და რამდენად ჩვეულებრივი მოვლენაა ამ რისკის არსებობა.

5.6. შესაძლოა ეს იყოს შემთხვევა, როცა, ზიანის დადგომის გამოწვევა, სავარაუდოდ, შეეძლო ორ ან მეტ მოვლენას, როცა მოსარჩელეს არ შეუძლია დაადგინოს, თუ ვისი ბრალეულობით მოხდა ეს. მაგალითად, გიას სტკივა თავი და დაღვეს ორ აფთიაქში ნაყიდ სხვადასხვა ნამალს. ის იმდენად ავად ხდება, რომ თოთხმეტი დღის განმავლობაში არ შეუძლია სამუშაოზე წასვლა. თუ დადგინდება, რომ ორივე ნამალი საზიანოა, ხოლო შეუძლებელია იმის დადგენა, რომელმა ნამალმა გამოიწვია გიას ავადმყოფობა, გასარკვევია, თუ რომელი აფთიაქის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. როგორც ჩანს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ამ კითხვაზე პასუხი არ მოიძებნება. რაც შეეხება ჰოლანდიურ სამოქალაქო კოდექსს, 6:99 მუხლი შემდეგნაირად არეგულირებს საკითხს: „როცა შეიძლება ზიანი ორი ან მეტი მიზეზით დამდგარიყო, რომლებზეც ორი სხვადასხვა პიროვნება აგებს პასუხს და დადგენილია, რომ ზიანი ერთი ამ მიზეზთაგანის არსებობით მაინც იყო განპირობებული, ზიანის ანაზღაურების მოვალეობა ეკისრება თითოეულ ასეთ პიროვნებას, თუკი ერთ-ერთი არ დაამტკიცებს, რომ დამდგარი ზიანი იმ მოქმედების უშუალო შედეგს არ წარმოადგენს, რაშიც მას ბრალს სდებენ.“

5.7. რა თქმა უნდა, 5.6 ნაწილში განხილული შემთხვევა უნდა განვასხვაოთ იმ შემთხვევისაგან, როცა ნათელია, რომ ზიანი საქმეში არსებული ორივე მიზეზის უშუალო შედეგია. მაგალითად, ორი ავტომანქანა დაუდევრობით ტროტუარზე მიმავალ ფეხით მოსიარულეს დაეჯახება, რომელიც სერიოზულ დაზიანებებს მიიღებს. არც ამ შემთხვევაში არსებობს ზოგადად აღიარებული კონკრეტული დებულება, რომელიც ამ კითხვას უპასუხებდა, თუმცა, სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა, რომ ორივე მძღოლს ფეხით მოსიარულესათვის მიყენებული ზიანისათვის ერთობლივად და მკაცრად ეგოთ პასუხი და ორივეს გაეყო ზიანის ასანაზღაურებლად აუცილებელი თანხა იმ პროპორციულობით, რა ზიანიც მათ ფეხით მოსიარულეს მიაყენეს. ამ შემთხვევაში, ქმედება, რომელმაც ზიანი გამოიწვია, წარმოადგენს დელიქტს — **როგორც ამ მაგალითშია განხილული. სოლიდარული პასუხისმგებლობისათვის მიყენებული ზიანის საკითხი განხილულია სსკ-ის 998 თავის 1-ლ ნაწილში. იგივე პრინციპია გატარებული სსკ-ის 1013-ე მუხლში, რომელიც უხარისხო პროდუქციის მწარმოებელთა სოლიდარულ პასუხისმგებლობას ეხება.**

5.8. მეორე კითხვა ეხება ისეთ შემთხვევებს, როცა ზიანის წარმოშობას გარკვეულწილად მესამე პირმა და თვით დაზარალებულის მოქმედებამაც შეუწყო ხელი, რომელიც, გამომდინარე აქედან, დამნაშავეა. განვიხილოთ ყველაზე გავრცელებული მაგალითი: მანქანის მძღოლი ა ეჯახება ბ-ს, რადგანაც მან, შეცდომით, არ დაუთმო ამ მანქანას მაშინ, როცა მეორე მანქანის მძღოლი ბ დადგენილ სტანდარტზე გაცილებით სწრაფად მოძრაობდა. ამრიგად, დამდგარი ზიანი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე იმ შემთხვევაში იქნებოდა, ბ-ს სიჩქარის დადგენილ სტანდარტებში რომ ემოძრავა. საკითხს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის პირველი პუნქტი არეგულირებს. თუმცა, ეს მუხლი არც ისე გასაგებადაა ჩამოყალიბებული. ჩანს, რომ შეიცავს წესს, რომლის მიხედვითაც, ან მსხვერპლმა ბ-მ შეიძლება მოითხოვოს დამნაშავე ა-სგან ზიანის სრულად ანაზღაურება, ან მას საერთოდ არ შეუძლია ა-სგან რაიმე სახის ანაზღაურების მოთხოვნა, კერძოდ, თუ დადგინდება, რომ მისი ბრალი აღემატება ა-ს ბრალს. სსკ-ის 415-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს, რომ: „თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული.“ ამრიგად, მუხლი შეიცავს „ყველაფრის ან არაფრის“ ანაზღაურების წესს. ჰოლანდიურ სამართალში ეს წესი უფრო დაბალანსებულია, რადგანაც დაზარალებულის ბრალის ან მისი დაუდევრობის შემთხვევაში, დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება იმის მიხედვით, თუ რა წვლილი მიუძღვის ორივე მხარეს ამ ზიანის დადგომაში. კერძოდ, ჰოლანდიური სამოქალაქო კოდექსის 6:101 მუხლის თანახმად: „1. თუკი, არსებული გარემოებების გათვალისწინებით, ზიანის წარმოშობას დაზარალებულის მოქმედებამაც შეუწყო ხელი, მის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოვალეობა მცირდება, გადანაწილდება რა დამდგარი ზიანი დაზარალებულსა და იმ პირს შორის, ვინც ეს ზიანი უნდა აანაზღაუროს.“

6. მორალური ზიანი

6.1. არსებობს ზიანის სულ მცირე სამი სახესხვაობა: პიროვნების სხეულის დაზიანება, უძრავ ქონებაზე მიყენებული ზიანი და ზიანი, რომელიც პირის ეკონომიკურ ინტერესებს შეიძლება მიადგეს. ზემოთ განხილული შემთხვევები სწორედ ამ სამი სახის ზიანს შეეხება. შეიძლება ითქვას, რომ ჩამოთვლილი ზიანის სახეობები ხილული და ხელშესახებია და რეალურად მათი გაზომვა თუ დათვლა არცთუ ისე ძნელია.

6.2. სამართლებრივი სისტემების უმეტესობაში განიხილება საკითხი, თუ რამდენად არის შესაძლებელი „არამატერიალური ზიანის“, რომელსაც აგრეთვე, მორალურ ზიანს უწოდებენ, ანაზღაურება. მაგალითად, პირს ღამით ჯიბის ქურდი დაესხა თავს. ამის შემდეგ ის ველარ ბედავს ღამის საათებში ქუჩაში გასვლას იმის შიშით, რომ მას კვლავ გაძარცვავენ. ან განვიხილოთ შემთხვევა, რომელსაც პირს ტრავმული შეგრძნებები უჩნდება მას შემდეგ, რაც ავტოკატასტროფის დროს სხეულის მძიმე დაზიანებებს მიიღებს, ან როდესაც საჯარო შეურაცხყოფის მიყენების შემდეგ პირს მუდმივი კარდიოლოგიური ჩივილები აქვს. სამართლებრივი სისტემების უმეტესობა ცდილობს, თავი აარიდოს მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის გაფართოებას, იმდენად, რამდენადაც ძნელია ასეთი ზიანის არსებობის დადასტურება და ზიანის ღირებულების ზუსტი გაანგარიშება. ამიტომ, სამართლებრივი სისტემების უმეტესობაში გამოიყენება ისეთი მოდელი, რომლის მიხედვითაც, არამატერიალური ზიანის ანაზღაურება დასაშვებია, მაგრამ მხოლოდ ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში და შეზღუდული რაოდენობით, ძირითადად, როცა მსხვერპლი აგრეთვე სხეულის დაზიანებასაც მიიღებს. საქართველო და ჰოლანდია, ამ თვალსაზრისით, გამონაკლისს არ წარმოადგენს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ: „არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით“, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილი დასძენს, რომ: „სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების შემთხვევებში, დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.“ ჰოლანდიურ სამოქალაქო კოდექსშიც მოიძებნება ანალოგიური მუხლი 6:106, ნაწილი 1, პუნქტი ბ): „ნებისმიერი ზიანისათვის, რომელიც არ წარმოადგენს ქონებრივ ზიანს (ქონების დაკარგვა, უფლებები და ინტერესები) პიროვნებას უფლება აქვს, მოითხოვოს მიყენებული ზიანის სამართლიანი შეფასება, თუკი დაზარალებულმა მიიღო სხეულის დაზიანება, ან შეილახა მისი სახელი და ღირსება, ან თუ სხვაგვარად მოხდა მისი შეურაცხყოფა.“

თავი 9

კაზუსები და კომენტარები

კაზუსი 1

ქეთი მელუა არის თბილისის გარეუბანში, გაზაფხულის ქუჩა №12-ში მდებარე მშენიერი სახლის მეპატრონე. რადგანაც ქეთი საქართველოს დატოვებას და ინგლისში ცხოვრების დაწყებას აპირებს, ის ავალებს უძრავი ქონების აგენტს შპს „საუკეთესო გაყიდვების სააგენტოდან“, რომ მისი სახელით გაყიდოს აღნიშნული სახლი. შპს „საუკეთესო გაყიდვების სააგენტო“ 2005 წლის 22 ოქტომბერს განცხადებას თბილისის ყოველდღიურ გაზეთში ათავსებს, რომელიც მკითხველს აცნობს, რომ საცხოვრებელი სახლის გასაყიდი ღირებულება 300,000 ლარია. ჯონ ფოსტერი, ამერიკელი, რომელიც თბილისში, ამერიკის საელჩოში იწყებს მუშაობას და რომელიც ქართველი მეგობრებისაგან შეიტყობს, რომ თბილისში, გაზაფხულის ქუჩა №12-ში მდებარე სახლი ქეთი მელუას საკუთრებაა, სწერს მას წერილს, სადაც აღნიშნავს, რომ ქუჩიდან დანახვისას მოიხიბლა მისი სახლით და სთავაზობს მას 300,000 ლარს. წერილი ქეთი მელუას საფოსტო ყუთში 2005 წლის 22 ოქტომბერს აღმოჩნდება. იმავე დღეს ჯონ ფოსტერი კითხულობს განცხადებას გაზეთში, რეკავს შპს „საუკეთესო გაყიდვების სააგენტოში“ და უცხადებს, რომ კონტრაქტი უკვე შედგა. უძრავი ქონების აგენტი სასწრაფოდ აცნობებს ქეთი მელუას შემოთავაზების მიღების შესახებ, თუმცა, ქეთი მელუა, რომელსაც ცუდი გამოცდილება აქვს ამერიკელებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, წინააღმდეგია, რომ სახლის მომავალი მფლობელი ჯონ ფოსტერი გახდეს.

კითხვა:

ჯონ ფოსტერი იწყებს სამოქალაქო წარმოებას პირველი ინსტანციის სასამართლოში და ითხოვს კონკრეტულ შესრულებას, ანუ სახლის მისთვის გადაცემას. რამდენად წარმატებული იქნება მისი მცდელობა?

პასუხი:

ამ შემთხვევაში, პირველ საყურადღებო ფაქტს უძრავი ქონების აგენტის მიერ გაზეთში განცხადების განთავსება წარმოადგენს. იბადება კითხვა ამ განცხადების სამართლებრივი ხასიათის შესახებ. უნდა განვიხილოთ ორი თვალსაზრისი: პირველი, რამდენად წარმოადგენს გაზეთში განთავსებული განცხადება ოფერტს და, მეორე, წარმოადგენს თუ არა ის მონვევას ოფერტის გაკეთებაზე. პირველი ვერსიის შემთხვევაში, თუკი მესამე პირი, როგორც ჯონ ფოსტერია, ნათლად დააფიქსირებს საკუთარ განზრახვას, ანუ გამოთქვამს სურვილს, იყიდოს სახლი აღნიშნულ ფასად, მაგალითად, დარეკავს და განაცხადებს, რომ თანახმაა, შეიძინოს სახლი შემოთავაზებულ ფასად, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კონტრაქტი დაიდო. პრობლემას წარმოადგენს ის, რომ, როდესაც უძრავი ქონების გაყიდვაზე ვსაუბრობთ, ფასი კონტრაქტის მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი პირობაა. ხელშეკრულების პირობებში თანაბარმნიშვნელოვანია ქონების გადაცემასა და თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები. ამდენად, შეგვიძლია ვიდავოთ, რომ, როცა მხოლოდ ფასზე ხდება შეთანხმება, სანამ კონტრაქტი დადებულია ჩათვლება, სხვა პირობების დაკონკრეტებაც უნდა მოხდეს.

თუკი მეორე ვერსიას მივემხრობით, კერძოდ იმას, რომ გაზეთში განცხადების განთავსება სხვა არაფერია, თუ არა მონვევა ოფერტზე, ჯონ ფოსტერის მიერ განხორციელებული სატელეფონო ზარი, კანონის თანახმად, ოფერტად ჩაითვლება, რომელსაც ქეთი მელუას მხრიდან უნდა მოჰყვეს აქცეპტი, სანამ დაიდება ხელშეკრულება. რადგანაც ამ უკანასკნელის მხრიდან აქცეპტს ადგილი არ ჰქონია, კონტრაქტიც დადებულად არ ჩაითვლება და დავაც იმაზე, რომ უნდა მომხდარიყო ხელშეკრულების სხვა პირობებზე შეთანხმება, უადგილოა. ჰოლანდიის უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა საქმეზე და გადაწყვიტა, რომ უძრავი ქონების აგენტის მიერ გაზეთში სახლის გაყიდვის თაობაზე გაკეთებული განცხადება არ წარმოადგენს ოფერტს, თუმცა, კანონის თანახმად, უნდა განიხილებოდეს, როგორც მონვევა ოფერტზე.

გარდა ამისა, იბადება კითხვა, რამდენად არის ამ შემთხვევაში ფასზე შეთანხმება მიღწეული, რადგანაც, იმავე დღეს, როცა გამოქვეყნდა განცხადება, ქეთი მელუას უძრავი ქონების აგენტმა მიიღო ჯონ ფოსტერის წერილი, რომ მას სურდა შეეძინა სახლი იმ ფასად, რასაც გამყიდველი დაასახელებდა. ამ კითხვაზე პასუხი უარყოფითია, რადგან ჯონ ფოსტერის წერილი არ არის ქეთი მელუას ოფერტზე პასუხი. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთში გასულ განცხადებასა და ჯონ ფოსტერის წერილში იდენტური ფასებია მითითებული, იმისათვის, რომ კონტრაქტის არსებობა დადასტურდეს, აუცილებელია, დადგინდეს კავშირი ოფერტსა და აქცეპტს შორის. შემთხვევითი ფაქტი, როცა ორ მხარეს იდენტური მოსაზრება გაუჩნდა, არ შეიძლება კონტრაქტის დადების საფუძვლად ჩაითვალოს.

რაც შეეხება კითხვას, თუ რამდენად შეუძლია ჯონ ფოსტერს, მოითხოვოს ნატურით შესრულება, პასუხი ასე ჩამოყალიბდება: ფაქტობრივად, მასზე უნდა გაიცეს ნატურით შესრულების ბრძანება, რადგანაც სახლი კონკრეტული ნივთია და ჯონ ფოსტერი ვერ მიიღებს იმას, რაც მას რეალურად სურდა. ასე რომ, ამ შემთხვევაში, ფულადი კომპენსაცია მისაღები ეკვივალენტი არაა. თუმცა, მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ ყოფილა დადებული სამართლებრივად აღსრულებადი ხელშეკრულება.

კაზუსი 2

შპს „თბილისის მეორადი მანქანების კომპანია“ აწყობს მეორადი იაპონური მანქანების პარტიის აუქციონს. აუქციონზე სტანისლავ პეტროვი მზადაა, გადაიხადოს ყველაზე მაღალი ფასი თორმეტცილინდრიანი მიცუბის მარკის ავტომანქანაში. ის იხდის 30,000 ლარს. შპს „თბილისის მეორადი მანქანების კომპანია“ ნებას რთავს სტანისლავს, აუქციონის დამთავრებისთანავე, დაუყოვნებლივ წაიყვანოს მანქანა და გასაღებსაც აძლევს. აუქციონის დატოვების შემდეგ, სტანისლავი თბილისიდან ბათუმისკენ სავალ გზაზე მაღალი სიჩქარით მოძრაობს, რა დროსაც მანქანების სავალ ნაწილს კვეთს ფეხით მოსიარულე. სტანისლავი ცდილობს, შეაჩეროს მანქანა, თუმცა, უშედეგოდ, რადგანაც მუხრუჭები, ტექნიკური მიზეზების გამო, აღმოჩნდება გაფუჭებული. სტანისლავი მანქანით ეჯახება ფეხით მოსიარულე მამაკაცს, რომელსაც ჰყავს ცოლი და თორმეტი არასრულწლოვანი ბავშვი. ახალგაზრდა კაცი იღუპება ავტოკატასტროფაში. ორი დღის შემდეგ სტანისლავი შპს „თბილისის მეორადი მანქანების კომპანიისაგან“ იღებს ანგარიშ-ფაქტურას 30,000 ლარზე, რომლის პირველ გვერდზეც წერია, რომ აუქციონზე მანქანის შეძენის შემთხვევაში, აუცილებელია ყურადღება მიექცეს ფურცლის უკან დაწერილ სტანდარტულ დებულებებს. ერთ-ერთი დებულების თანახმად კი: გამყიდველი იხსნის შემდგომ პასუხისმგებლობას ნებისმიერი ტექნიკური ნაკლით

გამონწვეული ზიანისათვის, განურჩევლად ამ ზიანის გამომწვევი მიზეზისა და არ აანაზღაურებს ამ ნაკლის გამოსწორებისათვის საჭირო თანხებს. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, თუკი ტექნიკური ნაკლის აღმოჩენის შესახებ მყიდველი გამყიდველს ორი თვის ვადამი აცნობებს.

კითხვა:

შეუძლია თუ არა სტანისლავს, შპს „თბილისის მეორადი მანქანების კომპანიას“ მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება, რაც 500,000 ლარს შეადგენს და მას სასამართლომ ქვრივისა და მისი არასრულწლოვანი ბავშვებისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად დააკისრა?

პასუხი:

პასუხი, სავარაუდოდ, უარყოფითია. რომც დავუშვათ, რომ ამ პირობაზე მხარეები შეთანხმებული იყვნენ, ეს შეთანხმება უნდა მომხდარიყო ხელშეკრულების დადების მომენტში. რა თქმა უნდა, ხელშეკრულების არც ერთი მხარე არ არის აღჭურვილი ისეთი უფლებამოსილებით, რომ დაამატოს ხელშეკრულებაში პირობები, როცა ხელშეკრულება უკვე დადებულია. არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის თანახმად, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის უფლებაა, არა მარტო ერთპიროვნულად გადაწყვიტოს ხელშეკრულების შინაარსი, არამედ ერთპიროვნულად შეცვალოს ხელშეკრულების დადების შემდეგ მისი შინაარსი. ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება პრინციპს, რომ ხელშეკრულება ორი მხარის შეთანხმებაა, რომლებიც, კანონის თანახმად, თანასწორუფლებიანი არიან და თავისუფალი ნების გამოხატვის საფუძველზე თავს იბოჭავენ სახელშეკრულებო ვალდებულებებით. საქმე სხვაგვარად გადაწყდებოდა, თუკი დადგინდებოდა, რომ, სტანდარტული პრაქტიკის და ჩვეულების თანახმად, ამ სახის ყველა ხელშეკრულება გამონაკლისი პირობის არსებობის საფუძველზე იდება და მყიდველმა ეს იცოდა ან, სავარაუდოდ, უნდა სცოდნოდა. თუმცა, ამ საქმეში ამ ვარაუდის მხარდამჭერ ფაქტებს ვერ ვხვდებით.

კავშირი 3

რეჯენტ სტრიტ ჰოტელის მეპატრონე თბილისში, სასტუმროს სახურავის შეკეთების მიზნით, ხელშეკრულებას დებს შპს „თბილისის სამშენებლო კომპანიასთან“. ხელშეკრულების ნაწილის თანახმად, სახურავზე უნდა დაიდგას ქვის მოძრავი ლომები, რომელთა დროდადრო ჩამოტანაც შესაძლებელი იქნება სასტუმროს ბაღში გამართულ წვეულებებზე, როცა საქართველოს პარლამენტი ყოველწლიურ ფესტივალებს უმასპინძლებს. ხელშეკრულების საერთო ღირებულება 2,000,000 ლარია. სამუშაოების დასრულების შემდეგ სასტუმროს ხელმძღვანელობა აღმოაჩენს, რომ სამუშაო არასათანადოდ და არაპროფესიონალურად განხორციელდა. წვიმების დროს სასტუმროს ზედა სართულის იატაკი მთლიანად სველდება, ხოლო სახურავს ნაწილები ისე სცვივა, რომ საკმაოდ სახიფათოა სასტუმროს ნანგრევებს შორის აღმოჩნდე. სასტუმრომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების ნახევარი წინასწარ გადაიხადა. დანარჩენი თანხა კვლავ გადასახდელია. სასტუმრო, რომელიც უარს ამბობს ხელშეკრულებაზე, მისი ძირითადი ნაწილის დარღვევის გამო, იწყებს წარმოებას სასამართლოში და ითხოვს, რომ სამშენებლო კომპანიამ აანაზღაუროს სასტუმროს სახურავის შეკეთებისათვის საჭირო თანხა

და სასტუმროს ბოლო სართულის დაზიანებით გამოწვეული ხარჯები. სამშენებლო კომპანია, შეგებებული სარჩელით, სასამართლოსაგან ითხოვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადაუხდელი თანხის 1,000,000 ლარის ანაზღაურებას და ქვის ლომების დაბრუნებას, რომლებიც სასტუმროს ავტოფარეხში ინახება და მათი ღირებულება 30,000 ლარს შეადგენს.

კითხვა:

რას გადაწყვეტს სასამართლო სასტუმროს სარჩელსა და სამშენებლო კომპანიის შეგებებულ სარჩელთან მიმართებით?

პასუხი:

საქმეში არსებული ფაქტების მიხედვით, მოსამართლემ დავა სასტუმროს სასარგებლოდ უნდა გადაწყვიტოს. სამშენებლო კომპანიამ რომელიც მშენებლობის კონტრაქტს დებს, უნდა უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი, შესაბამისად, შესრულებულ საქმიანობაში არსებული ნებისმიერი ხარვეზი კონტრაქტის დარღვევას ნიშნავს. ეს კი, თავის მხრივ, იწვევს იმას, რომ ხელშეკრულების არსებითი დარღვევის გამო, სასტუმროს უფლება აქვს, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად სხვა კომპანია დაიქირავოს და ზიანი აინაზღაუროს. სასტუმროს, აგრეთვე, უფლება აქვს, მოითხოვოს ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული სხვა მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურებაც და, ამდენად, სამშენებლო კომპანიამ უნდა აანაზღაუროს სხვა სამშენებლო კომპანიის დაქირავებით გამოწვეული ზედმეტი ხარჯები. კანონში არ არის მითითებული ზუსტი საფუძველი, თუ რატომ უნდა დააბრუნოს სასტუმრომ ლომები, თუკი ის მზად არის, გადაიხადოს მათი ფასი, მაგრამ თუ სასტუმრო არ დაფარავს მათ ხარჯებს, ლომები უნდა დაუბრუნდეს სამშენებლო კომპანიას, რადგანაც ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგ ქონების გადაცემა ლომების სახით სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია და, ამდენად, სასტუმროს ეკისრება ლომების დაბრუნების არასახელშეკრულებო ვალდებულება.

რაც შეეხება შეგებებულ სარჩელს, თუკი სამშენებლო კომპანიის მიერ ხელშეკრულების დარღვევის ფაქტს გავითვალისწინებთ, სასტუმროს უფლება აქვს, თავი შეიკავოს თავისი შესრულებისაგან და არ გადაიხადოს დარჩენილი თანხა. მაგრამ, ვინაიდან სასტუმრო ირჩევს ხელშეკრულებაზე უარის თქმას, ფაქტობრივად, ის კარგავს უფლებას, თავი შეიკავოს შესრულებისაგან. მან უნდა გადაიხადოს სამშენებლო კომპანიის მიერ უკვე შესრულებული სამუშაოს ღირებულება. მაგრამ თუკი ამ საფუძველზე სასტუმროს დაეკისრება ვალდებულება, სამშენებლო კომპანიას გადაუხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯერ კიდევ გადაუხდელი თანხის გარკვეული ოდენობა, მან, რა თქმა უნდა, სამშენებლო კომპანიის წინააღმდეგ შეიძლება გაქვითოს თავისი მოვალეობა თავისივე მოთხოვნის მიმართ დამდგარი ზიანისა და ზედმეტი ხარჯებისათვის, რაც მან სხვა სამშენებლო კომპანიას უნდა გადაუხადოს სახურავისა და სასტუმროს ზედა სართულის შესაკეთებლად და იმ დამატებითი ხარჯებისთვისაც, რაც მან უნდა გადაიხადოს შემდგომი ზიანის თავიდან ასაცილებლად.

კაზუსი 4

მუხურაძე თბილისში ფლობს სამოთახიან ბინას, რომლის ღირებულება 40,000 ლარია. ის 1999 წლის 2 მარტს ხელშეკრულებას დებს სამშენებლო კომპანია „კავუნიტექსთან“. კონტრაქტის თანახმად, „კავუნიტექსი“ ვალდებულია, მუხურაძეს 2001 წლის ბოლომდე აუშენოს ოთხოთახიანი ბინა. მუხურაძემ, ბინის მშენებლობის საფასურად, „კავუნიტექსს“ საკუთარი საცხოვრებელი ბინა უნდა დაუთმოს. მუხურაძემ „კავუნიტექსის“ წინაშე დადებული ვალდებულება დაუყოვნებლივ, პირნათლად შეასრულა და „კავუნიტექსის“ ინსტრუქციის თანახმად, ბინა ვინმე მ. ჯავახიშვილს გადასცა. ბინის ჯავახიშვილისთვის გადაცემის საფუძველი არის ის, რომ ჯავახიშვილი „კავუნიტექსს“ სამშენებლო მასალებით ამარაგებს, რომელიც ამ სამშენებლო კომპანიას მუხურაძისათვის ბინის ასამშენებლად სჭირდება. ამრიგად, ყოველივე ამის გათვალისწინებით და სამშენებლო კომპანიისათვის მიწოდებული მასალების საფასურად, ჯავახიშვილი მუხურაძის ბინის მესაკუთრე ხდება. 2001 წელს ცნობილი ხდება, რომ „კავუნიტექსი“ ვერ ახერხებს დათქმულ ვადაში მუხურაძისათვის ბინის ჩაბარებას. მუხურაძე და „კავუნიტექსი“ დებენ ახალ ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც, „კავუნიტექსი“ მუხურაძისათვის 2002 წლისათვის ხუთოთახიანი ბინის აშენებას კისრულობს. „კავუნიტექსმა“ ვერც ეს ვალდებულება შეასრულა და, მაშასადამე, ახალი კონტრაქტიც დაარღვია. მუხურაძემ აღძრა სარჩელი „კავუნიტექსისა“ და ჯავახიშვილის წინააღმდეგ. ის აცხადებს, რომ ჯავახიშვილისათვის სამოთახიანი ბინის მიყიდვის ხელშეკრულება ბათილად უნდა გამოცხადდეს და ითხოვს მისი ბინის დაბრუნებას. ჯავახიშვილი არ სცნობს სარჩელს და, საკუთარი თავის დაცვის მიზნით, აცხადებს, რომ მართალია, მას ბინის თანხა 40,000 ლარი მუხურაძისათვის არ გადაუხდია, მაგრამ სამოთახიანი ბინის მიღების ფაქტი მაინც ნამდვილია.

კითხვა:

როგორ უნდა გადაწყდეს ეს დავა?

პასუხი:

როგორც ჩანს, საქართველოს უზენაეს სასამართლოს საკმაოდ ხშირად უმსჯელია ასეთი ტიპის საქმეებზე. ეს კაზუსი საკმაოდ გავრცელებულ შემთხვევებს ეხება. მიუხედავად ამისა, სწორი პასუხი ამ კითხვაზე საკმაოდ მარტივია. თუკი დაკვირვებით განვიხილავთ ამ კაზუსს, აღმოვაჩინოთ, რომ, პირველი: მუხურაძესა და „კავუნიტექსს“ შორის პირველად დადებული ხელშეკრულება, კანონის თანახმად, ჭეშმარიტად ნამდვილია. მეორე, უსაფუძვლოა ვივარაუდოთ, რომ „კავუნიტექსსა“ და ჯავახიშვილს შორის სამშენებლო მასალების ჩამოტანასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულება არ არის ნამდვილი. ამდენად, გვაქვს ორი ნამდვილი ხელშეკრულება: ერთი – დადებული მუხურაძესა და „კავუნიტექსს“ შორის, რომელიც ითვალისწინებს „კავუნიტექსის“ მიერ ბინის აშენებას, ხოლო მუხურაძის მხრიდან შეთანხმებული თანხის გადახდის ვალდებულებას და მეორე ხელშეკრულება – დადებული „კავუნიტექსსა“ და ჯავახიშვილს შორის, რომლის საფუძველზეც, ჯავახიშვილმა სამშენებლო კომპანიას უნდა მიანოდოს მასალები და „კავუნიტექსმა“ გადაიხადოს თანხა ამ მასალებში. კანონში არ არის გათვალისწინებული რაიმე წინააღმდეგობა, რაც შეაფერხებდა ამ ორი ხელშეკრულების ერთმანეთთან დაკავშირებას, ანუ შემდგომში მხარეების შეთანხმებას იმასთან დაკავშირებით, რომ მუხურაძე „კავუნიტექსისათვის“ გადახდის ვალდებულებას, თანხის გადახდის მაგივრად, შეასრულებდა ჯავახიშვილისათვის ბინის გადაცე-

მით. თუ მუხურაძე ჯავახიშვილს გადასცემს ბინას, ის ჯავახიშვილს აღარ უხდის ფულს, თუმცა, უბრუნებს ვალს „კავუნიტექსს“. მეორე მხრივ, კანონი არც „კავუნიტექსსა“ და ჯავახიშვილს შორის არსებულ შეთანხმებას ენინააღმდეგება, როცა ისინი თანხმდებიან, რომ ჯავახიშვილი მიიღებს მუხურაძის ბინას, როგორც „კავუნიტექსის“ მხრიდან მის მიმართ არსებული ვალის ანაზღაურებას. მუხურაძის მიერ ჯავახიშვილისათვის ბინის გადაცემა არ ნიშნავს, რომ მუხურაძე ჯავახიშვილს ვალს უნაზღაურებს, არამედ იმას, რომ „კავუნიტექსი“ უხდის ვალს მუხურაძეს. ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევასთან, რომ ნებისმიერ მესამე მხარეს შეუძლია გადაიხადოს ვალი და ხელშეკრულების მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ პირველადი ხელშეკრულების პირობებიდან გადახვევაზე, რაც იმაში გამოიხატება, რომ ვალდებულების შესრულება შეიძლება განსხვავდებოდეს თავდაპირველი შეთანხმებისაგან. ეს ხელშეკრულების თავისუფლების დოქტრინის ნაწილს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ხელშეკრულება, გარკვეული თვალსაზრისით, სამკუთხედს ქმნის, კანონით მაინც არ არიან ერთმანეთთან კავშირში. სწორედ აქედან გამომდინარე, მართალია, „კავუნიტექსმა“ მუხურაძესთან დადებული ვალდებულება ვერ შეასრულა, მათი ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მუხურაძის მხრიდან ხელშეკრულებაზე უარის თქმით, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მუხურაძის მიერ ჯავახიშვილისათვის ბინის გადაცემის ფაქტი ამიერიდან არანაშვლილია. იმის გათვალისწინებით, რომ ჯავახიშვილმა მართლაც მიანოდა „კავუნიტექსს“ სამშენებლო მასალები, მას სრული უფლება აქვს, მოითხოვოს „კავუნიტექსისაგან“ სანაცვლოდ ანაზღაურება, რაც გამოიხატა მისთვის სამოთახიანი ბინის გადაცემით. ამდენად, სადავო აღარ არის, რომ მუხურაძის მიერ ჯავახიშვილისათვის ბინის გადაცემა კანონიერია. ეს კანონიერი იყო იმდენად, რამდენადაც „კავუნიტექსს“ უნდა დაეფარა მისი ვალი სამშენებლო მასალების მოწოდებისათვის. ამის ანაზღაურება განხორციელდა მუხურაძის მიერ კავუნიტექსის სახელით. ჯავახიშვილის მიერ მუხურაძისათვის 40,000 ლარის გადაუხდელობის ფაქტი აქ მნიშვნელობას მოკლებულია, რადგანაც მას ბინა მუხურაძისაგან არ შეუძენია, თუმცა, „კავუნიტექსს“ ნამდვილად მიანოდა სამშენებლო მასალები, რაც ბინის საფასურს წარმოადგენდა.

ამ მსჯელობის შედეგია ის, რომ მუხურაძე დგას „კავუნიტექსის“ მხრიდან მის მიმართ შესრულების არარსებობის რისკის წინაშე. მაგრამ, რადგანაც ჯავახიშვილს არაფერი ესაქმება მუხურაძესა და „კავუნიტექსს“ შორის დადებულ ხელშეკრულებასთან, არც მათ შორის არსებულ სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევის გამო უნდა განიცადოს დანაკლისი.

